

საქართველოს უზენაესი სასამართლო
დიდი პალატა

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №ას-664-635-2016

2 მარტი, 2017 წელი,
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
დიდი პალატის შემადგენლობა:

ნინო გვენეტაძე (თავმჯდომარე)

მზია თოდუა

ვასილ როინიშვილი

ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი)

პაატა ქათამაძე

ბესარიონ ალავიძე

მაია ვაჩაძე

ზურაბ ძლიერიშვილი

გიორგი შავლიაშვილი

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვის გარეშე

კასატორები - ლ. ყ. გ. ყ. შპს "ტ. ს.", ნ. ნ. შპს "კ.ჯ." (მოპასუხეები)

მოწინააღმდეგე მხარეები - ქ. ხ. შპს „პ.“ (მოსარჩელები)

ლ. ყ-ს, გ. ყ-სა და შპს "ტ. ს." მიერ გასაჩივრებული განჩინებები:

I. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება და

II. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განკარგულებები (საოქმო განჩინებები):

1. 2016 წლის 13 მაისის სხდომაზე ნ. გ-ს 500 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 13 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი, 010, 30:25-ზე);
2. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე თ. მ-ის 300 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის აუდიო ოქმი, ფაილი 001, 29:02-ზე);
3. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე დ. ძ-ის 100 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის აუდიო ოქმი, ფაილი 001, 32:24-ზე);
4. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე დ. ს-ის 500 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 005, 02:51-ზე);
5. 2016 წლის 7 ივნისის სხდომაზე ზ. ბ-ის 500 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 17:50-ზე);
6. 2016 წლის 7 ივნისის სხდომაზე დ. ძ-ის 500 ლარით დაჯარიმების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 24:25-ზე);

III. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საოქმო განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობები პროცესზე მხარეთა დაშვების თაობაზე:

1. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე ნ. გ-ას დაშვების შესახებ შუამდგომლობის მოხსნის თაობაზე (2016 წლის 3 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 10:30-ზე);
2. 2016 წლის 7 ივნისის სხდომაზე მხარის წარმომადგენლების: თ. მ-ის, ნ. გ-ას, დ. ს-ის დაშვების შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 08:05-ზე);

IV. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საოქმო განჩინებები:

1. 2016 წლის 31 მაისის სხდომის დარბაზიდან ნ. გ-ას გაძევების შესახებ (2016 წლის 31 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 010, 09:08-ზე);
2. 2016 წლის 3 ივნისის სხდომის დარბაზიდან თ. მ-ის გაძევების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 005, 7:50-ზე);
3. 2016 წლის 3 ივნისის სხდომის დარბაზიდან დ. ს-ის გაძევების შესახებ (2016 წლის 3 ივნისის სხდომის ოქმი, ფაილი 005, 11:10-ზე)

V. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობები, კერძოდ:

1. 2016 წლის 27 აპრილის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის, ნათია გუჯაბიძის აცილების თაობაზე (ტომი 7, ს.ფ. 385);
2. 2016 წლის 13 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის, ნ. გ-ას შუამდგომლობა სხდომის თავმჯდომარის აცილების შესახებ (2016 წლის 13 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 025, 0:11-ზე);
3. 2016 წლის 30 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა საქმის განმხილველი კოლეგიის მთელი შემადგენლობის აცილების თაობაზე (ტომი 7, ს.ფ. 477(1));
4. 2016 წლის 30 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. გ-ას შუამდგომლობა კოლეგიის თავმჯდომარის აცილების თაობაზე (2016 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 037, 0:10-ზე);
5. 2016 წლის 30 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. გ-ას შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე (2016 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 055, 0:01-ზე);
6. 2016 წლის 7 ივნისის განჩინება, რომლითაც მოიხსნა შუამდგომლობა მოსამართლე ნათია გუჯაბიძის აცილების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 22:35-ზე);
7. 2016 წლის 10 ივნისის განჩინება, რომლითაც განუხილველად დარჩა შუამდგომლობა მოსამართლე შორენა ყაველაშვილის აცილების შესახებ (2016 წლის 10 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 1:10-ზე).

ნ. ნ-სა და შპს "ჰ. ჯ." მიერ გასაჩივრებული განჩინება - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება

ლ. ყ-ის, გ. ყ-ისა და შპს "ტ. ს." მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების სრულად გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად

ნ. ნ-ის მოთხოვნა - გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის განჩინება სრულად და უარი ეთქვას პირვანდელ მოსარჩელებს - ქ. ხ-სა და შპს „პ-ს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე

შპს "პ. ჯ-ს" მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შპს "პ. ჯ-ს" მიმართ ქ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა

დავის საგანი – ინტელექტუალური საკუთრება, საავტორო და მომიჯნავე უფლების რეალიზება და აქედან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების ბათილობა და საკუთრების დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2005 წლის 26 დეკემბერს ქ. ხ-სა (გამყიდველი) და შპს „ს-ს“ (მყიდველი) შორის (შემდგომში უფლებამონაცვლე შპს "პ.ჯ.") დაიდო შპს „ს. კ. რ. 2“-ში ქ. ხ-ის კუთვნილი წილიდან - 60%-დან 22%-ის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 73 330 აშშ დოლარით (გაყიდვის მომენტისთვის 131 994 ლარი) - /*იხ. ტ. 1, ს.გ. 85-88/.*
2. 2006 წლის 17 ნოემბერს ქ. ხ-სა (გამყიდველი) და შპს „გ. ტ-ს“ (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ. 2“-ში ქ. ხ-ის კუთვნილი წილის - 38% ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 126 667 აშშ დოლარით (გაყიდვის მომენტისთვის 219 703 ლარი), რაც გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით - /*იხ. ტ. 1, ს.გ. 89-91/.*
3. 2006 წლის 17 ნოემბერს შპს „პ-ს“ (დირექტორი - ქ. ხ.) (გამყიდველი) და შპს „გ. ტ-ს“ (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ. 2“-ში შპს „პ-ს“ კუთვნილი წილის - 40%-ის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 65 000 აშშ დოლარით (გაყიდვის მომენტისთვის 112 742 ლარი), რაც გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით - /*იხ. ტ. 1, ს.გ. 92-95/.*

4. 2006 წლის 13 სექტემბერს შპს „ს-სა“ (გამყიდველი) და შპს „პ. ს. ი. ჯ-ს.“ (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში შპს „ს-ის“ კუთვნილი წილის - 22% ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის გასხვისება ხორციელდება შემდეგი ღირებულებით 73 500 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად - /*იხ. ტ. 1. ს.გ. 96-100/*.

5. 2006 წლის 29 ნოემბერს შპს „გ.ტ-ს“ (გამყიდველი) და შპს „პ. ს. ი. ჯ-ს.“ (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში შპს „გ.ტ-ის“ კუთვნილი 78%-დან 23% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 56 517 აშშ დოლარით (გაყიდვის მომენტში 97 859 ლარი), რაც გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით - /*იხ. ტ.1. ს.გ. 105-108/*.

6. 2006 წლის 1 დეკემბერს შპს „გ.ტ-ს“ (გამყიდველი) და კომპანია “D. R.” ...-ს (წარმომადგენელი, რწმუნებული - ლ. ყ.) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში შპს „გ. ტ-ის“ კუთვნილი 78%-დან 55% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 125 150 აშშ დოლარით (გაყიდვის მომენტისთვის 234 012 ლარი), რაც გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით - /*იხ. ტ. 1. ს.გ. 102-104/*.

7. 2007 წლის 2 თებერვალს კომპანია “D. R.” ...-ს (გამყიდველი; წარმომადგენელი, რწმუნებული - ლ. ყ.) და კორპორაცია „გ. გ-ს“ შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში კომპანია “D. R.” ...-ს კუთვნილი 55% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 135 150 აშშ დოლარით (გაყიდვის მომენტისთვის 234 444 ლარი), რაც გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით - /*იხ. ტ. 1. ს.გ. 109-112/*.

8. 2008 წლის 10 ოქტომბერს, ერთი მხრივ, შპს „პ. ს. ი. ჯ-ს.“ (წილის დამთმობი), კორპორაცია „გ. გ-ს“ (წილის დამთმობი) და, მეორე მხრივ, ი. ჩ-ს შორის (წილის მიმღები) დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში შპს „პ. ს. ი. ჯ-ის“ კუთვნილი 45%-დან 15% წილის და კორპორაცია „გ. გ-ის“ კუთვნილი 55%-დან 15% წილის ი. ჩ-სთვის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება. წილის ნომინალურ ღირებულებად მითითებულია 600 (ექვსასი) ლარი /*იხ. ტ. 1, ს.გ. 113-116/*.

9. 2009 წლის 18 მარტს კორპორაცია „გ. გ-ს“ (გამყიდველი) და კომპანია „D. L.“-ს (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში კორპორაცია „გ. გ-ის“ კუთვნილი 40% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 1 (ერთი) ლარით, რასაც მყიდველი გადაიხდის

ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე - /*იხ. ტ. 1, ს.გ. 117-120/.*

10. 2009 წლის 18 მარტს ი. ჩ-ს (გამყიდველი) და კომპანია „D. L.”-ს (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში ი. ჩ-ის კუთვნილი 30% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 1 (ერთი) ლარით, რასაც მყიდველი გადაიხდის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე - /*იხ. ტ. 1, ს.გ. 121-125/.*

11. 2011 წლის 28 ნოემბერს შპს „პ. ს. ი. ჯ.-ს“ (წილის დამთმობი) და შპს „ჩ. ი.-ს“ (წილის მიმღები) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში შპს „პ. ს. ი. ჯ.-ს“ კუთვნილი 30% წილის გადაცემის ხელშეკრულება. წილის გასხვისება ხორციელდება შემდეგი ღირებულებით 160 000 ლარი - /*ტ. 1, ს.გ. 126-127/.*

12. 2011 წლის 6 დეკემბერს შპს „ჩ. ი. -სა“ (გამყიდველი) და ლ. ყ-ს შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.“-ში შპს „ჩ. ი.-ის“ კუთვნილი 30% წილის გადაცემის ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებით, რომელიც არის ამ ხელშეკრულების განუყოფელი კონფიდენციალური ნაწილი - /*იხ. ტ.1, ს.გ. 128-130/.*

13. 2011 წლის 6 დეკემბერს "დ. ლ.-სა" (გამყიდველი) და გ. გ-ეს (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში „დ. ლ.-ს“ კუთვნილი 70%-დან 10% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებით, რომელიც არის ამ ხელშეკრულების განუყოფელი კონფიდენციალური ნაწილი - /*იხ. ტ.1, ს.გ. 131-133/.*

14. 2011 წლის დეკემბერში (ზუსტი თარიღი უცნობია) „D. L.”-სა (გამყიდველი) და ლ. ყ-ს (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში „D. L.”-ის კუთვნილი 70%-დან 60% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებით, რომელიც არის ამ ხელშეკრულების განუყოფელი კონფიდენციალური ნაწილი - /*იხ. ტ. 1, ს.გ. 134-136/.*

15. 2012 წლის 4 ოქტომბერს ლ. ყ-სა (გამყიდველი) და შპს “მ. ჯ-ს“ (მყიდველს) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“-ში ლ. ყ-ის კუთვნილი 90%-დან 40% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. წილის ღირებულება განისაზღვრა 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, რაც გადახდილია ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს - /*იხ. ტ. 1, ს.გ. 137-138/.*

16. 2012 წლის 9 ოქტომბერს შპს „მ. ჯ.-ს“ (გამყიდველს) და გ. ყ-ს (მყიდველი) შორის დაიდო შპს „ს. კ. რ.2“- ში შპს „მ. ჯ.-ას“ კუთვნილი 40% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. წილის ღირებულება განისაზღვრა 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, რაც გადახდილია ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს - /*იხ. ტ. 1. ს.გ. 139-140/.*

17. 2012 წლის 13 ნოემბერს შედგა შპს „ს. კ. რ.2“-ის პარტნიორთა კრების ოქმი, რომელსაც ესწრებოდნენ: გ. გ. - 10% წილის მფლობელი, გ. ყ. - 50% წილის მფლობელი, ლ. ყ. - 40% წილის მფლობელი. პარტნიორთა კრებამ შპს „ს. კ. რ.2“-ის პარტნიორად მიიღო შპს „ტ. ს.“ - 51% წილში. შესაბამისად, პარტნიორთა წილები შპს „ს. კ. რ.2“-ში განაწილდა შემდეგნაირად: გ. გ. - 9%, გ. ყ. - 18%, ლ. ყ. - 22%, შპს „ტ. ს.“ - 51% - /*იხ. ტ. 1, ს.გ. 157-158/.*

18. 2012 წლის 13 ნოემბრის პარტნიორთა კრების ოქმის მიღების დროსაც და საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროსაც შპს „ტ. ს.-ს“ პარტნიორებს წარმოადგენდნენ გ. ყ. - 51% წილის მფლობელი და ლ. ყ. - 49% წილის მფლობელი - /*იხ. ტ. 1. ს.გ. 157-158/.*

19. გ. გ-ის წილის მესაკუთრეს წარმოადგენს აწ გარდაცვლილი გ. გ-ის მემკვიდრე, მეუღლე - ნ. ნ. შესაბამისად, მისი წილი შპს „ს. კ. რ.2“-ში განისაზღვრება 9%-ით, ხოლო დანარჩენ პარტნიორთა წილები რეგისტრირებულია შემდეგნაირად: გ. ყ. - 18%, ლ. ყ. - 22%, შპს „ტ. ს.“ - 51% - იხ.სამკვიდრო მოწმობა /*ტ. 1. ს.გ. 181-194/*, საჯარო რეესტრის ამონაწერი.

სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

20. ქ. ხ-მა და შპს „პ.-მ“ 2015 წლის 4 აგვისტოს სარჩელი აღძრეს შპს „პ. ჯ.-ის“ (ყოფილი შპს „ს.“), შპს „გ. ტ.“-ის, ლ. ყ-ის, გ. ყ-ის, შპს „ტ. ს.“-ოს, ნ. ნ-ისა და შპს „ს. კ. რ.2“ -ის წინააღმდეგ /*იხ. სარჩელი - ტ.1, ს.გ. 1-22/.*

21. მოსარჩელებმა მოითხოვეს:

21.1. შპს „ს. კ. რ.2“-ის ლოგოს ავტორად ქ. ხ-ის აღიარება;

21.2. სატელევიზიო გადაცემების - „ბ. ს.-ის“, „უ. გ.-ისა“ და „ჯ.-ის“ ნაწილის საავტორო უფლებების მფლობელად ქ. ხ-ის აღიარება;

21.3. შპს „ს. კ. რ.2“-ის მიმართ ლოგოს უნებართვო გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანის - 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება;

21.4. შპს „ს. კ. რ.2“-ის მიმართ ზიანის - 300 000 აშშ დოლარის დაკისრება, ქ. ხ-ის სასარგებლოდ;

21.5. ქ. ხ-სა და შპს „ს.-ს“ (შპს „პ. ჯ.“) შორის 2005 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

21.6. ქ. ხ-სა და შპს „გ. ტ.-ს“ შორის 2006 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

21.7. შპს „პ.-სა“ და შპს „გ. ტ.-ს“ შორის 2006 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

21.8. შპს „ს. კ. რ.2“-ის პარტნიორების: ლ. ყ-ის - 22%-ის, გ. ყ-ის - 18%-ის, შპს „ტ. ს.-ის“ - 51%-ის, ნ. ნ-ის - 9%-ის წილების რეგისტრაციის გაუქმება და ქ. ხ-ის შპს „ს. კ. რ.2“-ის 60% წილის და შპს „პ.-ას“ შპს „ს. კ. რ.2“-ის 40% წილის მესაკუთრედ ცნობა;

21.9. ლ. ყ-ის, გ. ყ-ის, შპს „ტ. ს.-ოსა“ და ნ. ნ-თვის, მიუღებელი შემოსავლის სახით, 18 367 868,8 ლარის სოლიდარულად დაკისრება, ქ. ხ-სა და შპს „პ.-ას“ სასარგებლოდ.

22. მოსარჩელებმა წინამდებარე განჩინების 21.1-21.2 ქვეპუნქტებში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა დააფუძნეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე (შემდეგში სპეციალური კანონი), 21.3.-21.4 ქვეპუნქტებში მითითებული მოთხოვნა - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 408-ე, 409-ე, 411-ე მუხლებსა და სპეციალურ კანონზე; ხოლო 21.5.-21.7 ქვეპუნქტებში დასახელებული ხელშეკრულებების, როგორც იძულებითი და ამორალური გარიგებების, ბათილად ცნობა მოითხოვეს სსკ-ის 85-ე, 54-ე მუხლების საფუძველზე; 21.8 ქვეპუნქტში მითითებული სასარჩელო მოთხოვნა დაამყარეს სსკ-ის 172.1, 187-ე მუხლებზე.

23. მოსარჩელებმა შემდეგ ფაქტებზე მიუთითეს:

23.1. ქ. ხ-მა შპს „რ.2“-ის წილები სხვადასხვა ფიზიკური პირისაგან შეიძინა,

რადგან ის დაინტერესებული იყო ამ ტელეკომპანიის განვითარებითა და პოპულარიზაციით; მან უშუალოდ და თავისივე დაფინანსებით შექმნა ტელეკომპანიის ახალი ლოგო, ის არის ამ განჩინების 21.2 ქვეპუნქტში მითითებული გადაცემების ავტორი, რომლებმაც ტელეკომპანიას დიდი წარმატება მოუტანა და გაზარდა მისი შემოსავალი. სწორედ ამ ფაქტებზე მითითებით დააყენა ქ. ხ-მა 21.1-21.3 ქვეპუნქტებში დასახელებული სასარჩელო მოთხოვნები. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოგვიანებით მას, იძულების წესით, დაათმობინეს შპს „ს. კ. რ.2“-ის წილები, მოსარჩელის ავტორობით შექმნილი ლოგოთი კვლავ სარგებლობდა ტელეკომპანია, ასევე, გადიოდა ხ-ის ავტორობით შექმნილი გადაცემებიც. მოსარჩელის მტკიცებით, ამ ქმედებების შედეგად, მოპასუხეები უკანონოდ იღებდნენ შემოსავალს, რაც 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს შეადგენს. ქ. ხ-მა, როგორც ფიზიკურმა პირმა და მის მიერ დაფუძნებულმა შპს „კ.-ამ“ 2004 წელს შეიძინეს იმხანად შპს „რ.2“-ის, ხოლო დღეისათვის, შპს „ს. კ. რ.2“-ის წილები. 2004 წლის 22 ოქტომბერს შპს „რ.2“-ის 60 %-ის წილის მესაკუთრე გახდა ქ. ხ., ხოლო 40 %-ის - შპს „კ.“, დასახელებული საწარმოს 100 %-იანი წილის მესაკუთრე იყო თავად ქ. ხ.. მოსარჩელის მითითებით, მან დამატებითი ინვესტიცია განახორციელა შპს „რ.2“-ის განვითარებისათვის, კერძოდ, შეიძინა და განაახლა სხვადასხვა დასახელების მატერიალურ-ტექნიკური მოწყობილობები, კერძოდ, საინფორმაციო სამსახურისთვის შეიძინა ახალი სტუდია, სიხშირის გადამცემი მოწყობილობები და ა.შ. ქ. ხ-ის მითითებით, მან გადაიხადა შპს „რ.2“-ის სხვადასხვა საფონდო დაწესებულებიდან სესხად აღებული თანხები, რომელიც უზრუნველყოფილი იყო, როგორც ამავე ტელეკომპანიის, ისე, სხვა პირთა საკუთრებაში არსებული ქონებით. მოსარჩელემ გაისტუმრა კომპანიის თანამშრომელთა ორი თვის სახელფასო დავალიანება, რომელიც ნახევარ მილიონ ლარს აღემატებოდა;

23.2. მოსარჩელის სურვილი იყო, განევიტარებინა მაღალრეიტინგული ტელეკომპანია და ხელი შეეწყო საქართველოში მედიის განვითარებისათვის;

23.3. მოსარჩელის მითითებით, მას დაეძაბა ურთიერთობა იმხანად ხელისუფლებაში მყოფ უმაღლესი თანამდებობის პირებთან - მ. ს-თან, ი. მ-თან, ზ. ა-თან. მათი უკმაყოფილების მიზეზს წარმოადგენდა შპს „რ.2“ -ის საინფორმაციო განყოფილების მუშაობის პოლიტიკა, რომელიც დასახელებულ მაღალჩინოსანთა განმარტებით, არ უწევდა ხელისუფლებას პროპაგანდას და ისეთი ფაქტები შუქდებოდა ტელეკომპანიის მეშვეობით, რაც უარყოფითად მოქმედებდა ხელისუფლების იმიჯსა და მათ მუშაობაზე. მოსარჩელის მტკიცებით, დასახელებულ პირებს სურდათ, შპს „რ.2“-ის საინფორმაციო განყოფილების

მუშაობის პოლიტიკა წარმართულიყო იმგვარად, რომ საზოგადოებას არ შექმნოდა უარყოფითი დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი და მის წარმომადგენელთა მიმართ, არ უნდა გაშუქებულიყო ისეთი რეალურად არსებული კადრები, რაც უარყოფით ზეგავლენას იქონიებდა საზოგადოებაზე;

23.4. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ ყოველივე ეს აშკარად უკანონო ჩარევა იყო სამაუწყებლო კომპანიის მუშაობაში, რაც უარყოფითად იმოქმედებდა მასმედიის განვითარებაზე და აშკარა ჩარევა იქნებოდა ჟურნალისტთა თავისუფალ საქმიანობაში. დასახელებულ საკითხებზე თავისი უარყოფითი პოზიცია გამოხატა ქ. ხ-მა, რის გამოც იგი რეზიდენციაში დაიბარა ყოფილმა პრეზიდენტმა ს-მა. შეხვედრისას მან აშკარა უკმაყოფილება გამოთქვა შპს „რ.2“-ის საინფორმაციო სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებით და ხ-ს მოსთხოვა, როგორც მისი კუთვნილი 60 % წილის, ისე, შპს „პ.-ის“ საკუთრებაში არსებული 40 % წილის დათმობა კონკრეტული პირებისათვის. ქ. ხ-ს ჰქონდა შეხვედრები არაერთ მინისტრთან, ერთ-ერთ შეხვედრაზე იმყოფებოდა შპს „მ.-ს“ წილების მფლობელი დ. ბ.. მოსარჩელის მტკიცებით, ზემოაღნიშნულ პირებთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ ხელისუფლების მიერ მითითებულ პირებზე წილების გასხვისებაზე უარის თქმის შემთხვევაში, როგორც პირადად ხ-ს, ისე, მისი ოჯახის წევრებს შეექმნებოდათ რეალური პრობლემები, ასევე - ხ-ის სხვა ბიზნესსაქმიანობასაც, რომელიც მას იმხანად ჰქონდა საქართველოში (*იხ სარჩელი - ტ.1, ს.ფ. 1-22; ასევე, საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ.სხდომის ოქმი - ტ. 5, ს.ფ.145, აუდიო ფაილი 170*);

23.5. ს-თან შეხვედრის შემდეგ, მისივე მითითებით, ხ. შეხვდა ი. მ-ს, ზ. ა-სა და გ. ა-ეს (ამ უკანასკნელთან შეხვედრას ესწრებოდა დ. ბ., რომელიც ტელეკომპანია “მ.-ს” მფლობელი იყო). მოსარჩელის მტკიცებით, დასახელებულმა პირებმა, მსგავსად ს-ისა, ქ. ხ-ს მოსთხოვეს შპს „რ.2“-ში წილების დათმობა. ამ საკითხზე მოსარჩელე დაუკავშირდა ი. ო-ს, რომელმაც ხ-ს განუმარტა, რომ მისთვის უმჯობესი იქნებოდა, არ გაეწია წინააღმდეგობა და „რ.2“-ის წილი დაეთმო, როგორც პირადად, ისე, მისსავე კომპანია „პ.-ას“. ქ. ხ-ს ამ გაათვითცნობიერა, რომ მუქარა და საშიშროება აშკარა იყო, რის გამოც იძულებული გახდა, შპს „რ.2“-ში დაეთმო, როგორც საკუთარი 60 %-იანი, ისე, შპს „პ.-ის“ 40 %-იანი წილი;

23.6. მოსარჩელე, ასევე, აღნიშნავს, რომ ზ. ა-ის მითითებით, მას დაუკავშირდა დ. ქ., რომელიც იმხანად მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად და ა.შ. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ დ. ქ-ის მითითებით

გაფორმდა ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული ხელშეკრულება შპს „ს.-თან“ (ამჟამინდელ მოპასუხესთან - შპს „პ. ჯ.“), რომელსაც გარიგების დროს ფორმალურად წარმოადგენდა რ. წ., რადგან საწარმოს 100 %-იანი დამფუძნებელია რ. ბ., რომელიც დ. ბ-ის მამაა, სწორედ დ. ბ. აკონტროლებდა უშუალოდ და მართავდა საწარმოს, რეალურად და თვითონ იღებდა გადაწყვეტილებებს (იხ. სარჩელი - ტ.1, ს.გ. 1-22; ასევე, საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ.სხდომის ოქმი - ტ. 5, ს.გ.145, აუდიო ფაილი 170;

23.7. შპს „რ.2“-ში ქ. ხ-ის კუთვნილი 60 %-იდან 22 %-ის შპს „ს.-ისათვის“ 2005 წლის 26 დეკემბერს გადაფორმების შემდეგ, 2006 წლის 17 ნოემბერს, ქ. ხ-მა იმავე საწარმოში მის საკუთრებად დარჩენილი 38 % გადაუფორმა შპს „გ.-ს“, რომელსაც წარმოადგენდა ბ. ნ. (100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი), ხოლო იმავე დღეს, ქ. ხ-ს, როგორც შპს „პ.-ის“ 100%-იანი წილის მფლობელსა და დირექტორს, ამ საწარმოს კუთვნილი 40%-იანი წილი „რ.2“-ში გადააფორმებინეს შპს „გ.-ზე“. ამ გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში მითითებული იძულებით დადებული და ამორალური გარიგებების საფუძველზე, ქ. ხ-სა და შპს „პ.-ის“ საკუთრებიდან, მათი ნების საწინააღმდეგოდ, გადავიდა მოსარჩელეთა ქონება ხელისუფლების მიერ მითითებულ პირებზე. ამ ხელშეკრულებებში დაფიქსირებული ნასყიდობის ფასი, საწარმოს წილთა ღირებულებები, არ შეესაბამებოდა მათ რეალურ საბაზრო ღირებულებას, რადგან ეს გარიგებები ფორმალურ ხასიათს ატარებდა. რეალურად, ამ ტრანზაქციებში ანაზღაურებაც კი არ მიუღიათ მოსარჩელეებს. აღნიშნული გარიგებები ფორმალური იყო და სინამდვილეში არც ამ წილების შემძენებს სურდათ საწარმოს წილების შეძენა, რადგან ისინი პირადად არ იყვნენ დაინტერესებული შპს „რ.2“-ის წილების შეძენით, არამედ მოქმედებდნენ სხვა პირთა მითითებითა და დავალებით (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ. 5, ს.გ.145, აუდიო ფაილი 170);

23.8. ქ. ხ-მა (ასევე მისმა წარმომადგენლებმა) მისი პირადი და შპს „პ.-ის“ წილების ჩამორთმევიდან უახლოეს პერიოდში არაერთი საჯარო განცხადება გააკეთა მასმედიის საშუალებით, დიდტირაჟიან გაზეთებში და, შესაბამისად, ის ფაქტი, რომ შპს „რ.2“-ის წილების გადაფორმება იძულებით მოხდა, ხოლო ქ. ხ. ცდილობდა შელახული უფლებების აღდგენას და წილების დაბრუნებას, საყოველთაოდ იყო ცნობილი. *“აღნიშნულის გათვალისწინებით, ნებისმიერ გულისხმიერ და კეთილსინდისიერ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, სცოდნოდა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებებისა და შპს „რ.2“-ის წილებზე საკუთრების უფლების სადავოობის შესახებ“*, რაც მოსარჩელის მითითებით, *„გამორიცხავს მოპასუხეთა მიერ შესაგებელში დაფიქსირებულ პოზიციას, თითქოს სამაუწყებლო კომპანიის წილების ამჟამინდელი მფლობელები კეთილსინდისიერ შემძენებს წარმოადგენენ“*. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მან

საჩივრებით მიმართა საქართველოს პროკურატურას, რომლითაც მოითხოვა იძულებით და მართლსაწინააღმდეგოდ ჩამორთმეული კუთვნილი ქონების დაბრუნება, თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ მიუღია პროკურატურას, მიუხედავად იმისა, რომ ქ. ხ. სისხლის სამართლის საქმეზე მიჩნეულია დაზარალებულად (იხ. სარჩელი - ტ.1, ს.გ. 6, პროკურატურაში წარდგენილი განცხადებები - ტ.1, ს.გ. 195-198, ასევე, მოსარჩელის განმარტება, წარდგენილი საქალაქო სასამართლოში - ტ.4, ს.გ. 301-319; 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ. 5, ს.გ.145, აუდიო ფაილი 170).

23.9. მოსარჩელე საკუთარ განმარტებაში უთითებს, რომ მისთვის ტელეკომპანიაში წილების ჩამორთმევის თაობაზე მითითებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის ანგარიშში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ. სწორედ იმ მოტივით, რომ ქ. ხ-ის მიმართ ხორციელდებოდა პოლიტიკური დევნა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 2009 წლის 21 აპრილს იგი მიიჩნია პოლიტიკურ დევნილად და მისცა პოლიტიკური თავშესაფარი. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, ქ. ხ. მიჩნეულ იქნა პოლიტიკურ დევნილად და მის მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ კანონის მოქმედება, რის საფუძველზეც მის წინააღმდეგ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა (იხ. მოსარჩელის განმარტება, წარდგენილი საქალაქო სასამართლოში - ტ.4, ს.გ. 301-319, ასევე, 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 170).

23.10. მოსარჩელის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა მოსარჩელეთაგან „რ.2“-ის 100 %-ის გადაფორმების შემდეგ, სხვა სუბიექტებზე წილების შემდგომი ფორმალური გასხვისების ქრონოლოგიაზე, რომლებიც, მისი შეფასებით, იყვნენ დაკავშირებული პირები და ისიც აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში მითითებული თანხები რეალურად არ ყოფილა გადახდილი, ასეთი მტკიცებულება არ არის საქმეში. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2005 წლის 26 დეკემბერს შპს „ს.-ს“ და 2006 წლის 17 ნოემბერს შპს „გ.-ს“, გადაეცა ქ. ხ-ისა და შპს „პ.-ის“ წილები „რ.2“-ში (იხ. ამ გადაწყვეტილების 1-3 პუნქტები). 2006 წლის 13 სექტემბერს შპს „ს.-მა“, რომელსაც წარმოადგენდა მისი დირექტორი გ. ვ., „რ.2“-ში 2005 წლის 26 დეკემბერს იძულებით და ამორალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებული 22 % (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) ფორმალურად გაასხვისა შპს „პ. ს. ი. ჯ.-ზე“ (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი). საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ შპს „ს.-ის“ (ამჟამად შპს „პ.ჯ.“) მფლობელი, ისევე, როგორც „პ. ს. ი. ჯ.-ისა“, იყო რ. ბ., ხოლო რეალურად მესაკუთრეს დ. ბ. წარმოადგენდა. ამ ხელშეკრულებაში არ არის მითითება თანხის შესახებ და არც

რაიმე მტკიცებულება არსებობს რეალურად გადახდილი თანხის თაობაზე (იხ. 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 145, აუდიო ფაილი 170). ამ ნაწილში სარჩელის ერთ-ერთ მოპასუხეს - შპს „გ.-ს“ არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება;

23.11. 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე დღეში, იმავე წლის 29 ნოემბერს, შპს „გ.-მა“ იძულებითი და ამორალური გარიგების შედეგად მოპოვებული 78%-დან წილის 23% ფორმალურად გაასხვისა შპს „ზ. ს. ი. ჯ.-ზე“ (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი), აქაც მითითებულია, რომ თანხა ნაღდი ანგარიშსწორებით გადაიხადეს, თუმცა, ამის მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. 2006 წლის 1 დეკემბერს შპს „გ.-მა“ 78%-იანი წილიდან დარჩენილი 55 % ასევე, ფორმალურად გაასხვისა ოფშორულ კომპანია „დ. რ.-ზე“, რომლის წარმომადგენელი, მინდობილი პირი, დირექტორი იყო ლ. ყ. (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი). მოსარჩელემ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა, რომ სწორედ ლ. ყ., რომელიც დღესაც არის ერთ-ერთი მოპასუხე და „რ.2“-ის წილის მფლობელი, 2006 წლის 1 დეკემბრიდან ჩნდება ამ ურთიერთობებში, როგორც ერთ-ერთი იურიდიული პირის დირექტორი და წარმომადგენელი; ამ ხელშეკრულებაშიც მითითებულია, რომ თანხა ნაღდი ანგარიშსწორებით გადაიხადეს, თუმცა, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ხელშეკრულებაში მითითებული 135 150 აშშ დოლარი გადახდილი აქვს წილის შემძენს.

23.12. მოსარჩელის მოთხოვნის ნაწილში, იძულებით და ამორალურად დადებული გარიგების ბათილად ცნობის კონტექსტში, შპს „გ.-მა“, როგორც 78%-იანი წილის მესაკუთრემ (იხ. ამ გადაწყვეტილების 2-3 პუნქტები), არ განახორციელა საკუთარი საპროცესო უფლებამოსილება, არ წარადგინა მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე შესაგებელი, არც წერილობითი პოზიცია, არ უარყო ის ფაქტები, რომლებსაც მოსარჩელე უთითებს და, შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად და დამტკიცებულად უნდა მიიჩნიოს ეს ფაქტები შპს „გ.-ის“ წინააღმდეგ (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 145, აუდიო ფაილი 170);

23.13. 2007 წლის 2 თებერვალს „დ. რ.-მ“ (წარმომადგენელი ლ. ყ.) „რ.2“-ში კუთვნილი 55% წილი გაასხვისა ოფშორულ კომპანია „გ. გ.-ზე“ (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი), რომელსაც წარმომადგენდა ბ. ნ. ეს უკანასკნელი არის შპს „გ.-ის“ დირექტორი, მოპასუხე, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოში. ეს პირი ფიგურირებს 2006 წლის 17 ნოემბრის გარიგებებშიც (იხ. ამ გადაწყვეტილების 2-3 პუნქტები) და მასაც უნდა სცოდნოდა, თუ როგორ გაასხვისა მოსარჩელემ კუთვნილი წილები „რ.2“-ში (იხ.

საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 170);

23.14. შპს „პ. ს. ი. ჯ.“-მა და ოფშორულმა კომპანიამ „გ. გ.-მა“, ერთობლივი შეთანხმებით, 2008 წლის 10 ოქტომბერს, ასევე, ფორმალურად, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, თავ-თავიანთი წილებიდან 15-15 % უსასყიდლოდ გადასცეს ი. ჩ-ს (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი). მოსარჩელემ სასამართლოს შეახსენა, რომ ი. ჩ. წლების განმავლობაში იყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე. 2009 წლის 18 მარტს „გ. გ.-მ“ „რ.2“-ის 40 % უსასყიდლოდ გადააფორმა კომპანია „დ. ლ.-ზე“ (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი), რომლის წარმომადგენელია გ. გ., განსახილველი დავის ერთ-ერთი მოპასუხის - ნ. ნ-ის მეუღლე (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 170);

23.15. ი. ჩ-მა 2009 წლის 18 მარტს „რ.2“-ში მისი 30 % წილი ფორმალურად გადააფორმა კომპანია „დ. ლ.-ზე“, რომელსაც წარმოადგენდა გ. გ. (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-10 პუნქტი; იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 170; ასევე, საქალაქო სასამართლოს 28.10.2015წ. სხდომის ოქმი- ტ.5, ს.გ. 142- აუდიო ფაილი 236);

23.16. შპს „პ. ს. ი. ჯ.“-მ თავისი 30% „რ.2“-ში 2011 წლის 28 ნოემბერს გადააფორმა კომპანია „ჩ. ი.-ზე“ (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-11 პუნქტი). მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა, რომ „ჩ. ი.“, როგორც მითითებული ხელშეკრულების გაფორმების დროს, ისე ამჟამადაც წარმოადგენს ამ შემთხვევაში წილის გადამცემის, შპს „პ. ს. ი. ჯ.-ის“ საწესდებო კაპიტალის 100 % წილის მფლობელს, ისევე, როგორც 2006 წელს წარმოადგენდა შპს „ს.-ის“ 100 %-ის წილის მესაკუთრეს. მოსარჩელის მტკიცებით, ცალსახაა ამ პირებს შორის კავშირი (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 170; ასევე, საქალაქო სასამართლოს 28.10.2015წ. სხდომის ოქმი- ტ.5, ს.გ. 142- აუდიო ფაილი 236);

23.17. კომპანია „ჩ. ი.-მა“ „რ.2“-ში მისი 30% წილი, ანუ ის, რაც მიღებული ჰქონდა თავისი შვილობილი კომპანიისაგან (შპს „პ. ს. ი. ჯ.-სგან“), 2011 წლის 6 დეკემბერს ფორმალურად გაასხვისა ლ. ყ-ზე (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-12 პუნქტი). ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, თითქოსდა განსაზღვრულია ხელშეკრულების ფასი და მისი გადახდის წესი, თუმცა, ასეთი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი. ლ. ყ. ამ ურთიერთობებში ჩნდება 2006 წლის 1 დეკემბერს, როგორც ზემოთ აღინიშნა. ლ. ყ. წარმოადგენს „დ. რ.-საც“ 2007 წლის 2

თებერვალს ოფშორულ კომპანიასთან „გ. გ.-თან“ (წარმომადგენელი ბ. ნ.) დადებულ ხელშეკრულებაშიც. 2011 წლის 6 დეკემბერს „დ. ლ-მა“ (წარმომადგენელი გ. გ.) „რ.2“ - ში თავისი 70 %-დან 10 % წილი ფორმალურად, უსასყიდლოდ მიჰყიდა საკუთარ თავს - გ. გ-ს (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-13 პუნქტი). მსგავსად სხვა ხელშეკრულებებისა, ამ შემთხვევაშიც არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება ნასყიდობის ფასის გადახდაზე, მით უმეტეს, რომ ხელშეკრულების ორივე მხარეს - გამყიდველის და მყიდველის სახელით- ხელს აწერს ერთი და იგივე პირი - გ. გ. იმავე დღეს „დ. ლ.-მა“ (წარმომადგენელი გ. გ.) „რ.2“-ში დარჩენილი 60 %-იანი წილი მიჰყიდა ლ. ყ-ს. ამ შემთხვევაშიც არ არის გადახდილი ფასი და რაიმე მტკიცებულებაც არ არის წარმოდგენილი ამის შესახებ. 2012 წლის 4 ოქტომბერს ლ. ყ-მა „რ.2“-ში კუთვნილი 90%-დან 40% ფორმალურად გაასხვისა შპს „მ. ჯ.-ზე“ (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-15 პუნქტი), რომლის დამფუძნებელია 100%-იანი წილით დ. კ. და ეს საწარმო დასახელებული ხელშეკრულების დადებამდე 2 დღით ადრე დარეგისტრირდა. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ წილის ღირებულება განსაზღვრულია 500 000 აშშ დოლარით, თუმცა, ამ თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარუდგენია სასამართლოსათვის (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 145, აუდიო ფაილი 170; ასევე, საქალაქო სასამართლოს 28.10.2015წ. სხდომის ოქმი- ტ.5, ს.ფ. 142- აუდიო ფაილი 236);

23.18. ხუთი დღის შემდეგ, 2012 წლის 9 ოქტომბერს, შპს „მ. ჯ.“-მა ლ. ყ-ისაგან 4 ოქტომბერს, თითქოსდა 500 000 აშშ დოლარად ნაყიდი 40 % წილი „რ.2“ - ში, ისევ ფორმალურად მიჰყიდა გ. ყ-ს (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-16 პუნქტი), რომელიც ლ. ყ-ის ძმა არის და ისევ 500 000 აშშ დოლარი გადაიხადა ფორმალურად, რაიმე მტკიცებულება არ არის საქმეში. ამ მომენტისათვის ძმები ყ-ები ფლობდნენ ტელეკომპანია „რ.2“ -ში 90 %-ს (ლ. ყ.- 50 %, გ. ყ. - 40 %, გ. გ. - 10 %);

23.19. ამის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში, 2012 წლის 13 ნოემბერს, „რ.2“-ის საწესდებო კაპიტალის გაზრდის სანაცვლოდ, ხდება შპს „ტ. ს.-ოს“ შემოყვანა საწარმოში 51%-იან პარტნიორად, შესაბამისად, „რ.2“-ის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, საწარმოს წილები შემდეგნაირად გადანაწილდა: შპს „ტ. ს.“ – 51%, ლ. ყ.- 22%, გ. ყ. - 18 %, გ. გ. - 9 % (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-17 პუნქტი). საწესდებო კაპიტალი მხოლოდ ფორმალურად გაიზარდა, რადგან თუ ეს რეალურად მოხდა, მაშინ გაუგებარია, რატომ შემცირდა გ. გ-ის წილი მხოლოდ 1 %-ით, ხოლო ლ. და გ. ყ-ების წილები - თითქმის ორჯერ (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 145, აუდიო ფაილი 170);

23.20. მოსარჩელემ, საწარმოს საწესდებო კაპიტალის გაზრდის კონტექსტში, სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სახელმწიფოსაგან „რ.2“-მა 2010 წელს საკუთრებაში მიიღო მიწის ნაკვეთი - დაახლოებით 25 700 კვმ, აქედან ნაწილზე - 2202 კვმ-ზე შენობა-ნაგებობები იყო განთავსებული. 2012 წლის 30 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ამ ქონების ნაწილი გადაეცა შპს „ტ. ს.-ოს“, ხოლო შემდეგ ეს ქონება გაიყო იმავე წლის 26 ოქტომბრის შეთანხმებით. ამ შეთანხმების შესაბამისად, 23 497 კვმ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, დარეგისტრირდა „რ.2“-ის სახელზე, ხოლო 2202 კვმ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით - შპს „ტ. ს.-ოს“ საკუთრებად, რომლის პარტნიორებიც ძმები ყ-ები არიან. ამის შემდეგ ჩატარდა შპს „რ.2“-ის პარტნიორთა კრება 2012 წლის 13 ნოემბერს, რაც ზემოთ უკვე აღინიშნა. „რ.2“-ის საწესდებო კაპიტალის გაზრდა მოხდა შპს „ტ. ს.-ოს“ მიერ შეტანილი იმ ქონების ხარჯზე რომელიც თავის დროზე, ამ უკანასკნელმა თავად „რ.2“-გან მიიღო (იხ. ტ.1, სარჩელი - ს.გ. 8; უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, ამონაწერები საჯარო რეგისტრაციის და სხვა მტკიცებულებები - ს.გ. 141-180, იხ. ტ. 4, ს/ფ 301-319; იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 170);

23.21. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დასახელებული გარემოებები მიუთითებს გარიგებების ფორმალურად გაფორმებასა და „რ.2“-ის საწესდებო კაპიტალის ხელოვნურად გაზრდაზე. ზემოხსენებულ ხელშეკრულებებში თითქმის ყველგან აღნიშნულია, რომ ფასი გადახდილია ნაღდი ანგარიშსწორებით, რეალურად არც ერთი მტკიცებულება არ არის საქმეში წარდგენილი, რაც დაადასტურებდა მოპასუხეთა კეთილსინდისიერებას. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მთელ პერიოდზე, რომელიც მოიცავს მოსარჩელეთა მიერ „რ.2“ - ში წილების დათმობას და შემდეგ დადებულ ხელშეკრულებებს, არ ვრცელდება რეესტრის ჩანაწერის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია. ერთი და იგივე ფიზიკური და იურიდიული პირები მონაწილეობდნენ ზემოხსენებულ ხელშეკრულებებში და მოსარჩელის მიერ მითითებული ქრონოლოგია, მონაწილე სუბიექტთა კავშირი, იმაზე უთითებს, რომ წილთა მიმღებები არ იყვნენ კეთილსინდისიერები (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 170);

23.22. მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხზე მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს „გ.-მა“ შესაგებლის წარმოუდგენლობითა და დავაში მონაწილეობის არიდებით დაკარგა უფლება, იდავოს მოსარჩელეთა მიერ მითითებულ ფაქტებზე, დანარჩენ პარტნიორთა კეთილსინდისიერებაზე ზემოხსენებული ფაქტები მეტყველებენ. ქ. ხ-მა პროკურატურას მიმართა საჩივრით, რომლითაც ითხოვდა წინასწარი გამოძიების

დაწყებას. ხ-ის მოთხოვნა იყო ტელეკომპანია „რ.2“-სა და „ტ. მ.-ში“ მისთვის წილების დანაშაულებრივად, უკანონოდ ჩამორთმევის გამოძიება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით კონკრეტული პირების დადგენა, მისი დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობა, მისთვის კუთვნილი ქონების დაბრუნება. იმხანად მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას სისხლის სამართლის კოლეგიაში სარჩელის აღძვრა, ამდენად, პროკურატურაში განცხადების შეტანა, ფაქტობრივად, უტოლდებოდა სამოქალაქო სარჩელის წარდგენას სასამართლოში. მოსარჩელემ მიუთითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 მაისის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე (საქმე 28/4454 -10), რომელშიც განმარტებულია ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხი; სსკ-ის 138-ე მუხლის შინაარსობრივი და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის სხვა საშუალებით დაკმაყოფილების მცდელობა მხოლოდ მოთხოვნათა იდენტურობის პირობებში გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ქ. ხ., ანალოგიურად ამჟამინდელი სასარჩელო მოთხოვნისა, პროკურატურისაგან ითხოვდა მისთვის წილების დაბრუნებას, სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის მოთხოვნა იყო წარდგენილი, რასაც იმდროინდელი კანონმდებლობა ითვალისწინებდა და, იძულებით დადებული გარიგების ნაწილში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო ამორალურ გარიგებასთან დაკავშირებით (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 170), 2015 წელს სარჩელის შეტანა განაპირობა წლის ბოლოს ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადის ამოწურვის საფრთხემ, რადგან გარიგების ამორალურობასთან დაკავშირებული მოტივაციის არსებობის შემთხვევაში, მასზე ვერ გავრცელდება სახელშეკრულებო 3 - წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

23.23. „რ.2“-ის ამჟამინდელი მესაკუთრეებისაგან საწარმოს წილების დაბრუნებისა და მათზე მოსარჩელეთა საკუთრების ცნობასთან დაკავშირებით, მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა საწარმოთა რეგისტრაციის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებების ქრონოლოგიაზე და აღნიშნა, რომ მოპასუხეთა პოზიცია საჯარო რეესტრის მონაცემთა სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციის თაობაზე არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან იმ პერიოდში არ ხორციელდებოდა წილთა რეგისტრაცია. ამ დროს ჩნდებიან ამ ურთიერთობებში ლ. ყ. და გ. გ. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ გარიგებებში მონაწილე მხარეებს, რომელთაც უნდა სცოდნოდათ, რა ხდებოდა „რ.2“-ის წილებთან დაკავშირებით, მხარეებმა თავად

უნდა დაამტკიცონ ის გარემოება, რაც სადავოდ გახადა მოსარჩელემ. ეს არის მოპასუხეთა კეთილსინდისიერება, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტები მარტოდენ რეესტრის მონაცემები ვერ იქნება, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებებით კი, თითქოსდა, იურიდიული პირები ერთმანეთს ნაღდი ანგარიშსწორებით უხდიდნენ თანხას, რაც, როგორც წესი, ასე არ ხდება. ასევე, მოპასუხეთა დასამტკიცებელია, თუ რით იყო განპირობებული ერთი შეხედვით, უცნობ მხარეთა შორის ასეთი ნდობა, რომ ჯერ თანხას იხდის მხარე წინასწარ და იურიდიულად მერე აფორმებს ხელშეკრულებას (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 176);

23.24. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხეთა შესაგებელი ძირითადად ეფუძნება ორ არგუმენტს: ხანდაზმულობა, რაც ზემოთ აღინიშნა, ხოლო წილებთან დაკავშირებით, გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 187-ე მუხლის დანაწესი; მოპასუხე ვერ ადასტურებს საკუთარ კეთილსინდისიერებას, ამდენად, მოსარჩელეს უფლება აქვს, მოითხოვოს იმ ამორალური გარიგებების ბათილობა, რომელიც იძულების ფონზე დაიდო „ს-თან“ და „გ.ტ-თან“, ხოლო შემდეგი ყველა გარიგება ბათილია და მოსარჩელეს აქვს უფლება, მოითხოვოს წილების დაბრუნება დღევანდელი მესაკუთრეებისაგან (იხ. საქალაქო სასამართლოს 22.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 145, აუდიო ფაილი 176);

23.25. მოსარჩელემ საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე წარადგინა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენისა და დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის საქმეზე დართვის შესახებ (იხ. შუამდგომლობა - ტ.2, ს.გ. 280-311; სასამართლოს 17.09.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.2, ს.გ. 272). სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე მოსარჩელემ მიუთითა, რომ მან გაზარდა მოთხოვნა, რომლის საფუძველზე ლ. და გ. ყ-ებს, შპს „ტ. ს-ს“ და ნ. ნ-ს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოსარჩელეთა სასარგებლოდ, ზიანის (მიუღებელი შემოსავლის სახით) 18 367 868, 8 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის საფუძველად მიუთითა მოპასუხის - შპს „ს. კ. რ.2“ - ის შესაგებელთან ერთად წარდგენილ აუდიტორულ დასკვნაში ასახულ მონაცემებზე, რომ ამ ტელეკომპანიის შემოსავალი 2014 წელს იყო 45 919 672 ლარი, სავარაუდოდ, 2010 წელსაც დაახლოებით იგივე შემოსავალი იქნებოდა. მოსარჩელემ, მიუღებელი შემოსავლის სახით მოითხოვა ტელეკომპანიის შემოსავლების 20 %-ის მისთვის მიკუთვნება (იხ. ტ.2, ს.გ. 282).

მოპასუხეთა შესაგებლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

24. მოპასუხე - შპს "ჰ.ჯ."-ამ (ყოფილი შპს "ს.") წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულება იძულებით არ დადებულა, წილის გასხვისებაზე ნოტარიული თანხმობა გასცა გამყიდველის - ქ. ხ-ის მეუღლემაც და პარტნიორთა კრების 26.12.2005წ. ოქმში აისახა წილის გასხვისებაზე თანხმობა;

24.1. 26.12.2005წ. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოსარჩელე ფლობდა შპს „ს. კ. რ.2“-ის 78%-ს ანუ საკონტროლო პაკეტს, რაც მან 11 თვის შემდეგ, 2006 წლის 17 ნოემბერს, გაასხვისა;

24.2. 26.12.2005წ. წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის შეუსაბამობა გაბათილებულია თავად ქ. ხ-ის მიერ იმავე წილების თითქმის იმავე ფასში შეძენით;

24.3. მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე: სსკ-ის 85-ე მუხლზე და განმარტა, რომ იძულებით დადებული გარიგებების შესახებ სათანადო მტკიცებულება მხარეს არ წარუდგენია, ხოლო სსკ-ის 89-ე მუხლი ხანდაზმულობის სპეციალურ ვადაზე უთითებს, რაც, მოპასუხის მტკიცებით, მოსარჩელეს გაშვებული აქვს, ვინაიდან სადავო ხელშეკრულება (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) დადებულია 2005 წლის 26 დეკემბერს, შესაბამისად, ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას უარი უნდა ეთქვას (იხ. შესაგებელი - ტ.2, ს.გ.151-159; შპს ს. კ. „რ.2“-ის პარტნიორთა კრების 26.12.2005წ. ოქმი - ს.გ. 160-162; იხ. ასევე, საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი 26.10.2015წ. - ტ.5, ს.გ.143, აუდიო ფაილი 209).

25. მოპასუხე - შპს "გ.ტ-ს" მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენია.

26. მოპასუხე - შპს "ტ. ს-მ" საკუთარ შესაგებელში განმარტა, რომ მისთვის უცნობია გარიგების დადების დროს მოსარჩელის იძულების ფაქტი, თუმცა, სარჩელზე თანდართული მტკიცებულებებით აღნიშნული გარემოება არ დასტურდება. მოსარჩელის პრეტენზია ფასის არაადეკვატურობაზე უსაფუძლოა, რადგან თვითონ ქ. ხ-მა 16.06.2004წ. შპს „რ.2“ -ის 60%-იანი წილი პ. კ-გან შეიძინა 200 000 აშშ დოლარად (იხ. ხელშეკრულება - ტ.2, ს.გ. 21-25), ხოლო ამავე საწარმოს 30%-იანი წილი ე. კ-გან მოსარჩელემ 50 000 აშშ დოლარად შეიძინა (იხ. ხელშეკრულება - ტ.2, ს.გ.26-31);

26.1. მოპასუხის მტკიცებით, იძულებით დადებული გარიგების შეფასება სსკ-ის 54-ე მუხლით დაუშვებელია, რადგან ამავე კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, საკუთრების უფლების რეგისტრაციის ჩანაწერის გაუქმების თაობაზე მოსარჩელეს ადმინისტრაციული სამართალწარმოება არ გამოუყენებია, რაც სწორედ ადმინისტრაციული წესით განსჯადი საკითხია;

26.2. სამართალდამცავ ორგანოში საჩივრის შეტანა ვერ მოახდენს გავლენას სადავო საქმეზე, რადგან სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, მათ შორის - სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანლ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს. მოპასუხე აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს არათუ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, არამედ გამოძიებაც კი არ დაწყებულა მოსარჩელის მიერ პროკურატურაში შეტანილ საჩივრებზე;

26.3. მოსარჩელე აპელირებს მის მიმართ განხორციელებულ იძულებაზე იმ პირობებში, როდესაც პირველი ხელშეკრულება დადებულია 2005 წლის 26 დეკემბერს, ხოლო მომდევნო ორი, თითქმის ერთწლიანი ინტერვალით - 2006 წლის 17 ნოემბერს, რაც ეჭვქვეშ აყენებს მოსარჩელის ვერსიას, ხელისუფლებისათვის არასასურველი საინფორმაციო პოლიტიკის წარმოების გამო, შპს „ს. კ. რ.2“-ის მესაკუთრის შეცვლის მიზნით, მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ. საქმეში არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია მოსარჩელეს მის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტების დასადასტურებლად, ასევე, ალოგიკურია მოსარჩელის მტკიცება, რომ “X” პირი ახორციელებდა მასზე იძულებას, რადგან მიუღებელი იყო ტელეკომპანიის პოლიტიკა, ამ პირისათვის საკმარისი ვერ იქნებოდა ტელეკომპანიის მხოლოდ 22 %-ის გადაფორმება, რადგან საკონტროლო პაკეტი - 78% მოსარჩელეთა საკუთრებად რჩებოდა (იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 143, აუდიო ფაილი 209).

26.4. არა მხოლოდ ფაქტობრივი თვალსაზრისით, არამედ სამართლებრივადაც დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნათა დამყარება, როგორც სსკ-ის 54-ე, ისე 85-ე მუხლებზე. მოპასუხე უთითებს სუსგ-ზე # ას-1404-1622-05. სამართლებრივად დაუსაბუთებელია ერთი და იმავე გარიგებების ბათილად ცნობის მოთხოვნა ორი განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლით, თუმცა, საქმეში არსებული მტკიცებულებები არ იძლევა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას არც ერთი საფუძვლით. სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია,

რადგან სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილად ცნობისათვის დადგენილია ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა. მართალია, აღინიშნა, რომ თითქოს სამოქალაქო კოდექსში ერთმანეთისგან განსხვავდება შეცილებისა და ხანდაზმულობის ვადები, მაგრამ ამის თაობაზე არსებობს დადგენილი სასამართლო პრაქტიკა, მაგ. სუსგ # ას-714-683-2014, 27.02. 2015 წ.; (იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 143, აუდიო ფაილი 209).

26.5. მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის არგუმენტაციას, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეწყდა ქ. ხ-ის მიერ პროკურატურაში შეტანილი საჩივრით. მხარე უთითებს სუსგ-ზე # ას-1586-1489-2012, 22.04.2013წ. და აპელირებს, რომ მხარემ საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად თვითონვე უნდა შეარჩიოს სწორი, ეფექტური და ვარგისი საშუალება. ცხადია, რომ მოსარჩელის მიერ 2008 წელს შეტანილ საჩივარს არ მოჰყოლია შედეგი და გაუგებარია, რა მოლოდინი ჰქონდა წლების მანძილზე მოსარჩელეს. პროკურატურა არ იყო უფლებამოსილი, ბათილად ეცნო მხარეთა შორის დადებული გარიგებები. სსკ-ის 54-ე მუხლთან დაკავშირებით, მოპასუხემ განმარტა, რომ დასახელებული ნორმა გულისხმობს გარიგების შინაარსს და არა ნების გამოხატვის ფორმას, ამასთან, აღნიშნულ ნორმას დეკლარაციული ხასიათი გააჩნია და არ იძლევა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს. სარჩელში აღრეულია მართლსაწინააღმდეგო და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებების ცნებები. მოპასუხე აპელირებს სსკ-ის 86-ე მუხლის დეფინიციას და აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ არ განმარტა, თუ რა მიზნით გასხვისდა ტელეკომპანიის ჯერ 22% და მხოლოდ 11 თვის შემდეგ - დანარჩენი 78 %, რაც მნიშვნელოვანი იყო პარტნიორისათვის იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ტელევიზიის პოლიტიკას შეცვლიდა. მოსარჩელის მტკიცებით, უკმაყოფილების მიზეზს წარმოადგენდა ტელეკომპანიის საინფორმაციო განყოფილების პოლიტიკა. გაუგებარია, როგორ ახერხებდა 22 %-ის მფლობელი პარტნიორი ერთი წლის მანძილზე ამ პოლიტიკის შეცვლასა და წარმოებას. მოსარჩელეს არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად. არ არის დასახელებული იძულების განმახორციელებელი პირი, რა საშუალებით და მიზნით ხორციელდებოდა იგი, რათა დადგინდეს, ხომ არ ხდებოდა იძულება მართლზომიერი საშუალებებით, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 88-ე მუხლით (იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 143, აუდიო ფაილი 209);

26.6. ტელეკომპანიის დღევანდელი მესაკუთრეები კეთილსინდისიერი შემძენები არიან, მათ რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრისაგან შეიძინეს წილები, სახელშეკრულებო ურთიერთობა არ ჰქონიათ მოსარჩელებთან;

მოსარჩელის მითითება სსკ-ის 172-ე მუხლზე, რომელიც ნივთებზე ვრცელდება და არა არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, დაუსაბუთებელია, ისევე, როგორც სსკ-ის 187-ე მუხლის გამოყენებაც. მოსარჩელე არ საუბრობს სსკ-ის 185-ე მუხლზე. აღნიშნულ ნორმათა გამოყენებას მიჯნავს სუსგ # ას -189-182-2013, 16.01.2014წ.; ტელეკომპანიის 51%-იანი წილის მესაკუთრესთან დადებული გარიგება არ გაუხდია სადავოდ მოსარჩელეს, შესაბამისად, წილის შეძენის კეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს და არა მოპასუხეს;

26.7. მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა სამეწარმეო რეესტრში წილთა რეგისტრაციის საკანონმდებლო საფუძვლებზე;

26.8. მოპასუხე, ასევე, არ ეთანხმება მოსარჩელის მოთხოვნას ტელეკომპანიის ლოგოსა და კონკრეტული გადაცემების ავტორობის თაობაზეც, მტკიცებულებათა არარსებობის გამო, შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოთხოვნა ლოგოთი მაუწყებლობისა და კონკრეტული გადაცემების გაშვებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არარსებობის გამო (იხ. შესაგებელი, ტ.2, ს.გ. 5-20, ასევე, დაზუსტებული შესაგებელი - ტ.3, ს.გ. 18-32, ტ. 4, ს.გ. 320-342, ასევე, საქალაქო სასამართლოს 19.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ.146, აუდიო ფაილი 89).

27. მოპასუხემ - შპს “ს. კ. რ.2”-მა წარდგენილ შესაგებელში აღნიშნა, რომ მოსარჩელეზე განხორციელებული იძულება არ დასტურდება არც ერთი მტკიცებულებით და ასეთი იძულება რეალურად არც მომხდარა;

27.1. მოპასუხემ ამ გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში დასახელებული ხელშეკრულებების ქრონოლოგიაზეც გაამახვილა ყურადღება და დაუპირისპირდა მოსარჩელის პოზიციას გასხვისებული წილების შეუსაბამო ღირებულების თაობაზე. ამ კონტექსტში მოპასუხემ მიუთითა თავად ქ. ხ-ის მიერ გადახდილ ფასზე ამავე ტელეკომპანიის წილების შეძენისას. არ დასტურდება სადავო გარიგებების დადებისას მოსარჩელეზე იძულების ფაქტი, არ დასტურდება, ასევე, წილთა ნასყიდობის ფასის შეუსაბამობა მის რეალურ ღირებულებასთან. ტელეკომპანიის დღევანდელი მესაკუთრეები კეთილსინდისიერები არიან, ისინი არ ყოფილან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მოსარჩელეებთან, მათ კანონიერად შეიძინეს კომპანიის წილები (იხ. ამ გადაწყვეტილების 26-ე პუნქტი; ასევე, ხელშეკრულებები - ტ.2, ს.გ.21-31; იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 143, აუდიო ფაილი 203);

27.2. მოპასუხემ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან სსკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების შემთხვევაში, მოსარჩელეს გაშვებული აქვს სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი ერთწლიანი შეცილების ვადა. იძულების დამთავრების მომენტი არის მოსარჩელის მიერ სადავო ხელშეკრულებების (იხ. ამ გადაწყვეტილების 1-3 პუნქტები) ხელმოწერის მომენტი. ამ გარიგებების დადებიდან გასულია ხანდაზმულობის ვადა, რადგან მოსარჩელეებმა სასამართლოს მიმართეს ე.წ. იძულების დამთავრების მომენტიდან 9 წლისა და 7 თვის და, შესაბამისად, 8 წლისა და 6 თვის გასვლის შემდეგ. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, 2012 წელს იძულების დამთავრების მომენტის მოსარჩელის სასარგებლოდ ჩათვლის შემთხვევაშიც, 3 წლიანი ვადა გასულია (იხ. საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი 26.10.2015წ. - ტ.5, ს.გ.143, აუდიო ფაილი 203).

27.3. მოპასუხემ ისიც აღნიშნა, რომ სამართალდამცავ ორგანოში საჩივრის შეტანა გავლენას ვერ მოახდენს განსახილველი საქმის გადაწყვეტაზე, რადგან სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი სავალდებულო ძალა, მათ შორის, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსაც. ამასთან, არ დასტურდება ქ. ხ-ის მიერ პროკურატურაში განცხადების რეალურად შეტანა, სადაც აღწერილი იქნებოდა იძულების კონკრეტული დეტალები, საერთოდ იყო თუ არა წარდგენილი საჩივრები, როდის, რა მოთხოვნით. თუ მაინც დავუშვებთ, რომ ისინი მოსარჩელემ შეიტანა პროკურატურაში (მხედველობაშია საქმეში წარმოდგენილი ორი საჩივარი), ამ დროს გასული იყო შეცილების ვადა, ბოლო გარიგება დაიდო 2006 წლის 17 ნოემბერს, ხოლო პროკურატურაში საჩივარი შეტანილია 2008 წლის 1 დეკემბერს. ამასთან, საჩივრები შეიტანა მხოლოდ ქ. ხ-მა და არა შპს „პ-ამ“, ეს კი ორი განსხვავებული სამართალსუბიექტია და არ აქვს მნიშვნელობა სამეწარმეო სამართალში, თუ რომელ პარტნიორს რა მოცულობის წილი აქვს საწარმოში. ამდენად, გაუგებარია, შპს „პ-ის“ მიმართ რატომ უნდა შეწყდეს ხანდაზმულობა (იხ. შესაგებელი, ტ. 3, ს.გ. 36-49; იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 143, აუდიო ფაილი 203);

27.4. მოპასუხე ყურადღებას ამახვილებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30.1-ე, 33-ე მუხლების 2008 წელს მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა პირის მიერ, ზიანის ანაზღაურების მიზნით, სამოქალაქო სარჩელის და არა განცხადების წარდგენას. მოსარჩელეს ასეთი სამოქალაქო სარჩელი არ წარუდგენია სასამართლოსათვის. ფიზიკურ პირს შეიძლებოდა სსსკ-ის 33.3 მუხლით, ზეპირადაც გაეკეთებინა განცხადება, რაც უნდა ასახულიყო შესაბამისი საგამომიებო მოქმედების ოქმში, თუმცა, ასეთი

მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. იმაქამდ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლით ქ. ხ. ვერ წარადგენდა სამოქალაქო სარჩელს იძულებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მას საპროცესო კოდექსით შეეძლო მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შეეტანა სარჩელი, რაც დღევანდელი სასარჩელო მოთხოვნისაგან რადიკალურად განსხვავებულია და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე შეცილების ვადის შეწყვეტას ვერ გამოიწვევდა. კანონმდებლობა არ იძლეოდა საშუალებას, რომ პროკურატურაში წარდგენილიყო განცხადება იძულებით დადებული გარიგებების ბათილად ცნობის მოთხოვნით, მხოლოდ ზიანის ანაზღაურების შესახებ იყო შესაძლებელი მოთხოვნის წაყენება, ხოლო ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში შპს „ს-ისა“ და შპს „გ.ტ-ის“ მიმართ სამსჯელო და რელევანტური იქნებოდა მოსარჩელის არგუმენტები (იხ. საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი 26.10.2015წ. - ტ.5, ს.გ.143, აუდიო ფაილი 203);

27.5. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები არათუ მტკიცებულებებით არ არის გამყარებული, არამედ აბსურდულია. საღ აზრს მოკლებულია, თუ რას წარმოადგენდა ”იძულების განმახორციელებელი პირის მოტივი”, მაშინ, როცა თერთმეტი თვის განმავლობაში მის საკუთრებაში იყო „რ.2“-ის მხოლოდ 22 %, საწარმოს ძირითადი წილი - 78% კი ისევ მოსარჩელეთა საკუთრებას წარმოადგენდა. ამდენად, ყველანაირი მტკიცებულებით გაუმყარებელი და სამართლებრივ საფუძველს გამოცლილი მოთხოვნა, ასევე, ყოვლად ალოგიკურიცაა. გაურკვეველია, რა იყო იძულების მიზანი, რა ფორმით ხორციელდებოდა იძულება, რატომ იყო ეს მხარისათვის რეალური და ა.შ. და, საბოლოოდ, რატომ იყო ტელეკომპანიის 22% წილი იმხელა მნიშვნელობის, რომ “იძულების განმახორციელებელმა პირმა” დანარჩენ 78 %-ზე (საკონტროლო პაკეტი) საკუთრების უფლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მოიპოვა. მოსარჩელის მტკიცება, რომ მასზე ზ. ა. ახორციელებდა ზეწოლას, რომელიც 2008 წლიდან იკავებდა იუსტიციის მინისტრის პოზიციას და მის დაქვემდებარებაში იყო პროკურატურა, სადაც მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი, დაუსაბუთებელია, რადგან უშუალოდ ამ პირის წინააღმდეგ არ არის შეტანილი სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში. თუ იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე და 41-ე მუხლების საფუძველზე მიმართავდა პირი სამოქალაქო სარჩელით პროკურატურას და ეს სარჩელი უარყოფილი იქნებოდა, მას უფლება ერთმეოდა იმავე სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის. მოპასუხეს მიაჩნია, რომ ასეთი სამოქალაქო სარჩელით მოპასუხეს არ მიუმართავს სასამართლოსათვის, ხოლო თუ მიმართა, მისი მტკიცება ზ. ა-ის მიერ განხორციელებულ იძულებაზე წარმოადგენს სიცრუეს. ზემოხსენებულ გარემოებათა

გათვალისწინებით, სასამართლომ არ უნდა იმსჯელოს იძულებაზე, ხოლო თუ მაინც იმსჯელებს ამის შესახებ, სარჩელში მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი, მაგ. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სხვადასხვა ადმინისტრაციულ უწყებაში მისი შესვლის დამადასტურებელი მტკიცებულება, მასთან განხორციელებული სატელეფონო ზარების ამონაწერები, თუ ვინ უკავშირდებოდა კონკრეტულად მას; მოსარჩელეს არც ერთი მოწმე არ წარმოუდგენია მისდამი იძულების განხორციელების დასადასტურებლად, თუნდაც, ი. ო., რომელიც დაპირისპირებულია იმ პირებთან, რომლებიც თითქოსდა აიძულებდნენ ქ. ხ-ს (იხ. საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი 26.10.2015წ. - ტ.5, ს.გ.143, აუდიო ფაილი 203);

27.6. მოსარჩელეს არც იმის მტკიცებულება წარმოუდგენია, რომ მისი ნათესავების მიმართ მიმდინარეობდა დევნა, დაკავეს ისინი, რაზეც შესაბამისი საპროცესო დოკუმენტები დგება, შესაბამისად, არც ასეთი ფაქტები ყოფილა. არც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშია წარმოდგენილი, სადაც თითქოსდა ქ. ხ. მოხსენიებული, არც ამ უკანასკნელისათვის გერმანიაში თავშესაფრის მინიჭების მტკიცებულება არსებობს, მით უმეტეს, რომ მას ათი წელი ჰქონდა მოსამზადებლად და მტკიცებულებების შესაგროვებლად (იხ.16.10.2015წ. წარდგენილ შუამდგომლობაში დაფიქსირებული განმარტება - ტ. 3, ს.გ.227-235 /ერთვის მტკიცებულებები/, საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი 26.10.2015წ. - ტ.5, ს.გ.143, აუდიო ფაილი 203);

27.7. მოპასუხე ყურადღებას ამახვილებს წილის ნასყიდობის ფასთა შეუსაბამობის დაუსაბუთებულობასა და საქმეში წარდგენილ ყალბ დოკუმენტზე, ვინმე რ. ბ-ის ხელმოწერით;

27.8. საქმის მასალებით არ დასტურდება გ. გ-ის მიერ შპს „ს. კ. რ.2“-ში 9%-იანი წილის ფორმალური ფლობისა და ამ წილის ნ.ნ-ძის მიერ უკანონოდ მიღების ფაქტი;

27.9. მოპასუხე, ასევე, არ ეთანხმება მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებებით თითქოსდა დასტურდება სამაუწყებლო კომპანიაში ინვესტიციების შეტანა მოსარჩელის მიერ, სახელფასო დავალიანებების გასტუმრება, მოწყობილობების შესაძენად სესხის აღება, ასეთი მტკიცებულებები არ არსებობს;

27.10. მოპასუხეს ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსარჩელის პრეტენზიები ტელეკომპანიის ლოგოს, კონკრეტულ გადაცემათა ავტორობისა და ამით

მიყენებული ზიანის ნაწილშიც, მტკიცებულებათა არარსებობის გამო და უთითებს, რომ მან წარმოადგინა გრაფიკოს-დიზაინერ დ.ც-ას მიერ ლოგოს შექმნის ისტორიის, მისი მოდიფიცირების დამადასტურებელი მტკიცებულება; ასევე, კონკრეტული გადაცემების საავტორო უფლებები უცხოელ სუბიექტებს აქვთ (იხ. შესაგებელი - ტ.2, ს.ფ.40-52, ტ.3, ს.ფ. 36-49; იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 143, აუდიო ფაილი 203).

28. მოპასუხე ლ. ყ-მა წარდგენილ შესაგებელსა და დაზუსტებულ შესაგებელში მიუთითა:

28.1. შპს “ტ. ს.” არ არის სადავო გარიგებების მხარე, შესაბამისად, მოპასუხისათვის უცნობია მოსარჩელის მიერ მითითებული იძულების თაობაზე; ამასთან, ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული გარიგებიდან თითქმის ერთწლიანი ინტერვალის შემდეგ, 2006 წლის 17 ნოემბერს, დაიდო მორიგი ორი ხელშეკრულება (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტები), რაც გამორიცხავს მოსარჩელის მტკიცებას მასზე განხორციელებული იძულების თაობაზე წილების გასხვისების დროს; სსკ-ის 85-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში, კანონით დადგენილია შეცილების ვადა არის 1 წელი, იძულების დასრულების მომენტიდან. მოპასუხისათვის გაუგებარია, თუ როდის და რა სახით, რა ფორმით მოხდა და დასრულდა მოსარჩელის იძულება. ყველაზე უფრო ლიბერალური მიდგომითაც და მოსარჩელის მტკიცების გაზიარების შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ ხელისუფლება იყო იძულების წყარო, მაშინ, ბუნებრივია, 2012 წლის 1 ოქტომბერს შეწყდებოდა იძულება და 3 წელი უკვე გასულია. სასარჩელო მოთხოვნის მეორე მოთხოვნის საფუძველად სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელის ზეპირი მითითებების გარდა, საქმეში არ არის წარმოდგენილი და არც არსებობს არც ერთი ობიექტური მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელეზე განხორციელებულ იძულებას ან მუქარას დაადასტურებდა. იძულების ფაქტის დასადგენად მარტოოდენ მოსარჩელის განცხადება არ არის საკმარისი, არც შეცილების ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამაბათილებელი მტკიცებულებაა საქმეში. საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებაა გაურკვეველი პირის მიერ დაუდგენელ დროს ხელმოწერილი, ე.წ. ბალანსების საფუძველზე შედგენილი, მოპასუხეთა მოსაზრებით, ყალბი დასკვნა. მოსარჩელეს სარჩელის შეტანის დროს არ ჰქონდა ასეთი მტკიცებულება, შემდეგ 2 სექტემბერს მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და 7 სექტემბერს ექსპერტს წარუდგინა ორი დოკუმენტი- წესდება და ორგვერდიანი ბალანსი, მიუხედავად იმისა, რომ მან არაერთი დოკუმენტი

მოითხოვა. (იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 143, აუდიო ფაილი 192);

28.2. ტელეკომპანიის განვითარებისათვის 0 ლარი აქვს დახარჯული, როგორც ქ. ხ-ს, ისე შპს „პ-ას“. მხარე საუბრობს „მითიურ“ დანახარჯებზე, გასტუმრებულ ვალებზე და ა.შ., თუმცა, საქმეში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება; ქ. ხ-მა თითქმის იმავე ფასად გაყიდა შპს „ს. კ. რ.2“-ის წილები, როგორც იყიდა. იგივე უნდა ითქვას შპს „პ-ის“ მიერ წილების შეძენაზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეთა მიერ „რ.2“-ის წილების შეძენისას მათ მიაჩნიათ, რომ გარიგებები იყო მორალური, ხოლო იგივე წილების გასხვისებისას - ამორალური;

28.3. მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა ამ გადაწყვეტილების 1-6 პუნქტებში მითითებულ ხელშეკრულებებზე, მიუთითა წილთა გასხვისების ფასებზე და აღნიშნა, რომ ერთნაირ ფასად გაიყიდა სადავო წილები, მეტიც, მოსარჩელეებმა 15 000 აშშ დოლარით მეტიც მიიღეს წილის გასხვისებისას; დღეის მდგომარეობით, ადრე რამდენიმე ოთახში განთავსებული ტელეკომპანიის წილის ღირებულება დაახლოებით 20-ჯერ არის გაზრდილი. მოსარჩელე ითხოვს დღევანდელი მესაკუთრეებისაგან ტელეკომპანიის წილებს, რაც ტელევიზიის ხელში ჩაგდებას ნიშნავს. სასარჩელო მოთხოვნა 1-3 პუნქტებში მითითებულ გარიგებათა ბათილობაზე, წილების დაბრუნება დღევანდელი მესაკუთრეებისაგან ქ. ხ-ისა და შპს „პ-თვის“ არის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნა (იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 143, აუდიო ფაილი 192);

28.4. დღევანდელი მესაკუთრეებისაგან წილების მოსარჩელეთათვის დაბრუნების მოთხოვნა დაუსაბუთებელია სსკ-ის 187-ე მუხლის საფუძველზე, რადგან მოხმობილი ნორმა ეხება მოძრავ ნივთებზე საკუთრებას. რეგისტრირებად უფლებებთან დაკავშირებით მისი გამოყენება დაუშვებელია და მხოლოდ სსკ-ის 312-ე მუხლის მისადაგებაა შესაძლებელი. მოპასუხეების - ლ. და გ. ყ-ების კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოდ, მოსარჩელეს არც ერთი მტკიცებულება არ აქვს წარმოდგენილი, დასახელებულ პირებს სასყიდლიანი ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული წილის შეძენისას, ხოლო შპს „ტ. ს-ს“ 6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ქონება აქვს შეტანილი 51 %-იანი წილის სანაცვლოდ (იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.ფ. 143, აუდიო ფაილი 192);

28.5. მოსარჩელეს არ წარუდგენია სათანადო მტკიცებულება ფასის შესახებ, ასევე, იგი ვერ ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის საფუძველს (იხ. ამ გადაწყვეტილების 23.25 ქვეპუნქტი). ხოლო მის მიერ წარდგენილი საგაზეთო

პუბლიკაციების ასლები არ ამტკიცებს იძულებას, რომელზეც აპელირებს მოსარჩელე;

28.6. მოპასუხე ასევე დაუპირისპირდა სასარჩელო მოთხოვნას ტელეკომპანიის ლოგოს, კონკრეტული გადაცემების ავტორობისა და ამით მიყენებული ზიანის ნაწილშიც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ არის უშუალოდ მის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნა და, შესაბამისად, მისი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას არ განეკუთვნება; მოპასუხის მტკიცებით, ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნის წარდგენა განპირობებული იყო იმით, რომ კონკრეტულ მოსამართლეზე განაწილებულიყო საქმე აგვისტოს თვეში. ამის მოტივი ისიც იყო, რომ შპს „ს. კ. რ.2“ გახდებოდა მხარე და ყადაღა დაედებოდა მის ქონებას, შემდეგ კი დაკმაყოფილებოდა მოსარჩელის მოთხოვნათა ნაწილი და სათქმელი იქნება, რომ სასამართლო დამოუკიდებელია (იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 143, აუდიო ფაილი 192).

28.7. მოპასუხემ, სხვა მოპასუხეების მსგავსად, მიუთითა იმავე არგუმენტებზე, რაც ასახულია ამ გადაწყვეტილების 27.2 -27.5 ქვეპუნქტებში (იხ. მოპასუხის შესაგებელი - ტ. 2, ს.გ.74-89, ტ.3, ს.გ. 1-15; იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 143, აუდიო ფაილი 192);

29. მოპასუხე გ. ყ-მა ამ გადაწყვეტილების 26-ე და 28-ე პუნქტებში მითითებული შესაგებლების იდენტური პოზიცია წარადგინა საკუთარ შეპასუხებაში (იხ. შესაგებელი - ტ.2, ს.გ.112-127, ტ.3, ს.გ.53-67, იხ. საქალაქო სასამართლოს 26.10.2015წ. სხდომის ოქმი - ტ.5, ს.გ. 143, აუდიო ფაილი 192).

30. მოპასუხე ნ. ნ-მ შესაგებელში აღნიშნა, რომ მისმა მეუღლემ - გ. გ-მ კეთილსინდისიერად შეიძინა საწარმოს 9 %-იანი წილი, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო. მოპასუხემ სარჩელის ხანდაზმულობაზეც მიუთითა, ხოლო მოსარჩელის პრეტენზიაზე, გაყიდული წილის ფასის სიმცირესთან დაკავშირებით, დააფიქსირა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი მხოლოდ სსკ-ის 55-ე მუხლი შეიძლება ყოფილიყო. რაც შეეხება ქ. ხ-ის მიმართვას პროკურატურისადმი მის მიმართ განხორციელებული იძულების თაობაზე, მოპასუხისათვის უცნობია ეს ფაქტი (იხ. ტ. 2, ს.გ. 180-190).

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება

31. თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ გადაწყვეტილების 1-19 პუნქტებში მითითებული გარემოებები, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნებზე მსჯელობისას დაასკვნა, რომ ე. ხ. არ წარმოადგენს „ს. კ. რ.2“-ის ლოგოსა და გადაცემების - „ბ. ს-ის“, „უ. გ-სა“ და „ჯ-ის“ ავტორს.

32. საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებაში მიუთითა სპეციალური კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში. ამავე სპეციალური კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა, ხოლო მე-4 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, რეპროდუცირება ნიშნავს ნაწარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის ან მონაცემთა ბაზის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადებას ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩაწერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით.

33. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე განიმარტა, რომ ნაწარმოები დაცვადია, თუკი იგი რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს ანუ ნაწარმოების შინაარსი გარეგნულად გამოხატულია. კანონმდებლობა ნაწარმოების ფორმის რაიმე სტანდარტს არ ადგენს, მთავარია, იგი აღქმადი და რეპროდუცირებადი იყოს.

34. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ორივე მოთხოვნა ემყარება მოსარჩელის ზეპირ განმარტებას, რაც მოპასუხებმა სადავო გახადეს. საქმეში არაა წარმოდგენილი რაიმე მასალა წერილობითი ფორმით, რომელიც სასამართლოს ლოგოსთან ან გადაცემებთან დაკავშირებით შეუქმნიდა რწმენას, რომ მოსარჩელე ე. ხ-ის მიერ საავტორო სამართლით დაცვადი ობიექტებისადმი

წყვენილი ზემოთ ხსენებული მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს.

35. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხოლოდ ზეპირი განმარტებები არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ სადავო ლოგოსა და გადაცემებზე უნდა გავრცელდეს მოსარჩელის საავტორო უფლება. სასამართლომ, სსსკ-ის 102-ე მუხლზე მითითებით, რომელიც ზოგად დებულებას შეიცავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თაობაზე, კონკრეტულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესი განმარტა სპეციალური კანონის საფუძველზე, რომლის თანახმად, ავტორის ნებართვის გარეშე ნაწარმოების გამოყენების შემთხვევაში, თავად ავტორმა უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რომ ნაწარმოები მას ეკუთვნის და იგი უფლების დარღვევის ფაქტამდე შეიქმნა (*სუსგ # ას-547-520-2013, 30.01.2015 წ.*). ამგვარ ფაქტებს კი მოსარჩელე ვერ ადასტურებდა.

36. სასამართლომ იმსჯელა, ასევე, შპს „ს. კ. რ.2“-ის წილების ღირებულებაზე და განმარტა, რომ საწარმოს 22%-იანი წილის ღირებულება, 2005 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრება 575 759 ლარით; ამავე საწარმოს 38%-იანი წილის ღირებულება, 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრება 3 287 453 ლარით; ხოლო 40 %-იანი წილის ღირებულება, 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრება 3 460 477 ლარით;

37. მოცემული ფაქტის დადგენისას სასამართლო დაეყრდნო საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (*შემდეგში ექსპერტიზის ეროვნული ბიურო*) 09.09.2015 წ. #.... დასკვნას, რომელიც პასუხობს ექსპერტისათვის გამოსაკვლევად დასმულ შეკითხვებს.

38. ამ საკითხს ექსპერტმა უპასუხა საერთაშორისო სტანდარტით - „საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტის მე-9 გამოშვება -IVS 2011 - შემდეგნაირად: „საბაზრო ღირებულება წარმოადგენს ფულად სიდიდეს, რომლითაც გაიცვლება ქონება შეფასების თარიღისათვის დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის „გამოილი მკლავის“ პრინციპით ტრანზაქციისას, მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე“.

39. სასამართლომ აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო მითითებულ პარაგრაფში აღწერილი თითოეული კომპონენტის განმარტება - დაწყებული - ქონების ცნებიდან, დამთავრებული „გაშლილი მკლავით“ ტრანზაქციისა და მართებული მარკეტინგის ჩატარების პრინციპით. ვინაიდან საქართველოს მსგავსი კოდიფიკაციის მქონე ევროპულ ქვეყნებშიც არსებობს მოსაზრება, რომ ექსპერტიზის დასკვნის შინაარსობრივად შემოწმება, ალბათ, სცილდება სასამართლოს კომპეტენციას თუ შესაძლებლობას, სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა საჭირო ამა თუ იმ საკითხის გამოსარკვევად ექსპერტიზის დანიშვნა (თომას ჰერმანი - მტკიცებულებათა სამართლის კონსპექტი), დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მითითებული ამოსავალი დებულების განმარტებას. სასამართლოსთვის სრულიად ნათელი გახდა ზემოთ დასახელებული პარაგრაფის ყველა პუნქტი, რადგან ექსპერტმა დასკვნაში დეტალურად ახსნა ისინი (*იხ. დასკვნის 2/12-2/14 ფურცელი*). ასეთი განვრცობითი განმარტება კი ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს მოსამართლისათვის სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის დასკვნის შესამოწმებლად.

40. მოცემულ დასკვნაზე მსჯელობისას სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმას, თუ შეფასების რა მეთოდები დასახა და გამოიყენა საბოლოოდ ექსპერტმა. მან ჩასატარებელი კვლევის სამი განსხვავებული საშემფასებლო მიდგომა წარმოაჩინა, თითოეული მათგანის ჩატარების წინაპირობებისა და მოთხოვნების აღწერით. ეს მეთოდოლოგიებია: აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა; შემოსავლის მიდგომა; საბაზრო მიდგომა. ამ შემთხვევაშიც ექსპერტმა დეტალურად ახსნა თითოეული მათგანის შინაარსი და სტანდარტი, საბოლოოდ კი გამოიყენა აქტივებზე დაფუძნებული მეთოდი, მიუხედავად იმისა, რომ დასკვნიდან ჩანს ექსპერტიზის სამივე მეთოდით კვლევის ჩატარების მზაობა. ვინაიდან ექსპერტს საბაზრო და შემოსავლის მიდგომით კვლევისათვის საჭირო ინფორმაცია არ გააჩნდა, დასკვნა შემუშავდა აქტივებზე დაფუძნებული მეთოდით. სწორედ, ამ მეთოდოლოგიით განხორციელებული კვლევის შედეგად ექსპერტმა ნათელი პასუხი გასცა შპს „ს. კ. რ.2“-ის წილებთან დაკავშირებულ შეკითხვას. ამ მეთოდით კვლევის ჩატარებისას ექსპერტი დაეყრდნო გამოსაკვლევი კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრულ საბალანსო ნაშთებს 2005 წლის 26 დეკემბრის, ასევე - 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, დაითვალა მათი შემადგენელი კომპონენტები და მის წინაშე დასმულ შეკითხვებზე მიიღო პასუხები.

41. ამდენად, საექსპერტო დასკვნის შეფასებისას სასამართლომ მიიჩნია, რომ საექსპერტო კვლევა და მასში მოყვანილი დასკვნები არ წარმოშობდა ეჭვს და იგი

დამაჯერებელი იყო. ამ კონტექსტში საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტზეც, რომ ზეპირ სხდომაზე, კვლევის განმახორციელებელი ექსპერტის გამოკითხვისას, არ გამოვლენილა რაიმე არსებითი წინააღმდეგობა მის მიერ გაკეთებულ დასკვნასა და ზეპირ ახსნა-განმარტებას შორის.

42. მოპასუხე მხარეთა მიერ ექსპერტის დასკვნის კრიტიკულ შეფასებასა და მის გაუზიარებლობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის უმნიშვნელოვანეს - შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ გარემოებების დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

43. ზემოთ მითითებული ნორმების შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და შესაბამისად, ისინი მიუთითებენ მათზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი. ამასთან, არა მარტო მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს სარჩელში მოყვანილი გარემოებები, არამედ მოპასუხეცაა ვალდებული, დაამტკიცოს მის მიერ შესაგებელში მოყვანილი გარემოებები (*სუსგ #ას-129-122-2014, 30.04. 2014 წ.*).

44. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ წარდგენილი საექსპერტო დასკვნის გასაბათილებლად, მოპასუხეებს არ

წარუდგენიათ სარწმუნო მტკიცებულება. მოპასუხეები შემოიფარგლნენ მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტებით. სსსკ-ით დადგენილი მტკიცების ტვირთის გადანაწილების ფარგლებში, მოპასუხეებს არ წარუდგენიათ ექსპერტიზის დასკვნის საწინააღმდეგო მტკიცებულება, რითაც მათ საპროცესო კოდექსის შესაბამისი სტადიებით შემოსაზღვრული ვალდებულება ვერ შეასრულეს (*ექსპერტიზის დასკვნის საპირისპირო მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულებასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე: # ას-40-38-2012, 22.03.2012 წ.; # ას-93-89-2014, 30.03.2015 წ.; # ას-521-495-2013, 24.06.2013 წ.; # ას-406-383-2014, 17.04.2015 წ.; # ას-677-643-2013, 05.12.2013 წ.*).

45. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა, რომ საქმის მასალებში არ იყო წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გამაბათილებელი, იმავე დონის სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მიერ მომზადებული მტკიცებულება, რაც მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლოს ავალდებულებდა, რომ გაეზიარებინა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დასაბუთებული, ურთიერთშეჯერებული, გაუქარწყლებელი მტკიცებულებები. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ ასეთ მტკიცებულებად ვერ გამოდგებოდა შპს „ტ. მ-ში“ შპს „ს-ის“ მიერ ქ. ხ-თვის მიყიდული 78% წილის ღირებულება - 463 320 ლარი, რადგან საექსპერტო დასკვნა ემყარებოდა შპს „ს. კ. რ.2“-ის წილების აქტივებზე დაფუძნებული მეთოდით კვლევას.

46. საქალაქო სასამართლომ, საქმეში განთავსებული მტკიცებულებების გაანალიზებისა და შეჯერების საფუძველზე, 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და მიუთითა, რომ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, რომ *"თუკი ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი სასამართლოებს ავალდებულებს, დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილება, ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემის მოთხოვნად"* (იხ. *ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ /#7932/03/*).

47. სასამართლომ მიუთითა წინამდებარე გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში დასახელებულ ხელშეკრულებებზე, რომელთა საფუძველზე შპს „ს. კ. რ.2“-ის პარტნიორებმა - ქ. ხ-მა და შპს „პ-ამ“ (გამყიდველები), ხოლო, მეორე მხრივ, შპს „ს-მა“ და შპს „გ.ტ-მა“ დადეს საწარმოს წილების ნასყიდობის ხელშეკრულებები. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით კი, ქ. ხ-ისა და შპს „პ-ის“ მიერ გაყიდული წილების ღირებულება გაყიდვის მომენტში იყო არსებითად განსხვავებული, რაც, მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ განხორციელებული

იძულების შედეგია.

48. სასამართლომ იმსჯელა ამ გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში დასახელებული წილის ნასყიდობის სამი ხელშეკრულების იურიდიულ ძალაზე და მიუთითა სსკ-ის 327-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზეც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება ან/და რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. ამავე კოდექსის 325-ე მუხლის თანახმად 1. თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. 2. თუ მხარე პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად, ან მათი განსაზღვრა ჭიანჭურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

49. სასამართლომ სსკ-ის 316-ე მუხლის საფუძველზე მითითებით, იმსჯელა, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს - კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაა, შესაბამისად, მოთხოვნაზე უფლებამოსილი და შესრულებაზე ვალდებული სწორედ ეს პირები არიან. იგივე დანაწესია ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებშიც (სსკ-ის 477-504-ე მუხლები), რომლითაც ამ ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი სწორედ ამ მხარეებს - მყიდველსა და გამყიდველს გააჩნიათ.

50. სსსკ-ის 178-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი მოსარჩელეს ავალდებულებს, სარჩელში მიუთითოს იმ სამართლებრივ საფუძველებზე, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მიუთითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურსამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს ვალდებულებაა. სსსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად, მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც - ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან, შესაბამისად, შესაგებელი ემყარება, თუმცა, ეს არ არის შემზღვევადი სასამართლოსათვის და არც გავლენას ახდენს დავის შედეგზე.

მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით და არც კანონის იმპერატიული დათქმა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს უფლება აქვს სხვა გზა აირჩიოს. სამოსამართლო საქმიანობა უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას *(თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც ამ მოსაზრებაში, თავის მხრივ, დაეყრდნო სუსგ-ს # ას-877- 825-2010, 28.12.2010-ს).*

51. მოსარჩელემ წილის გასხვისების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სსკ-ის 85-ე მუხლი (იძულებით დადებული გარიგებანი), რომლის თანახმად, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს სხვა პირისგან. მოცემული ნორმა მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სუბიექტურ წინაპირობებს განსაზღვრავს და ესაა მოსარჩელის მიერ კონკრეტული იძულების ფაქტების მტკიცების რეალიზება. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე უთითებს, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან დაპირისპირებისა და ამის შედეგად ძალოვანი მაღალჩინოსნებისგან მომდინარე რეალური მუქარის გამო იძულებული გახდა, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, გაესხვისებინა სადავო წილები, მაგრამ, როგორც სასამართლო აღნიშნავს, მხოლოდ ფაქტების მითითება არ არის საკმარისი სსკ-ის 85-ე მუხლის ფარგლებში მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად - მნიშვნელოვანია მტკიცების სუბიექტური მხარე ანუ მოსარჩელის ვალდებულება, ადასტუროს მუქარისა თუ ძალადობის ფაქტები. მიუხედავად მოსარჩელის მიერ საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარდგენილი არაერთი საჩივრისა, მან ვერ შეძლო ზემოთ მითითებული ფაქტების მტკიცება, მაგრამ, რაც უფრო დაბალია სუბიექტური კომპონენტის ხარისხი ანუ როცა არ ვიცით, არაა ნათელი, თუ რაზე ფიქრობდნენ ადამიანები გარიგების დადების დროს, დასკვნები ობიექტურ საფუძველზე უნდა გაკეთდეს.

52. სწორედ, აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოდავე მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სსკ-ის 54-ე და 61-ე

მუხლების საფუძველზე უნდა გადაწყდეს, მით უმეტეს, რომ სარჩელისაგან განსხვავებული სამართლის ნორმების გამოყენება არ გულისხმობს გარიგების შეცილების საფუძველის შეცვლას, თუმცა, მოსარჩელე უთითებდა გარიგების ამორალურობაზე. მხარის განმარტება, რომ მასთან გარიგება იძულების წესით დადეს, სარჩელის ფაქტობრივი შემადგენლობის ნაწილია და არა ნორმატიული საფუძველი (სუსგ # ას-1350-1275-2012 განჩინება, 25.03.2013წ.). სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. მხარეები თავისუფლად განკარგავენ თავიანთ უფლებებს, შედიან ურთიერთობაში კონტრაქტთან და დებენ გარიგებებს. სამოქალაქო სამართალი არის მხარეთა თავისუფალი ნების სამართალი, მხარეები მაქსიმალურად თავისუფლად განაგებენ სახელშეკრულებო ურთიერთობის საგანს და ფარგლებს, მაგრამ აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს, რადგან კანონმდებლობა იცავს იმ მხარეს, რომლის უფლებებიც უფლებებელყოფილ იქნა.

53. სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს პრინციპებს, რომ მხარეთა ნების ავტონომია იქნება გარანტირებულად დაცული, რომ მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება (სსკ-ის მე-10 მუხლი), მაგრამ, მეორე მხრივ, კოდექსი ხაზს უსვამს, რომ მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი (სსკ-ის მე-8, 54-ე, 115-ე მუხლები). ამორალური, კეთილი ზნის საწინააღმდეგო გარიგება, რომელიც, მართალია, მხარეთა ნების გამოვლენით დაიდო, შესაძლოა, უკვე შეასრულეს კიდევ მათ მაგრამ, მისი არსებობა პრობლემატურია მთლიანად საზოგადოებისათვის, იგი ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დადგენილ, გაბატონებულ, საზოგადოების წევრთა მიერ შესისხლხორცებულ წესებს. ასეთი გარიგება განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის საერთო სულისკვეთების, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართლის იმპერატიული ნორმების ანალიზის საფუძველზე.

54. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას უზრუნველყოფს როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და, შესაბამისად, ბათილად ითვლება. სსკ-ის 54-ე მუხლის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული

ისეთი გარიგებები, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს. ხელშეკრულების მხარეების ნების თავისუფლებაზე საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკანასკნელი დროის პრაქტიკაზე, კერძოდ სუსგ #ას-688-654-2015, 21.07.2015წ. ამ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს (რომლის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი) მოხმობილი აქვს საქმე „გუსინსკი რუსეთის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გარიგების გაფორმების მაპროვოცირებელი გარემოებაა, რაც ნების გამოვლენის თავისუფლებას იმთავითვე გამორიცხავს (Gusinskiy Russia application no.70276/01, 19.05.2004).

55. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული ნორმა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მისი დარღვევა, უმეტეს შემთხვევაში, დადებულ გარიგებას მართლსაწინააღმდეგოდ და ამორალურად აქცევს (*თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე # 28/4686-13,15 აპრილი, 2014 წ.*).

56. გარიგების მართლსაწინააღმდეგობისა და ამორალურობის დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ნებას ენიჭება, თუმცა, აუცილებელი არ არის, მხარეთა ნება თანმხვედრი იყოს ანუ გარიგების დადების ამორალური და მართლსაწინააღმდეგო მოტივი და მიზანი ორივე მხარეს ამოძრავებდეს. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის მიზნებისათვის საკმარისია გარიგების ერთ-ერთი მხარის არამართლზომიერი, ამორალური განზრახვა. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია გარიგების ნეგატიური, კანონსაწინააღმდეგო ან ამორალური შედეგის დადგომა.

57. სასამართლომ მიუთითა: საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ შპს „ს. კ. რ.2“-ის სამეწარმეო წილები, რომელსაც ფლობდა მოსარჩელე ქ. ხ. და შპს „პ.“, იყო

გაცილებით ძვირი, ვიდრე ის (წილები) გაიყიდა 2005 წლის 26 დეკემბერსა და 2006 წლის 17 ნოემბერს. ამ გარიგებათა შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ღირებულების იყო აღნიშნული წილები. 2005 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულების დადების დროს შპს „ს. კ. რ.2“-ის 22%-იანი წილის რეალური ღირებულება იყო 574 756 ლარი, ნაცვლად ხელშეკრულებაში დაფიქსირებული 131 994 ლარისა. 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულების დადების დროს შპს „ს. კ. რ.2“-ის 38%-იანი წილის ღირებულება იყო 3 287 453 ლარი, ნაცვლად ხელშეკრულებაში დაფიქსირებული 219 703 ლარისა. 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულების დადების დროს შპს „ს. კ. რ.2“-ის 40%-იანი წილის ღირებულება იყო 3 460 477 ლარი, ნაცვლად ხელშეკრულებაში დაფიქსირებული 219 703 ლარისა.

58. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეთა პოზიცია რეალურად არ ყოფილა მიმართული აღნიშნული მტკიცებულების გაქარწყლებისკენ, შედეგად, მათ არ წარუდგენიათ სასამართლოსათვის საექსპერტო დასკვნით დადგენილი, 56-ე პუნქტში მითითებული, ფასის გამაბათილებელი რაიმე დოკუმენტი. სასამართლოს დასკვნით: სახეზეა ვითარება, როდესაც პირველ შემთხვევაში (2005 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულება) წილის ნასყიდობის ფასი 4.35-ჯერ აღემატება ხელშეკრულებაში მითითებულ ფასს, ხოლო მომდევნო ორი ხელშეკრულების შემთხვევაში - თითქმის 15-ჯერ (38% წილთან დაკავშირებით) და 16-ჯერ (40% წილთან დაკავშირებით). სწორედ ამიტომ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი ვალდებულებაა, შეაფასოს, რამდენად შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს ისეთი გარიგება, რომლის ფასი რამდენჯერ არის შემცირებული.

59. საქალაქო სასამართლოს მსჯელობით, უდავოა, რომ ქ. ხ. წარმოადგენს მეწარმე პიროვნებას, რომელსაც საკუთრებაში ჰქონდა შპს „ს. კ. რ.2“-ის სოლიდური წილი, შპს „პ-ის“ სრული წილი, ასევე, საკუთრებაში გააჩნდა სხვადასხვა ბიზნესკომპანია, რომლებსაც თავადვე მართავდა. მაშასადამე, მოსარჩელეს გააჩნდა მენეჯერული ფუნქციებიც. სადავო არაა, რომ შპს „ს.-ი“ და „გ.ტ.“ გარიგების დადების დროს წარმოადგენდნენ მსხვილ ბიზნეს-კომპანიებს საქართველოში, ანუ მათი მმართველი პირები წარმოადგენენ მეწარმეებს, მსხვილი საწარმოების წილის მფლობელებს, საწარმოთა ხელმძღვანელებს. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული გარემოება იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მაქსიმალური მოგების მიღებით, თუმცა, ეს არ ითქმის სადავო ხელშეკრულებებზე. ქ. ხ-მა დამოუკიდებლად და, როგორც შპს „პ-ის“ პარტნიორმა, არსებითად მცირე ფასად გადასცა მოპასუხეებს მედიაბაზარზე ერთ-ერთი ძალზე მაღალრეიტინგული საწარმოს წილი. საქმის მასალებით არ დგინდება

მოსარჩელეთათვის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულზე მეტი თანხის გადახდა ან მათი სხვა ვალდებულება მოპასუხე - შპს „ს-ისა“ და „გ.ტ-ის“ მიმართ, რაც საცნაურს გახდიდა ბიზნესის მწარმოებელი პირისგან მისი კუთვნილი ქონების ესოდენ დაბალ, არაპროპორციულ ფასად გაყიდვას.

60. სასამართლოს დასკვნით, მომსახურებასა და ფასს შორის თვალშისაცემი არაპროპორციულობა ამორალური გარიგების ერთ-ერთი სპეციალური შემთხვევაა. ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებით ვრცელი და მყარად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა გააჩნია გერმანიის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებებს, როგორც ავტორიტეტული და მონათესავე სამართლის ქვეყნის გადაწყვეტილებებსა და სამეცნიერო განმარტებებს, ეყრდნობა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოც.

61. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისა და გაბატონებული შეხედულების მიხედვით: 1. არაპროპორციულობა მომსახურებასა და ფასს შორის არის თვალშისაცემი და 2. სახეზეა სარგებლის მიმდების გასაკიცხი ქცევა (BGHZ 80, 153, 156; 87,309,315; 125, 135, 140; BGH NJW 1995, 1019; 2001, 1127). ამორალურობა დასტურდება სუბიექტური ნიშნის (გასაკიცხი ქმედება) ყოველგვარი მტკიცების გარეშე, თუ გაწეულ მომსახურებასა და ფასს შორის შეუსაბამობა „დაახლოებით 100%-ს აღწევს“ (Palandt, Otto (Begr.) Bürgerliches Gesetzbuch, 70. Aufl. 2011, §138 Rn. 34 a). შესაბამისობა მომსახურებასა და ფასს შორის შეიძლება უფრო ნაკლებად იყოს დარღვეული (BGH v. 08.11. 1991 V ZR 260/90 – LM BGB 138(Aa) Nr. 40 (8/1992)). ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული შემთხვევის ყველა გარემოება (მაგალითად, მართლწინააღმდეგობა გამორიცხულია, თუ კოლექციონერი სამოყვარულო ფასს იხდის საგანში, რომელსაც ის აგროვებს. ასევე, არაპროპორციულად ვერ შეფასდება ბილეთში „ზედმეტად“ გადახდილი თანხა, როდესაც სტადიონზე (ან თეატრში) დასასწრები ყველა ბილეთი გაყიდულია (Bamberger/Roth, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, München, 2012, S. 534, Rn.49.1). მოცემულ საქმეში ასეთ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებზე არც მოსარჩელე და არც მოპასუხე მხარე არ უთითებენ.

62. საქალაქო სასამართლოს დასკვნით, თვალშისაცემი არაპროპორციულობა არის ერთ-ერთი ობიექტური ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელსაც შეიძლება ეხებოდეს სარგებლის მიმდების განზრახვა. სსკ-ის 54-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მას აქვს მტკიცების ფუნქცია, რომელიც ადასტურებს სარგებლის მიმდების გასაკიცხ საქციელს. ასეთ დამოკიდებულებას სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ

მეცნიერებაში საფუძვლად უდევს ის ემპირიული მსჯელობა, რომ „უჩვეულო“ მომსახურებას, როგორც წესი, არ სთავაზობენ იძულების ან სხვა ნეგატიური გარემოებების არსებობის გარეშე და სარგებლის მიმღებიც აცნობიერებს ამ რეალობას (BGH v.19.01.2001 – V ZR 437/99 – BGHZ 146, 298-310). სუბიექტური მხარე არ არის მნიშვნელოვანი, თუ ხელშეკრულების შინაარსი განსაკუთრებით „აუტანელია“. ასეთ შემთხვევაში, გარიგების შინაარსი „ასატანი“ ვერ გახდება მხოლოდ იმის გამო, რომ მხარეები ცდებოდნენ. ასევე, არ არის აუცილებელი ამორალურობისა და „წესიერი ქცევის“ გარემოებათა ცოდნა, როდესაც ამორალურობა ვლინდება მეორე მხარის მიმართ განხორციელებულ ქცევაში (მაგალითად, როდესაც არაპროპორციულია მომსახურება და ფასი).

63. საქალაქო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ სახის საქმეებზე გერმანიის სასამართლო პრაქტიკა შედარებით სუსტ მოთხოვნებს უყენებს სუბიექტურ შემადგენლობას. ამ სუბიექტური ნიშნის (გასაკიცხი ქცევა) არსებობა ივარაუდება, თუ სახეზეა ობიექტური წინაპირობა (ამ შემთხვევაში, თვალშისაცემი არაპროპორციულობა მომსახურებასა და ფასს შორის) (BGH NJW 1984, 2292, 2294). თვალშისაცემი არაპროპორციულობის დადგენა მომსახურებასა და ფასს შორის უკვე იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ სახეზეა სარგებლის მიმღების გასაკიცხი ქმედება და რომ მან (სარგებლის მიმღებმა) შეგნებულად ან უხეში გაუფრთხილებლობით ისარგებლა იმ ხელისშემშლელი გარემოებებით, რომლებმაც შეზღუდეს პარტნიორის სახელშეკრულებო გადაწყვეტილების თავისუფლება (BGH v. 05.10.2001. – V ZR 237/00 – LM BGB 138 (Bb) Nr. 100 (5/2002)).

64. სასამართლომ დაასკვნა, რომ სწორედ ზემოთ ჩამოყალიბებულ შეფასებებში განხილული წინაპირობები იყო განსახილველ შემთხვევაშიც. მოპასუხემ ვერ ახსნა, თუ რატომ უნდა დაედო მოსარჩელეს ესოდენ არაადეკვატური ფასის გარიგებები. ასეთ შემთხვევაში სწორედ მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებების დადასტურება, რადგან თვალშისაცემი არაპროპორციულობა ფასსა და გაწეულ მომსახურებას შორის უკვე თავისთავად განაპირობებს იმას, რომ სარგებლის მიმღებმა მხარემ უნდა უარყოს სუბიექტური წინამძღვრების (გასაკიცხი ქცევის) არსებობა. სწორედ სარგებლის მიმღების ვალდებულებაა, ამტკიცოს საწინააღმდეგო ანუ წარადგინოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომელიც უარყოფს გასაკიცხი ქმედების ფაქტობრივ ვარაუდს (პრეზუმფციას) (BGHZ 98, 174, 178; BGHZ 104, 102, 107). გერმანიის სასამართლოების პრაქტიკის შესაბამისად, მომსახურებასა და ფასს შორის თვალშისაცემი არაპროპორციულობის სუბიექტური წინაპირობებისას გერმანიის სასამართლო

პრაქტიკაში განსაკუთრებით ფართოდ არის გათვალისწინებული მტკიცების გაიოლების პრაქტიკა(Herberger-Martinek_Rüßmann-Weth, Juris Praxiskommentar BGB. allgemeiner Teil, Band I, Saarbrücken, 2012, S. 954, Rdnr.72., BGH v. 08.02.1994 XI ZR 77-93 WM 1994, 583,584.). გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს აზრით, ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მთლიანად კი არ გადადის სარგებლის მიმღებზე, არამედ ხდება მხოლოდ მტკიცების გაიოლება... თვალშისაცემი არაპროპორციულობა ფასსა და გაწეულ მომსახურებას შორის უკვე თავისთავად განაპირობებს იმას, რომ (სწორედ) სარგებლის მიმღებმა მხარემ უნდა უარყოს სუბიექტური წანამძღვრების (გასაკიცხი ქცევის) არსებობა. სწორედ სარგებლის მიმღების ვალდებულებაა, ამტკიცოს საწინააღმდეგო, ანუ წარადგინოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფს გასაკიცხი ქმედების ფაქტობრივ ვარაუდს (პრეზუმფციას) (BGHZ 98, 174,178 BGHZ 104, 102, 107,ö BGHZ 128, 255,269ö BGHZ 146,289,305).

65. საქალაქო სასამართლოს მსჯელობით, განსახილველ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ სადავო გარიგებები დადებულია ქართულ (და საერთაშორისო) საზოგადოებაში მიღებული წესების უგულებელყოფით. კერძო ავტონომია მხარეებმა ვერ შეუსაბამეს დადგენილ ზნეობრივ ნორმებს. აღნიშნულ ურთიერთობაში, ცხადია, რომ დაუცველი მხარე არის მოსარჩელე, რომლის რეალურად მილიონობით დოლარად შეფასებული არამატერიალური აქტივი მოპასუხეების საკუთრებაში გადავიდა სრულიად შეუსაბამო ფასად, მოპასუხემ კი ვერ გაამართლა ფასთა ამგვარი თვალშისაცემი დისპროპორცია. საქმის მასალებით არ დასტურდება ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადახდაც კი.

66. სასამართლომ იმსჯელა კეთილსინდისიერების პრინციპზე და განმარტა, რომ გარიგება, რომელიც არღვევს ეთიკური მინიმუმის სტანდარტს, ბათილია. კერძო ავტონომია, რომლის ფარგლებში იდება ხელშეკრულება, დაცული უნდა იქნეს, მაგრამ მისი დაცვა გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია, სწორედ ზოგადზნეობრივი ნორმების შეფარდების გზით. "კერძო ავტონომია, განსაზღვრულ შემთხვევაში, შეიძლება დაცულ იქნეს მხოლოდ ამ კერძო ავტონომიაში ჩარევის გზით" (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, BVerfGE 89, 214, NJW 1994, 36).

67. სსკ-ის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. გარიგების ბათილად ცნობა გულისხმობს მისი მოქმედების შეწყვეტას დადების მომენტიდან,

მხარეთა ნაკისრი ვალდებულებების ანულირებას. აღნიშნული გამორიცხავს მისი დადებისთანავე იურიდიული შედეგის დადგომას არა მხოლოდ მონაწილე, არამედ მესამე პირებისათვის. მოსარჩელის ახსნა-განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ მოსარჩელის ირგვლივ განვითარებულმა უჩვეულო მოვლენებმა განაპირობა ხელშეკრულებების იმგვარად დადება, როგორც ეს ამ საქმეშია წარმოდგენილი, კერძოდ, ნასყიდობის საგნის ფასი შეუსაბამოდ დაბალია.

68. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მყიდველთა ინტერესის სფეროზეც, რომელიც, როგორც მათივე განმარტებებიდან და შემდგომ განვითარებული გარემოებებიდან ირკვევა, არ წარმოადგენდა მათ ბიზნეს საქმიანობას. ამ ვარაუდს ირიბად ადასტურებს ისიც, რომ შპს „ს-მა“, შექმნიდან 9 თვეში, თითქმის იმავე ფასად, ხოლო შპს „გ.ტ.-მა“, ყიდვიდან 12 დღეში (23%) და 33 დღეში (55%), ასევე, თითქმის იმავე ფასად გაასხვისეს შექმნილი წილები, ხოლო 2006 წლის 17 ნოემბრის შემდეგ, 14-ჯერ შეიცვალა შპს „ს. კ. რ.2“-ის წილებზე საკუთრება, მათ შორის, ხშირ შემთხვევაში - უსასყიდლოდ (*იხ. ამ გადაწყვეტილების 1-16 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები*).

69. ყველა ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს დასკვნით, ქ. ხ-სა და შპს „პ-ის“ ირგვლივ შექმნილმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ 2005 წლის 25 დეკემბერსა და 2006 წლის 17 ნოემბერს დაიდო მოსარჩელეთა საწინააღმდეგო, ზნეობრივ ნორმათა ხელმყოფი გარიგებები (სსკ-ის 54-ე მუხლი), რა დროსაც უხეშად დაირღვა სამოქალაქო კოდექსის ფუძემდებლური პრინციპი, რაც სამოქალაქო უფლების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებას გულსხმობს (სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი, 115-ე მუხლი).

70. საქალაქო სასამართლოს დასკვნით, მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის სხვა რეგულაციებისა, რაც მსგავსი გარიგებების ბათილად ცნობის წინაპირობებს ქმნის, საკმარისად იქნა მიჩნეული სადავო წილის ნასყიდობის ხელშეკრულებათა ანულირება სსკ -ის 54-ე, 61-ე მუხლების საფუძველზე.

71. გარიგებათა ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლების დადგენის შემდეგ, სასამართლომ იმსჯელა, თუ რომელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე უნდა მომხდარიყო გადაცემულის უკან დაბრუნება და, აღნიშნულთან დაკავშირებით, სსკ-ის 976-991-ე მუხლებით მოწესრიგებულ უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ მომწესრიგებელ ნორმებზე მიუთითა. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის ”ა“

პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში;

72. სასამართლომ აღნიშნა, რომ უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი. გარდა ამისა, მითითებული საფუძველით პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს გარკვეული კუმულატიური წინაპირობები, კერძოდ: 1. მოპასუხე უნდა გამდიდრდეს; 2. მოპასუხის გამდიდრება უნდა გამოიწვიოს მოსარჩელის ქმედებამ - ქმედებასა და შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი; 3. მოპასუხის გამდიდრება, როგორც შედეგი, უნდა იყოს უკანონო ანუ მას არ უნდა ჰქონდეს კანონისმიერი შესაძლებლობა, კომპენსაციის გარეშე მიითვისოს აღნიშნული ქონება. რომელიმე ამ პირობის არარსებობა გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამიტომ, მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი არ არსებობს, თითოეული მათგანის არსებობა ერთობლივად უნდა დადგინდეს.

73. სასამართლომ იმსჯელა, რომ დადგინდა - 2005 წლის 25 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულებები უცილოდ ბათილი გარიგებები იყო, რაც პირს უფლებას აძლევდა, უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება მოეთხოვა. ამ კონტექსტში მოპასუხეები ყურადღებას ამახვილებდნენ უკან დაბრუნების გამომრიცხავ წინაპირობებზე, კეთილსინდისიერ შემძენზე მითითებით.

74. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები ითხოვდნენ წილის უკან დაბრუნებას. წილთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ ვერ გაავრცელებდა სსკ-ის 185-ე მუხლით განსაზღვრულ რეგულაციას უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შეძენასთან დაკავშირებით, კერძოდ, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ის 185-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმებთან ერთობლივად, ქმნიდა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის

გარანტიას. სსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრში შეიტანება საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები, რომლებიც უკვე არსებობს. სსკ-ის 312-ე მუხლი ემსახურება 311-ე მუხლის დაცვას, კერძოდ, მისი პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა; იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

75. ამ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საჯარო რეესტრს, როგორც უძრავ ნივთებზე უფლებათა მარეგისტრირებელ ორგანოს, გააჩნია სანდოობის მაღალი ხარისხი, რაც გამოიხატება კანონისმიერ პრეზუმფციაში, თანახმად სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა. ამგვარი პრეზუმფცია კი საზოგადოების წილთან მიმართებით არ გამომდინარეობს არც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან და არც სამოქალაქო კოდექსიდან. შესაბამისად, სასამართლო სამეწარმეო საზოგადოების წილის შეძენასთან დაკავშირებით ვერ გამოიყენებს სსკ-ის 185-ე მუხლის რეგულაციას, რადგან ის არის საგამონაკლისო, სპეციალური ნორმა უძრავ ქონებასთან მიმართებით. ამდენად, არსებული საკითხის დასარეგულირებლად გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 187.2 მუხლი. დასახელებული ნორმის მიხედვით კი, მოძრავი ნივთების შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრემ ეს ნივთები დაკარგა, მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა თუ შემძენმა ისინი უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდების ან/და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ. სსკ-ის 187-ე მუხლი ითვალისწინებს პრეზუმფციას, რომლის თანახმად, "პირმა, რომელმაც არასათანადო პირისაგან შეიძინა საკუთრება, უნდა დაამტკიცოს თავისი კეთილსინდისიერება, როგორც საკუთრების შეძენის წინაპირობა" (პ. ბიოლინგი, პ. ლლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009წ., გვ. 68).

76. სასამართლომ იმსჯელა, რომ სსკ-ის 187-ე მუხლიდან გამომდინარე, კანონმდებლის ნება მოძრავი ნივთების გასხვისებასთან მიმართებით სრულიად ნათელია, კანონმდებელი არ ანიჭებს ლეგიტიმაციას იმგვარ შენაძენს, თუნდაც იგი კეთილსინდისიერების ფარგლებში იყოს განხორციელებული, როდესაც მესაკუთრეს

ნივთი მოჰპარეს, ან მისი ნების საწინააღმდეგოდ გავიდა იგი მისი მფლობელობიდან. გარიგების ამორალურობა კი თავისთავად გულისხმობს ნებასთან წინააღმდეგობრიობას, ნების არარსებობას. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, წილის შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, რადგან გარიგება დაიდო მისი ნების საწინააღმდეგოდ. მოძრავი ნივთების მსგავსად, წილის შემძენის კეთილსინდისიერება ვერ გადაჭარავს საჯარო წესრიგით განმტკიცებულ ქცევის წესებს, რომ ნებისმიერი გასხვისება-განკარგვა უნდა მოხდეს თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, ხოლო მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ ნივთის თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გასვლა მისი მფლობელობიდან არ იცავს შემძენს არარა გარიგების შედეგებისგან. ამდენად, კანონმდებლის ნება ცალსახა და ცხადია - სამოქალაქო ბრუნვა უნდა განხორციელდეს ლეგიტიმურ საფუძველებზე. აქედან გამომდინარე, მოპასუხეები არ არიან კეთილსინდისიერი შემძენები, შესაბამისად, მათ მიმართ არ მოქმედებს და ვერც იმოქმედებს კეთილსინდისიერი შემძენის სტანდარტი, რაც სასამართლოს დაავალდებულებდა, შეემოწმებინა შპს „ს.კ. რ.2“-ის დღევანდელი პარტნიორების კეთილსინდისიერება წილთა შეძენის მომენტში. ეს წინაპრობები შესაძლოა, შემოწმდეს სხვა დავაში წილის შემძენთა ურთიერთმოთხოვნების წაყენების შემთხვევაში.

77. საქალაქო სასამართლომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებზეც მიუთითა, კერძოდ: *„საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს მისი კანონიერად შეძენის ფაქტი. ზუსტად ეს გარემოებაა გადამწყვეტი კანონიერი საკუთრების უფლების არსებობისათვის... საკუთრება კანონიერია და 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ მისი შეძენა მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით“* (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება). სხვა საქმეში იმავე სასამართლომ განმარტა საკუთრების განკარგვის თავისუფლება: *„საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას“* (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება). ასევე, *„ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი არ უზრუნველყოფს, როგორც ასეთს, რაიმე სახის უფლებას საკუთრების მოპოვებაზე“* (ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება *MAGGIO AND OTHERS v. ITALY*).

78. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელებს სსკ-ის 187.2-ე მუხლის მოთხოვნათა, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ საკუთრება მათი მფლობელობიდან გავიდა მათი ნების საწინააღმდეგოდ, შეუძლიათ საკუთრების (წილის) გამოთხოვა მისი ბოლო მფლობელისგან და, თუ წილის შემძენი რომელიმე

პირი (ფიზიკური თუ იურიდიული) მიიჩნევს, რომ წილის მოსარჩელეთა საკუთრებიდან მის ბოლო მფლობელობამდე პერიოდში დაირღვა მათი რაიმე უფლება, შეუძლიათ ურთიერთმოთხოვნები წაუყენონ მხოლოდ ერთმანეთს ანუ მხოლოდ წილის შემძენ სხვა პირებს. ამ კონტექსტში საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: "...ევროპული სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ იმ საქმეთა განხილვისას, რომლებიც საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევას ეხება, სასამართლო ამოწმებს: ა) ხდება თუ არა საკუთრების უფლების დარღვევა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში, ისევე როგორც ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სტანდარტით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმების ფარგლებში; ბ) განხორციელდა თუ არა ქონების რეალური ხელყოფა; გ) ემსახურება თუ არა ხელყოფა კანონიერ მიზანს, თუ ხელყოფა უკანონოა; დ) ხელყოფის პროპორციულობას; ე) ხდება თუ არა მატერიალური კომპენსაცია, თუ ქონების ფიზიკური რესტიტუცია შეუძლებელია".

79. სასამართლომ დაასკვნა, რომ საკუთრების უფლების შელახვა (და არა შეზღუდვა) დღის წესრიგში აყენებს ქონებრივი რესტიტუციის განხორციელების საჭიროებას და, უფრო მეტიც, ასეთი ფაქტების გამოვლენისას რესტიტუცია სავალდებულო სტანდარტია ევროპული სასამართლოს გაგებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე (*Eskomoravska myslivecka jednota v. Czech Republic, Application #33091/96* ი) განაცხადა: „ამ აქტის [რესტიტუციის აქტი] მიზანია, შეამსუბუქოს გარკვეული ზიანი, რომელიც დადგა დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებსა და მოქალაქეთა უფლებებთან შეუთავსებელი ქმედებების განხორციელების შედეგად. ამ აქტის [რესტიტუციის აქტი] მიღებისას კანონმდებლებმა ხაზი გაუსვეს თავიანთ განზრახვას, ალექვეთათ წარსულში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განმეორების შესაძლებლობა. ამდენად, რესტიტუციის აქტი იურიდიული მოქმედებების კანონიერების დაცვის კანონიერ მიზანს ემსახურება. იგი ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას და უზრუნველყოფს ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები ასეთი პრინციპების დარღვევით განხორციელდა.“

80. საქალაქო სასამართლომ ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების შედეგად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო: შესაბამისად, სასამართლომ გააუქმა შპს „ს.კ.რ.2“ –ის პარტნიორების - ლ. ყ–ს 22%-ის, გ. ყ–ს 18%-ის, შპს „ტ. ს–ს 51%-ის, ნ. ნ–ის 9%-ის წილების რეგისტრაცია და მოსარჩელები - ქ. ხ. ცნო შპს „ტ.რ.2“–ის 60% წილის, ხოლო შპს „პ. –მა“ - 40% წილის მესაკუთრედ.

81. სასამართლომ ასევე იმსჯელა მოპასუხეთა შესაგებლებზე იმ თვალსაზრისითაც, რომ ისინი მოთხოვნის განხორციელების შეუძლებლობაზე მიუთითებდნენ, მისი ხანდაზმულობის გამო. სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. არც

ამორალური გარიგების ბათილად ცნობას, არც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე უკუმოთხოვნას არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ან სხვა რაიმე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები. შესაბამისად, მათ მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის საერთო - 10 წლიანი ვადა, რაც მოსარჩელეებს 2005 წლის 25 დეკემბრიდან, და მით უფრო, 2006 წლის 17 ნოემბრიდან სარჩელის აღძვრამდე, დაცული აქვთ.

82. სასამართლომ დამატებით იმაზეც მიუთითა, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის (მიღებულია 2008 წლის 19 დეკემბერს) ამოქმედებამდე, სამეწარმეო რეესტრის მიმართ არ ვრცელდებოდა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, რადგან არ არსებობდა ერთიანი საჯარო აღრიცხვის სივრცე. წილთა სადავო გადაფორმება განხორციელდა 2005 წლის 26 დეკემბერს და 2006 წლის 17 ნოემბერს. შესაბამისად, ამ პერიოდში საწარმოში წილის ნასყიდობაზე ვერ გავრცელდებოდა სსკ-ის 185-ე მუხლის რეგულაცია, მასზე შეიძლებოდა მხოლოდ სკ-ის 187.2 -ე მუხლის მოთხოვნების მისადაგება.

83. სასამართლომ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ 2006 წლის 01 დეკემბერს შპს „გ.ტ.-სა“ და კომპანია „D.R.“-ს შორის შპს „ს.კ.რ.2“-ის წილების ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, მოპასუხეთაგან ერთ-ერთი - ლ. ყ. წარმოადგენდა კომპანია „D.R.“-ს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს გარიგება დაიდო 14 დღეში, მას შემდეგ, რაც შპს „გ.ტ.“-მა ქ. ხ-გან შეიძინა შპს „ს. კ. რ. 2“-ის 38%-იანი წილი 2006 წლის 17 ნოემბერს; მოპასუხე ლ. ყ-თვის ცნობილი იყო ის გარემოება, რომ სადავო ქონების ღირებულება შეადგენდა გაცილებით მეტს, ვიდრე იგი გაიყიდა შპს „გ.ტ.-ზე“, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ორი კვირის შემდეგ მიჰყიდა წილი კომპანია „D.R.“-ს. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შპს „ს. კ. რ.2“-ის 55% წილი რეალიზებულ იქნა 135 150 აშშ დოლარად (234 012 ლარად) მაშინ, როცა მისი რეალური ღირებულება შეადგენდა 4 758 155 ლარს (საექსპერტო დასკვნის მიხედვით 1% წილის ღირებულება 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენდა 86 511,9 ლარს). სასამართლომ აღნიშნა: იმის გათვალისწინებით, რომ ლ. ყ-მ იცოდა, რომ სადავო ქონების (წილის) ღირებულება შეადგენდა გაცილებით მეტს, ვიდრე ის შეიძინა შპს „გ.ტ.“-მა, მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ მან, როგორც შემძენმა (სწორედ, ის წარმოადგენდა კომპანიას, რომელმაც შეიძინა წილი შპს „გ.ტ.-გან“), იცოდა, რომ გამსხვისებელი (შპს „გ.ტ.“) არ იყო გასხვისებული წილის მესაკუთრე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეთაგან ორი პირი - ლ. და გ. ყ.-ები არიან ძმები. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ რეესტრის სისრულისა და სიზუსტის პრეზუმფციასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო 2010 წლის 10 ივნისის

გადაწყვეტილებაში მიუთითებს: „ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ „N“ წარმოადგენს მოსარჩელის ოჯახის წევრს და მასზე არ შეიძლება გავრცელდეს საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია (აღნიშნული წარმოადგენს პრეზუმფციას მესამე პირთათვის და არა ოჯახის წევრებისათვის” - იხ. სუსგ #ას-139-132-10. 10.06.2010 წ.).

84. სასამართლომ განმარტა: საქმის მასალებით დადგინდა, რომ ლ. და გ. ყ-ებს აქვთ საერთო საწარმოები, ხოლო მათი მოქმედებები ბიზნესსაქმიანობის დროს კოორდინირებულია (მაგალითად, 2012 წლის 4 ოქტომბერს ლ. ყ. ჰყიდის შპს „ს. კ. რ. 2“-ის წილს შპს „მ. ჯ-ზე“, რომელსაც 5 დღის შემდეგ ყიდულობს მისი ძმა - გ. ყ.). ასეთ პირობებში, როგორც ლ. ყ-ის, ისე მისი ძმის - გ. ყ-თვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, უფრო მეტიც, ზემოთ განვითარებული მსჯელობის შედეგად, მიჩნეული უნდა იყოს, რომ მათ იცოდნენ კიდევ სადავო ქონების - შპს „ს. კ. რ. 2“-ის წილების სამეწარმეო რეესტრში ასახული მონაცემების უზუსტობის თაობაზე ანუ იცოდნენ, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

85. სასამართლოს დასკვნით, მოპასუხეთა პოზიციის გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, სამეწარმეო რეესტრის სისრულისა და სიზუსტის პრეზუმფციაზე მითითებითაც, მყიდველები: ლ. და გ. ყ-ები ვერ ჩაითვლებიან კეთილსინდისიერ შემძენებად, ვინაიდან მათთვის ცნობილი იყო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობა. საქალაქო სასამართლომ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ერთ-ერთი მოპასუხე საწარმოს - შპს „ტ.ს-ს“ 100% წილის მესაკუთრეებს წარმოადგენენ ლ. და გ. ყ-ები. საქმის მასალებში (ტ. 1, ს.გ. 157-158) წარმოდგენილია შპს „ს. კ. რ. 2“-ის პარტნიორთა კრების ოქმი, რომლითაც დადასტურებულია, რომ შპს „ტ.ს-ს“ 100% წილის მფლობელები ლ. და გ. ყ-ები იძლევიან გარკვეულ მითითებებს შპს „ტ.ს-ს“ მიერ შპს „ს. კ. რ. 2“-ის საწესდებო კაპიტალში შენატანთან დაკავშირებით, რაც ადასტურებს, რომ შპს „ტ.ს-ს“ მიერ წილის მიღება სრულად იყო შეთანხმებული და ნებადართული პარტნიორების მხრიდან. შესაბამისად, ამ უკანასკნელ იურიდიულ პირზეც ვერ გავრცელდება საჯარო რეესტრის სიზუსტისა და სისრულის პრეზუმფცია, რადგან ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

86. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა მოპასუხე ნ. ნ-ის შესაგებელზეც, რომელმაც ქონება (წილი საწარმოში) უსასყიდლოდ, მემკვიდრეობით მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. მოპასუხის მეუღლემ - გ. გ-მ 2011 წლის 6 დეკემბერს შეიძინა შპს „ს.კ.რ2“-ის 10% წილი, თუმცა, როგორც საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ნასყიდობის თანხის ოდენობა და მისი გადახდის ფაქტი. ამდენად, სასამართლო საზოგადოების წილის შეძენასთან დაკავშირებით ვერ

გამოიყენებდა სსკ-ის 185-ე მუხლის რეგულაციას, რადგან, როგორც ზემოთ აღნიშნა, ის საგამონაკლისო, სპეციალური ნორმაა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებისათვის. სასამართლოს შეფასებით, გადაწყვეტილების გამოტანის დროს სადავო წილის რეგისტრირებული მესაკუთრე არ და ვერ ჩაითვლებოდა კეთილსინდისიერ შემძენად, შესაბამისად, მესაკუთრედ, რადგან მან იცოდა, რომ გამსხვისებელი (ის გამსხვისებელი, რომელმაც ამორალური გარიგებით ქ. ხ-ისა და შპს „კ-გან“ შეიძინა შპს „ს. კ. რ.2“-ის წილი) არ იყო მესაკუთრე.

87. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა სამეცნიერო ლიტერატურაში ვინდიკაციის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებსა და დასკვნებზე (იხ. ტ.5, ს.გ. 387-388, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება). ამავე კონტექსტში, საქალაქო სასამართლომ დამატებით მიუთითა რეესტრის სიზუსტისა და სისრულის პრეზუმფციის გამომრიცხავ გარემოებაზე. კერძოდ, საქმის მასალებში განთავსებულ 2008-2009 წლების წერილებზე, რომლებითაც მოსარჩელე მიმართავდა საქართველოს პროკურატურას. სასამართლომ აღნიშნა: ამ წერილებით დასტურდება, რომ პროკურატურას აღნიშნულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება საქმის სასამართლოში განხილვის დროისათვისაც არ აქვს გამოტანილი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთ-ერთ საქმეში მიუთითებს: *„რაც შეეხება ხელისუფლების ვალდებულებას, განიხილოს ალტერნატიული ღონისძიებები, „კარგი მმართველობის“ პრინციპის დაცვა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. აღნიშნული მოითხოვს, რომ როდესაც საზოგადოებრივი ინტერესია დღის წესრიგში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანის ფუძემდებლო უფლებებში, როგორცაა საკუთრების უფლება, ჩარევას აქვს ადგილი, ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს დროულად, ჯეროვნად და რაც მთავარია, თანმიმდევრულად“* (საქმე JGK STATYBA LTD AND GUSELNIKOVAS v. LITHUANIA, 2013) - იხ. ტ.5, ს.გ. 388;

88. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 312-ე მუხლით დადგენილი რეესტრის ჩანაწერის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია ქარწყლდება, როცა „ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.“ სასამართლომ აღნიშნა, რომ უდავოა, მოსარჩელემ აღძრა საჩივარი (სარჩელი) 2008 წლის 1 დეკემბერს. საქმის მასალებში დაცული საჩივრებით დასტურდება, რომ მოსარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ქ. ხ-ის, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად, ასევე სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობა მისი კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად; გასათვალისწინებელია აღნიშნული საჩივრების წარდგენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რედაქცია, რომლის 30-ე მუხლის თანახმად *„პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღდა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით*

წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“. ამავე კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად კი: „1. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ მომკვლევთან, გამომძიებელთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე. 2. სამოქალაქო სარჩელს განიხილავს და წყვეტს სასამართლო, რომლის განსჯადიცაა სისხლის სამართლის საქმე“. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს (ქ. ხ-ს, რომელიც ასევე შპს “პ-ის” წარმომადგენელიც იყო) სადავოდ ჰქონდათ გამხდარი, როგორც სავარაუდო დანაშაულის გამოძიების საკითხი, ასევე, კუთვნილი ქონების დაბრუნების მოთხოვნა სამოქალაქო სარჩელის წარდგენის გზით, სისხლის სამართალწარმოებისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა მიმართეს კანონით გათვალისწინებულ ზომებს სადავო ქონების დაბრუნების მოთხოვნით, რაც ასევე აქარწყლებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრეზუმფციას. სსსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვერ გასცდება მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა, მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი საჩივარი (სარჩელი), რეესტრის სისწორის პრეზუმფციას აცლის საფუძველს იმ დროიდან, რაც აღნიშნული საჩივარი (სარჩელი) წარდგენილ იქნა სათანადო ორგანოში.

89. სსკ-ის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ მოძრავი, თუ უძრავი ნივთების, მათ შორის, საწარმოში წილის, სხვა პირის საკუთრებაში გადასვლა, უპირობოდ ქმნის ფაქტობრივ და სამართლებრივ წანამძღვრებს ზიანის ასანაზღაურებლად, განსაკუთრებით, თუ მესაკუთრე მისი ნების საწინააღმდეგოდ წლების განმავლობაში ვერ სარგებლობდა ან/და ვერ სარგებლობს თავისი საკუთრებით.

90. სასამართლოს მსჯელობით, სადავო (ნების საწინააღმდეგო) ხელშეკრულებების დადებიდან საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში, საწარმოს მოძრავი, თუ უძრავი ქონება, მისი წილის ღირებულება შეიცვალა და მოსარჩელები საწარმოში წილების დაბრუნებით ფაქტობრივად მიიღებენ ქონებას გაზრდილი ღირებულებით. იმის გათვალისწინებით, რომ ქონების გაზრდილი ღირებულებით ხდება 18 367 868.8 ლარის ოდენობის ზიანის კომპენსირება, მოთხოვნა 18 367 868.8 ლარის ოდენობით ზიანის დაკისრების შესახებ (იხ. ამ გადაწყვეტილების 23.25 ქვეპუნქტი), მიუხედავად იმისა, რომ მისი დაანგარიშება ეფუძნება მოპასუხეთა მიერ წარდგენილ წერილობით მასალებს, სასამართლოს დასკვნით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

91. სასამართლომ მოსარჩელე არ მიიჩნია სარჩელის აღძვრის მომენტისათვის შპს “ს. კ. რ.2“-ის ლოგოსა და გადაცემების - „ბ.ს-ის“, „უ.გ-სა“ და „ჯ-ის“ - ავტორად,

შესაბამისად, მოთხოვნა 200 000 აშშ და 300 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, როგორც დაუსაბუთებელი, არ დააკმაყოფილა სპეციალური კანონის 58-59-ე მუხლების საფუძველზე.

მოსარჩელეთა და მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრები

92. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა და მოპასუხეთაგან: შპს “ჰ.ჯ-მ”, ლ. და გ. ყ-ებმა, შპს “ტ. ს-მ” , ნ. ნ-მ.

92.1. მოსარჩელებმა მოითხოვეს სარჩელის უარყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება ახალი გადაწყვეტილების მიღებით;

92.2. მოპასუხეებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

93. მოპასუხე - შპს “ჰ.ჯ-ის” სააპელაციო საჩივარი (იხ. ტ. ტ. 5, ს.გ. 21-32. ტ. 7, ს.გ. 84-92) შემდეგ პრეტენზიებს მოიცავს:

93.1. სასამართლო არასწორად განმარტავს სადავო ხელშეკრულების (2005 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულება წილის ნასყიდობის შესახებ) ბათილობის სამართლებრივ საფუძველს, რამდენადაც ვერ აზუსტებს ამ გარიგებით დაცული ფასეულობის (კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები, საჯარო წესრიგი, თუ ზნეობის ნორმები, თუ ყველა ერთად) არსს. კერძოდ, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სადავო ხელშეკრულებას სასამართლო მიიჩნევს ამორალურად მხოლოდ იმის გამო, რომ წილის შემძენის მიერ გადახდილი ფასი არ შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას, მაგრამ არ (თუ ვერ) იკვლევს ამ შეუსაბამობის გამომწვევ მიზეზს. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, გამოიყენა სსკ-ის 54-ე მუხლი;

93.2. გადაწყვეტილება ძირითადად დაფუძნებულია საექსპერტო დასკვნაზე შპს „ს. კ. რ.2“-ის წილის ღირებულების განსაზღვრის შესახებ, რომლითაც დადგინდა, რომ გასხვისების დროს წილის ღირებულება შეადგენდა 574 756 ლარს. სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია ნასყიდობის ობიექტის საბაზრო ფასის განსაზღვრის იმ მეთოდზე, რომელიც გათვალისწინებულია საგადასახადო კანონმდებლობით და რომელზეც დასაბუთებულად მიუთითებს აპელანტი. კერძოდ, სასამართლოს არ დაუსაბუთებია ერთი მტკიცებულების უპირატესობა მეორესთან და არ მოუხდენია

მათი შედარებითი ანალიზი; სასამართლომ არ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის (2010 წლის რედაქცია) 18.2 მუხლი, რომელიც, ხელშეკრულების ფასის სადავოდ გახდომისა და სათანადო მონაცემების არსებობის შემთხვევაში, წარმოადგენს საბაზრო ფასის მარტივად განსაზღვრის ყველაზე მართებულ მეთოდოლოგიას. აღნიშნული ნორმის თანახმად, აპელანტის მიერ წილის ნასყიდობის ფასი უნდა დადგინდეს იმ გარიგებებიდან, რომლებიც დაიდო აღნიშნული წილის ნასყიდობასთან დაკავშირებით;

93.3. სასამართლოს აგრეთვე არ დაუსაბუთებია წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის შესაძლებლობა სანოტარო აქტის ბათილობის გარეშე. კერძოდ, სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი გარიგება დადებულია სანოტარო წესით, როდესაც ნოტარიუსი ადასტურებს მხარეთა ნების გამოვლენის ავტონომიურობასა და ხელშეკრულების შინაარსის კანონიერების ფაქტს. ამ გარიგების ბათილად ცნობა კი აუცილებლად მოითხოვს სანოტარო აქტის, როგორც იურიდიული შედეგის, ბათილად ცნობას, რადგან სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა; სასამართლომ არ გამოიყენა “ნოტარიატის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ნოტარიუსის მიერ შესრულებულ მოქმედებას აქვს იურიდიული შედეგი და სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს გააჩნია უდავო მტკიცებულებითი ძალა. ამ ნორმის გამოუყენებლობით სასამართლომ გვერდი აუარა იმ აუცილებლობას, რომ გარიგების ბათილობისათვის საჭირო იყო სანოტარო აქტის ბათილობაც. სასამართლომ არ გაუთვალისწინებია აპელანტის ვარაუდი იმის თაობაზე, რომ შემსრულებელს სურდა ქონების გადაცემა, რაც გამორიცხავს შესრულების უკან გამოთხოვას უსაფუძვლო გამდიდრების წესების გამოყენების საფუძველზე. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ 976.2-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლითაც იმ შემთხვევაში, თუ პირმა ვითომ-კრედიტორს ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, არ შეუძლია მოითხოვოს უკან დაბრუნება, თუ მიმღებს შეეძლო ევარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა. განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ ქ. ხ–ს სურდა წილის გადაცემა, მაგრამ, მისი შეხედულებით, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ის შეცდა გარიგების ფასში და მიიღო შეუსაბამოდ დაბალი ანაზღაურება. ასეც რომ ყოფილიყო, მაშინ მას უნდა მოეთხოვა მხოლოდ სახელშეკრულებო ფასსა და რეალურ საბაზრო ფასს შორის სხვაობის უკან დაბრუნება და არა ხელშეკრულების ბათილობა;

93.4. სასამართლომ არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა აპელანტის მიერ წარდგენილი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შპს „ს. კ. რ. 2“-ის წილის 22%-ის

აპელანტის მიერ ქ. ხ-გან შესყიდვის დღესვე (2005 წლის 26 დეკემბერს), იმავე მხარეებს შორის დაიდო ასევე წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც აპელანტმა მოწინააღმდეგე მხარის (ქ. ხ-ის) სასარგებლოდ გაასხვისა შპს „ტ. მ-ში“ მისი კუთვნილი 78%. შესაბამისად, მხარეთა შორის წარმოიქმნა ურთიერთმოთხოვნები, რომლებიც გაიქვითა. აღნიშნულ ტრანზაქციებში ნასყიდობის ფასების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ კომპანიათა საწესდებო კაპიტალების გათვალისწინებით, რაც მითითებულია წილის ფასის განსაზღვრის საფუძვლად შპს „ტ. მ-ის“ წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, შპს „ტ. რ. 2-ის“ წილის 1%-სა და შპს „ტ. მ-ს“ წილის 2%-ის ღირებულებები თითქმის თანაბარი იყო, თუმცა, სწორედ საბაზრო ფასისა და ბაზარზე ამ კომპანიათა პოზიციების გათვალისწინებით, მოწინააღმდეგემ შპს „რ.2“-ის 22% წილის სანაცვლოდ მიიღო შპს „ტ. მ-ის“ 78%-იანი წილი, რაც დაახლოებით 1/3,5-თან შეფარდება. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს გარიგების თავისუფალ, საბაზრო ხასიათს და გამორიცხავს რაიმე სახის იძულებას, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ქ. ხ-მა შპს „ტ. მ-ში“ მიიღო საკონტროლო პაკეტი, ხოლო შპს „ტ.რ.2“-ში დათმო მინორიტარული წილი 22%, რომელიც ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა პარტნიორთა გადაწყვეტილებაზე, რადგან მას შპს „ტ.რ.2“-ში დარჩა წილის 38% და შპს „კ-ის“ მფლობელობაში არსებული შპს „რ.2“-ის კაპიტალში 40%-იანი წილის გათვალისწინებით, რაც ჯამურად შეადგენდა შპს „რ.2“-ის 78%-ს. ამით დასტურდება, რომ მას შპს „რ.2“-ში გააჩნდა გადამწყვეტი ხმის უფლება, რაც აბსურდულს ხდის შპს „ტ.რ.2“-ის წილის 22%-ის იძულებით წართმევის მიზანშეწონილობას;

93.5. სასამართლოს არასაკმარისად აქვს დასაბუთებული არგუმენტები მოწინააღმდეგე მხარის მიერ ხანდაზმულობის ვადის დაცვის შესახებ, ვინაიდან დავა გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნა ასევე უნდა თავსდებოდეს სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რაც შეადგენს 3 წელს. ამავდროულად, სამოქალაქო კოდექსით დადგენილია შეცილების ვადები, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს ერთ წელს;

93.6. სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 128.3 მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან სადავო-სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან და ამდენად, სახელშეკრულებო ხასიათისაა. შესაბამისად, მოცემულ დავაში ყოვლად დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობის საერთო ვადით (10

წელი) რეგლამენტირება, რამდენადაც ეს მოთხოვნა პირდაპირ და უშუალოდ გამომდინარეობს ხელშეკრულების პირობებიდან და ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო სსკ-ის 129.1 მუხლი, რომლითაც ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს და რომელიც უშედეგოდ გაუშვა მოსარჩელემ. სასამართლომ ასევე არ გამოიყენა სსკ-ის 89-ე მუხლი, რადგან სადავო ხელშეკრულება საცილო გარიგებაა, სადაც შეცილების ვადა შეადგენს ერთ წელს.

94. ლ. ყ-ის, გ. ყ-ისა (იხ. ტ. 6, ს.გ. 44-95, ტ.7, ს.გ. 126-135) და შპს „ტ. ს-ოს“ სააპელაციო საჩივრები (იხ. ტ. 6, ს.გ. 144-195, ტ. 7, ს.გ. 93-108) შემდეგ ფაქტობრივ -სამართლებრივ საფუძვლებს მოიცავს:

94.1 გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის რამდენიმე განჩინება, კერძოდ: 2015 წლის 11 აგვისტოს განჩინება, რომლითაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების შესახებ; 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების შესახებ; 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების შესახებ; 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების შესახებ; 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება 2015 წლის 16 ოქტომბერს წარდგენილი მტკიცებულებების დართვასა და ახალი მტკიცებულებების წარსადგენად დამატებითი ვადის დაწესებაზე უარის თქმის თაობაზე; 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება შპს „K-G G“ -სა და შპს „ი. ს-თვის“ გაგზავნილი წერილებისა და მათი პასუხების, მტკიცებულების სახით, დართვაზე უარის თაობაზე; 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება 2015 წლის 16 ოქტომბერს წარდგენილი მტკიცებულებების დართვის თაობაზე შუამდგომლობის მოხსნის შესახებ; 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2015 წლის 9 სექტემბრის №... დასკვნის მტკიცებულებიდან ამორიცხვის, მისი სიყალბის თაობაზე; 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, სსსკ-ის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, “ჩ.ი.-სა” და “დ.ლ-ის” მესამე პირებად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ჩართვის შესახებ;

94.2. აპელანტები მიუთითებენ, ასევე, მოსამართლის მეუღლის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, რაც, მათი მტკიცებით, მიუთითებდა მოსამართლის

მიკერძოებულობაზე. მოსამართლის ოჯახის წევრი, მეუღლე, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ საჯარო განცხადებით აფიქსირებდა და ავრცელებდა მოპასუხის, შპს „ს. კ. რ.2“-ისა და მისი წარმომადგენლის, გენერალური დირექტორის, ნ. გ-დმი გამოხატულ მკვეთრ ნეგატიურ დამოკიდებულებას, მათ შორის, იმ პერიოდში, როდესაც იმართებოდა სადავო საქმის სასამართლო პროცესები საქალაქო სასამართლოში. მ. გ-ის (მოსამართლის მეუღლე) მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული, მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება მიუთითებს მოსამართლის ოჯახის წევრის, შესაბამისად, პირდაპირ თუ ირიბად, თავად მოსამართლის დამოკიდებულებაზეც. მოცემული ფაქტები და მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მოსამართლის სანდოობის მინიმალურ სტანდარტს და სულ მცირე, იძლევა დასაბუთებულ ვარაუდს მოსამართლის მიერ მხარისადმი მკვეთრად გამოხატული ნეგატიური გავლენის არსებობის შესახებ, ხოლო მოსამართლის განმარტება/არგუმენტი, რომ მის მეუღლეს აქვს გამოხატვის უფლება და მისი განცხადებები არ იყო შეთანხმებული თავად მოსამართლესთან, ვერ აბათილებს მხარის წარმოდგენას იმის თაობაზე, რომ მოსამართლე მიუკერძოებელია და იწვევს სანდოობას (*სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 4.8. პუნქტი; 4.9 პუნქტი*);

94.3. აპელანტების მოსაზრებით, დადგინდა, რომ მოსამართლის დედის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. არსებობდა დასაბუთებული ეჭვი, რომ მოსამართლე შეიძლებოდა ყოფილიყო პოლიტიკური წინხის ქვეშ, ვინაიდან პროკურატურის მხრიდან ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე გააქტიურება დაემთხვა შპს „ს. კ. რ.2“-ის წინააღმდეგ მიმდინარე დავის დაწყებას და შპს „ტ. ს-ზე“ ყადაღის დადებას. აღნიშნული, თავის მხრივ, მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობასა და დამოუკიდებლობის არარსებობაზე. მოცემული გარემოებები ქმნის დასაბუთებულ ეჭვს, რომ დიდი ალბათობით, მოსამართლე პირადად და პოლიტიკურად მოტივირებულ და არაობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებდა საქმეზე, რაც დადასტურდა არა მარტო 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, არამედ იმავე წლის 5 ნოემბრის განჩინებით, დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ. აპელანტთა მტკიცებით, სახეზეა მოსამართლისა და მისი ოჯახის წევრის (დედის) მიერ, პირადი სამართლებრივი საკითხის მოგვარების მიზნით, მიღებული დახმარება პროკურატურისგან - სასამართლო ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული მოქმედების ან უმოქმედობის სახით (*სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 4.14. პუნქტი*);

94.4. აპელანტები იმაზეც მიუთითებენ, რომ სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა განსაკუთრებული სისწრაფით და ინტენსიური

დატვირთულობით, უმეტესად - სამუშაო დღეების ზედიზედ მიყოლებით და სრული სამუშაო საათობრივი დატვირთვით, რითაც მოსამართლე არ აძლევდა მოპასუხის ადვოკატებს სათანადო გონივრულ ვადას საქმისათვის მოსამზადებლად. აღნიშნული ფაქტები კი ხაზს უსვამს მოსამართლის მოტივაციას, განსაკუთრებული სისწრაფით დაესრულებინა საქმე, რაც მხარის სამართლიანი სასამართლოს უპირობო შელახვაა;

94.5. 2015 წლის 5 აგვისტოსა და 30 სექტემბრის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებული ზომები არ ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას და იმდენად არათანაზომიერია, რომ ეჭვს იწვევს მოსამართლის ობიექტურობა. სასამართლო პროცესზე არაერთხელ დაირღვა მოპასუხეთა უფლებები, მაგალითად, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, როდესაც მოპასუხეს წაერთვა უფლება, წარედგინა სასამართლოსათვის მტკიცებულებები; არსებობდა დასაბუთებული ეჭვი, რომ მოსარჩელები დაინტერესებული იყვნენ საქმის განსახილველად თამაზ ურთმელიძესთან მოხვედრით. ეჭვს იწვევდა ასევე პოლიტიკური თანამდებობის პირთა მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც მიაწინებდნენ მოსამართლის კავშირზე პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან. პოლიტიკოსები თავიანთი განცხადებებით მოუწოდებდნენ მოსამართლე ურთმელიძეს, სწრაფად დაესრულებინა დავა, რაც მოცემულ საქმეზე პოლიტიკურ გავლენებზე მიუთითებს;

94.6. 2015 წლის 19 ოქტომბრის გასაჩივრებული განჩინებებით შპს „ს. კ. რ.2“-ს ჩამოერთვა მტკიცებულებების წარდგენის უფლება; შპს „ტ. ს-ს“, ლ. ყ-სა და გ. ყ-ს უსაფუძვლოდ შეეზღუდათ უფლება, მთავარ სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებაზე წარედგინათ საპასუხო მტკიცებულებები მთავარ სხდომაზევე;

94.7. დავის შემჭიდროებულ ვადებში დასრულებისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენის შეზღუდვის მიზნით, მოსამართლემ „რ.2“-ს არ მისცა უფლება, წარედგინა კომპანიის ის ფინანსური დოკუმენტაცია, რაც ადასტურებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილ ფინანსურ დოკუმენტში არსებული მონაცემების უზუსტობას. ფინანსური დოკუმენტაციით დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის აბსურდულობა; მოსამართლემ მხარეს არ მისცა უფლება, წარედგინა აუდიტორულ კომპანია „გ.თ-ან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხეები გეგმავდნენ საპასუხო დასკვნის წარდგენას. ამ დოკუმენტის მიუღებლობის შედეგად, მოსამართლემ მხარეს შეუზღუდა უფლება, წარედგინა საპასუხო ექსპერტიზის დასკვნა;

94.8. მოსამართლემ ლ. და გ. ყ-ებს არ მისცა საშუალება, წარედგინათ „რ.2“-თან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტაცია და ხელშეკრულება აუდიტორულ კომპანიასთან. შედეგად, მოსამართლემ მოპასუხეებს უარი განუცხადა, მოემზადებინათ ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა ან თუნდაც, ფინანსური დოკუმენტაცია წარედგინათ სასამართლოსათვის. მოსამართლემ საპატიო მიზეზად არ ჩათვალა ის ფაქტი, რომ დოკუმენტი, რომლის გასაბათილებლადაც იქნა წარდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია, მოსარჩელემ მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ შეიტანა სასამართლოში. მოსარჩელემ სასამართლოს 5 ოქტომბერს წარუდგინა ე.წ. „ბალანსები“. მოპასუხეებს დოკუმენტი ჩაჰბარდათ 12 ოქტომბერს. მოპასუხებმა ფინანსური დოკუმენტაცია და ხელშეკრულება აუდიტორულ კომპანიასთან წარადგინეს 16 ოქტომბერს. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსამართლემ მიიჩნია, რომ მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი, მთავარ სხდომაზე წარედგინა საპასუხო მტკიცებულებები;

94.9. მოპასუხეები, ასევე, ითხოვდნენ დამატებით ვადას საპასუხო ექსპერტიზის დასკვნის წარსადგენად, რისი უფლებაც მათ სასამართლომ დაუსაბუთებლად შეუზღუდა. აუდიტორულ კომპანიასთან არსებული ხელშეკრულებით დგინდება, რომ დასკვნის მომზადებისათვის საჭირო იყო, მინიმუმ, 15 სამუშაო დღე. თუმცა, მოსამართლემ არათუ დამატებითი ვადა არ მისცა მოპასუხეებს საპასუხო დასკვნის მოსამზადებლად, არამედ ამ ხელშეკრულების საქმეზე დართვაზეც დაუსაბუთებლად განუცხადა უარი. იმავე მტკიცებულების დართვის თაობაზე შუამდგომლობა დააყენა შპს „ტ. ს-მ“ 19 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე. ამ შემთხვევაში სასამართლომ მოხსნა შუამდგომლობა და ეს დაასაბუთა იმით, რომ ის ემსახურებოდა სამართალწარმოების გაჭიანურებას. შუამდგომლობის განუხილველად დატოვებით სასამართლომ დაარღვია მოპასუხის უფლება, საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად მოემზადებინა და სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულებები. სასამართლომ უარი განუცხადა მოპასუხეებს აუდიტორულ კომპანიებთან („K. G.“ და „ი. ს.“) არსებული მიმოწერის საქმის მასალების დართვაზე. მიმოწერა ეხებოდა სწორედ იმ „ბალანსებს“, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე. შესაბამისად, მტკიცებულებები საქმისათვის ცალსახად რელევანტური იყო.

94.10. გასაჩივრებული განჩინებებით სასამართლომ უხეშად დაარღვია შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები, მოპასუხეებს არაპროპორციულად, გაუმართლებლად და უკანონოდ შეუზღუდა მტკიცებულებების წარდგენისა და მათი მოპოვების კანონით მინიჭებული უფლება.

94.11. სასამართლო სხდომაზე, 2015 წლის 22 ოქტომბერს, განხილულ იქნა მოპასუხეების - შპს „ს. კ. რ.2“-ის, ლ. და გ. ყ-ისა და შპს „ტ. ს-ს“ - წარმომადგენლების შუამდგომლობა სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2015 წლის 9 სექტემბრის დასკვნის მტკიცებულებებიდან ამორიცხვის თაობაზე, მისი სიყალბის გამო. 2015 წლის 12 ოქტომბერს მხარეებს გადაეცათ ის მასალები, რაც საფუძვლად დაედო საექსპერტო კვლევას, კერძოდ, შპს „ს.კ.რ.2“-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთები - 2005 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით და შპს „ს. კ. რ.2“-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთები - 2016 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით;

94.12. სასამართლომ 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა სსსკ-ის 137-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით და განჩინებაში მიუთითა, რომ მხარემ საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე არ განაცხადა ამ მტკიცებულების სიყალბის შესახებ. მოპასუხეებს მტკიცებულებები გადაეცათ 12 ოქტომბერს, შესაბამისად, 2 ოქტომბრამდე (მოსამზადებელ სხდომამდე) მათ არ იცოდნენ საბალანსო ნაშთების შესახებ და ვერც მათი სიყალბის შესახებ განაცხადებდნენ. სსსკ-ის 137-ე მუხლის საფუძველზე, თუ მხარე მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ შეიტყობს საბუთის სიყალბის შესახებ ინფორმაციას, მას უფლება აქვს, ეს განცხადება გააკეთოს საქმის განხილვის მთავარ სხდომაზეც. მოპასუხემ შუამდგომლობა წარადგინა პირველივე შესაძლებლობისთანავე. 2015 წლის 22 ოქტომბერს ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის წარმომადგენელმა - ზ. ბ-მა წერილობითი განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სსსკ-ის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, “ჩ.ი.-ის” და “დ.ლ.-ის” საქმეში ჩართვა მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. 2011 წელს ლ. ყ-მა დასახელებული კომპანიებისგან შეიძინა შპს „ს. კ. რ.2“-ის წილები. უდავოა ის გარემოება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. ხ-სა და შპს „პ-ის“ სარჩელზე გავლენას მოახდენს დასახელებული კომპანიების უფლება-მოვალეობებზე. სასამართლომ განმარტა, რომ ეს განცხადება წარდგენილი არ ყოფილა საქმის მომზადების სტადიაზე და ჩათვალა, რომ იგი მიზნად ისახავდა პროცესის გაჭიანურებას, რის გამოც მოხსნა აღნიშნული შუამდგომლობა. სასამართლომ არ გამოიყენა სსსკ-ის 89-ე და 90-ე მუხლები, რომლებიც წარმოადგენს სპეციალურ ნორმებს და ითვალისწინებს მესამე პირის საქმეში ჩართვის ვადებს, ხოლო 215-ე მუხლი არის ზოგადი ნორმა, რომელიც ეხება ყველა სახის შუამდგომლობას;

94.13. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ შპს „ს. კ. რ2“-ის 22%-იანი წილის ღირებულება, 2005 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 575 759 ლარით; ასევე, დაუსაბუთებელია, რომ შპს „ს. კ. რ.2“-ის 38%-იანი წილის ღირებულება, 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 287 453 ლარით, ხოლო იმავე თარიღის მდგომარეობით, იმავე საწარმოს 40%-იანი წილის ღირებულება - საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 460 477 ლარით. საქმეში წარდგენილი არ ყოფილა მტკიცებულება, რომელიც ამგვარი შეფასების შესაძლებლობას იძლეოდა;

94.14. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ „საექსპერტო კვლევა და მასში მოყვანილი დასკვნები არ წარმოშობს საექსპერტო და იგი დამაჯერებელია“ და „სასამართლო ზეპირ სხდომაზე კვლევის განმახორციელებელი ექსპერტის გამოკითხვისას არ გამოვლენილა რაიმე არსებითი წინააღმდეგობა მის მიერ გაკეთებულ დასკვნასა და ზეპირ ახსნა-განმარტებას შორის“. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რის შედეგადაც საქმეზე მიღებულ იქნა არსებითად არასწორი გადაწყვეტილება, კერძოდ: სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას (კომპანიის წილის ღირებულება) სასამართლო დაეყრდნო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 09.09.2015 წლის დასკვნას და სრულად გაიზიარა ამ დასკვნაში მითითებული გარემოებები. მოსარჩელის მიერ ექსპერტიზისათვის წარდგენილი მასალები, ექსპერტიზის დასკვნა და სასამართლო სხდომაზე ექსპერტის დაკითხვისას მის მიერ დაფიქსირებული პოზიციები ცხადყოფს, რომ სასამართლო არ უნდა დაყრდნობოდა აღნიშნულ საექსპერტო დასკვნას და მის საფუძველზე არ უნდა დაედგინა „რ.2“-ის წილების ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სრულყოფილად გამოიკვლევდა საქმეში არსებულ ექსპერტიზის დასკვნასა და მისთვის წარდგენილ საკვლევ მასალას, დაადგენდა, რომ ამ მტკიცებულების საფუძველზე ფაქტობრივი გარემოების დადგენა იყო შეუძლებელი, რადგან ექსპერტის დაკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ „რ.2“-ის წილები ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ შეაფასა განსაკუთრებული დაინტერესებით, შესაბამისად, მიკერძოებულად: საექსპერტო კვლევა განხორციელდა მნიშვნელოვანი დარღვევებით, საექსპერტო დასკვნა არ ეფუძნება ობიექტურ და გადამოწმებულ ინფორმაციას და ექსპერტიზის დასკვნას არ გაუცია პასუხი კითხვაზე, რომელიც იდგა მის წინაშე;

94.15. საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ექსპერტმა მოსარჩელის წარმომადგენელს მოსთხოვა 8 ტიპის დოკუმენტაცია, რომლებიც საჭირო იყო “რ.2”-

ის წილების საბაზრო ღირებულების დასადგენად, თუმცა, მას წარუდგინეს მხოლოდ კომპანიის წესდება და შპს „ს. კ. რ.2“-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული ნაშთები 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით. ექსპერტი კვლევისას დაეყრდნო საბალანსო ნაშთებს. „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის #81.2 ბრძანების მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, თუ ექსპერტს საკვლევი მასალა წარედგინება არასრულყოფილად, იგი უფლებამოსილია, დამატებით მოითხოვოს ექსპერტიზისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და მასალის წარდგენა. ექსპერტმა დაკითხვისას დაადასტურა, რომ მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელიც საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარებისათვის, მისთვის არ წარუდგენიათ, მან აგრეთვე დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე იგი უფლებამოსილი იყო, დამატებით მოეთხოვა დოკუმენტაციის წარდგენა, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მას ეს არ გაუკეთებია. გასათვალისწინებელია, რომ ექსპერტმა ერთ სამუშაო დღეში გასცა დასკვნა;

94.16. ექსპერტიზის დასკვნა დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის მიერ მიწოდებულ ე.წ. საბალანსო ნაშთებს. აღნიშნულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ იგი ხელმოწერილია ვინმე რ. ბ-ს მიერ, რომლის რაიმე სახის კავშირი “რ.2“-თან ვერ დგინდება, რაც დაადასტურა სასამართლომ, როდესაც იგი ამორიცხა მოწმეთა სიიდან, ვინაიდან მისი შემხებლობა შპს „ს. კ. რ.2“-თან ვერ დგინდებოდა. მოსარჩელეს შეეძლო, სასამართლოსათვის ეთხოვა შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვა “რ.2“-დან, თუმცა, მას ეს ქმედებები არ განუხორციელებია;

94.17. საბალანსო ნაშთებზე არ არის მითითებული მათი შედგენის თარიღი, ეს დოკუმენტაცია არ არის კომპანიის ბლანკზე ამობეჭდილი და არ არის კომპანიის ბეჭდით დამოწმებული. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს დოკუმენტი ყალბია;

94.18. ექსპერტმა განაცხადა, რომ მან გამოიყენა ქონებაზე დაფუძნებული შეფასების მეთოდი, რაც ყველაზე უარესია სხვა მეთოდებთან შედარებით. მანვე განაცხადა, რომ საბაზრო მეთოდით შეფასება ვერ განახორციელა, ვინაიდან მას არ წარუდგინეს შესაბამისი ინფორმაცია და არც თავად მოუთხოვია, მაშინ, როდესაც ექსპერტს აღნიშნულ უფლებას კანონმდებლობა ანიჭებს. ექსპერტმა თავად დაადასტურა, რომ

გადაფასებები არ გაუკეთებია, რაც იმას ნიშნავს, რომ “რ.2”-ის მოძრავი ქონების ღირებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საბაზრო ღირებულებად, აქტივების საბალანსო და საბაზრო ღირებულება ერთმანეთისაგან განსხვავებულია;

94.19. დადგენილია, რომ წილების შეფასებისას ექსპერტი დაეყრდნო „საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტის“ მე-9 გამოცემას - IVS -2011. 2013 წელს გამოვიდა მე-10 გამოცემა, რომლითაც ექსპერტს უნდა ეხელმძღვანელა. ექსპერტის დასკვნა არ არის დაფუძნებული რაიმე სპეციალურ ცოდნაზე, მან ე.წ. საბალანსო ნაშთების აქტივების ჯამს გამოაკლო პასივების ჯამი და სხვაობა მიიჩნია წილის ღირებულებად. მნიშვნელოვანია, რომ ექსპერტს მისთვის წარდგენილი ინფორმაციის სისწორე და ასევე, მისთვის წარდგენილ დოკუმენტზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილება არ გადაუმოწმებია;

94.20. მოსარჩელემ ექსპერტიზას წარუდგინა მოთხოვნა, შეფასებულიყო “რ.2”-ის წილების საბაზრო ღირებულება, ხოლო ექსპერტმა დაადგინა წილების საორიენტაციო ღირებულება, რაც საბაზრო ღირებულებისაგან განსხვავებული ცნებაა. ამასთან, IVS -2011 სტანდარტი საერთოდ არ იცნობს საორიენტაციო ღირებულებას.

94.21. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, უნდა გამოკვლეულიყო ექსპერტიზისათვის მიწოდებული მასალა და ექსპერტიზის კვლევითი ნაწილი (*იხ. სუსგ #ას-406-383-2014*). სასამართლოს არ გამოუკვლევია, თუ რამდენად სარწმუნო იყო ექსპერტიზისათვის გამოყენებული მასალა და კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებული მეთოდოლოგია;

94.22. საბაზრო ფასზე მსჯელობისას სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ შპს „ს. კ. რ.2“-ის წილების მოსარჩელების მიერ შეძენისა და შემდგომი განკარგვების დროს (*იხ. ამ გადაწყვეტილების 1-1. პუნქტები*), ნასყიდობის ფასი არსებითად არ შეცვლილა, რაც სადავო ხელშეკრულებების ფასის ადეკვატურობაზე მიუთითებს;

94.23. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან წილების საბაზრო ფასის შეუსაბამობის შემთხვევაშიც, მოქმედი კანონმდებლობით, შეუძლებელია გარიგებების ბათილად ცნობა. სასამართლომ ხელშეკრულებების ბათილად აღიარებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 54-ე და 61-ე მუხლებით. 54-ე მუხლი აწესრიგებს მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების ბათილად ცნობის საკითხს, რომელშიც კანონმდებელი გარიგების შინაარსს გულისხმობს და არა -

ნების გამოხატვის ფორმას, ნების ნაკლს. ამასთან, მართლსაწინააღმდეგო გარიგების ბათილობა გამომდინარეობს არა სსკ-ის 54-ე მუხლიდან, არამედ კანონის შესაბამისი ნორმიდან, რომელიც კონკრეტული შინაარსის გარიგების დადებას კრძალავს ანუ გარიგების ბათილობის მიზეზი შეიძლება გახდეს ის, რომ მხარეთა მიერ გამოხატული ნება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ ამკრძალავ ნორმებს. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ზნეობის საწინააღმდეგო ნების გამოვლენის დროსაც. იმის გამო, რომ აღნიშნული კატეგორია ერთგვარად ერთმანეთისგან მიჯნავს სამართლებრივ და ზნეობრივ წესრიგს კონკრეტული გარიგების ამორალურად კვალიფიკაციის მასშტაბად სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც თავისთავად შეფასებითი არეალის დაუსაბუთებელი გაფართოების საფრთხეს შეიცავს, შეუძლებელია მისი გამოყენებაც უშუალოდ სამართლებრივ სივრცეში არსებული ფასეულობების მითითების გარეშე. სამართლებრივი შედეგის დადგომაზე სსკ-ის 54-ე მუხლს არ შეუძლია პირდაპირი გავლენის მოხდენა, თუ არ მიეთითა სამართლის კონკრეტულ ნორმაზე, რომელსაც ეწინააღმდეგება დადებული გარიგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებები ბათილია, მათი მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამო, განხორციელებული შესრულებისა და სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურების შეუსაბამობის თვალსაზრისით და, ამ კონტექსტში, მსგავსი ხასიათის გარიგება მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს, მისი ამორალურობის გათვალისწინებითაც. სასამართლომ ვერ მიუთითა კანონის ვერც ერთ ნორმაზე, რომელიც დარღვეულია სადავო ხელშეკრულებების გაფორმებისას, მათი შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით, მათ შორის, განხორციელებული შესრულებისა და სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურების შესაძლო შეუსაბამობის გამო. კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს მხარეთა თანასწორობისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპები, რაც, უპირველესად, გულისხმობს მხარეთა თავისუფლებას ხელშეკრულების შინაარსში, რასაკვირველია, კანონისმიერი შეზღუდვების გათვალისწინებით. სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში, თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. შესაბამისად, სსკ-ის 54-ე მუხლი არ იძლევა გარიგების ბათილად ცნობის შესაძლებლობას განხორციელებული შესრულებისა და მიღებული ანაზღაურების შეუსაბამობის შემთხვევაში. მითითებული მუხლი ითვალისწინებს გარიგების ბათილად ცნობის შესაძლებლობას მისი შინაარსისა და არა ნების ნაკლის გამო და მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გარანტირებულ

ადამიანის ძირითად უფლებებს;

94.24. აპელანტთა მტკიცებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების ბათილობა მოთხოვნილია გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობის საფუძველით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი და არა 54-ე, როგორც განსახილველ შემთხვევაში გამოიყენა საქალაქო სასამართლომ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ივლისის განჩინება #ას-198-189-2010);

94.25. ხელშეკრულების ფასის თავისუფლად განსაზღვრის უფლება განმარტა სააპელაციო სასამართლომ და მიიჩნია, რომ „სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის საფუძველზე მხარეებს გააჩნიათ ხელშეკრულების ფასის თავისუფლად განსაზღვრის უფლებამოსილება. ამდენად, ის გარემოება, რომ მხარეებმა დათქვეს ხელშეკრულების ფასად 2000 აშშ დოლარი, არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 აპრილის განჩინება #ას-132-124-2015; 2015 წლის 13 ოქტომბრის განჩინება #ას-788-745-2015; 2012 წლის 23 თებერვლის განჩინება #ას-1718-1701-2011; 2014 09 ივნისის გადაწყვეტილება #ას-880-838-2013). ამდენად, სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენდა, გამოეყენებინა სსკ-ის 55-ე მუხლის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია და გარიგების შეუსაბამო ფასთან ერთად დაედგინა, იყო თუ არა გარიგება დადებული მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება, ან ისარგებლა კონტრაქტის მძიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით. ვინაიდან ასეთი გარემოებები არ ყოფილა, სასამართლოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე უარი უნდა ეთქვა მოსარჩელისათვის გარიგებების ბათილობაზე. სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენდა სადავო ურთიერთობები სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეეფასებინა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასა და დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ვინაიდან უცხო ქვეყნის (გერმანიის) სასამართლო პრაქტიკა არ შეიძლება გამოდგეს ისეთი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, სადაც საუბარია ზნეობის ნორმებსა და საჯარო წესრიგზე;

94.26. საქალაქო სასამართლომ უცხო ქვეყნის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, გარიგების ბათილობის საფუძველთან დაკავშირებით, მტკიცების ტვირთი (იხ. აშ განჩინების 59-64 პუნქტები) და გარიგების ნამდვილობის დადასტურების

ვალდებულება მოპასუხეს დააკისრა, მაშინ, როცა გერმანიაში მოქმედი კანონმდებლობითა და პრაქტიკით სრულიად სხვა პრინციპია დადგენილი. კერძოდ, გერმანულ სამართალში, მართლაც, ზოგადი წესის მიხედვით, მიიჩნევა, რომ ობიექტური გარემოებების (ფასსა და შესრულებას შორის განსაკუთრებით დიდი სხვაობა) არსებობა ქმნის სუბიექტური წინაპირობების („გასაკიცხი (დასაძრახი) დამოკიდებულების“) არსებობას, მაგრამ ეს ზოგადი წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც გარიგების მხარეს წარმოადგენს მეწარმე სუბიექტი. პირიქით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ, მიუხედავად ობიექტური წინაპირობების არსებობისა, გარიგების მეორე მხარის ქმედება არ შეიცავდა სუბიექტურ ნიშნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ყოვლად უსაფუძვლოდ, კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, ცნო სადავო ხელშეკრულებები ბათილად;

94.27. აპელანტთა მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა ასევე გარიგებების საგნის უკან დაბრუნების დასაბუთების ნაწილშიც, ვინაიდან სსკ-ის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების (976-991-ე მუხლები) გამოყენებით პირდაპირ დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები. გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით უნდა ჩამოერთვას ამჟამინდელ პარტნიორებს საკუთრების უფლება და გადაეცეს იგი მოსარჩელეებს. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, ისე მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებიც, ცალსახად გამორიცხავს იმგვარ სამართლებრივ შედეგს, რომელიც განსახილველ შემთხვევაში, წილთა ამჟამინდელი პარტნიორების მიერ წილებზე საკუთრების უფლების დაკარგვას გამოიწვევდა. აღნიშნული გარემოება გამომდინარეობს სსკ-ის 989-ე და 990-ე მუხლებიდან, რომლებიც აწესრიგებს კონდიქციის შემთხვევებს რამდენიმე პირის მონაწილეობის დროს. ორივე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანონმდებელი მესამე პირს ერთადერთ შემთხვევაში აკისრებს ნივთის დაბრუნების ვალდებულებას, როდესაც ერთდროულად სახეზეა ორი პირობა - მესამე პირმა ნივთი მიიღო უსასყიდლოდ და მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია. კანონმდებლობა იცავს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო ისე ადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის სტანდარტებს, რომ უხეშად არღვევს, როგორც კანონის ცალსახა დანაწესებს, ისე დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას. კერძოდ, საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი წილის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით ყოვლად უსაფუძვლოდ განმარტა, რომ „სასამართლო ვერ გაავრცელებს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით განსაზღვრულ რეგულაციას უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ

შემენასთან დაკავშირებით“. არასწორია სასამართლოს მითითება სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილზე და დასკვნა იმის შესახებ, რომ კეთილსინდისიერი შემძენის პრეზუმფცია არ ვრცელდება წილებზე და ეს არ გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან და სამოქალაქო კოდექსიდან;

94.28. ნებისმიერი სახის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტი რეგისტრაციას დაქვემდებარებული მონაცემების (მათ შორის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის) თაობაზე ვლინდება რეესტრიდან და ასევე აისახება საჯარო რეესტრიდან ამონაწერში („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 21-ე პუნქტი). შესაბამისად, სამეწარმეო იურიდიული პირების თაობაზე არსებული რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია. აღნიშნული პრინციპის თაობაზე მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი. იმავე პრინციპს ეყრდნობა სსკ-ის 312-ე მუხლის პირველი ნაწილი. რეგისტრირებული მონაცემების მიმართ უტყუარობის პრეზუმფციას ადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტიც, რომლის თანახმად, რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა. ამდენად, აბსურდულია სასამართლოს მსჯელობა, რომ კანონმდებლობა რეგისტრირებულ მონაცემებთან დაკავშირებით არ შეიცავს ჩანაწერს საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ სსკ-ის 185-ე მუხლი უძრავ ქონებას შეეხება, უსაფუძვლოა დასკვნა წილებზე აღნიშნული პრეზუმფციის არ არსებობის შესახებ. მოქმედი კანონმდებლობისა და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ არ არსებობდა სსკ-ის 187-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა და მასზე დაყრდნობით - მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადატანის სამართლებრივი შესაძლებლობა. სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი, ისე კეთილსინდისიერი შემძენისა და საჯარო რეესტრის უტყუარობის პრინციპის მომწესრიგებელი ნორმები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედების დღიდან (1994 წლიდან დღემდე) შეიცავს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციისა და მესამე პირის საკუთრების უფლების დაცვის ნორმას (მე-7 მუხლი). 2009 წლამდე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირების რეგისტრაციას ახორციელებდა სამეწარმეო რეესტრი - მისი ჩანაწერების მიმართ უწყვეტად მოქმედებდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი; ხოლო ამავე კანონში 2009 წლის 3

ნომბრის ცვლილებების შეტანის შედეგად, იურიდიული პირების რეგისტრაციას ახორციელებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, რომელთა ჩანაწერების მიმართ მოქმედებდა და დღემდე მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი და საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-5 მუხლი.

94.29. სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ შპს „ს. კ. რ. 2“-ის წილების სამეწარმეო რეესტრში ასახული მონაცემები იყო უზუსტო, ყ-ებმა იცოდნენ, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე, მოკლებულია საფუძველს. სასამართლომ კანონიერი საფუძვლის გარეშე ხელყო კეთილსინდისიერი შემძენის საკუთრების უფლება, გააუქმა საჯარო რეესტრში მათი რეგისტრირებული საკუთრების უფლებები და შპს „კ-სა“ და ქ. ხ-ს დაურეგისტრირა წილები. მოცემულ შემთხვევაში, რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო შპს „ტ.ს-სა“ თუ სხვა დღევანდელი მესაკუთრეების მიერ შპს „ს. კ-ის“ წილების შეძენის გარიგებების ბათილად ცნობა, რისი განუხორციელებლობაც გამორიცხავს მათი საკუთრების უფლების გაუქმებას - შეუძლებელია გარიგების საფუძველზე რეგისტრირებული საკუთრების უფლება გაუქმდეს ისე, რომ მოსარჩელეს არ მოუთხოვია და არც სასამართლოს დაუდგენია ამ გარიგებების ბათილობა. დღევანდელი მესაკუთრეები არიან კეთილსინდისიერი შემძენები და საწინააღმდეგო საქმის მასალებით არ დასტურდება.

95. ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი (იხ. ტ.6, ს.ფ. 34-43, ტ.7, ს.ფ.126-135) შემდეგ ფაქტობრივსამართლებრივ საფუძველებს მოიცავს:

95.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით 3.2.2. ფაქტობრივი გარემოება შპს „ს. კ. რ.2“-ის წილების ღირებულებასთან დაკავშირებით. სასამართლო ეყრდნობა ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც არ წარმოადგენს სათანადო მტკიცებულებას აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის დასადგენად. სასამართლოს არ აქვს სათანადო მტკიცებულება იმ დასკვნების გასაკეთებლად, რომ ქ.ხ-სა და შპს „კ-ის“ მიერ გაყიდული წილების ღირებულება გაყიდვის მომენტში იყო არსებითად განსხვავებული;

95.2. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ განხორციელდა რაიმე სახის იძულება და სადავო გარიგებები თავისი შინაარსით არის ამორალური გარიგებები. სასამართლოს საამისოდ არც ერთი მტკიცებულება არ გააჩნდა. გარიგების ფასის სიდიდე ან სიმცირე არ განაპირობებს გარიგების ამორალურობას;

95.3. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ თითქოს ნ. ნ. იყო არაკეთილსინდისიერი შემძენი, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ ნ-ს ჰქონდა რაიმე სახის ინფორმაცია სადავო გარიგებასთან მიმართებით, მისი ფასების სიდიდე-სიმცირესა და ასევე სხვა გარემოებებთან დაკავშირებით, რასაც სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას;

95.4. სასამართლომ ისე ჩამოართვა აპელანტს 9%-იანი წილი, რომ არ უმსჯელია 2011 წლის 6 დეკემბრის ხელშეკრულებაზე (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-13 და მე-17 პუნქტები), შპს „ს. კ. რ. 2“-ის 2012 წლის 13 ნოემბრის პარტნიორთა კრების ბათილობაზე და არ უცვნია იგი ბათილად, თუმცა გააუქმა კრების იურიდიული შედეგი- წილის მესაკუთრის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში;

95.5. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 55-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სსკ-ის 54-ე მუხლით სადავო საკითხის დასაბუთება უსაფუძვლოა; სასამართლომ არასწორად განმარტა კეთილსინდისიერი შემძენის ცნება და სსკ-ის 185-ე, 187-ე მუხლები, ასევე, სხვა მატერიალური ნორმები.

96. მოსარჩელებმა უარი თქვეს სააპელაციო საჩივარზე, რაც სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა და სააპელაციო საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება (იხ. ტ.8, ს.გ.101-132).

97. მოსარჩელებმა მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით შესაგებელი და წერილობითი მოსაზრებები წარადგინეს (იხ. ტ. 7, ს.გ.58-83, 136-144, 186-197), რომლებშიც აღნიშნეს, რომ დაუსაბუთებელი იყო აპელანტთა მოთხოვნები.

97.1. მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ექსპერტიზამ ყველა შეკითხვას სრულფასოვნად გასცა პასუხი, რის გამოც სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნა დამაჯერებლად და სარწმუნოდ მიიჩნია. აღნიშნული დასკვნის გასაბათილებლად მოპასუხეებს არ წარუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დასკვნის შინაარსის შეუსაბამობას რეალურ მონაცემებთან (წილების ღირებულებასთან), მოპასუხეების მარტოდენ ზეპირი განმარტება ვერ აბათილებს მოსარჩელის მტკიცებას, რომელიც საექსპერტო დასკვნითაა გამყარებული (იხ. ტ.7, ს.გ. 73);

97.2. მოსარჩელე უთითებს, რომ ამ გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებების კონტრაქტები მსხვილი ბიზნესკომპანიები იყვნენ გარიგების

დადების დროს, მათი მმართველი პირები კი - მსხვილი მეწარმეები, რომელთაც მოსარჩელებმა არსებითად მცირე ფასად გადასცეს მედიაბაზარზე ერთ-ერთი ძალზე მაღალრეიტინგული საწარმოს წილი. როგორც მოსარჩელე უთითებს სააპელაციო შესაგებელში „სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ დგინდება მოსარჩელეთათვის ხელშეკრულებაში დაფიქსირებულზე მეტი თანხის გადახდა ან მათი სხვა ვალდებულება მოპასუხე-შპს „ს-ისა და შპს „გ.ტ-ის“ მიმართ, რაც საცნაურს გახდოდა ბიზნესის მწარმოებელი პირისაგან მისი კუთვნილი ქონების ესოდენ დაბალ, არაპროპორციულ ფასად გაყიდვას“, სასამართლომ მართებულად გამოიყენა სსკ-ის 54-ე და 61-ე მუხლები (იხ. ტ.7, ს.ფ.74-75).

97.3. მოსარჩელე არ ეთანხმება ასევე, მოპასუხეთა მიერ გასაჩივრებული განჩინებების საფუძვლებსა და მოტივაციას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება

98. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრები და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

99. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებები საქმის ფაქტობრივ (იხ. ამ გადაწყვეტილების 1-16 პუნქტები) და სამართლებრივ საკითხებზე და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), ამასთან, აღნიშნა, რომ:

99.1. სსსკ-ის 102-ე, მე-3, მე-4, 105-ე მუხლების თანახმად, შპს „ს. კ. რ.2“-ის წილების ღირებულებასთან დაკავშირებით, სასამართლო დაეყრდნო საქმეში მოსარჩელის მიერ წადგენილ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 09.09.2015 წლის №... დასკვნას. დადგენილია, რომ ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი კითხვები: 1) 2005 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით შპს „რ.2“-ის 22% წილის საბაზრო ღირებულების დადგენა; 2) 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით შპს „რ.2“-ის 38% წილის საბაზრო ღირებულების დადგენა; 3) 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით შპს „რ.2“-ის 40% წილის საბაზრო ღირებულების დადგენა.

99.2. დასკვნის შესაბამისად, შპს „ს. კ. რ.2“-ის 22%-იანი წილის ღირებულება 2005 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 575 759 ლარით;

ამავე საწარმოს 38%-იანი წილის ღირებულება 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 3 287 453 ლარით, ხოლო იმავე თარიღის მდგომარეობით 40%-იანი წილის ღირებულება -საორიენტაციოდ, განისაზღვრება 3 460 477 ლარით.

99.3. დადგენილია, რომ ექსპერტის დასკვნა ემყარება საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების მე-9 გამოშვებას - IVS 2011. მოცემულ შემთხვევაში, ექსპერტმა მიიჩნია, რომ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა სხვა მეთოდებთან შედარებით. „აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს ძირითად აქტივებს, საბრუნავ კაპიტალს და მოქმედი საწარმოს ვალდებულებებს. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისათვის საჭიროა, გავითვალისწინოთ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ნარჩენი ღირებულება 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით და საჭიროების შემთხვევაში მოვახდინოთ მათი კორექტირება შეფასების საერთო სტანდარტების შესაბამისად... წილის ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულია ქონების ნარჩენი ღირებულება“.

99.4. ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ მას კომპანია არ შეუფასებია არც შემოსავლის მეთოდით და არც საბაზრო მეთოდით, ვინაიდან ექსპერტიზას ვერ წარუდგინეს მითითებული მეთოდებით საექსპერტო კვლევისათვის საჭირო ინფორმაცია. დადგენილია, რომ მოსარჩელემ ექსპერტიზას წარუდგინა შპს „ს. კ. რ2“-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთები 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, რომელზე დაყრდნობითაც ექსპერტმა დაადგინა სადავო პერიოდში კომპანიის წილის ღირებულება.

99.5. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ექსპერტის თერთმეტწლიან გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე, მის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიასა და მასალებზე და განმარტა: „მოცემულ შემთხვევაში აპელანტები სადავოდ ხდიან იმ მტკიცებულებების ნამდვილობას, რომელსაც დაემყარა ექსპერტის დასკვნა და რომლებიც ექსპერტს წარუდგინა მოსარჩელემ, კერძოდ, ეს მტკიცებულებებია - შპს „ს.კ.რ2“-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთები 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე, აპელანტებს მიაჩნიათ, რომ სასამართლოს არ უნდა მიენიჭებინა ექსპერტის დასკვნისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა.სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების ძალით კი მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ

მხარეები“;

99.6. სსსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი განცხადება მას შეუძლია, გააკეთოს აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილ იქნა ამ სასამართლო სხდომაზე, ან ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე. სასამართლომ იმსჯელა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ნამდვილობა, კერძოდ, შპს „ს. კ. რ.2“-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთები 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, რომლებსაც ხელს აწერს შპს „ს. კ. რ.2“-ის ფინანსური დირექტორი რ. ბ.

99.7. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2005 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით (სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე - იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი), ქ. ხ. წარმოადგენდა შპს „ს. კ. რ.2“-ის 60 %-ის მფლობელს, ხოლო შპს „პ.“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ქ. ხ. 40%-ის მფლობელს. დადგენილია, რომ 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით (სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე - იხ. ამ გადაწყვეტილების 2-3 პუნქტები), ქ. ხ. წარმოადგენდა შპს „ს. კ. რ.2“-ის 38 %-ის მფლობელს, ხოლო შპს „პ.“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ქ. ხ. - 40%-ის მფლობელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ხ-ს შესაძლოა, ჰქონოდა მტკიცებულებები სადავო პერიოდის კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთების შესახებ. დადგენილია, რომ შპს „ს. კ. რ.2“-ის პარტნიორები არიან - ლ. ყ., გ. ყ., შპს „ტ. ს.“ და ნ. ნ.. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.4 მუხლის შესაბამისად, პარტნიორებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე, რომელიც განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ყალბია და არ დგინდება, რომ მასზე ხელმომწერი პირი - რ. ბ. სადავო პერიოდში იყო კომპანიის ფინანსური დირექტორი, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, მტკიცების ტვირთის ობიექტურად განაწილების საფუძველზე, თვითონ არის ვალდებული, წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რადგან წვდომა კომპანიის დოკუმენტებზე, დავის პროცესში, მას გააჩნია. სასამართლომ აღნიშნა, რომ მან ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა დაცული სადავო პერიოდის დოკუმენტაცია

კომპანიაში. ლ. ყ–სა და გ. ყ–ის წარმომადგენელმა - ზ. ბ–მა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას განმარტა, რომ კომპანიას გააჩნდა გარკვეული ფინანსური დოკუმენტები, მაგრამ მისთვის უცნობია, რა სახის ინფორმაციაა და არის თუ არა სრულყოფილი (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.06.2016 წლის სხდომის ოქმი, 12:49:02);

99.8. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, რომ მოპასუხეები სადავოდ ხდიან იმ გარემოებას, რომ რ. ბ. არ ყოფილა კომპანიის ფინანსური დირექტორი, მაშინ, როდესაც, ობიექტური თვალსაზრისით, მითითებული ფაქტის დამტკიცების შესაძლებლობა მათ გააჩნიათ. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგენილია, რომ რ. ბ. არ წარმოადგენდა კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი), შესაბამისად, სარეგისტრაციო მონაცემების წარდგენით შეუძლებელია, მოსარჩელემ დაადასტუროს ფაქტის ნამდვილობა, ხოლო მოპასუხე ამ ფაქტის უარყოფასთან დაკავშირებით მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტებით შემოიფარგლოს.

99.9. საერთო წესის გარდა, მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესსაც ითვალისწინებს სსსკ-ის 136-ე და 157-ე მუხლები, რომელთა თანახმად, თუ წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია, მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე. ამასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებულ წესებზე, კერძოდ, „იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთმა მხარემ წინასწარი შეცნობით გაანადგურა რომელიმე ნივთიერი მტკიცებულება ან შეგნებულად დუმს მნიშვნელოვანი ფაქტების თაობაზე, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მტკიცების ტვირთი ამ მხარეს დააკისროს“.

99.10. სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში აპელანტები მიუთითებენ, რომ შუამდგომლობა კომპანიიდან მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ მოსარჩელეს არ ჰქონია და, შესაბამისად, მათ არ ეკისრებათ მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება. აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, ვინაიდან მოსარჩელეებმა წარადგინეს მტკიცებულებები, ხოლო მოპასუხემ ვერ დაადასტურა მათი სიყალბე, მაშინ, როდესაც კომპანიის ფინანსური დოკუმენტების გაცნობის შესაძლებლობა და წარმოდგენის ვალდებულება

ეკისრებათ მოპასუხეებს, როგორც კომპანიის პარტნიორებს. სასამართლომ მიუთითა, რომ პარტნიორებს არც იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება წარუდგენიათ, რომ სადავო პერიოდის ფინანსური დოკუმენტაცია დაექვემდებარა განადგურებას.

99.11. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა შპს „ტ.ს-ს“ წარმომადგენლების შუამდგომლობა და საქმის მასალებს დაერთო აპელანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, კერძოდ, შპს „გ.თ.ა-ის“ მიერ შედგენილი ექსპერტის დაკვნა - ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 09 სექტემბრის №... დასკვნის შესახებ. მითითებული დასკვნის შესწავლისა და ანალიზის შედეგად სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება ვერ აბათილებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 9 სექტემბრის დასკვნის შედეგებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

99.11.1. შპს „გ.თ.-სა“ (შემსრულებელს) და შპს „ს. კ. რ.2“-ს (შემსყიდველს) შორის 2015 წლის 13 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დგინდება, რომ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემსყიდველისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. სსკ-ის მიხედვით, ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, თანამდებობა), ექსპერტის გაფრთხილება განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და ა.შ. აპელანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არის საკონსულტაციო მომსახურების შედეგად მიღებული დოკუმენტი და არა - ექსპერტის დასკვნა, რომელიც, გარდა იმ რეკვიზიტებისა, რომელსაც უნდა შეიცავდეს ექსპერტის დასკვნა, ასევე, არ არის ხელმოწერილი კონკრეტული პირის მიერ, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა. ძირითადი მოთხოვნა ექსპერტის დასკვნის მიმართ აგებულია რამდენიმე პრინციპზე. უპირველესად, უნდა აღინიშნოს კვალიფიკაციის პრინციპი, რომლის მიხედვით, ექსპერტს შეუძლია, გამოიტანოს საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისი დასკვნა. ამასთან, ექსპერტმა უნდა შეძლოს ისეთი დასკვნის ჩამოყალიბება და ფორმირება, რომელიც მოითხოვს საკმაოდ მაღალ კვალიფიკაციას და შესაბამის სპეციალურ ცოდნას. აპელანტების მიერ წარმოდგენილ დასკვნაში არ არის მითითებული ექსპერტის (სპეციალისტის) ვინაობისა და მისი კვალიფიკაციის შესახებ;

99.11.2. ექსპერტის დასკვნისათვის, როგორც მტკიცებულების წყაროსათვის, მნიშვნელოვანია, რომ ის წარმოადგენდეს საპროცესო კოდექსით ნორმატიულად

დადგენილ წესებს დაქვემდებარებულ დოკუმენტს. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტი არ აკმაყოფილებს ამგვარი დოკუმენტისათვის აუცილებელ პირობებს და, შესაბამისად, მას პალატა ვერ მიანიჭებს მტკიცებულებით მნიშვნელობას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო შეაფასებს მას მტკიცებულებად, ეს ვერ აბათილებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნას, შემდეგ გარემოებათა გამო: შემსრულებელმა იკისრა ვალდებულება, რომ შეასრულოს საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მოიცავს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში შემფასებელი) მიერ 2015 წლის 9 ოქტომბერს გაცემული ექსპერტიზის დასკვნის შესახებ ექსპერტის დასკვნის მომზადებას. შპს „გ.თ.ი.- ს“ მიერ შესრულებულ დასკვნაში მითითებულია, რომ „საჭირო ინფორმაციის ნაწილი, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო საშემფასებლო სტანდარტების IVS-ის მიხედვით, შეფასების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი... მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშს აკლია აღნიშნული ნაწილები, ჩვენი აზრით, ეს ელემენტები არ ახდენს მატერიალურ გავლენას შეფასების ანგარიშზე“; „IVS-ის მოთხოვნების მიხედვით, სათანადო შეფასების საფუძვლის მისაღწევად, შესაძლოა ერთი ან მეტი შეფასების მიდგომის გამოყენება (IVS 56-ე მუხლი შეფასების მიდგომები). შეფასების ანგარიშის მიხედვით, კომპანიის წილის საბაზრო ღირებულების დასადგენად შემფასებელმა გამოიყენა მხოლოდ ერთი მიდგომა - აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ ერთი მიდგომის გამოყენება არ წარმოადგენს IVS სტანდარტებისაგან გადახრას“; „კონსულტანტმა ვერ შეძლო იმის დადგენა, გამართლებული არის თუ არა შემოსავლებისა და საბაზრო მიდგომების არგამოყენება“.

99.12. სასამართლომ აღნიშნა: მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა წილების საბაზრო ღირებულების დადგენისას გამოიყენა აქტივებზე დაფუძნებული მიდგომა, ასევე, მისი უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლებში ექსპერტმა მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო დასკვნის მისაღებად და, შესაბამისად, პასუხი გასცა ექსპერტიზის წინაშე დასმულ საკითხებს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ვერ აბათილებდა აქტივებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების მართლობიერებას და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული დასკვნის შესაბამისობას; აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ 2005 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულების დადების დროს წილის ნასყიდობის ფასი 4.35-ჯერ აღემატებოდა

ხელშეკრულებაში მითითებულ ფასს, ხოლო 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულებების შემთხვევაში - თითქმის 15-ჯერ (38% წილთან დაკავშირებით) და 16-ჯერ (40% წილთან დაკავშირებით);

99.13. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია მოცემული დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენება და განმარტა: „ 54-ე მუხლი შეიცავს გარიგების შინაარსის კონტროლის განმსაზღვრელ ცენტრალურ ნორმას და განამტკიცებს კერძო ავტონომიის შეზღუდვის რამდენიმე შემთხვევას... 54-ე მუხლი გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“ (ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 54, გვ. 176), რომელთა დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას: კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა, საჯარო წესრიგი და ზნეობის ნორმები. . . მესამე ფასეულობა, რომლის დარღვევაც იწვევს გარიგების ბათილობას, არის ზნეობა. კერძოდ, ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგება ბათილია. ზნეობასთან დაკავშირებით 54-ე მუხლი შეიცავს ზოგად ნორმას, რომლის დაკონკრეტება სასამართლო პრაქტიკაზეა დამოკიდებული. თუ გარიგებათა აღიარება კანონსაწინააღმდეგოდ შედარებით მარტივია, რადგან შეფასების საზომად გამოიყენება კანონის კონკრეტული ნორმები, ზნეობის ნორმების დაკონკრეტება და გარიგების შემოწმება მათზე საკმაოდ რთულია. მთავარი პრობლემა არის იმის დადგენა, თუ რა არის ზნეობა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება (Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn.681). ვინაიდან მორალის ნორმები არ არის კოდიფიცირებული, რთულია იმის დადგენა, კონკრეტულად რომელ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება გარიგება ... ქართული სასამართლო პრაქტიკა ცდილობს ამ კითხვას უპასუხოს ახალ სასამართლო გადაწყვეტილებებში. ...თბილისის სააპელაციო სასამართლოს აზრით, გარიგება ამორალურია, თუ „ის ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ხელშეკრულების მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 06 თებერვლის #28/4123-12 გადაწყვეტილება). შემოწმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებით, არამედ გარიგების, მისი შინაარსის მიმართება ზნეობასთან (Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn.685). მაგალითად, განაკვეთის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის (ყოველთვიური 30%) მიმართება ზნეობასთან (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 05 თებერვლის #2/13966-12 გადაწყვეტილება)... გარიგების ბათილობა არ შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, იცოდნენ თუ არა გარიგების მონაწილეებმა, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ“ ((Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn.689) (ლადო ჭანტურია, კომენტარები, ბოლო დამუშავება: 30 ოქტომბერი, 2015)“;

99.14. სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 8.3, 319.1 მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი ამორალურ გარიგებებთან მიმართებით შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს. განსხვავებით გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სამოქალაქო კოდექსის 55-ე, 85-ე მუხლები), გარიგების ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა ამ გარიგების დადება. საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის, რომ სასამართლომ იგი მიიჩნიოს ამორალურ გარიგებად. შესაბამისად,

შეუძლებელია, გარიგების ამორალური ბუნების გამორიცხვა იმის გამო, რომ არ დგინდება ერთ მხარეზე მეორე მხარის მიერ განხორციელებული იძულების ფაქტი;

99.15. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2005 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულების დადების დროს წილის ნასყიდობის ფასი 4.35-ჯერ აღემატებოდა ხელშეკრულებაში მითითებულ ფასს, ხოლო 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულებების შემთხვევაში - თითქმის 15-ჯერ (38% წილთან დავშირებით) და 16-ჯერ (40% წილთან დაკავშირებით). სასამართლომ დაასკვნა: „განსახილველ შემთხვევაში, მართალია, არ დგინდება ქ.ხ-ის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტი, მაგრამ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, პალატას ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნება ბათილია, გარიგების ამორალურობის სამართლებრივი საფუძვლით“.

99.16. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სსკ-ის 976-991-ე მუხლები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ. *„ზოგადი წესის მიხედვით, გარიგების მონაწილეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველაფერი, რაც მათ ბათილი გარიგებით მიიღეს. თუმცა ამ წესიდან მრავალი გამონაკლისი არსებობს. ამიტომ სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხებს აწესრიგებს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე“;*

99.17. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით, დადგენილია, რომ 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულებები ბათილი გარიგებებია, რაც პირს უფლებას აძლევს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება. აღნიშნულთან დაკავშირებით, აპელანტებმა მიუთითეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.2. და 7.3 მუხლებზე, შესაბამისად - სამართალურთიერთობის მონაწილე პირთა კეთილსინდისიერებაზე. 2009 წლის 25 დეკემბრამდე მდგომარეობით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.1. მუხლის თანახმად, ვიდრე რეესტრში ჩასაწერი ფაქტები არ იქნება რეგისტრირებული და გამოქვეყნებული, დაუშვებელია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მონაცემები მათთვის ცნობილი იყო; 7.2 მუხლის თანახმად, თუ ფაქტები რეგისტრირებული და გამოქვეყნებულია, დასაშვებია მათი გამოყენება მესამე პირის მიმართ. 7.3. მუხლის თანახმად, თუ რეგისტრაციისათვის აუცილებელი ფაქტები არასწორადაა რეგისტრირებული ან გამოქვეყნებული, მესამე პირს შეუძლია იმ პირთან ურთიერთობაში, რომლის საქმეშიც იყო ეს ფაქტები რეგისტრირებული, დაეყრდნოს რეგისტრირებულ ან გამოქვეყნებულ მონაცემებს, თუ იგი ენდობოდა მათ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

მან იცოდა ამ უზუსტობის შესახებ.

99.18. 2009 წლის 25 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად მითითებული მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: 7.1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს რეესტრიდან ამონაწერი. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან გაიცემა საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადებისათვის „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში და საფასურის გადახდის შემთხვევაში, მზადდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. 2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საფასურის გადახდის გარეშე. 3. რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისთვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა;

99.19. 2012 წლის 25 მაისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად 7.1 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღრიცხული მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს ამ რეესტრიდან ამონაწერი. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი გაიცემა საქართველოს მთავრობის დადგენილებით ამონაწერის მომზადებისათვის დადგენილ ვადაში და განსაზღვრული საფასურის გადახდის შემთხვევაში. ამონაწერი მზადდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის,

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა და მოვალეთა რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა და მოვალეთა რეესტრებში რეგისტრირებული შეზღუდვების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში ამონაწერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პარტნიორთა წილებზე, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს“.

99.20. აღსანიშნავია, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე (მიღებულია 2008 წლის 19 დეკემბერს) არ არსებობდა ერთიანი საჯარო აღრიცხვის სივრცე. საჯარო რეესტრის უმთავრესი დანიშნულებაა, სწორად ასახოს რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყოველგვარი უფლება, მათ შორის, - საკუთრების უფლება და მათი მდგომარეობა. საჯაროობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ რეგისტრაციის მომენტიდან იქნეს ამგვარი უფლება იურიდიულ ძალას მესამე პირებისათვის. კანონმდებლობა უშვებს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციას, რაც ნიშნავს იმას, რომ მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამდენად, სასამართლოს დასკვნით, საჯარო რეესტრი, ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გარანტის ფუნქციას ასრულებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი სრულ კონსენსუსშია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან.

99.21. კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც რეესტრში რეგისტრირებული უფლება არ შეესაბამება ამ უფლების ნამდვილ შინაარსს, ხოლო მესამე პირისათვის ეს ფაქტი უცნობია. როდესაც არსებობს კონფლიქტი ნამდვილ მესაკუთრესა და მესამე პირს შორის, გადამწყვეტია იმის გარკვევა, თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა - მესაკუთრეს თუ შემძენს და რა შემთხვევაში - თითოეულს ანუ იცავს თუ არა მსგავს სიტუაციაში შემძენს რომელიმე ნორმა, რაც დააბრკოლებდა სარჩელის დაკმაყოფილებას;

99.22. კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტები მიუთითებდნენ სამართალურთიერთობის მონაწილე პირთა კეთილსინდისიერებაზე. სააპელაციო

სასამართლომ განმარტა, რომ მეწარმეთა კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ მესამე პირმა იცოდა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ.

99.23. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგინდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა:

99.23.1. 2006 წლის 17 ნოემბერს დადებული სადავო ხელშეკრულებების შედეგად, შპს „გ.ტ.-მა“ ქ. ხ-სა და შპს „პ-გან“ შეიძინა შპს „ს. კ. რ.2“-ის 78% წილი, საიდანაც 12 დღეში, 2006 წლის 29 ნოემბერს, შპს „პ.ს.ი.ჯ-ს“ მიჰყიდა კომპანიის წილის 23 %, ხოლო დარჩენილი 55%, 14 დღეში, 2006 წლის 01 დეკემბერს, მიჰყიდა კომპანია „D.R.“-ს, რომელსაც ხელშეკრულების დადებისას წარმოადგენდა ლ. ყ. კომპანია „D.R.“-მა (წარმომადგენელი - ლ. ყ.) შემენიდან 2 თვეში, შპს „ს. კ. რ.2“-ის მისი კუთვნილი 55% წილი მიჰყიდა კორპორაცია „გ.გ-ს“, რომელსაც წარმოადგენდა ბ. ნ-ძე. ხოლო ეს უკანასკნელი იყო შპს „გ.ტ.-ის“ (კომპანიის წილის შემძენი სადავო 2006 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულებებით) 100%-იანი წილის მფლობელი;

99.23.2. 2008 წლის 10 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით შპს „პ.ს.ი. ჯ-მა“ და კორპორაცია „გ.გ-მა“ შპს „ს. კ. რ.2“-ის კუთვნილი წილებიდან 15-15% უსასყიდლოდ გადასცეს ი. ჩ-ს. 2009 წლის 18 მარტს ი.ჩ-მა კომპანიის 30% წილზე საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადასცა კომპანია „D.L.“-ს (წარმომადგენელი გ. გ.-ძე მოპასუხე ნ. ნ-ძის მეუღლე). ანალოგიურად, 2009 წლის 18 მარტის ხელშეკრულებით კომპანია „D.L.“-მა უსასყიდლოდ მიიღო კომპანიის 40% წილი. 2011 წლის 28 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით შპს „პ. ი. ჯ-მა“ შპს „ჩ.ი.-ს“ გადასცა შპს „ს. კ. რ.2“-ის წილის 30%. მითითებული ნასყიდობის ხელშეკრულებით დგინდება, რომ შპს „ჩ.ი.“ წარმოადგენს შპს „პ. ი. ჯ-სა“ და შპს „ს-ის“ (სადავო 2005 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით) პარტნიორსა და საწესდებო კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელს. 2011 წლის 6 დეკემბერს შპს „ჩ.ი-მა“ კომპანიის 30% წილი საკუთრებაში გადასცა ლ. ყ-ს, ხოლო კომპანია „დ.ლ-მა“ (წარმომადგენელი გ. გ.-ძე) - კომპანიის 10% საკუთრებაში გადასცა გ. გ-ძეს (მოპასუხე ნ. ნ-ძის მეუღლე);

99.23.3. 2011 წლის დეკემბერში ლ. ყ-მა „D.L.“-გან შეიძინა კომპანიის 60% წილი. სამივე ხელშეკრულებაში (2011 წლის 6 დეკემბრის ხელშეკრულებები და 2011 წლის დეკემბრის ხელშეკრულება) მითითებულია, რომ „ამ ხელშეკრულების გაფორმების დღეს წილის ნასყიდობის სანაცვლოდ მყიდველის მიერ გამყიდველისათვის სრულად იქნა გადახდილი ნასყიდობის ფასი, რომელიც განისაზღვრება

დამატებითი ხელშეკრულებით, რომელიც არის ამ ხელშეკრულების განუყოფელი კონფიდენციალური ნაწილი, რომლის გასაჯაროება დაუშვებელია“;

99.23.4. 2014 წლის 4 ოქტომბერს შპს „მ. ჯ-მ“ ლ. ყ-გან შეიძინა კომპანიის 40% წილი, ხოლო 2012 წლის 9 ოქტომბერს, ანუ 5 დღეში, შპს „მ. ჯ-მ“ კომპანიის კუთვნილი 40% მიჰყიდა გ. ყ-ს;

99.23.5. 2012 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით, შპს „ს. კ. რ.2“-ში წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: გ. გ. - 9%, გ. ყ. - 18%, ლ. ყ. - 22%, შპს „ტ.ს.“ - 51% (პარტნიორები ლ. ყ. და გ. ყ.);

100. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შპს „ს. კ. რ.2“-ის წილების მესაკუთრეები, რიგ შემთხვევაში, წილზე საკუთრების უფლებას ასხვისებდნენ მისი შემქნიდან მოკლე დროში (12 დღე, 14 დღე, 2თვე, 5დღე), ასევე დადგენილია, რომ წილის შემქნები არიან ერთმანეთთან დაკავშირებული კომპანიები ან პირები. რიგ შემთხვევაში, წილი მიღებულია უსასყიდლოდ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, წილის ნასყიდობის ფასთან დაკავშირებით ხელშეკრულებებში ურთერთგამომრიცხავი მითითებებია.

101. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ წილის შემქნთა კეთილსინდისიერი განზრახვა, რაც მხოლოდ ქონებრივ ინტერესს უკავშირდება, დგება ეჭვქვეშ.

102. სასამართლომ განმარტა, რომ რეესტრის უტყუარობის ფიქციას არღვევს სწორედ შემქნის არაკეთილსინდისიერება. რეესტრის ჩანაწერის სისწორეზე დაყრდნობისას უნდა შემოწმდეს არა მარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, არამედ ასევე უტყუარად უნდა ირკვეოდეს, რომ შემქნმა ქონების შექნამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მათ საფუძველზე სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები მიუთითებენ, რომ შემქნებისათვის ცნობილი იყო უფლებრივი ნაკლის შესახებ. შესაბამისად, მოპასუხეები ვერ ჩაითვლებიან კეთილსინდისიერ შემქნებად, რადგან მათთვის ცნობილი იყო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობა.

103. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა განმარტება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

103.1. სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ;

103.2. ხანდაზმულობის დაწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირდება, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისაგან განსხვავებულადაა მოწესრიგებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე. ხანდაზმულობის საერთო ვადა, სსკ-ის 128-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, შეადგენს ათ წელს. არც სსკ-ის 54-ე მუხლით გარიგების ბათილად ცნობას, არც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე უკუმოთხოვნას არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ან სხვა რაიმე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები. შესაბამისად, მათ მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის საერთო - 10-წლიანი ვადა, რაც მოსარჩელეს ხელშეკრულებების დადებიდან სარჩელის აღძვრამდე დაცული აქვს (*საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმე # ას-225-215-2016, 25 მაისი, 2016 წელი; საქმე #ას-15-15-2016, 01 მარტი, 2016 წელი*);

103.3. სსსკ-ის 377-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა;

104. სააპელაციო სასამართლომ განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 აგვისტოს, 2 ოქტომბრის, 19 ოქტომბრისა და 22 ოქტომბრის განჩინებები, რომლებითაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების შესახებ.

105. სასამართლომ იმსჯელა სსსკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და 393.3-ე მუხლის დანაწესზე და განმარტა: გარდა იმისა, რომ განმცხადებლების მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს მოსამართლის საქმის შედეგით დაინტერესების ფაქტს, ასევე გასათვალისწინებელია, რომ საქალაქო სასამართლომ მიიღო არსებითად სწორი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება იმ სახის საპროცესო დარღვევები, რომლებსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი მითითებულ განჩინებებთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს;

106. სააპელაციო სასამართლომ განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება იმავე წლის 16 ოქტომბერს წარდგენილი მტკიცებულებების დართვასა და ახალი მტკიცებულებების წარსადგენად დამატებითი ვადის დაწესებაზე უარის თქმის თაობაზე; იმავე სასამართლოს 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება შპს „K. G.“-სა და შპს „ი. ს-ის“ გაგზავნილი წერილებისა და მათი პასუხების მტკიცებულების სახით დართვაზე უარის თაობაზე; 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება იმავე წლის 16 ოქტომბერს წარდგენილი მტკიცებულებების დართვის თაობაზე, შუამდგომლობის მოხსნის შესახებ; 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, სსსკ-ის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „ჩ.ი.-სა“ და „დ. ლ-ის“ მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩართვის შესახებ;

107. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 3.1-ე და მე-4, 203.1-ე მუხლებზე, 215-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე და განმარტა: დადგენილია, რომ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „ს. კ. რ.2“-ის, ლ.ყ-სა და გ. ყ-ის წარმომადგენლების შუამდგომლობები 2015 წლის 16 ოქტომბერს წარდგენილ შუამდგომლობაზე (განცხადების #1124684) თანდართული მტკიცებულებების საქმეზე დართვისა და ახალი მტკიცებულებების წარსადგენად დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ. შუამდგომლობის ავტორმა წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც, მისი განმარტებით, ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ქ.ბ-ის მიმართ იძულება არ განხორციელებულა და აბათილებდა მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შპს „ს.კ.რ.2“-ის წილების გასხვისების ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ნასყიდობის ფასი შეესაბამებოდა მათ რეალურ ღირებულებას;

108. სასამართლომ აღნიშნა: დადგენილია, რომ სარჩელის მიხედვით, მტკიცების

საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტები, რომ სადავო გარიგებები დაიდო იძულების შედეგად და მათში დაფიქსირებული წილთა ღირებულებები არ შეესაბამებოდა და არ წარმოადგენდა რეალურ საბაზრო ღირებულებას. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 სექტემბრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა და საქმის განხილვის დღედ განისაზღვრა იმავე წლის 17 სექტემბერი. აღნიშნულის შესახებ მხარეებს ეცნობათ სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. 2015 წლის 11 სექტემბრის მოსამზადებელ სხდომას ესწრებოდნენ ლ. ყ-სა და გ. ყ-ის, ასევე, - შპს „ტ. ს-ს“ წარმომადგენლები. მეორე მოსამზადებელი სხდომა შედგა 2015 წლის 2 ოქტომბერს, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ იმავე მოპასუხეთა (აპელანტების) წარმომადგენლები. სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2015 წლის 19 ოქტომბერს, რომლის თაობაზეც მხარეებს (აპელანტებს) ეცნობათ იმავე წლის 2 ოქტომბრის სხდომის დასრულების შემდეგ; 2015 წლის 16 ოქტომბერს წარდგენილ შუამდგომლობაზე (განცხადების #...) თანდართული მტკიცებულებების დართვისა და ახალი მტკიცებულებების წარსადგენად დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ შუამდგომლობა, საქმის მოსამზადებელი სტადიის დასრულების შემდეგ, 2015 წლის 19 ოქტომბერს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე წარადგინა ლ. ყ-სა და გ. ყ-ის წარმომადგენელმა, მაშინ, როდესაც შპს „ტ. ს-ს“ 2015 წლის 20 აგვისტოს წარადგინა შესაგებელი სარჩელზე, ხოლო ლ. ყ-მა და გ. ყ-მა - 2015 წლის 21 აგვისტოს. შესაბამისად, მხარეებს ჰქონდათ საკმარისი დრო, რომ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე წარედგინათ მტკიცებულებები და სხვა სახის შუამდგომლობები;

109. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 ოქტომბრის მოსამზადებელ სხდომაზე დაკმაყოფილდა შპს „ტ. ს-ს“ წარმომადგენლის - ქ. ზ-ის - შუამდგომლობა და მოსარჩელეს დაევალა 2015 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით ყველა იმ მტკიცებულების წარდგენა, რაც საფუძვლად დაედო ექსპერტის დასკვნას. ასევე, დაევალათ მოპასუხეებს მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ჩაბარება და 2015 წლის 7 ოქტომბრიდან 1 კვირის ვადაში მტკიცებულებებზე თავიანთი პოზიციის წარდგენა. დადგენილია, რომ მოსარჩელემ წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები 2015 წლის 5 ოქტომბერს;

110. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 206-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მხარეები ვალდებული არიან, საქმის მომზადების მიზნით, შეასრულონ მოსამართლის მითითებები. არასაპატიო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას,

შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს. სსსკ-ის 223.2 მუხლის თანახმად, სასამართლო იღებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზომებს, რათა საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, მხარეთა პაექრობა ზედმეტად არ გაჭიანურდეს, არ გართულდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად - ერთ სასამართლო სხდომაზე და, თუ შესაძლებელია, - შესვენების გარეშე;

111. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მხარე ვერ მიუთითებს ისეთ საპატიო გარემოებებზე, რომელთა გამოც შუამდგომლობის წარდგენა ვერ შეძლო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სსსკ-ის 215-ე მუხლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობათა განხილვისას საპროცესო სამართლის ნორმები არ დარღვეულა. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო აპელანტის მოთხოვნა საოქმო განჩინებების გაუქმების შესახებ;

112. სააპელაციო სასამართლომ განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება შპს „K. G“ -სა და შპს „ი. ს-ის“ გაგზავნილი წერილებისა და მათი პასუხების მტკიცებულების სახით დართვაზე უარის შესახებ და აღნიშნა:

112.1. დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით შპს „ს. კ. რ.2“-ის, შპს „ტ. ს-ს“ წარმომადგენლების შუამდგომლობები შპს „ს. კ. რ.2“-ის მიერ შპს „K. G“-სა და შპს „ი. ს-თვის“ გაგზავნილი წერილების მტკიცებულების სახით დართვის შესახებ არ დაკმაყოფილდა;

112.2. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, *„სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ“*. „ს. კ. რ.2“-ის მიერ შპს „K. G“-სა და შპს „ი.ს-ის“ გაგზავნილი წერილებისა და მათი პასუხების შესწავლის შედეგად პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ მტკიცებულებებს არ აქვს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან მათში მითითებული გარემოებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნას ვერ აბათილებს;

113. სააპელაციო სასამართლომ განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც მოიხსნა შპს „ტ. ს-ს“ წარმომადგენლის შუამდგომლობა 2015 წლის 16 ოქტომბერს

წარმოდგენილ შუამდგომლობაზე (განცხადების #1124684) თანდართული მტკიცებულებების დართვის შესახებ.

114. სსსკ-ის 215-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობებს, იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობების დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზე.

115. სასამართლოს მსჯელობით, მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სავალდებულოა ერთგვაროვანი შუამდგომლობების ერთად წარდგენა;

115.1. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2015 წლის 19 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე სასამართლომ იმსჯელა შპს „ს. კ. რ.2“-ის, ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის წარმომადგენლების შუამდგომლობებზე, 2015 წლის 16 ოქტომბერს წარდგენილ შუამდგომლობაზე (განცხადების #1124684) თანდართული მტკიცებულებების დართვის შესახებ და მიღებულ იქნა შესაბამისი განჩინება, ხოლო ამავე სხდომაზე, მოგვიანებით, შპს „ტ. ს-ს“ წარმომადგენელმა წარადგინა იგივე შუამდგომლობა იმავე საფუძველებით. მითითებული ფაქტებისა და ნორმის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ წარდგენილი შუამდგომლობა პროცესის გაჭიანურების მიზნებს ემსახურებოდა და კანონიერად მოხსნა იგი.

116. სააპელაციო სასამართლომ განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „ს. კ. რ.2“-ის, ლ. ყ-სა და გ. ყ-ის, შპს „ტ. ს-ს“ წარმომადგენლების შუამდგომლობა „ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2015 წლის 09 სექტემბრის # დასკვნის საქმიდან ამოღების შესახებ;

116.1. დადგენილია, რომ მხარეთა შუამდგომლობა საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის სიყალბისა და საქმის მასალებიდან ამორიცხვის შესახებ ემყარებოდა შემდეგ გარემოებას: ექსპერტის დასკვნა შედგენილი იყო შპს „ს. კ. რ2“-ის 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, რაც წარადგინა მოსარჩელემ. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, ექსპერტის დასკვნა შედგენილი იყო ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, დასკვნის სიყალბეს ნიშნავდა, რადგან ვალიდური ვერ იქნებოდა დასკვნა, რომელიც, თავის მხრივ, ყალბი ინფორმაციის საფუძველზე იყო შედგენილი;

116.2. სსსკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, 1. მხარეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი განცხადება მას შეუძლია, გააკეთოს აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილ იქნა ამ სასამართლო სხდომაზე, ან ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე. 2. მტკიცებულების წარმდგენ მხარეს შეუძლია, სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებებიდან სადავო საბუთის ამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ასეთი თხოვნის არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო შეამოწმებს საბუთის ნამდვილობას, რისთვისაც შეუძლია, დანიშნოს ექსპერტიზა, მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები. 3. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია, მას მტკიცებულებიდან გამოორიცხავს. 4. წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით. 5. თუ დადასტურებულია წარდგენილი საბუთის სიყალბე, სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას და ამ დოკუმენტს მისი სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულებებით გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს;

116.3. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეები მიუთითებდნენ ექსპერტის დასკვნის სიყალბეზე იმ საფუძველით, რომ მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარებოდა ექსპერტის დასკვნა, ყალბი იყო. სასამართლომ მიუთითა, რომ დასკვნის შედგენისას, ექსპერტი დაეყრდნო მხარის მიერ წარდგენილ შემდეგ მტკიცებულებებს: შპს „ს. კ. რ2“-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრულ საბალანსო ნაშთებს 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, რომელთა სიყალბესთან დაკავშირებით სასამართლომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ აპელანტების არგუმენტი - 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შპს „ს.

კ. რ.2“-ის აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთების სიყალბის შესახებ, მოკლებული იყო მტკიცებას;

116.4. ექსპერტის დასკვნის ნამდვილობის საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება და აღნიშნა, რომ დასკვნა შედგენილი იყო ექსპერტ შ. ი-ის მიერ, რაც სადავო არ იყო. დასკვნა გასცა ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ და არ წარმოადგენდა არაკანონიერი გზით მოპოვებულ მტკიცებულებას;

117. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც სასამართლო დაეთანხმა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და უცვლელად დატოვა იგი.

მოპასუხეთა საკასაციო საჩივრები

118. მოპასუხეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის განჩინება და რიგი საოქმო განჩინებებისა.

119. ლ. და გ. ყ-ების, შპს „ტ. ს-ს“ საკასაციო საჩივრებით (ასევე, დაზუსტებული საკასაციო განაცხადებით) მოთხოვნილია საქმის ხელახლა დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში (იხ. ტ.9, ს.გ. 10-91, 95-179, 194- 376, ტ.13).

120. კასატორებს თავიანთ განაცხადებში წარმოდგენილი აქვთ შემდეგი შუამდგომლობები:

120.1. სსსკ-ის მე-6 და 279-ე მუხლების საფუძველზე მოპასუხეები ითხოვენ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების შეჩერებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ # 679, # 720 და # 721 კონსტიტუციურ სარჩელებზე (ტ. 7, ს.გ. 293-303) გადაწყვეტილების მიღებამდე, შემდეგი დასაბუთებით:

120.1.1. ყველა კონსტიტუციური სარჩელი არათუ არსებითად მიიღო საკონსტიტუციო სასამართლომ, არამედ მათი განხილვაც კი დასრულებულია და

გადაწყვეტილება შეიძლება გამოცხადდეს უახლოეს მომავალში. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო არ შეაჩერებს საქმის წარმოებას და საკონსტიტუციო სასამართლო სსკ-ის 54-მუხლისა და 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისამდე მოქმედ რედაქციას არაკონსტიტუციურად ცნობს, უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს არაკონსტიტუციურ ნორმათა საფუძველზე. აღნიშნული ცალსახად იქნება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა;

120.1.2. საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს ბოლო ინსტანციის სასამართლოს და მისი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, შესაბამისად, თუკი უზენაესი სასამართლო არ შეაჩერებს საქმის წარმოებას და მიიღებს გადაწყვეტილებას, ხოლო მას შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს ნორმებს, რომლებსაც დაეყრდნობა უზენაესი სასამართლო, მხარეს არ ექნება არანაირი ბერკეტი, აღიდგინოს დარღვეული კონსტიტუციური უფლებები. შესაბამისად, აშკარაა, რომ უზენაესმა სასამართლომ, რომელიც უმაღლესი ინსტანციის სასამართლოა და გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობა აკისრია მართლმსაჯულების განხორციელებაში, არ უნდა დაუშვას საკუთარი გადაწყვეტილების არაკონსტიტუციურ ნორმებზე დაფუძნება და მხარის კონსტიტუციური უფლებების დარღვევა;

120.1.3. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის განხილვა თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე სრულიად აშკარაა, რომ თუ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო საქმის განხილვა არის შეჩერების საფუძველი, იგივე უნდა გავრცელდეს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვაზეც. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა, იგი არ საჩივრდება და ნებისმიერი საერთო სასამართლო ვალდებულია, არ დაეყრდნოს ისეთ ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა გამოცხადებული;

120.1.4. სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ

ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია). ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აწესრიგებს მხარის მიერ კონსტიტუციური სარჩელის შეტანისას საქმის წარმოების შეჩერების საკითხებს, კასატორთა მოსაზრებით, სასამართლომ კანონის ანალოგიის გზით უნდა გამოიყენოს იმავე კოდექსის მე-6 და 279-ე მუხლები და მათ საფუძველზე უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება;

120.2. სსსკ-ის 380-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კასატორები ითხოვენ, საქმის მასალებს დაერთოს შპს "გ. თ. ა-ს" 2016 წლის 12 ივლისის წერილი შემდეგი დასაბუთებით:

120.2.1. სსსკ-ის 399-ე მუხლის თანახმად, საქმე საკასაციო სასამართლოში განიხილება იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა. საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი მხარეს აძლევს შესაძლებლობას, წარადგინოს ახალი მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოში, თუ მათი წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოში საპატიო მიზეზით ვერ მოხდა;

120.2.2. სააპელაციო სასამართლომ, ისე რომ სასამართლო პროცესებზე ერთი კითხვაც კი არ დაუსვამს იმაზე, თუ ვინ შეადგინა „გ. თ. ა-ის“ სახელით მომზადებული დასკვნა, რატომ არ აწერს ხელს მას კონკრეტული პირი, რატომ არ იყო გაფრთხილებული ექსპერტი მოსალოდნელ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე და ა.შ., მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიანიჭა მოპასუხეთა მიერ წარდგენილ 2015 წლის 02 ნოემბრის „გ. თ. ა-ის“ საექსპერტო დასკვნას. კასატორები აღნიშნავენ, რომ მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა სასამართლოს მიერ მსოფლიო რეიტინგში მე-5 ადგილზე მყოფი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნის ეჭვქვეშ დაყენება და მისთვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მიუნიჭებლობა. ისინი აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლოს პრეტენზია ჰქონდა დასკვნის ფორმალურ მონაცემებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც მოპასუხეებმა დასკვნის ავტორს მიმართეს და მისგან მიიღეს განმარტება, რომ დასკვნები ზოგადად გაიცემა იმ ფორმით, როგორითაც „რ2“-ის დასკვნა გაიცა და მათი დასკვნის ფორმასთან დაკავშირებით არასოდეს გამოთქმულა პრეტენზიები, მათ შორის სასამართლოთა მხრიდან;

120.2.3. კასატორებს მიაჩნიათ, რომ დასახელებული დასკვნის გაუზიარებლობა

სააპელაციო სასამართლოს ტენდენციურობაზე მიუთითებს.

120.3. საქმის მასალებშია, ასევე, 101-ე პუნქტში დასახელებულ კასატორთა შუამდგომლობა საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლების რეალიზაციისა და დამატებითი საკასაციო საჩივრების წარმოდგენის თაობაზე (იხ. ტ...).

121. წინამდებარე გადაწყვეტილების 119-ე პუნქტში მითითებულ მოპასუხეთა საკასაციო საჩივრების არგუმენტები:

121.1. გასაჩივრებული განჩინების 4.19 პუნქტში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით შპს „ს. კ. რ. 2“-ის წილების ღირებულების დადგენის ნაწილში. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეყრდნო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 09 სექტემბრის ... დასკვნას (გვ.46). აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, კასატორებმა შედავება წარმოადგინეს ფაქტობრივი გარემოებების პრეტენზიის ნაწილში. მათი მტკიცებით, ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწინააღმდეგის მიერ წარდგენილი მტკიცებულება და, შესაბამისად, კანონის დარღვევით დაადგინა შპს „ს. კ. რ.2“-ის წილების ღირებულება, რაც თავისთავად გამორიცხავდა გარიგებების ბათილობის თეორიულ შესაძლებლობაზე მსჯელობასაც კი;

121.2. კასატორები უთითებენ სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლითაც დადგენილია, რომ ექსპერტის დასკვნა ერთ-ერთი მტკიცებულებაა და სასამართლოსათვის მას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ ყველა გარემოება, მათ შორის - ექსპერტისათვის წარდგენილი საკვლევი მასალა, უნდა შეამოწმოს დასკვნასთან დაკავშირებით და შესაბამის შემთხვევებში არ დაეყრდნოს საერთოდ ექსპერტიზის დასკვნას (*სუსგ # ას-1125-1389-09; # ას-406-383-2014*). კასატორებს მიჩნიათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო სრულყოფილად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლევდა საქმეში არსებულ ექსპერტიზის დასკვნას და მისთვის წარდგენილ საკვლევ მასალას, იგი დაადგენდა, რომ ამ მტკიცებულების საფუძველზე ფაქტობრივი გარემოების დადგენა შეუძლებელი იყო, შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლოში ექსპერტის დაკითხვით გამოვლინდა, რომ „რ2“-ის წილები ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ შეაფასა განსაკუთრებული დაინტერესებით და, შესაბამისად - მიკერძოებულად,

საექსპერტო კვლევა განხორციელდა მნიშვნელოვანი დარღვევებით, დასკვნა არ ეფუძნება ობიექტურ და გადამოწმებულ ინფორმაციას. ამ დასკვნას არ გაუცია მის წინაშე დასმულ კითხვაზე პასუხი, კერძოდ:

121.2.1. საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ ექსპერტმა მოსარჩელის წარმომადგენელს მოსთხოვა 8 ტიპის დოკუმენტაცია, რომლებიც საჭირო იყო „რ2“-ის წილების საბაზრო ღირებულების დასადგენად, თუმცა, მას წარუდგინეს მხოლოდ კომპანიის წესდება და შპს „ს. კ. რ2“-ს აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთები 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით (ტ. 3, ს.გ.170-184). აღსანიშნავია, რომ ექსპერტს წილები არ შეუფასებია კომპანიის წესდებაზე დაყრდნობით და ის კვლევისას სწორედ ზემოთ ნახსენებ ე.წ. საბალანსო ნაშთებს დაეყრდნო. ექსპერტმა ამ საბალანსო ნაშთებთან დაკავშირებით პროცესზე დაადასტურა, რომ ისინი არ წარმოადგენს კომპანიის ბალანსს (რაც იყო ექსპერტის მიერ მოთხოვნილი ერთ-ერთი დოკუმენტი), არამედ შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, რაც აგრეთვე გვხვდება კომპანიის ბალანსში, თუმცა, ამ უკანასკნელში ასახულია სხვა ინფორმაციაც, რასაც ე.წ. საბალანსო ნაშთები არ მოიცავს (2015 წლის 28 ოქტომბრის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 228, 28:47-32:25 წთ.). კასატორები ყურადღებას ამახვილებენ, რომ ექსპერტს მის მიერ მოთხოვნილი 8 ტიპის დოკუმენტაციიდან სრულყოფილად წარედგინა მხოლოდ კომპანიის წესდება, რომელსაც თავად შეფასების დროს არანაირი ზეგავლენა წილების ღირებულების დადგენაზე არ მოუხდენია. „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის ბრძანების (N 81 §2) მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, თუ ექსპერტს საკვლევი მასალა წარედგინება არასრულყოფილად, იგი უფლებამოსილია, დამატებით მოითხოვოს ექსპერტიზისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და მასალის წარდგენა. ექსპერტმა დაკითხვისას დაადასტურა, რომ მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელიც საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარებისათვის, მისთვის არ წარუდგენიათ, მან აგრეთვე დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე იგი უფლებამოსილი იყო, დამატებით მოეთხოვა დოკუმენტაციის წარდგენა, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მას ეს არ გაუკეთებია (2015 წლის 28 ოქტომბრის სხდომის ოქმი, ფაილი #224, 94:20-97:55 წთ.);

121.2.2. ვინაიდან ექსპერტმა დამატებითი მასალა არ მოითხოვა, ესე იგი

წარდგენილი დოკუმენტები მიიჩნია საკმარისად, - სააპელაციო სასამართლოს ამ შეფასებას კასატორები აკრიტიკებენ. ის, რომ რომ ექსპერტმა არ მოითხოვა დამატებით დოკუმენტაციის წარდგენა, მიუთითებს ექსპერტის მიკერძოებულობასა და არაობიექტურობაზე; კასატორები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ ექსპერტიზის ჩატარებისათვის ექსპერტს 10 სამუშაო დღე ჰქონდა, რაც თვითონაც დაადასტურა სასამართლო პროცესზე და რაც საქმეში არსებული ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ბარათითაც დგინდება (სადაც შესრულების ვადად მითითებულია 10 სამუშაო დღე). კასატორები უთითებენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტისთვის არ წარუდგენიათ მოთხოვნილი დოკუმენტაცია, მან ერთ სამუშაო დღეში გასცა საექსპერტო დასკვნა, კერძოდ, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ბარათზე დაფიქსირებულია, რომ ქ. ხ-ის მიერ საკვლევი მასალა ბიუროსათვის წარდგენილია 2015 წლის 7 სექტემბერს, 17:43 წუთზე (*იხ.ტ. 3, ს.გ. 172*) ანუ სამუშაო დროის ამოწურვამდე 17 წუთით ადრე, ხოლო ხელმოწერილი დასკვნა გაცემულია 2015 წლის 09 სექტემბერს (*იხ. ტ.2, ს.გ. 298.; 2015 წლის 28 ოქტომბრის სხდომის ოქმი, ფაილი #224, 99:35-104:20 წთ.*). კასატორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდში ექსპერტმა არა მხოლოდ მოამზადა დასკვნა, არამედ იგი ადმინისტრაციული წესითაც გადაამოწმა მისმა უფროსმა - გ.ჩ-მა და ქ.ხ-ის წარმომადგენელზე მიმართვას ხელი მოაწერა ბიუროს უფროსმა გ.თ-მა. კასატორები უთითებენ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დოკუმენტაციის განაწილებასა და მასზე ხელმოწერის ელექტრონულ სისტემაზე, რასაც დამატებითი დრო სჭირდება. ამასთან, ექსპერტმა ი-მა სასამართლოზე განაცხადა, რომ ამ დროს მას, ქ.ხ-ის მოთხოვნის გარდა, დაახლოებით 3-4 სხვა დავალება ეწერა შესასრულებლად. აღნიშნულ გარემოებებზე აპელირებით, კასატორთა მტკიცებით, დასტურდება, რომ ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ შეფასება განახორციელა მიკერძოებულად და არა - კანონმდებლობის მოთხოვნებისა და შემფასებელთათვის დაწესებული მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის სტანდარტების შესაბამისად;

121.2.3. ექსპერტიზის დასკვნა დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის მიერ მიწოდებულ ე.წ. საბალანსო ნაშთებს (*2015 წლის 28 ოქტომბრის სხდომის ოქმი, ფაილი #228, 34:00-37:10წთ.*), რასთან დაკავშირებითაც კასატორები რამდენიმე გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას: საბალანსო ნაშთები ხელმოწერილია ვინმე რ. ბ-ის მიერ, რომლის რაიმე სახის კავშირი „რ. 2“-თან ვერ დგინდება. ეს დაადასტურა თავად თბილისის საქალაქო სასამართლომაც 2015 წლის 17 სექტემბრის განჩინებაში (*იხ. ტ. 2, ს.გ. 312-315*), როდესაც არ დააკმაყოფილა მოწმის სახით მისი დაკითხვის შუამდგომლობა სწორედ იმ საფუძვლით, რომ მისი შემხებლობა სამაუწყებლო

კომპანიასთან ვერ დგინდებოდა;

121.2.4. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების 52-ე გვერდზე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ რ. ბ. არ წარმოადგენდა ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი), თუმცა, მის მიერ ხელმოწერილი საბალანსო ნაშთები მიიჩნია ვალიდურად;

121.2.5. კასატორებს მიაჩნიათ, რომ რეალურად მხოლოდ ზემოხსენებული ფაქტის დადასტურება უნდა ყოფილიყო საკმარისი საფუძველი, რომ რ. ბ-ის მიერ შედგენილი საბალანსო ნაშთები მიჩნეულიყო არალეგიტიმურ დოკუმენტად და, შესაბამისად, სასამართლო არ დაყრდნობოდა მათ საფუძველზე შედგენილ საექსპერტო დასკვნას. კასატორები უთითებენ სუსგ-ზე #ას-954-1260-07, სადაც საკასაციო პალატამ ბუღალტრის მიერ ხელმოწერილი შედარების აქტი მიიჩნია არაუფლებამოსილი პირის მიერ შედგენილ დოკუმენტად და მის საფუძველზე სამართლებრივი შედეგების დადგომა მიზანშეწონილად არ ჩათვალა. პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც მხარეს წარმოადგენდა ნ. გ. (შესაბამისად, მისი განცხადება მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული), განაცხადა, რომ ბ. არასოდეს ყოფილა „რ. 2“-ის ფინანსური დირექტორი (იხ. საქალაქო სასამართლოს, 17.09.2015წ. სხდომის ოქმი, ფაილი №005, 34:38წთ). უდავოა, რომ მსგავსი განცხადება ზეპირსიტყვიერად გაკეთდებოდა სასამართლო სხდომაზე, თუ წერილობითი დოკუმენტი შედგებოდა, რომელსაც საწარმოს მოქმედი დირექტორი მოაწერდა ხელს (სხვა უფლებამოსილი პირი ბუნებაში არ არსებობს), არანაირი სხვაობა არ არის მტკიცებითი თვალსაზრისით;

121.2.6. ე.წ. საბალანსო ნაშთებზე ხელმომწერი რ. ბ-ის სტატუსად მითითებულია შპს „ს. კ. რ. 2“-ის ფინანსური დირექტორი 2004-2006 წლებში, რაც ადასტურებს იმას, რომ ეს დოკუმენტები არ არის შედგენილი 2004-2006 წლებში. მითითებულ პერიოდში, „რ. 2“-ის ფინანსურ დირექტორად რ. ბ-ის მუშაობის დაშვების შემთხვევაშიც კი, ცხადია, რომ ხელმოწერა მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს არ არის შესრულებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას, მაგალითად, 2005 წელს ვერ ეცოდინებოდა, 2006 წლამდე იქნებოდა ფინანსური დირექტორი თუ 2015 წლამდე. კასატორთა მტკიცებით, ეს გარემოებაც ადასტურებს, რომ ე.წ. საბალანსო ნაშთები წარმოადგენს ყალბ დოკუმენტებს და მასზე ხელმოწერა არ არის შესრულებული იმ პერიოდში, რასაც მოსარჩელის წარმომადგენელი მიუთითებს. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მითითებული გარემოება, მიუხედავად აპელანტთა მიერ ახსნა - განმარტებაში მასზე ხაზგასმისა;

121.2.7. ე.წ. საბალანსო ნაშთებზე არ არის მითითებული მათი შედგენის თარიღი, ეს დოკუმენტაცია არ არის კომპანიის ბლანკზე ამობეჭდილი და არ არის კომპანიის ბეჭდით დამოწმებული. ცხადია, რომ მხოლოდ ბეჭდის არარსებობა ან ბლანკზე დოკუმენტის დაუბეჭდაობა, არ ხდის დოკუმენტს უკანონოდ, თუმცა, ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მითითებული დოკუმენტები ყალბია. აღნიშნული გარემოებებიც არ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ;

122. სასამართლოს არ გამოუკვლევია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 9 სექტემბრის №... დასკვნის შინაარსობრივი მხარე, ვინაიდან თუ იგი ყოველმხრივ შეისწავლიდა კვლევის პროცესსა და დასკვნის შინაარსს, მიიჩნევდა, რომ არ შეიძლებოდა ამ მტკიცებულებაზე დაყრდნობით რაიმე ფაქტობრივი გარემოების დადგენა;

123. ექსპერტმა საქალაქო სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ მან გამოიყენა ქონებაზე დაფუძნებული შეფასების მეთოდი, რაც ყველაზე უარესია სხვა მეთოდებთან შედარებით. მანვე განაცხადა, რომ საბაზრო მეთოდით ვერ შეაფასა იმიტომ, რომ არ წარუდგინეს შესაბამისი ინფორმაცია და არც მას მოუთხოვია საჭირო ინფორმაცია, მაშინ, როდესაც ექსპერტს ეს უფლება ჰქონდა კანონმდებლობით მინიჭებული (2015 წლის 28 ოქტომბრის სხდომის ოქმი, ფაილი #228, 12:10-14:35 წთ.). ექსპერტმა დაადასტურა, რომ გადაფასებები არ გაუკეთებია, რაც ნიშნავს იმას, რომ „რ. 2“-ის მოძრავი ქონების ღირებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საბაზრო ღირებულებად, აქტივების საბალანსო და საბაზრო ღირებულება ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

124. გასაჩივრებულ განჩინებაში (გვ. 52-53) სააპელაციო სასამართლო უსაფუძვლოდ ასკვნის, რომ ვინაიდან აპელანტებმა არ წარმოადგინეს ფინანსური დოკუმენტაცია, რომელიც გააბათილებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, დადგენილად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე უთითებს. სასამართლომ მიუთითა სსსკ-ით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის სპეციალურ განაწილებაზე, რომლის მიხედვითაც, თუ მხარე არ უარყოფს, რომ მტკიცებულებები მის ხელთაა და არასაპატიო მიზეზით ამბობს უარს მათ წარდგენაზე, შუამდგომლობის აღმძვრელი მხარე, შესაძლოა, გათავისუფლდეს კონკრეტული გარემოებების მტკიცების ტვირთისაგან;

125. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ წილების ღირებულების დადგენის ნაწილში მოსარჩელემ მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა წარადგინა, ე.წ. საბალანსო ნაშთები კი

ექსპერტიზის კვლევის მასალაა და არა - მტკიცებულება. ექსპერტიზის დასკვნის გასაბათილებლად აპელანტებმა სააპელაციო სასამართლოს წარუდგინეს “გ. თ. ა.”-ის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელსაც სასამართლო უსაფუძვლოდ არ დაეყრდნო. რაც შეეხება მოსარჩელის მტკიცების ტვირთისგან გათავისუფლებას, ამ ნაწილშიც სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებს პირს, რომელმაც იშუამდგომლა მტკიცებულებათა გამოთხოვაზე, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს, რომ მტკიცებულებები მის ხელთაა და არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს მათ წარდგენაზე. ანუ დასახელებული ნორმის ანალიზიდან იკვეთება, რომ კანონი ითვალისწინებს სამ კუმულაციურ წინაპირობას, რომელთა არსებობაც ქმნის პირის მტკიცების ტვირთისგან გათავისუფლების საფუძველს. განსახილველ შემთხვევაში, არათუ სამი, არამედ არც ერთი წინაპირობა არ არსებობდა, კერძოდ, მოსარჩელებს არ უშუამდგომლიათ სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა გამოთხოვაზე და, შესაბამისად, არც სასამართლოს დაუვალეობა აპელანტებისათვის მტკიცებულებების წარდგენა. რაც შეეხება დანარჩენ ორ წინაპირობას, რომელთა სავალდებულოდ არსებობაზეც, როგორც მტკიცების ტვირთის სპეციალური წესით გადანაწილების წინაპირობაზე, მიუთითა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (*საქმე # ას-893-851-2013*), აღსანიშნავია, რომ არც ეს წინაპირობები არსებობს განსახილველ საქმეში, იქიდან გამომდინარე, რომ აპელანტებმა სასამართლო სხდომაზე არაერთხელ დააფიქსირეს (*2016 წლის 31 მაისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, ფაილი №067; 0:10-2:30 წთ.*), რომ ვინაიდან საკითხი ეხება 9-10 წლის წინანდელ დოკუმენტაციას, კომპანიაში არ არის ყველა ის ფინანსური დოკუმენტი, რომლებიც მოპასუხეს მოსთხოვა ორმა აუდიტორულმა კომპანიამ (... და ..., რომელთა წერილების საქმეზე დართვაც მოითხოვეს აპელანტებმა, თუმცა, სასამართლომ უსაფუძვლოდ უთხრა უარი) და რომლებიც მოითხოვა ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოსარჩელისაგან, რაც შესაძლებელს გახდიდა „რ. 2“-ის წილების ღირებულების დადგენას. ბუნებრივია, კომპანიაში დოკუმენტაციის არარსებობა აზრს უკარგავს მეორე წინაპირობის არსებობის შემოწმებას, რადგან თუ მტკიცებულებები არ არსებობს, ცხადია, მისი წარუდგენლობა საპატიო ან არასაპატიო მიზეზით ვერ მოხდება;

126. კასატორების მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მტკიცების ტვირთისგან გასათავისუფლებლად მორიგი უსაფუძვლო არგუმენტი მოიხმო, კერძოდ, განჩინების 53-ე გვერდზე სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა ე.წ. საბალანსო ნაშთების სიყალბე და მოპასუხემ არ წარმოადგინა

მტკიცებულება, რომ სადავო პერიოდის ფინანსური დოკუმენტაცია დაექვემდებარა განადგურებას. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ავალდებულებს მეწარმე სუბიექტებს ფინანსური დოკუმენტაციის შენახვას განსაზღვრული ვადით, დღეს მოქმედი რედაქციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტის თანახმად, ეს ვადაა 3 (სამი) წელი წარსულში მოქმედი რედაქციით ეს ვადა 6 (ექვსი) წელი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ განსახილველ საქმეში საუბარია სარჩელის აღძვრამდე 9-10 წლის წინანდელ ფინანსურ დოკუმენტაციაზე, ცალსახაა, რომ გასულია ფინანსური დოკუმენტაციის შენახვის ხანდაზმულობის ვადა, როგორც მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ისე წინა რედაქციებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. ხოლო ფინანსური დოკუმენტაციის განადგურების რაიმე სპეციალურ წესს არ განსაზღვრავს არც ერთი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, შესაბამისად, გაუგებარია, თუ რა სახის დოკუმენტი უნდა წარედგინათ აპელანტებს დოკუმენტაციის განადგურების თაობაზე. შესაბამისად, იმის გამო, რომ კომპანიაში არ არის დოკუმენტაცია, რომელთა შენახვის ხანდაზმულობის ვადა გასულია, არ შეიძლება დღევანდელი პარტნიორების წინააღმდეგ დადგენილად ჩაითვალოს გარემოებები, რომელთა დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებებიც მოსარჩელეს არ წარუდგენია. პირიქით, სადავოდ გამხდარი გარემოების დადასტურების ვალდებულება ეკისრება პირს, რომელიც უთითებს ამ გარემოებას;

127. მცდარია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ აპელანტებს (მოპასუხეებს) არ წარუდგენიათ მოსარჩელეთა მიერ მითითებული ინფორმაციის გამაბათილებელი მტკიცებულებები. რეალურად ჯერ კიდევ 2015 წლის 12 ოქტომბერს შპს “ს. კ. რ. 2”-მა, რომელიც წარმოადგენდა მოპასუხეს, განცხადებით მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა საგადასახადო შედარების აქტები იმ პერიოდისათვის, რომელზეც მოსარჩელემ ექსპერტიზას წარუდგინა ე.წ. საბალანსო ნაშთები. თუმცა, ვინაიდან შემოსავლების სამსახურიდან „რ. 2“-მა ვერ მიიღო პასუხი, 2015 წლის 15 ოქტომბერს ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა შუამდგომლობით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მტკიცებულებათა დართვის თაობაზე. ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა სწორედ დასახელებული შედარების აქტები *(აღნიშნული აქტები ამობეჭდილია შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან; ტ. 3, ს.გ. 294-295)*, თუმცა, სასამართლომ უარი თქვა შედარების აქტების საქმეზე დართვაზე. 2015 წლის 27 ოქტომბერს შემოსავლების სამსახურიდან მხარემ მიიღო ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული შედარების აქტები და 30 ოქტომბერს შპს “ს. კ. რ. 2”-ის, შპს “ტ. ს-ს”, ლ. ყ-ისა და გ. ყ-ის წარმომადგენლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩააბარეს შუამდგომლობა

შემოსავლების სამსახურის მიერ დამოწმებული შედარების აქტების საქმეზე დართვის თაობაზე (ტ. 5, ს.გ. 109-112), თუმცა, არც ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დასახელებული განჩინებები გასაჩივრდა შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა საჩივარი.

128. კასატორები აკრიტიკებენ, ასევე, შედარების აქტების შინაარსს და აღნიშნავენ, რომ ე.წ. საბალანსო ნაშთებში შეტანილი ინფორმაცია არ არის სწორი; საბიუჯეტო დავალიანება წარმოადგენს ერთადერთ მონაცემს, რომელიც დოკუმენტურად შეიძლება გადამოწმდეს და ამ ნაწილში საბალანსო ნაშთებში არსებული უსწორობა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მისი მონაცემები არც სხვა ნაწილებთან დაკავშირებით იქნება სწორი;

129. მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გაბათილების თაობაზე კასატორები განმარტავენ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს „რ. 2“-მა 2015 წლის 18 ოქტომბერს წარუდგინა მიმოწერა შპს „ი. ს.“-სა (Ernst&Young) და შპს „K. G.“-სთან *(მსოფლიო აუდიტორული კომპანიების დიდ ოთხეულში შემავალი კომპანიები)*. ამ მიმოწერით დგინდება, რომ იმ მასალის საფუძველზე, რომელიც მოსარჩელემ წარუდგინა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, შეუძლებელი იყო „რ. 2“-ის წილების ღირებულების დადგენა. ამასთან, სასამართლო უსაფუძვლოდ არ დაეყრდნო მოპასუხეთა მიერ წარდგენილ შპს „გ. თ. ა.“-ის დასკვნას.

130. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის. სააპელაციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს გადაწყვეტილებებში, რომ „სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი „affirmanti, non negati, incumbit probatio“ - „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. ეს მსჯელობა გაზიარებულია უზენაესი სასამართლოს მიერაც *(სუსგ #ას-592-563-2013)*. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიდგომა სადავო განჩინებაში ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ პრაქტიკას.

131. სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიანიჭა აპელანტების მიერ სააპელაციო საჩივრის დანართად წარდგენილ შპს „გ. თ. ა-ის“ მიერ შედგენილი ექსპერტის დასკვნას - „სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2015 წლი 9 სექტემბრის დასკვნის შესახებ. სასამართლოს შეფასებით, „რ. 2“-სა და „გ. თ.-ას“ შორის დადებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა „საკონსულტაციო მომსახურების გაწევა“, სააპელაციო სასამართლოს ამ

შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ რეალურად საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე შედგენილი დოკუმენტი არ წარმოადგენს ექსპერტის დასკვნას;

132. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ხელშეკრულების საგანზე მიუთითა ხელშეკრულების სათაურის საფუძველზე და არ ჩაიხედა თავად ხელშეკრულების შინაარსში. კერძოდ, ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებულია, რომ საკონსულტაციო მომსახურების გაწევა “საექსპერტო მოსაზრების” მომზადებას გულისხმობს. სასამართლოს მიერ საკითხისადმი ასეთი ზედაპირული მიდგომა მიუღებელია და მიუთითებს სასამართლოს სურვილზე, შეგნებულად არასწორად შეაფასოს მტკიცებულება. სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი საექსპერტო დასკვნას ერთ-ერთ მტკიცებულებად განიხილავს და არა - ერთადერთად. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნას, როგორც მტკიცებულების სახეს, არ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს სხვა სახის მტკიცებულებებთან შედარებით, მხოლოდ მისი ფორმისა და ტიპის გამო. ეს მიდგომა დამკვიდრებულია სასამართლო პრაქტიკით, მაგალითად, უზენაესი სასამართლოს შეფასებით *“არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა მტკიცებულებასთან შედარებით”* (სუსგ # ას-406-383-2014);

133. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, თანამდებობა), ექსპერტის გაფრთხილება განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ხოლო დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს კონკრეტულმა პირმა, ვინც დასკვნა შეადგინა. თუმცა, სასამართლო არ და ვერ უთითებს სსსკ-ის კონკრეტულ მუხლზე, რადგან ასეთი არ არსებობს. დასახელებული მონაცემების ნაწილზე საუბარია სსსკ-ის 167-ე მუხლში, რომელიც ეხება მხოლოდ სასამართლოს დავალებით ექსპერტიზის ჩატარებას არასაექსპერტო დაწესებულებაში, რაც სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სასამართლო იღებს ვალდებულებას, კომპეტენტურ პირს დაუკვეთოს კვლევის ჩატარება, ხოლო როდესაც მხარე თავისი ინიციატივით წარუდგენს სასამართლოს საექსპერტო დასკვნას, სასამართლომ შესაძლოა არ მიიღოს იგი მტკიცებულებად, თუ მისი შინაარსი და კვლევა არ არის დამაჯერებელი. აბსურდულია სააპელაციო სასამართლოს მიერ „გ. თ.-ის“ არაკვალიფიციურ სუბიექტად მიჩნევა, ვინაიდან ეს კომპანია მე-5 ადგილს იკავებს მსოფლიოში აუდიტორული კომპანიების რეიტინგში. ის, რომ კონკრეტული ექსპერტი არ აწერს ხელს და მისი ვინაობა არ არის მითითებული დასკვნაში, აპრობირებული პრაქტიკაა არა მხოლოდ

საქართველოში, არამედ მსოფლიოში, ამ შემთხვევაში თავად კომპანია გასცემს დასკვნას და ის არის პასუხისმგებელი მის სისწორეზე;

134. რაც შეეხება ექსპერტის გაფრთხილებას მოსალოდნელ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე, ცხადია, მხარე ვერ გააკეთებდა ამას და რომც გაეკეთებინა, არანაირი სამართლებრივი მნიშვნელობა არ ექნებოდა. სსსკ-ის 166-ე და 167-ე მუხლების თანახმად, ექსპერტს შესაძლო პასუხისმგებლობაზე აფრთხილებს თავად სასამართლო ან სასამართლოს დავალებით - საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი და ეს ეხება მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით დანიშნულ ექსპერტიზას;

135. სააპელაციო სასამართლოს მიდგომაში სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით, იკვეთება სასამართლოს მიკერძოებულობა, ვინაიდან არც სამხარაულის დასკვნაში არის ყველა ის მონაცემი მითითებული, რომელთა მიუთითებლობის გამო, „გ. თ-ის“ დასკვნა უარყო სასამართლომ, მაგალითად, სამხარაულის დასკვნაში არ არის მითითებული კონკრეტული ექსპერტის განათლება, სპეციალობა, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, თუმცა, ეს არ გამხდარა მის მიერ მომზადებული დასკვნის სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი;

136. კასატორთა მოსაზრებით, იმ დაშვებითაც კი, რომ საქმის მასალებით უტყუარად დადასტურებულიყო გარიგებების დადების დროისთვის წილების საბაზრო ფასის შეუსაბამობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მაინც შეუძლებელი იქნებოდა გარიგებების ბათილად ცნობა. კასატორები უთითებენ, რომ გასაჩივრებული განჩინების 4.20 პუნქტში ასახული დასკვნა სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენების საფუძველიანობაზე სამართლებრივად დაუსაბუთებელია და ამ კონტექსტში სამეცნიერო დოქტრინასა და პრაქტიკაში ასახულ არაერთ მსჯელობაზე უთითებს, რომ სამართლებრივი შედეგის დადგომაზე დასახელებულ ნორმას არ შეუძლია პირდაპირი გავლენის მოხდენა, თუ არ მიეთითება სამართლის კონკრეტული ნორმა, რომელსაც ეწინააღმდეგება დადებული გარიგება. შესაბამისად, *„არცთუ იშვიათად მიიჩნევენ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი აქვს“*. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებს დაუსაბუთებლად მიაჩნიათ, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებები ბათილია, მათი მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამო, განხორციელებული შესრულებისა და სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურების შეუსაბამობის თვალსაზრისით, და ამ კონტექსტში მსგავსი ხასიათის გარიგება

მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს მისი ამორალურობის გათვალისწინებითაც. აღიარებული შეხედულების მიხედვით, სსკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული ზნეობის ნორმებში მოიაზრება არა ზოგადად მორალი (ცნების აბსტრაქტულობის გამო), არამედ “კონკრეტულ საზოგადოებაში გაბატონებული მორალი” (ლ. ჭანტურია, *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*, თბილისი, 2011, გვ. 354). ამასთან, “ეწინააღმდეგება თუ არა ესა თუ ის გარიგება ზნეობის ნორმებს, კონკრეტული ფაქტის საკითხია და ყოველი კონკრეტული გარიგების განხილვისას უნდა გადაწყდეს” (დასახელებული ნაშრომი, გვ. 356). შესაბამისად, კანონი ავალდებულებს მოსამართლეს, დაადგინოს, კონკრეტული გარიგება ეწინააღმდეგება თუ არა საზოგადოებაში გაბატონებულ მორალს ანუ სოციალურ მორალს. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს;

137. კასატორები იმაზეც უთითებენ, რომ ბათილად ცნობილი ხელშეკრულებები შედგენილი და დამოწმებული იყო ნოტარიუსის მიერ (იხ. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, სანოტარო აქტს აქვს უდავო მტკიცებულების ძალა), რაც გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული გარიგებები ნამდვილია, სახეზეა მხარეთა ცალსახა ნება, ხოლო საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი სწორედ მოსარჩელეზე იყო, რაც მან ვერ უზრუნველყო (იხ.სუსგ # ას-904-862-2013, 21.04. 2014 წ.);

138. კასატორები უთითებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების ბათილობა მოთხოვნილია გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობის საფუძველით, გამოიყენება სსკ-ის 55-ე მუხლი და არა - 54-ე მუხლი, როგორც განსახილველ შემთხვევაში საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გამოიყენეს. სსკ-ის 55-ე მუხლის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) პირველი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელობით (გულუბრყვილობით). კანონის სწორედ ამ შინაარსობრივ დანაწესს ეყრდნობიან საქართველოს სასამართლოები, როდესაც გარიგების ბათილობაზე შეუსაბამო ფასის გამო მსჯელობენ. კასატორები

უთითებენ, რომ აღნიშნული პოზიცია დააფიქსირეს, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებში, თუმცა, ორივე შემთხვევაში, კანონისა და სასამართლო პრაქტიკის საპირისპიროდ, სადავო ურთიერთობა მოწესრიგდა სსკ-ის 54-ე მუხლით. კასატორები უთითებენ არსებულ სასამართლო პრაქტიკაზე: *სუსგ-ები # ას-198-189-2010, 13.07.2010წ.; # ას-1159-1105-2013, 17.02.14წ.; # ას-132-124-2015, 29.04.2015წ.; # ას-788-745-2015, 13.10.2015წ.* და აღნიშნავენ, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი, რომ მხოლოდ ფასის შეუსაბამობა არ შეიძლება გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი და მოსარჩელეს სხვა გარემოებების მტკიცების ტვირთიც აკისრია. *„გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა გარიგების ბათილობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, ამ პირობასთან ერთად უნდა არსებობდეს მეორე გარემოებაც – გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება, ან ისარგებლა კონტრაქტის მიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით. განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დგინდება, აპელანტი არ უთითებს გარემოებებზე, რომლებიც მეტყველებენ მოსარჩელის მიერ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაზე ან მოპასუხის კონტრაქტის მიმე მდგომარეობაზე, რამაც ის იძულებული გახადა, დაედო სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება. შესაბამისად, მხოლოდ იმაზე აპელირება, რომ 180 000 ლარად შეფასებული წისქვილი არ შეიძლებოდა გაყიდულიყო 300 ლარად და აღნიშნული წარმოადგენს გარიგების ბათილობის საფუძველს სამართლებრივად დაუსაბუთებელია“* (სუსგ # ას-1718-1701-2011, 23.02.2012 წ.);

139. სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის ის რედაქცია, რომელიც საზოგადოების წილებთან მიმართებით დადებული გარიგების დადებისას მოქმედებდა, საცილოდ ბათილი გარიგების ერთ-ერთ სახეს ადგენდა. ეს ნათლად ჩანს ნორმის ტექსტიდან - “გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს”. კანონმდებლობა, დოქტრინა და პრაქტიკა ერთმანეთისგან განასხვავებს უცილოდ ბათილ ანუ არარა და საცილოდ ბათილ გარიგებებს. იმ შემთხვევებში, როცა კანონმდებელი გარიგებას უცილოდ ბათილად ანუ არარად აცხადებს, კანონმდებელი ამის თაობაზე არაორაზროვნად გვამცნობს. არარა გარიგებებისას კანონში გვხვდება იმპერატიული ხასიათის სიტყვები “ბათილია გარიგება” (მაგალითად, კოდექსის 54-ე მუხლი, 55-ე მუხლის ამჟამად მოქმედი რედაქცია, 56-ე მუხლი, 57-ე მუხლი, 58-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები). საცილოდობისას კანონმდებელი იყენებს ნაკლებად კატეგორიულ ტერმინებს: “გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს” (მაგ., 55-ე მუხლის პირველი ნაწილის ძველი რედაქცია, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 59-ე მუხლის პირველი ნაწილი), “გარიგება შეიძლება საცილო გახდეს” (მაგ., 72-ე მუხლი), “გარიგების ბათილობის მოთხოვნა” და “გარიგების ბათილად ცნობა” (მაგ., 81-ე, 83-ე, 85-ე მუხლები). მართალია, 55-ე მუხლი მოთავსებულია გარიგებათა შესახებ

ზოგადი ნორმების თავში, თუმცა, ასევე ზოგად ნორმებშია მოთავსებული საცილო გარიგების სამართლებრივი შედეგებიც (მაგ., 59-ე მუხლი), რაც მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ სამოქალაქო კოდექსის გარიგებათა შესახებ ნორმები, რუბრიკაციის მხრივ, გარკვეული ხარვეზით ხასიათდება. ზოგადად, *“სამოქალაქო კოდექსში ამ ინსტიტუტის (იგულისხმება 55-ე მუხლი) ადგილთან დაკავშირებით გამოთქმულია კრიტიკა. კერძოდ, მიზანშეწონილად არის მიჩნეული მისი მოთავსება ზოგად სახელშეკრულებო სამართალში, ვინაიდან ნორმის შინაარსი მხოლოდ ხელშეკრულებებზე - ორმხრივ გარიგებებზე ვრცელდება და არა ცალმხრივ გარიგებებზე”* (ლ. ჭანტურია, *სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი*, *gccc.ge*, 30.11.2015, მუხ. 55, ველი 1. ავტორი თავის მხრივ ციტირებს: *კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი ცნებები*, გვ.359);

140. სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა ცალსახად ადგენს, რომ შეუსაბამო ფასის გამო გარიგებების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 54-ე მუხლიდან, ხოლო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა აღნიშნულ ურთიერთობას. ამდენად, სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენდა, გამოეყენებინა სსკ-ის 55-ე მუხლის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია და გარიგების შეუსაბამო ფასთან ერთად დაედგინა, არსებობდა თუ არა ის გარემოებები, რასაც კანონი იმპერატიულად მოითხოვს, კერძოდ, იყო თუ არა გარიგება დადებული მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება, ან ისარგებლა კონტრაპენტის მძიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით. ხოლო ვინაიდან განსახილველ ურთიერთობაში ასეთი გარემოებები არ არსებობს, სასამართლოს სსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე უარი უნდა ეთქვა მოსარჩელისთვის გარიგებების ბათილობაზე. ამას გარდა, გასათვალისწინებელია, რომ 55-ე მუხლით მოწესრიგებული გარიგება წარმოადგენს საცილო გარიგებას, რაზეც კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური შეცდომების ვადები ვრცელდება. „ხანდაზმულობაზე პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ვინაიდან მისი განსაზღვრა ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგია. ამასთან, არასწორია არსებულ მოთხოვნაზე 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება, ვინაიდან დავის საგანია საცილოდ ბათილი გარიგება, რაზედაც პრეტენზია წარდგენილ უნდა ყოფილიყო კანონით განსაზღვრულ შეცდომების ვადებში (79-ე, 84-ე და 89-ე მუხლები)“ (*სუსგ # ას-880-838-2013, 09.06.2014წ.*);

141. კასატორები უთითებენ, რომ იგივე მსჯელობაა ასახული საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში, მაგ. საქმე # ას-109-105-2012,

12/03/2012); კასატორები ყურადღებას ამახვილებენ საქმეზე # ას-1224-1149-2015, 20.05.2016წ., რომელიც, მათი მოსაზრებით, შეეხება ანალოგიურ სამართლებრივ დავას, ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებებით, რაც განსახილველ საქმეშია წარმოდგენილი. უფრო მეტიც, შპს „ს. კ. რ. 2“-ის წილების საბაზროსთან ნაკლებ ფასად რეალიზება არ არის დადასტურებული კანონის მოთხოვნათა დაცვით, თუმცა, რომც იყოს დადასტურებული, საქართველოს უზენაესი სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს ფასის დისპროპორციის გამო ხელშეკრულების ბათილად აღიარებას, რაც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. კასატორები დოქტრინაში გამოთქმულ მოსაზრებებზე უთითებენ: „54-ე მუხლი არის ყველაზე ზოგადი და კერძო სამართალში ყველაზე იშვიათი გამოყენებადი უნდა იყოს, თავისი არსიდან გამომდინარე, რადგან თუ არსებობს კერძო სამართალში შიგნით კიდევ სპეციალური ნორმა, იმ სპეციალურს ენიჭება უპირატესობა, სწორედ იმ ნორმის საფუძველზე დგება სამართლებრივი შედეგი. მით უმეტეს თუ ეს სპეციალური ნორმა ბათილობას ვერ დაადგენს, ამ შემთხვევაში 54-ე მუხლიდან გამომდინარე ბათილი ვერ გახდება. .. ეს არის სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის აკრძალვები, რომელიც კერძო სამართალს სწორედ ამ მუხლზე დაყრდნობით შემოჰყავს და ადგენს შედეგს.“ „არ არსებობს ზნეობის ნორმა ცალკე აღებული, რომელიც კონსტიტუციური ღირებულებიდან არ გამომდინარეობს“. „ცალსახად უნდა არსებობდეს გამოკვეთილი გარემოებები და ნებაზე ზემოქმედება უნდა დასტურდებოდეს“. „შესაბამისი განმარტების შემთხვევაში ორი ოფციაა. ისტორიული განმარტება არის ერთ-ერთი დამხმარე მეთოდი განმარტების, ...ამ შემთხვევაში ის ვიწროდ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც ის დამკვიდრებული ჩვეულებები, რომელიც მოქმედებს, ხოლო მეორე მიმართულებით განვავითარებთ აზრს, მართლსაწინააღმდეგობის ელემენტებად კანონმდებელმა კანონი და ზნეობა გამოიყენა, რა შეეძლო მას ეგულისხმბა, მათი ჯამი ვერც ერთ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობას ვერ უნდა ცდებოდეს.“. „რეალურად მართლწინააღმდეგობა მართლწესრიგით დადგენილს ნიშნავს. მართლწესრიგის ნაწილი არის ყველაფერი რაც კონსტიტუციის ქვემოთ იყრის თავს.“ „ბუნებრივია 54-ე მუხლი არის ყველაზე ზოგადი ბათილობის საფუძველი იმიტომ, რომ აქცენტს აკეთებს მთლიანად მართლწესრიგზე. შესაბამისად, ის რომ მართლწესრიგზე აკეთებს აქცენტს კარგია. ის, რომ ზნეობაზე აკეთებს აქცენტს გაუგებარი. ასევე საჯარო წესრიგზე აქცენტი არასწორი.“ „55-ე მუხლის ცვლილება თავისთავად აღებული მიუთითებს რა მოხდა. ფასი მოაშორა უბრალოდ და დატოვა შინაარსი. იმიტომ, რომ იქ ფასი კი არ იყო მთავარი, მთავარი იყო გარემოებების ბოროტად გამოყენება, ზემოქმედება, ანუ გაფართოვდა პირიქით 55-ე მუხლის მოქმედება, მოაშორა კუმულატიური პირველი პირობა და ბრძანა, რომ მეორე პირობა საკმარისია ამ პირობის დასადგენად. 55-ე მუხლზე საპასუხო შესრულებაზე აქცენტი მოაშორა მთლიანად და ის რაც მეორე ნაწილშია თავისთავად პირველის გარეშე რომ შედეგი დადგეს იმიტომ, რომ ნების გამოვლენაზე თუ ზემოქმედება ხდება ბოროტად, საკმარისია. აღარ სჭირდება იმის თქმა ფასი შეიცვალა თუ არა.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პირველი კოლეგია, არსებითი სხდომის ოქმი #1//679; ქ.ბათუმი, 2016 წლის 24 თებერვალი, მოწვეული სპეციალისტი - პროფესორი დავით კერესელიძე).

142. ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, კასატორთა მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების 58-ე გვერდის მეორე აბზაცში მითითებულია შემდეგი:

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ამორალურ გარიგებებთან მიმართებაში შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს. განსხვავებით გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სსკ-ის 55-ე, 85-ე მუხლები), გარიგების ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა ამ გარიგების დადება. საკმარისია, დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის, რომ სასამართლომ იგი მიიჩნიოს ამორალურ გარიგებად.“ „განსახილველ შემთხვევაში, მართალია არ დგინდება ქ. ხ-ის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტი, მაგრამ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, პალატას ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნება ბათილია, გარიგების ამორალურობის სამართლებრივი საფუძველით“;

143. კასატორებს მიაჩნიათ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება სსკ-ის 54-ე და 55-ე მუხლებთან მიმართებით არსებითად განსხვავდება არა მხოლოდ დადგენილი სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერების/პროფესორების პოზიციისგან, არამედ - თვით საქართველოს პარლამენტის პოზიციისგან. კერძოდ, ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი ცალსახად უსვამს ხაზს კანონმდებლის ნებას და განმარტავს, რომ „კანონმდებლის მიზანი არ იყო ფასი ყოფილიყო ერთადერთი საფუძველი იმისა, რომ ამორალურ გარიგებად ელიარებიანა ესა თუ ის გარიგება ან 55-ე მუხლის ქვეშ მოექცია“, მიუთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველებზე.

144. კასატორებს როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნიათ გარიგებების საგნის უკან დაბრუნების დასაბუთების ნაწილშიც, ვინაიდან სსკ-ის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების (976-991-ე მუხლები) გამოყენებით პირდაპირ დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები. კერძოდ, სსკ ახდენს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე კონდიქციური მოთხოვნების ორი ძირითადი ჯგუფის გამიჯვნას. 976-ე მუხლი აწესრიგებს ე.წ. „შესრულების კონდიქციის“ შემთხვევას. „შესრულების კონდიქცია“ გულისხმობს შემდეგი წინაპირობების არსებობას: (1) შესრულების საფუძველზე გადაცემა - პირი სხვას გადასცემს რაიმეს შესრულების გზით. (2) შესრულების საფუძველზე შეძენა - პირი რაიმეს იძენს სხვა პირის მიერ შესრულების საფუძველზე. (3) სამართლებრივი საფუძველის არარსებობა - შესრულება განხორციელდა სამართლებრივი საფუძველის გარეშე (რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან მოგვიანებით მოისპო). აღნიშნული წინაპირობები ნათლად ჩანს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველსავე ნაწილში: „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძველის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ

ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა“;

145. კასატორებს მიაჩნიათ, რომ სსკ-ის 976-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა (მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო იყენებს) ვერ გამოდგება შპს „ს. კ. რ. 2“-ის წილების ამჟამინდელი მესაკუთრეებისთვის წილებზე საკუთრების უფლების ჩამორთმევის საფუძველად. მოსარჩელებს ამჟამინდელ მესაკუთრეთა მიმართ არ განუხორციელებიათ შესრულება და არ გადაუციათ რაიმე ამ შესრულების საფუძველზე. ამჟამინდელ პარტნიორებს არაფერი შეუძენიათ მოსარჩელებისგან;

146. კონდიქციურ მოთხოვნათა მეორე ჯგუფი ერთიანდება სსკ-ის 991-ე მუხლით მოწესრიგებულ „არამესრულების კონდიქციის“ ქვეშ, რაც გულისხმობს „უსაფუძვლო გამდიდრებას რაიმე სხვა საშუალებით“. კოდექსის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული.“ „არამესრულების კონდიქციების“ ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ე.წ. „ხელყოფის კონდიქცია“. მოცემულ შემთხვევაშიც გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი საფუძველით უნდა ჩამოერთვას ამჟამინდელ პარტნიორებს საკუთრების უფლება და გადაეცეს მოსარჩელებს;

147. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, ისე მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებიც ცალსახად გამორიცხავენ იმგვარ სამართლებრივ შედეგს, რომელიც განსახილველ შემთხვევაში წილთა ამჟამინდელი პარტნიორების მიერ წილებზე საკუთრების უფლების დაკარგვას გამოიწვევდა, მით უფრო, რომ სასამართლოს არ შეუძომწმებია და არც შეეძლო შეემოწმებინა მოსარჩელის შემდეგ თითოეული შემძენისა და გამსხვისებლის კეთილსინდისიერება, რის გარეშეც, ცხადია, შეუძლებელია დღევანდელი მესაკუთრისთვის საკუთრების ჩამორთმევის სამართლებრივი შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოება გამომდინარეობს სსკ-ის 989-ე და 990-ე მუხლებიდან, რომლებიც აწესრიგებს კონდიქციის შემთხვევებს რამდენიმე პირის მონაწილეობის დროს. ორივე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანონმდებელი მესამე პირს ერთადერთ ვარიანტში აკისრებს ნივთის დაბრუნების ვალდებულებას, როდესაც ერთდროულად არსებობს ორი პირობა - მესამე პირმა ნივთი მიიღო უსასყიდლოდ და მიმღებისგან დაკმაყოფილება შეუძლებელია. ნორმით დადგენილი მოთხოვნის საფუძველის არსებობა დამოკიდებულია რამდენიმე გარემოებაზე. პირველ რიგში, უნდა არსებობდეს შესრულების

კონდიქცია. მეორე მხრივ, შეუძლებელი უნდა იყოს მიმღებისგან დაკმაყოფილება (979-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა - რომლის დროსაც არ არსებობს ანაზღაურების მოვალეობა, თუ მიმღები საგნის მოხმარების, სხვისთვის გადაცემის, დაღუპვის, გაუარესების ან სხვა საფუძველების გამო არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა). მესამე წინაპირობას წარმოადგენს მიმღების მიერ მესამე პირისთვის მიღებულის გადაცემის უსასყიდლოება. ამ უკანასკნელ კომპონენტზე სწორად არის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული, რომ „ქონება სხვა პირზე გადაცემული უნდა იყოს უსასყიდლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პირი ჩაითვლება კეთილსინდისიერ მფლობელად და მიღებულის უკან დაბრუნება არ დაეკისრება.“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი 2001, გვ.375). იგივე მოსაზრებაა დამკვიდრებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (იხ. მაგ: სუსგები # ას-222-521-04 და # ას-1308-1328-2011);

148. მესამე პირთა დაცვას ემსახურება, ასევე, სსკ-ის 990-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა, მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს. კასატორებს მიაჩნიათ, რომ მუხლის რედაქცია ხარვეზიანია, თუმცა, ის არსებითად სწორად გადმოსცემს კანონმდებლის ჩანაფიქრს. მსგავსად 989-ე მუხლისა, დაცვას იმსახურებს ის პირი, რომელმაც საკუთრების უფლება მოიპოვა, ვინაიდან „ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ“. ერთადერთი გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც შეძენის უსასყიდლო ხასიათია - „სასყიდლისგან განსხვავებით უსასყიდლო განკარგვა სამართლებრივი დაცვის უფრო ნაკლები ხარისხით გამოირჩევა“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი 2001, გვ.376);

149. კასატორების მტკიცებით, ლ. და გ. ყ-ისა და შპს „ტ. ს-ს“ მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენების კანონიერების შეფასებისას მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის მოქმედების ფარგლები, კერძოდ, თუ ვის მიმართ წარმოეშვება უკან დაბრუნების მოთხოვნა უფლებამოსილ პირს. ასეთი არის მხოლოდ მიმღები (სსკ-ის 979-ე მუხლი), რომელსაც თუ რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. განსახილველ შემთხვევაში მიმღებს წარმოადგენენ ის პირები, ვისთანაც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდნენ ქ.ბ. და შპს „პ.“ და მიზეზი, რის გამოც მოსარჩელებს არ შეუძლიათ მიმღებისგან

უკან დაიბრუნონ ნასყიდობის საგანი, არის ის, რომ მიმღებებს ქონება (არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) აღარ ეკუთვნით. მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს 979.2. მუხლი, რომლის მიხედვითაც, მიმღებს ეკისრება ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული ზოგადი წესიდან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისები, თუ რა შემთხვევაში არ ეკისრება მიმღებს (შპს „ჰ. ჯ.“; შპს „გ.ტ.“) ზიანის ანაზღაურება, მაგალითად, თუ მიმღები ქონების მიღების შედეგად არ გამდიდრებულა და ა.შ., რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ თითოეული ფაქტობრივი გარემოების დადგენისა და შეფასების საგანი უნდა გახდეს;

150. კასატორთა მტკიცებით, ერთმნიშვნელოვანია, რომ შპს „ს. კ. რ. 2“-ის წილების დღევანდელი მესაკუთრეებისგან დაბრუნების კანონმდებლობით დადგენილი საფუძველი არ არსებობს. სასარჩელო მოთხოვნა და ამ მოთხოვნის ფარგლებში სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენების შესაძლებლობას არათუ ლ. და გ. ყ-ების მიმართ, არამედ - სადავო ურთიერთობაში მონაწილე არც ერთი პირის მიმართ;

151. ვერც სააპელაციო და ვერც საქალაქო სასამართლოებმა ვერ მიუთითეს სსკ-ის კონკრეტულ ნორმასა და მის შინაარსზე, რომელიც დღევანდელი მესაკუთრეებისგან წილების ჩამორთმევის სამართლებრივ შესაძლებლობას გაითვალისწინებდა. გადაწყვეტილებებში მითითებულია კოდექსის მთელი თავი (976-991-ე მუხლები - უსაფუძვლო გამდიდრება), რომელიც აწესრიგებს ერთმანეთისგან განსხვავებულ ურთიერთობებს შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით. აღნიშნული ურთიერთობების კონკრეტულ სამართლებრივ ჭრილში მოქცევისთვის სავალდებულოა, უტყუარად დადგინდეს ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობა-არარსებობა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შესრულებული არ არის. მოსამართლეები ბუნდოვნად უთითებენ არაუფლებამოსილი პირის მიერ ქონების დაბრუნების სამართლებრივ შესაძლებლობაზე, თუმცა, რა შემთხვევაში და ვის მიმართ არსებობს აღნიშნული შესაძლებლობა, არც ერთი გადაწყვეტილებით გამოკვლეული და დადგენილი არ არის. *ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სააპელაციო სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის, უსაფუძვლო გამდიდრების თავის, შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციები ერთობლივად. დასახელებული ნორმები არათავსებადია, რადგან 976-ე მუხლი შესრულების კონდიქციას ეხება, ხოლო 983-ე შეუსრულებლობის - ხელყოფის კონდიქციას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმე #ას-1224-1149-2015, 20.05.2016).* განსახილველ შემთხვევაში კი, აღნიშნული განმარტების საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო უსაფუძვლო გამდიდრების

თავს მთლიანად, რაც უკანონოა, ვინაიდან ამ თავში არსებული ნორმები არათავსებადია და სასამართლოს უნდა მიეთითებინა კონკრეტული სამართლებრივი ნორმა უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან;

152. კასატორები აღნიშნავენ, რომ მეტი დამაჯერებლობისთვის სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილ მსჯელობას, თუმცა ყურადღების მიღმა რჩება გადაწყვეტილების ის მნიშვნელოვანი საფუძვლები, რაც ცალსახად ემსახურება ლ. და გ. ყ-ებისა და შპს „ტ. ს.“-ის პოზიციის გამყარებას. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის # ას-225-215-2016 გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შემდეგ მსჯელობაში: *„იმის გათვალისწინებით, რომ ჩუქების საგანი დღეის მდგომარეობით აღარ ირიცხება სახელმწიფოს საკუთრებად და იგი კერძო პირის საკუთრებაა. შესაბამისად, ვერ მოხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სსკ-ის 979-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიძღვება რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვალდებული იყო ზიანის ანაზღაურების მიზნით მოსარჩელისათვის გადაეხადა - ხაზობრივი ნაგებობის გაზსადენის ღირებულება 90 615 ლარი“;*

153. კასატორები ყურადღებას ამახვილებენ გაბატონებულ დოქტრინულ შეხედულებაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკასთან ერთად, უშუალოდ საქმის განმხილველი მოსამართლეების მიერ სხვა ანალოგიურ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში ასახულ განმარტებებსა და კონკრეტულ საქმეებზე უთითებენ: მაგ., მოსამართლე ურთმელიძის მიერ გამოტანილი ერთ-ერთი გადაწყვეტილების (#2/2225-13, 23.07.2014) 6.3. პუნქტში, რომელშიც ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების ბათილობის სამართლებრივი შედეგების საკითხი განიხილებოდა, სასამართლომ მიუთითა შემდეგი: *“ამის შემდგომ, მნიშვნელოვანია გაირკვეს გარიგების ბათილობის შემთხვევაში, რის საფუძველზე ხდება გადაცემულის უკან დაბრუნება? აღნიშნულ კითხვაზე პასუხს სცემს სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ”.* ამ კითხვას მოსამართლე საკუთარ თავს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც უსვამს. გადაწყვეტილების 6.2. პუნქტი თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს კასატორთა მიერ უკვე მოხმობილ პასაჟს: *„გარიგებათა ბათილად ცნობის შემდგომ, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რის საფუძველზე ხდება გადაცემულის უკან დაბრუნება. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 976-991 მუხლები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ.“* მიუხედავად ფაქტების მსგავსებისა და სამართლებრივი საკითხის იდენტურობისა, მოსამართლე

სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ დასკვნამდე მიდის.

154. შპს „ს. კ. რ. 2-ის“ საქმე იმავე მოსამართლის მიერ იდენტური დავის სრულიად საპირისპიროდ გადაწყვეტიდან ერთი წლის შემდეგ იქნა განხილული, რაც არ არის იმდენად დიდი ვადა, რომ მოსამართლეს დაავიწყდეს მისივე განმარტებები სამოქალაქო კოდექსის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებთან დაკავშირებით. 2014 წლის გადაწყვეტილებაში სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს ვხვდებით. უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებისა და სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის არნახული ინტერპრეტაციის გზით სასამართლომ დაადგინა შემდეგი: „მოსარჩელებს სკ-ის 187.2 მუხლის მოთხოვნათა [თავისთავად წილის მოძრავ ნივთად მიჩნევა და 187-ე მუხლის გამოყენება ასევე უკანონოა], აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ საკუთრება მათი მფლობელობიდან გავიდა მათი ნების საწინააღმდეგოდ [ეს დასკვნაც ტყუილია, ვინაიდან ბათილი გარიგების საფუძველზე ქონების გადაცემა არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება მფლობელობიდან პირის ნების გარეშე გასვლად], შეუძლიათ საკუთრების (წილის) გამოთხოვა მისი ბოლო მფლობელიდან და, თუ წილის შემძენი რომელიმე პირი (ფიზიკური თუ იურიდიული) მიიჩნევს, რომ წილის მოსარჩელეთა საკუთრებიდან მის ბოლო მფლობელობამდე პერიოდში დაირღვა მათი რაიმე უფლება, შეუძლიათ ურთიერთმოთხოვნები წაუყენონ მხოლოდ ერთმანეთს ანუ მხოლოდ წილის შემძენ სხვა პირებს.“

155. კასატორებს მიაჩნიათ, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (976-991-ე მუხლები) და ყველანაირი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე ჩამოართვა წილები დღევანდელ მესაკუთრეებს.

156. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი (სსკ-ის 312-ე მუხლი და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი) და შედეგად მიიღო დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება შპს „ტ. ს-ს“, ლ. და გ. ყ-ების კეთილსინდისიერების ნაწილში;

157. კასატორები ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებაზე (საქმე #ას 1039-979-2015), სადაც სასამართლომ არსებულ პრაქტიკასთან შესაბამისად მიიჩნია თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მიდგომები:

- „მარტოდენ ფასის სიმცირე ვერ გახდება შემძენის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის

საფუძველი.“

- „მართალია ფასებს შორის არის მნიშვნელოვანი სხვაობა, მაგრამ, მარტოდენ ეს ფაქტი ვერ გამოდგება დ.ბ.-ის [შემძენის] არაკეთილსინდისიერების დასასაბუთებლად.“

- „სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი ადგენს შემძენის მხოლოდ ერთ ვალდებულებას - შეამოწმოს, რომ ნივთის მესაკუთრეა ის პირი, რომელიც რეესტრში არის ასახული, რაც ხდება რეესტრის ამონაწერის მეშვეობით. სხვა ვალდებულება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს გარიგების ნამდვილობაზე კანონით არაა დადგენილი.“

- სააპელაციო პალატამ შემძენის არაკეთილსინდისიერების დადგენის წინაპირობად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ ყალბი დოკუმენტების საფუძველზე რეგისტრირებული ქონების 2-ჯერ რეალიზაცია მოხდა 3 თვის განმავლობაში (დოკუმენტების გამყალბებელმა ქონება გაყიდა ყალბი საბუთის საფუძველზე ქონების რეგისტრაციიდან 3 დღეში. ხოლო შემდგომი რეალიზაცია მოხდა დაახლოებით 3 თვის შემდეგ. უკანასკნელმა შემძენმა კი ქონება დაირეგისტრირა დაჩქარებული წესით). ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით (რომელიც შეესაბამება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას), თბილისის სააპელაციო სასამართლომ: ა) დაბალი ფასი ჩათვალა ამორალურ ქმედებად და ბათილობის საფუძველად; ბ) არასაკმარისად ჩათვალა შემძენის მიერ რეესტრის ამონაწერის შემოწმება; გ) დროის მოკლე (2 წლიან) პერიოდში ქონების გასხვისება ჩათვალა „საეჭვოდ“ და შემძენის არაკეთილსინდისიერების დადგენის საფუძველად. სააპელაციო სასამართლოს შეფასება სამივე ასპექტში პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებასთან, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. კასატორთა მიერ სადავო ქონების შექენა მოხდა 2011-2012 წლებში. ამ პერიოდში უკვე არსებობდა საჯარო აღრიცხვის ერთიანი სივრცე და მარეგულირებელი კანონმდებლობა დღევანდელი რედაქციით. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირდებოდა საკუთრების უფლება სამეწარმეო სუბიექტებში. შესაბამისად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ნებისმიერ უფლებაზე ვრცელდებოდა სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია.

158. სსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რეესტრის ჩანაწერის ნამდვილობის პრეზუმფცია შესაძლოა გაბათილდეს, თუ შემძენმა იცოდა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისთვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის (საქმეები #ას-955-1234-09 და #ას-957-900-2010) შესაბამისად: „პირის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევისათვის აუცილებელია სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა“. ობიექტური ფაქტორები:

1. გამსხვისებელი რეგისტრირებულია მესაკუთრედ საჯარო რეესტრში;
2. რეესტრის ჩანაწერი არ არის გასაჩივრებული.

სუბიექტური ფაქტორი: „გარიგების დადების მომენტისათვის შემძენისათვის უცნობი უნდა იყოს რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის თაობაზე.“

იმისათვის, რომ სააპელაციო პალატას დაედგინა ამჟამინდელი მესაკუთრეების არაკეთილსინდისიერება და გაებათილებინა რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრეზუმცია, მას უნდა შეეფასებინა ორი კუმულატიური წინაპირობა:

ა) საჯარო რეესტრის ჩანაწერი იყო თუ არა უზუსტო;

ბ) თუ ჩანაწერი იყო უზუსტო, ამის შესახებ ცნობილი იყო თუ არა ლ. და გ. ყ-თვის.

159. კასატორები საკასაციო საჩივრებში ვრცლად მსჯელობენ თითოეულ წინაპირობაზე და განმარტავენ, რომ უსაფუძვლოა მესაკუთრეთათვის საკუთრების ჩამორთმევა შეძენილ წილებზე;

160. კეთილსინდისიერების ნაწილში მტკიცების ტვირთის მოპასუხეებზე გადმოტანა პირდაპირ ეწინააღმდეგება სსსკ-ს - მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა კასატორთა არაკეთილსინდისიერებას, უნდა წარმოედგინა სწორედ მოწინააღმდეგე მხარეს, ვინაიდან სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს მისი სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს. წილების დღევანდელმა მესაკუთრეებმა ქონება შეიძინეს კანონმდებლობის სრული დაცვით. საქმეში არის ხელშეკრულებები, რომლებიც ნამდვილია და სადავო არ გამხდარა არავის მხრიდან. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მათი სადავოობა არც განსახილველი სარჩელის ფარგლებშია მოთხოვნილი. ამდენად, ცალსახაა, რომ შეუძლებელია რეგისტრაციის გაუქმება და ახალი მესაკუთრის დარეგისტრირება, ვინაიდან რეგისტრაციის საფუძველი არის კანონიერი და მის უკანონობაზე მოსარჩელე არ საუბრობს;

161. საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის დაშვების შემთხვევაში, მოსარჩელეებს სსკ-ის დადგენილი წესის შესაბამისად სადავო რომც გაეხადათ „ჩ. ი-სა“ და „D. L.“-ის საკუთრების უფლება, სასამართლოს უნდა შეესწავლა ლ. და გ. ყ-ებისთვის იყო თუ არა „ცნობილი“ რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ;

162. გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლო უთითებს, რომ თითქოს 2005 წლიდან 2011 წლამდე „რ. 2“-ის წილის შემძენი და გამსხვისებელი სუბიექტები იყვნენ დაკავშირებული პირები. აქედან გამომდინარე, ამჟამინდელი მესაკუთრეებისათვის ცნობილი იყო „უფლებრივი ნაკლის შესახებ“. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „უფლებრივი ნაკლის“ ცნებას არ იცნობს სსკ-ის 312-ე მუხლი. რეესტრის ჩანაწერის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციის გასაბათილებლად სავალდებულოა, შემძენმა „იცოდეს, რომ ჩანაწერი უზუსტოა.“ იმ დაშვებითაც, რომ „უფლებრივი ნაკლის“ ცნებაში სააპელაციო პალატა

გულისხმობდა სსკ-ის 312-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ საფუძველს, საქმეში არსებული მასალებითა და თვით დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობითაც კი არ დგინდება, რომ შემძენებს შესაძლოა, სცოდნოდათ რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ შემდეგი მიზეზების გამო:

- 2005 წლიდან 2015 წლის აგვისტომდე არც ერთ მესაკუთრეს არ გაუხდია სადავოდ წილის გასხვისების ნამდვილობა;
- პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით დადგენილია, რომ ხ-ის მიმართ იძულებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, წილის ყველა გასხვისება მოხდა ნამდვილი ნების საფუძველზე;
- ქ. ხ-საც კი 2015 წლის აგვისტომდე არ განუცხადებია მოპასუხეებისთვის, რომ მან იაფად გაყიდა წილები. შესაბამისად, მოპასუხეებს არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ 2005-2006 წლებში ქ. ხ-ს „შეეშალა“ ქონების ღირებულება და იაფად გაყიდა;
- და ბოლოს, იმ დაშვებითაც, რომ ლ. ყ-მა იცოდა, რომ „რ. 2“-ის ღირებულება იყო იმაზე მაღალი, ვიდრე გარიგებებში ეწერა, რის საფუძველზე უნდა ევარაუდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის საფუძველი. შესაბამისად, შეუძლებელი იყო ლ. ყ-ს არათუ სცოდნოდა, არამედ ევარაუდა მაინც, რომ ქონების „იაფად“ რეალიზაცია განაპირობებდა ტრანზაქციის ბათილობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მტკიცებით, შეუძლებელია ლ. ყ-ს (ან რომელიმე მომდევნო შემძენს) სცოდნოდა, რომ რეესტრის ჩანაწერი არ იყო ზუსტი (მით უფრო, რომ ჩანაწერი ზუსტი იყო). შესაბამისად, სსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მეორე მოთხოვნაც არ არის სახეზე;

163. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.2 და 7.3 მუხლები. სასამართლო მართებულად უთითებს დასახელებული ნორმების 2005-2006 წლებისა და 2011-2012 წლების რედაქციაზე, რომლებშიც ცალსახად იყო მითითება, რომ რეგისტრირებული მონაცემები ითვლებოდა ნამდვილად საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე (სიზუსტის პრეზუმფცია). აღნიშნული მონაცემები სავალდებულო იყო მესამე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისთვის ცნობილი იქნებოდა ჩანაწერის მცდარობის შესახებ. შესაბამისად, რეგისტრირებული მონაცემების სიზუსტის პრეზუმფციის გაბათილების მიზნით სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა, რომ რეგისტრირებული მონაცემები იყო მცდარი და შემძენისათვის ცნობილი იყო უზუსტობის შესახებ. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, რეგისტრირებული მონაცემები არასოდეს გამხდარა სადავო 2015 წლამდე. შესაბამისად, ყველა გამყიდველი იყო ნამდვილი უფლების მფლობელი. დღემდე არ არის სადავო, რომ გამყიდველი სუბიექტების რეგისტრირებული საკუთრების უფლება იყო ზუსტი. შესაბამისად, უფლების გამსხვისებლების რეგისტრირებული უფლება იყო ზუსტი. ასე რომც არ ყოფილიყო, შეუძლებელია რომელიმე შემძენს სცოდნოდა რეესტრის მონაცემების უზუსტობის შესახებ. თუმცა, განსხვავებულ დასკვნებამდე მივიდა

სააპელაციო პალატა და დაადგინა, რომ „უფლებრივი ნაკლის შესახებ ცნობილი იყო შემძენებისთვის.“ სააპელაციო პალატის ეს შეფასება შეიცავს ორ მნიშვნელოვან ასპექტს (უფლებრივი ნაკლი და შემძენების ინფორმირებულობა ამ ნაკლის შესახებ), რომელიც საჭიროებს ცალ-ცალკე გაანალიზებას და შედარებას საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. სააპელაციო პალატის 71-გვერდიან გადაწყვეტილებაში არც ერთი წინადადება არ განმარტავს, თუ რატომ იყო „ჩ. ი.“ და „D. L.“-ის რეგისტრირებული საკუთრების უფლება ნაკლის მქონე (უზუსტო). სწორედ ზემომითითებული კომპანიებიდან შეიძინა „რ. 2“-ის 90% წილი ლ. ყ-მა. სააპელაციო პალატას ასევე არ უმსჯელია „მ. ჯ“-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზუსტობაზე. სწორედ ამ კომპანიიდან შეიძინა „რ. 2“-ის 40% წილი გ. ყ-მა. შესაბამისად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.2 და 7.3 მუხლების გამოყენებისათვის სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა, რომ ზემოხსენებული კომპანიების რეგისტრირებული უფლება იყო არაზუსტი, რაც არ გაუკეთებია. შესაბამისად, დღევანდელი მოცემულობითაც კი წილების გამსხვისებელი კომპანიების („ჩ. ი.“, „D.L.“ და „მ. ჯ.“) რეგისტრირებული უფლების შესახებ ჩანაწერი არის ზუსტი. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, მოპასუხეებს სცოდნოდათ არარსებული უზუსტობის (უფლებრივი ნაკლის) შესახებ;

164. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების გასხვისება ხდებოდა შემძენიდან მოკლე ვადაში. კასატორებისათვის გაუგებარია, რა გავლენას ახდენს საკუთრების უფლების გასხვისება მოკლე ვადაში საკუთრების უფლების კანონიერებაზე. სასამართლო უთითებს ზოგიერთი სუბიექტის მიერ წილების გასხვისებაზე მოკლე ვადაში, თუმცა, არ აღნიშნავს კონკრეტულ ფაქტებს, კერძოდ, ლ. ყ-ის 60% წილის გადაცემამდე „D. L.“ წილებს ფლობდა 2 წლისა და 8 თვის მანძილზე, ხოლო „ჩ. ი-ის“ შვილობილი კომპანია „რ. 2“-ის წილის მესაკუთრე იყო - 5 წელზე მეტი ხნის მანძილზე. ანუ, სააპელაციო პალატის მიდგომის გაზიარების შემთხვევაშიც კი, დგინდება, რომ ყ-ის საკუთრებაში სადავო წილები მოხვდა იმ კომპანიებიდან, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ფლობდნენ რეგისტრირებულ უფლებას. შესაბამისად, პალატის შეფასება მიკერძოებულად და არაობიექტურად მიაჩნიათ მოპასუხეებს;

165. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წილის შემძენები არიან ერთმანეთთან დაკავშირებული სუბიექტები. თუმცა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.2 და 7.3 მუხლების მიზნებისთვის სასამართლოს უნდა დაედგინა, იყვნენ თუ არა დაკავშირებული დღევანდელი მესაკუთრეები იმ სუბიექტებთან, რომლებმაც 2005-2006 წლებში მოსარჩელებისგან შეიძინეს სადავო წილები. მოპასუხეთა

მტკიცებით, „ს-სა“ და „გ.ტ.“-ს არავითარი შეხება არ ჰქონიათ დღევანდელ მესაკუთრეებთან. საწინააღმდეგო არც გასაჩივრებულ განჩინებაში დაუდგენია სასამართლოს; დღევანდელი მესაკუთრეები იყვნენ თუ არა დაკავშირებული პირები რომელიმე იმ მესაკუთრესთან, რომლებიც ფლობდნენ „რ. 2“-ის წილს მოსარჩელების მიერ გასხვისების შემდგომ. ხ-მა წილი მიჰყიდა „ს-ს“. ამ უკანასკნელმა წილი გაასხვისა „ჰ. ს. ი. ჯ-ზე“. თავის მხრივ, ჰოლდინგი 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფლობდა „რ. 2“-ის წილს. შემდგომ წილი დროებით გადაეცა ჰოლდინგის მფლობელ კომპანიას, რომელმაც საბოლოოდ გაასხვისა „რ. 2“-ის 30% წილი ლ. ყ-ზე. კასატორთა მოსაზრებით, თვით სააპელაციო პალატის მიერ მოყვანილ მსჯელობაშიც კი არ იკვეთება ლ. ყ-ის რაიმე კავშირი იმ კომპანიებთან, რომლებიც ფლობდნენ „რ. 2“-ის 30%-იან წილს. რაც შეეხება „რ. 2“-ის 60% წილს, მისი შეძენა მოხდა „D. L.“-ისგან, რომელმაც, თავის მხრივ, წილები შეიძინა ი. ჩ-ისა და შპს „გ. ჯ-გან“. არც ერთ ზემოხსენებულ კომპანიასთან ყ-ებს არასოდეს ჰქონიათ რაიმე კავშირი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ „D. L.“-ს წარმოადგენდა გ. გ.-ძე მის მემკვიდრესა (ნ. ნ-ძესა) და სხვა პარტნიორებს შორის ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო დავა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ დამოუკიდებელ კომერციულ ინტერესებზე;

166. სააპელაციო სასამართლო ამჟამინდელი მესაკუთრეებისა და ყოფილი მფლობელების ურთიერთკავშირის ერთ-ერთ მაგალითად უთითებს იმაზეც, რომ 2007 წლის თებერვალში ლ. ყ. იყო „რ. 2“-ის წილის ერთ-ერთი მფლობელის სახელით გარიგებაზე ხელმოწერი. კასატორთა მტკიცებით, პირველი - ხელმოწერაზე უფლების მინიჭება არ ნიშნავს მინდობილობის გამცემ კომპანიაში კომერციული ინტერესის არსებობას. მეორე - ლ. ყ.-ის მარწმუნებელი კომპანია წილს ფლობდა 2007 წელს. მას შემდეგ წილი გასხვისდა ყ-ებთან არა-დაკავშირებულ სუბიექტზე - შპს „გ. ჯ-ზე“, რომელიც 2 წელი და 1 თვე ფლობდა კომპანიის წილს. ამის შემდეგ წილი შეიძინა „D. L.“-მა, რომელსაც, თავის მხრივ, არავითარი შეხება არ ჰქონია ყ-ებთან და წილს ფლობდა თითქმის 3 წლის განმავლობაში.

167. კასატორთა მტკიცებით, ამჟამინდელ მესაკუთრეებს შეხება არა აქვთ იმ სუბიექტებთან, რომლებმაც წილები შეიძინეს მოსარჩელებისგან. გარდა ამისა, მოპასუხეები არ არიან დაკავშირებული პირები „რ. 2“-ის სხვა ყოფილ მფლობელებთან. მტკიცებულებებზე დაფუძნებული საწინააღმდეგო არგუმენტაცია არ წარმოუდგენია სააპელაციო პალატას;

168. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სხვადასხვა ხელშეკრულებაში „ურთიერთგამომრიცხავი მითითებებია“ ნასყიდობის ფასთან დაკავშირებით. კასატორები აღნიშნავენ, რომ ობიექტური მართლმსაჯულების პირობებში აღნიშნული საკითხი უნდა შესწავლილიყო წილების საბაზრო ღირებულების დადგენის ეტაპზე, როდესაც პალატა მსჯელობდა მოსარჩელების მიერ წილების გასხვისების ფასის ადეკვატურობაზე. ობიექტური მართლმსაჯულების პირობებში პალატა დაადგინდა, რომ 2004-2007 წლებში „რ. 2“-ის წილების ღირებულება იყო დაახლოებით ერთი და იგივე. შესაბამისად, მოსარჩელებისათვის გადახდილი სარეალიზაციო ფასი შეესაბამებოდა „რ. 2“-ის რეალურ საბაზრო ღირებულებას. კასატორები დეტალურად უთითებენ მოსარჩელეთა მიერ სამაუწყებლო კომპანიაში წილების შეძენისა და შემდგომი გასხვისების ქრონოლოგიასა და ფასებზე და აღნიშნავენ, რომ 2004-2007 წლებში კომპანიის წილების გასხვისება ხდებოდა დაახლოებით ერთსა და იმავე ღირებულებად (თუ არ ჩავთვლით ჩვეულებრივი კომერციული ტრანზაქციებისათვის დამახასიათებელ ფასთა გარკვეულ ცვალებადობას). აღნიშნულ პერიოდში „რ. 2“-ის წილების ღირებულება იყო დაახლოებით იმდენი, რა ანაზღაურებაც მიიღეს ქ. ხ-მა და მისმა კომპანიამ;

169. კასატორები აკრიტიკებენ სააპელაციო პალატის დასკვნას იმის თაობაზე, რომ „ექვმა“ შეიძლება გააბათილოს რეესტრის მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით: სსკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმფცია *„ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად არსებული ნებისმიერი ფაქტი, რომელიც მიუთითებს რეგისტრაციის ხარვეზზე, ვერ გამოიხატავს განსახილველი ნორმით დაცულ ვარაუდს რეესტრში რეგისტრირებული უფლების მართებულობასთან დაკავშირებით“* (იხ.სუსგ #ას-1179-1108-2012); „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3 მუხლის, სსკ-ის 312.2 მუხლის შესაბამისად, რეგისტრირებული უფლების ნამდვილობის პრეზუმფციის გაბათილებისათვის სავალდებულოა, რომ „შემძენს სცოდნოდა“ რეესტრის მონაცემების უზუსტობის შესახებ. კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს, რომ უტყუარობის პრეზუმფციის ბათილობისათვის უნდა დადგინდეს კონკრეტული ობიექტური გარემოება - შემძენის მიერ რეესტრის მონაცემების უზუსტობის ცოდნა. უზენაესი სასამართლოს განმარტების შესაბამისად, სხვადასხვა ფაქტი, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრაციის ხარვეზზე, ვერ გააბათილებს რეესტრის მონაცემების სიზუსტის პრეზუმფციას;

170. კასატორთა მტკიცებით, საქმეში არსებული მტკიცებულებების მიკერძოებულად შეფასების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მაინც ვერ დაადგინა, რომ ამჟამინდელი შემძენებისათვის ცნობილი იყო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის შესახებ (თუ ჩანაწერი იყო უზუსტო). დასკვნის სახით კასატორები უთითებენ, რომ:

170.1.სასამართლოს არ დაუდგენია, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერები წილების გამსხვიებლების („ჩ. ი.“, „D. L.“ და „მ. ჯ.“) შესახებ იყო უზუსტო;

170.2. სასამართლოს არ დაუდგენია, რომ გამყიდველი კომპანიების საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერები მცდარი რომც ყოფილიყო (რაც არათუ არ დადასტურებულა, დავის საგანიც არ გამხდარა არც ერთ ეტაპზე), ამის შესახებ იცოდნენ მოპასუხეებმა;

170.3. უკანონოდ გაბათილებული გარიგებების შედეგად, საქალაქო სასამართლომ ისე გააუქმა პარტნიორთა წილების რეგისტრაცია, რომ არ უმსჯელია მესაკუთრეების მიერ წილების შეძენის ფორმასა და წესზე. კერძოდ, სამაუწყებლო კომპანიის ერთ-ერთ პარტნიორ გ.ყ-ს ასევე სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდა შეძენილი კუთვნილი წილი, რომლის სანოტარო აქტში ნოტარიუსის მიერ ასევე დადასტურებულია გარიგების მხარეების ნება და ხელშეკრულების მხარეებისთვის გაცნობის ფაქტი. მიუხედავად აღნიშნულისა, ისე, რომ მხარეს სადავოდ არ გაუხდია უკანასკნელი მესაკუთრეების მიერ წილების შეძენის გარიგებები, საქალაქო სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ მესაკუთრეები იყვნენ არაკეთილსინდისიერები და ჩამოართვა მათ საკუთრება. სასამართლოს არათუ საკუთრების უფლების ამგვარი ხელყოფის, არამედ ლ. და გ. ყ-ისა და „ტ. ს-ს.“ კეთილსინდისიერების შემოწმების უფლებამოსილებაც არ გააჩნდა, თუ მოსარჩელე ამ გარიგების ბათილად აღიარების მოთხოვნას არ წამოჭრიდა;

170.4. სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა სამართლებრივი თუ ფაქტობრივი საფუძველი დღევანდელი მესაკუთრეების არაკეთილსინდისიერების დასადგენად.

171. წინამდებარე განჩინების 119-ე პუნქტში დასახელებულ კასატორთა პრეტენზიით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მოპასუხეთა საჩივრები, რომლებითაც შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გაასაჩივრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებები, კერძოდ:

171.1. 2015 წლის 11 აგვისტოს, 2 ოქტომბრის, 19 ოქტომბრის და 22 ოქტომბრის განჩინებები, რომლებითაც არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობები საქალაქო სასამართლოში საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების თაობაზე.

171.2. გასაჩივრებული განჩინებების კანონიერ ძალაში დატოვების სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლო უთითებს საპროცესო კოდექსის ორ მუხლზე: ა) საპროცესო ნორმის დარღვევას არ მოჰყოლია არასწორი გადაწყვეტილების მიღება (საპროცესო კოდექსის 393.3 მუხლი); ბ) არ არსებობდა მოსამართლის აცილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31.1. „დ“ მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. კასატორთა მტკიცებით, აღნიშნული მოტივაცია მცდარი და არასრულია, შემდეგი მიზეზების გამო:

171.2.1. სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ დავის განხილვა წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, მცდარი და არარელევანტურია სააპელაციო პალატის მხრიდან საპროცესო კოდექსის 393.3-ე მუხლზე მითითება, რომელიც ადგენს გამონაკლის წესს არაარსებითი პროცესუალური დარღვევებისთვის. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ. აღნიშნული ნორმიდან გამონაკლისს არ ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლობა. შესაბამისად, არაკანონიერი შემადგენლობის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება უპირობოდ ექვემდებარება გაუქმებას (მიუხედავად იმისა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, სწორად არის თუ არა გადაწყვეტილი სადავო-სამართლებრივი საკითხი). აქედან გამომდინარე, კასატორებს მცდარად მიაჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ საპროცესო კოდექსის 393.3-ე მუხლზე მითითება და ამ საფუძველით მოსამართლე ურთმელიძის აცილების განჩინებების კანონიერ ძალაში დატოვება;

171.2.2. სააპელაციო პალატა მართებულად უთითებს სსსკ-ის 31.1.-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, თუმცა, დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო პალატა აფასებს მხოლოდ მოსამართლის პირადი დაინტერესების საკითხს და არ მსჯელობს მისი მიკერძოებულობის მრავალ გარემოებაზე, მათ შორის:

ა) მოსამართლის მეუღლის მიერ გავრცელებული განცხადებები „რ. 2“-ისა და მისი დირექტორის წინააღმდეგ, სადაც გამოხატული იყო აშკარა ზიზღი მედიასაშუალებისა და მისი მმართველის მიმართ;

ბ) მოსამართლის დედის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლებრივი გამოძიება, რომელიც გააქტიურდა სასამართლო დავის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე;

გ) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით არაპროპორციული ქონებრივი შეზღუდვების და აკრძალვების დაწესება, რომელიც ემსახურებოდა არა სარჩელის უზრუნველყოფის მიზანს, არამედ მედიასაშუალების ფუნქციონირების შეწყვეტას;

დ) მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მოწოდებები, ურთმელიძეს დროულად

დაესრულებინა სასამართლო განხილვა;

ე) ურთმელიძის მიერ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მითითების ზედმიწევნით ზუსტად შესრულება საქმის განხილვა უპრეცედენტოდ სწრაფი ტემპით - 12 სამუშაო დღეში 8 სასამართლო სხდომის ჩატარება 19 ოქტომბრიდან 03 ნოემბრამდე პერიოდში (სხდომების უმრავლესობა გრძელდებოდა სრული სამუშაო დღე);

ვ) მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის შეზღუდვა მოპასუხისათვის მტკიცებულებების წარმოდგენის შეზღუდვითა და სასამართლო სხდომებისათვის მომზადებისათვის დროის შეზღუდვით.

171.2.3. კასატორთა მოსაზრებით, მოსამართლე თ. ურთმელიძის მიკერძოებულობა, არაობიექტურობა და საქმის შედეგებით დაინტერესება დასტურდება არა მხოლოდ ეჭვის დონეზე, არამედ ფაქტობრივადაც მის მიერ განხორციელებული რიგი პროცესუალური დარღვევებითა და შედეგებით, უკანონო გადაწყვეტილებებითა და განჩინებებით, მათ შორის 2015 წლის 5 ნოემბრის დროებითი მმართველების შესახებ განჩინებებით, რითაც მოსამართლემ თავი აარიდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 2 ნოემბრის საოქმო განჩინებას, რომელიც ეხებოდა დაუყოვნებლივ აღსრულებას, სსსკ-ის 198-ე მუხლის დანაწესი ტენდენციურად, კონკრეტული სუბიექტის საწინააღმდეგოდ განზრახ გამოიყენა, მათ შორის - არხის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისა და ცენზურის განხორციელების მიზნით. აღნიშნული ნორმის მოქმედება შეჩერდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის 2015 წლის 13 ნოემბრის საოქმო ჩანაწერით №1/7/681 - ვებგვერდი, 26.11.2015წ.; საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, ითვალისწინებს იურიდიული პირის - მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალების ხელმძღვანელობის, მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების, მათ შორის - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-9¹ მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილების დროებითი მმართველისათვის მინიჭებას;

171.2.4. მოსამართლის ტენდენციურობას, ასევე, ხაზს უსვამს სხვა პროცესუალური შედეგები, კერძოდ, 2015 წლის 30 სექტემბერს შპს „ტ. ს-ს“ მიმართ გამოტანილი უკანონო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სამართლიანი სასამართლოსთვის დადგენილი მინიმალური სტანდარტები, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v.

Germany (dec.) [GC], §132). აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ას-151-147-2016, 19.04.2016წ.;

171.2.5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია გადაწყვეტილების 4.23 ნაწილში, რომ იძლევა მისი გაუქმების საფუძველს. 2016 წლის 10 ივნისის განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აპელანტთა მიერ გასაჩივრებულ 2015 წლის 11 აგვისტოს, 2 ოქტომბრის, 19 ოქტომბრისა და 22 ოქტომბრის განჩინებებზე (ტ. 8, ს.გ. 233), რომლებითაც პირველი ინსტანციის მოსამართლემ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების თაობაზე. აღნიშნულ თემაზე სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 393.3- ე მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ სამართლის ნორმის დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ შემდეგი სახის განმარტებით: „პალატის მოსაზრებით, გარდა იმისა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს მოსამართლის საქმის შედეგით დაინტერესების ფაქტს, ასევე გასათვალისწინებელია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა არსებითად სწორი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება იმ სახის საპროცესო დარღვევები, რომლებსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი მითითებულ განჩინებებთან დაკავშირებით არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული“. კასატორებს მიაჩნიათ, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მოსამართლის აცილების შესახებ გასაჩივრებულ განჩინებებზე, არ დაინტერესებულა მხარეთა მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებითაც დგინდებოდა მოსამართლის აცილების აუცილებლობა. სასამართლომ საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ ემსჯელა მოსამართლის აცილების ინსტიტუტის, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტური უფლების მნიშვნელობაზე და შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ერთაბზაციანი აზრით. ისარგებლა მხოლოდ 393.3-ე მუხლის დანაწესით და თავი აარიდა 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით მოცემულ იმპერატიულ დათქმას. კასატორები უთითებენ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე: ბს-1243-818(კ-05)-07.04.2006წ.; ას-74-71-25.05.2016წ.; ას-151-147-2016, 19.04.2016წ. მოპასუხეთა მიერ გასაჩივრებული განჩინებები ეხებოდა უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ უფლებას - სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ პრინციპის დარღვევას შედეგობრივად პირდაპირ უკავშირებს აბსოლუტურ გაუქმებას და სსსკ-ის 394-ე მუხლით განსაზღვრავს

გადაწყვეტილების აბსოლუტურ გაუქმების საფუძველად;

171.2.6. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ კონვენციით დაცული უფლებები (მათ შორისაა სამართლიანი სასამართლოს უფლება, მუხლი 6) არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური, თეორიული და ილუზორული. საქმეში *Centro 7 Europa s.r.l v Italy* და *Artico v. Italy* სასამართლომ განმარტა, „სასამართლო იმეორებს, რომ კონვენცია გამიზნულია არა თეორიული ან ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებების დასაცავად (იხ. *Artico v. Italy*, 13 მაისი 1980, § 33, Series A no. 37)“. აცილებაზე მსჯელობისას მხარე არაა ვალდებული, წარადგინოს უტყუარი მტკიცებულებები მოსამართლის მიკერძოებულობის, არაობიექტურობის შესახებ, არამედ მიუთითოს ის გარემოებები, რომლებიც ექვს ადრავს მის მიუკერძოებლობასა და არაობიექტურობაზე. საქმეში *Berger v United States* აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსამართლეს ეკრძალება გარემოებების სიმართლეზე მსჯელობა, მას მოეთხოვება, მოახდინოს საკუთარი თავის დისკვალიფიკაცია/აცილება საქმიდან, რამდენადაც შუამდგომლობა აცილების თაობაზე გარეგნულად უკვე საკმარისია ამისთვის. ყველა ცივილიზებული ქვეყნის სამართალში დანერგილია მოსამართლის აცილებისათვის მიკერძოებულობის გარეგნული აღქმის სტანდარტი. ეს სტანდარტი კი, თავის მხრივ, დადგენილია იმისთვის, რომ მოსამართლემ ბოროტად არ გამოიყენოს საკუთარი თანამდებობა და დისკრეციის ფართო უფლებამოსილების ექსპლუატაცია, რათა მიკერძოებულობის გარეგნული გამოხატულება ნაკლები მნიშვნელობის მქონე გარემოებად წარმოაჩინოს;

171.2.7. ყველა პირს გააჩნია გარანტია, რომ მათი საქმეები მოისმინოს და გადაწყვიტოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა მოსამართლემ. ეს გამომდინარეობს მხარის კონსტიტუციური უფლებიდან, რომლითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ახალი მოსამართლით, ახალი სხდომის/მოსმენის შესაძლებლობით მიუკერძოებლობის გარეგნული გამოხატულების მქონე მოსამართლის გარეშე (იხ. *In re Murchison*, 349 U.S. 133, 136 (1955) (“A fair trial in a fair tribunal is a basic requirement of due process.”). თვითაცილება და აცილება არის პრობლემური სიტუაციიდან გამოსავალი, ე.ი მიკერძოებულობის გარეგნული გამოხატულების პრობლემის დაძლევის მექანიზმი. ეს არის პრობლემის გადაჭრის გზა, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული და ჩამოშორდეს მოსამართლე საქმის განხილვას, რომელიც პრობლემას ქმნის მხარისთვის. შესაბამისად, აცილების ინსტიტუტის ქმედით გამოყენებას შეუძლია, გადაარჩინოს სასამართლოს ლეგიტიმურობა და გაანეიტრალოს კონფლიქტი. აცილების ინსტიტუტის

არაქმედითობა იწვევს საზოგადოების ნდობის დაკარგვას. „ნდობის კრიზისი ინფექციური ეფექტით ვნებს მართლმსაჯულებისადმი მიუკერძოებლობის წარმოდგენას“ (იხ. John Leubsdorf, Theories of Judging and Judge Disqualification 62 N.Y.U.L. Rev.237, 245 (1987)“. შესაბამისად, აცილება- ეს არის დოქტრინა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია (crucial to protecting) ორივე, როგორც მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის, ისე მისი მიუკერძოებლობის აღქმის უზრუნველსაყოფად (United States v. Gipson). სამართლიანობის გარეგნული გამოხატულება ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც თავად სამართლიანობა (Ex parte Bryant, 682 So. 2d 39, 41 (Ala. 1996); ამავე კონტექსტში კასატორები უთითებენ სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 4.9, 4.14, პუნქტებზე და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დადგენილ პრაქტიკაზე: *“მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს, რომ განხორციელდა”* (მიკალეფი მალტას წინააღმდეგ /Micallef vs Malta, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პარაგრაფი 98, აგრეთვე Delcourt v. Belgium დელკორტი ბელგიის წინააღმდეგ, პარაგრაფი 31), ასევე, მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლზე, საქმეებზე: დრიზა ალბანეთის წინააღმდეგ /Driza vs Albania/, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 13.11.2007., პარ. 74; ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (1991 წ. 23.05 გადაწყვეტილება); დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ (1997 წ.26.08 გადაწყვეტილება), საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკაზე: #ბს-1608-1662(კ-08) (28 იანვარი, 2009), #ბს-820-784(კ-09) (8 ივნისი, 2009), #ბს-1247-1213(კ-10) (11 ნოემბერი, 2010), #ბს-1558-1519(2კ-10) (19 ნოემბერი, 2010), #28/6293-14 (6 აგვისტო, 2015);

171.2.8. სააპელაციო პალატის მიერ გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება განაპირობებდა გადაწყვეტილების უპირობო გაუქმებას სსსკ-ის 394-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული საპროცესო დარღვევა ვერ დაკვალიფიცირდებოდა სსსკ-ის 393.3-ე მუხლით გათვალისწინებულ უმნიშვნელო პროცესუალურ გადაცდომად;

171.2.9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება არის სამართლებრივად დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“, „ე“ და „ე¹“ პუნქტების საფუძველზე.

171.3. 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება იმავე წლის 16 ოქტომბერს წარმოდგენილი მტკიცებულებების დართვაზე უარის თქმის თაობაზე (ტ. 4, ს.გ. 10);

171.3.1. 19 ოქტომბერს სასამართლოს მოპასუხეებმა წარუდგინეს მტკიცებულებები,

რომლებიც ადასტურებდა, რომ ე.წ. „ბალანსებში“ ასახული მონაცემები იყო მცდარი. სააპელაციო პალატა უთითებს, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია სასამართლოში წარადგინეს სასამართლოს მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მოპასუხეებს არ ჰქონდათ მტკიცებულებების წარდგენის უფლება სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სააპელაციო პალატის ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ აღნიშნული მტკიცებულებების წარდგენა მოხდა მოსარჩელის მიერ მთავარ სხდომაზე წარდგენილი დოკუმენტაციის (ე.წ. „ბალანსების“) გასაბათილებლად. მოპასუხეებს მიაჩნიათ, რომ გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად ის ფაქტი, რომ ფინანსური დოკუმენტაცია წარმოდგენილია იმ მტკიცებულების პასუხად, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდგომ (მოსამზადებელი ეტაპი დასრულდა 2015 წლის 2 ოქტომბერს (ტ. 3, ს.გ. 133;), მოსარჩელემ სასამართლოს 5 ოქტომბერს წარუდგინა ე.წ. „ბალანსები“ (ტ.3, ს.გ. 169;), სასამართლომ მოპასუხეებს 12 ოქტომბერს გაუგზავნა ე.წ. „ბალანსები“ (ტ. 3, ს.გ. 189-194), მოპასუხეებმა ფინანსური დოკუმენტაცია 16 ოქტომბერს წარადგინეს (ტ. 3, ს.გ. 227). ანუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ წარადგინა მტკიცებულება, ხოლო მოპასუხეებმა წარადგინეს საპასუხო მტკიცებულებები 4 კალენდარული დღის განმავლობაში. თუმცა, მოსამართლე ურთმელიძის შეფასებით, მოპასუხეებს არ ჰქონდათ უფლება, მთავარ სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულების საპასუხოდ წარედგინათ მტკიცებულება მთავარ სხდომაზევე - 4 დღის შემდეგ. სააპელაციო პალატამ კი თავი შეიკავა მოსამართლე ურთმელიძის ქმედების შეფასებისაგან, რაც, თავის მხრივ, არანაკლები უკანონობაა;

171.3.2. სააპელაციო პალატამ არ შეაფასა, რომ მთავარ სხდომაზე წარდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია პასუხობდა მოსარჩელის მიერ მთავარ სხდომაზევე წარდგენილ მტკიცებულებას. მხედველობაშია მისაღები მოსამართლე ურთმელიძის კიდევ ერთი უკანონო ქმედება, რაც ასევე არ შეაფასა სააპელაციო პალატამ. კერძოდ, დავის შემჭიდროებულ ვადებში დასრულებისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენის შეზღუდვის მიზნით, მოსამართლემ „რ. 2“-ს არ მისცა უფლება, წარედგინა კომპანიის ის ფინანსური დოკუმენტაცია, რაც ადასტურებდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ დოკუმენტში (ე.წ. „ბალანსში“) არსებული მონაცემების უზუსტობას (პირველი განჩინება). ფინანსური დოკუმენტაციით დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის აბსურდულობა. მოსამართლე ურთმელიძის განმარტებით, ფინანსური დოკუმენტაცია არ ეხებოდა „რ. 2“-ის მიმართ წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნებს და ამიტომ ამ მოპასუხეს საპროცესო კანონმდებლობა უკრძალავდა აღნიშნული

დოკუმენტაციის წარდგენას. მოპასუხეებს მიაჩნიათ, რომ დასახელებული არგუმენტი მოკლებულია მინიმალურ სამართლებრივ დასაბუთებას, რადგან ერთ სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეებს კანონმდებლობა არ უზღუდავს უფლებას, წარადგინონ მტკიცებულებები ნებისმიერ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. მსგავს შეზღუდვას კანონი არ ითვალისწინებს, რაც სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია. მეტიც, არა მხოლოდ მოპასუხეებს, არამედ ყველა იმ პირს, რომელთა უფლებებსა და მოვალეობებზე შესაძლოა, გავლენა მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილებამ, კანონი აღჭურავს ყველა იმ საპროცესო უფლებით, რაც მინიჭებული აქვთ მოსარჩელეს და მოპასუხეს (სსსკ-ის 91-ე მუხლი); მოსამართლემ მოპასუხეს შეუზღუდა იმ მტკიცებულების წარდგენის უფლება, რაც არსებითად შეცვლიდა მტკიცებულებათა ბალანსს მოპასუხეთა სასარგებლოდ. შესაბამისად, მოსამართლეს აღარ ექნებოდა შესაძლებლობა, დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში მიეთითებინა, რომ თითქოს მოპასუხეებს არ წარუდგენიათ საპასუხო მტკიცებულებები;

171.4. საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება შპს „K. G.“-სა და შპს „ი. ს-ის“ გაგზავნილი წერილებისა და მათი პასუხების მტკიცებულების სახით დართვაზე უარის თაობაზე (ტ. 4, ს.გ. 13). ე.წ. „ბალანსების“ საპასუხოდ წარდგენილი მტკიცებულებების გარდა, სასამართლოს წარედგინა მსოფლიოს ოთხი დიდი აუდიტორული კომპანიებიდან ორთან (შპს „K. G.“ და შპს „ი. ს-ის“) არსებული კორესპონდენცია. მიმოწერა ეხებოდა სწორედ იმ „ბალანსებს“, რომელიც წარდგენილ იქნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. შესაბამისად, სსსკ-ის 215-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხეებს ჰქონდათ საპასუხო დოკუმენტაციის წარდგენის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების უფლება მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ.

მიმოწერით დგინდებოდა ორი მნიშვნელოვანი გარემოება:

ა) *ობიექტურად შეუძლებელი იყო კომპანიის საბაზრო ღირებულების დადგენა მოსარჩელების მიერ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსათვის მიწოდებული გაურკვეველი ფორმის, შინაარსისა და წარმოშობის ფურცლების (ე.წ. „ბალანსების“) საფუძველზე;*

ბ) *მოპასუხეები აპირებდნენ ალტერნატიული ექსპერტიზის (აუდიტორული დასკვნის) მომზადებას, რაც გააბათილებდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო მოპასუხეებისათვის მიეცა დამატებითი ვადა ექსპერტიზის ჩასატარებლად. შესაბამისად, აღნიშნული კორესპონდენცია რელევანტური იყო საქმისათვის. სააპელაციო პალატამ არ უარყო, მოპასუხეების უფლება, მთავარ სხდომაზე წარედგინათ ზემოხსენებული დოკუმენტაცია, თუმცა, განმარტა, რომ: „მითითებულ მტკიცებულებებს არ აქვთ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან მასში მითითებული გარემოებები ვერ აბათილებს მოსარჩელის მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნას“;*

171.4.1. მოპასუხეთა მტკიცებით, „K. G.“-სა და „ი. ს.“ არსებული მიმოწერა რელევანტური იყო საქმისათვის, აბათილებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნას და მოსარჩელებს აძლევდა საფუძველს, მოემზადებინათ ექსპერტიზის დასკვნა, რაც გააბათილებდა სამხარაულის ბიუროს „საორიენტაციო დასკვნას“. შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, დაერთო მტკიცებულებები საქმეზე. თუმცა, ორივე ინსტანციის სასამართლომ აბსურდული, უკანონო და ალოგიკური არგუმენტაციით უარი განაცხადა ამ მტკიცებულებების დართვაზე, რითაც კიდევ ერთხელ დაარღვიეს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები;

171.5. საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 ოქტომბრის განჩინება, იმავე წლის 16 ოქტომბერს წარდგენილი შუამდგომლობის /მტკიცებულებების დართვის შესახებ/ მოხსნის თაობაზე (ტ. 4, ს.გ. 15). მას შემდეგ, რაც საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა „რ. 2“-სა და „ტ. ს-ს“ შუამდგომლობა მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე, სხვა მოპასუხებმა - გ. და ლ. ყ-ებმა - წარადგინეს მტკიცებულებები, რაც პასუხობდა მოსარჩელის მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე შეტანილ დოკუმენტაციას (ე.წ. „ბალანსებს“). სასამართლომ მოხსნა აღნიშნული შუამდგომლობა საქმის გაჭიანურების მოტივით. ქვემდგომი სასამართლოს შეფასება გაიზიარა სააპელაციო პალატამ. თუმცა, სააპელაციო პალატამ უგულებელყო ის ფაქტი, რომ თითოეული მოპასუხე არის დამოუკიდებელი სუბიექტი. შესაბამისად, თითოეულ მათგანს აქვს კანონით მინიჭებული შესაძლებლობა, საკუთარი პროცესუალური უფლებების რეალიზაციის მიზნით, წარადგინოს მტკიცებულებები. სასამართლო კი ვალდებულია, განიხილოს და დასაბუთებული პასუხი გასცეს თითოეულ მათგანს. მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატამ უგულებელყო გ. და ლ. ყ-ების უფლება, საკუთარი პროცესუალური უფლებების დაცვის მიზნით, წარედგინათ მტკიცებულებები და გაებათილებინათ მოსარჩელის მიერ შეტანილი ე.წ. „ბალანსები“ და „საორიენტაციო დასკვნა“.

171.6. საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს 2015 წლის 9 სექტემბრის N... დასკვნის მტკიცებულებებიდან ამორიცხვის, მისი სიყალბის თაობაზე (ტ. 4, ს.გ. 272).

171.6.1. სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, რომლის მიხედვით, მოსარჩელებს უარი ეთქვათ სამხარაულის ბიუროს მიერ მომზადებული ე.წ. „საორიენტაციო დასკვნის“

მტკიცებულებებიდან ამორიცხვაზე. „საორიენტაციო დასკვნის“ მტკიცებულებებიდან ამორიცხვის შუამდგომლობა ემყარებოდა სამ ძირითად არგუმენტს:

ა) დასკვნა სრულად ეფუძნება ე.წ. „ბალანსებს“, რომელზეც ხელს აწერს ვინმე რ. ბ. მისი „რ. 2“-თან კავშირის არარსებობა დაადასტურა ტელეკომპანიის დირექტორმა და თავად ურთმედიამაც (იხ. 2015 წლის 17 სექტემბრის განჩინება). შესაბამისად, უცნობი პიროვნების მიერ ხელმოწერილი ყალბი „ბალანსის“ საფუძველზე მომზადებული დასკვნა არის, ასევე, ყალბი;

ბ) ე.წ. „ბალანსებზე“ მითითებულია, რომ ხელმოწერი პირი იყო „რ. 2“-ის ფინანსური დირექტორი 2004-2006 წლებში. აღნიშნული მითითებებს, რომ ხელმოწერა შესრულებულია არა 2005 ან 2006 წელს, არამედ მოგვიანებით (სავარაუდოდ, 2015 წელს, სასამართლო დავის დაწყებამდე). ასევე გასათვალისწინებელია, რომ თავად მოსარჩელემ (ქ. ხ.მა) დაადასტურა, რომ ე.წ. „ბალანსებში“ მითითებული მონაცემები ამობეჭდა საკუთარი კომპიუტერიდან და ხელი მოაწერინა ვინმე რ. ბ-ს.

გ) კომპანიის ფინანსურ დოკუმენტზე (ე.წ. „ბალანსზე“) არ არის მითითებული შედგენის თარიღი, არ არის ამობეჭდილი კომპანიის ბლანკზე და არ არის დამოწმებული კომპანიის ბეჭდით.

171.6.2. სააპელაციო პალატამ მშრალად მიუთითა, რომ „სიყალბესთან დაკავშირებით იმსჯელა გადაწყვეტილების 4.19 პუნქტში და მიიჩნია, რომ აპელანტების მიერ მითითებული არგუმენტი [...] მოკლებული იყო მტკიცებას.“ მითითებული დასაბუთება სრულად ვერ პასუხობს აპელანტების არგუმენტაციას. გარდა ამისა, მთელ რიგ საკითხებში სააპელაციო პალატის შეფასებები არის მიკერძოებული და ურთიერთწინააღმდეგობრივი. მაგალითად, რა საფუძველით უნდა იქნეს მიჩნეული რ. ბ-ის მიერ ხელმოწერილი „ბალანსი“ სარწმუნოდ, მაშინ, როდესაც საქალაქო სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ აღნიშნულ პიროვნებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა „რ. 2“-თან.

171.7. საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინება სსსკ-ის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „ჩ. ი.“-ს და „დ. ლ.“-ს საქმეში ჩართვა მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე (ტ. 4, ს.გ. 269);

171.7.1. აპელანტებს გასაჩივრებული ჰქონდათ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, რომლის საფუძველზე მოპასუხეებს უარი ეთქვათ მესამე მხარედ იმ პირთა ჩართვაზე, რომლებისგანაც შეიძინეს სადავო წილები. ლ. და გ. ყ-ებმა „რ. 2-ის“ წილები შეიძინეს „ჩ. ი.-სა“ და „დ. ლ.-გან“. ქ. ხ-ისა და მისი კომპანიის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყ-ებს წარმოეშობოდათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა „ჩ. ი.-სა“ და „დ. ლ.-ის“ მიმართ. სსსკ-ის 89-ე მუხლის მიხედვით, მესამე პირი საქმეში უნდა ჩაერთოს, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენა იქონიოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილება წარმოშობდა ლ. და გ. ყ-ების

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რომელიც მიმართული იქნებოდა წილის გამყიდველი კომპანიების („ჩ. ი.“ და „დ. ლ.“) მიმართ. შესაბამისად, გადაწყვეტილება გავლენას მოახდენდა ზემოხსენებული კომპანიების უფლებრივ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო, მესამე პირებად ჩაერთო ის კომპანიები, რომლებმაც „რ. 2“-ის წილები მიჰყიდეს ლ. და გ. ყებს;

171.7.2. საქალაქო სასამართლომ დროის გაჭიანურების მცდელობად შერაცხა მესამე პირთა უფლებების დაცვის მცდელობა, რაც უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით; სააპელაციო პალატამ არც კი იმსჯელა აღნიშნული განჩინების კანონიერების საკითხზე (არც გააუქმა განჩინება და არც უარი თქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე). ეს ქმედება პროცესუალური დარღვევაა, რასაც შესაძლოა, შედეგად მოჰყოლოდა არსებითად განსხვავებული გადაწყვეტილება. გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა დავის საბოლოო შედეგზე, რადგან მესამე პირებს ექნებოდათ შესაძლებლობა, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, წარედგინათ საკუთარი პოზიცია და მტკიცებულებები (მათ შორის - ის მტკიცებულებები, რომელთა წარმოდგენაზე უსაფუძვლოდ ეთქვათ უარი მოპასუხეებს);

171.7.3. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა აღნიშნულ შუამდგომლობაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი, მოსამართლე ურთმელიძემ თავი აარიდა შუამდგომლობაზე უარის თქმის დასაბუთებას და დროის გაჭიანურებად შერაცხა მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაცვა, ხოლო სააპელაციო პალატამ საერთოდ არ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. სააპელაციო პალატის მიერ მითითებული შუამდგომლობის დაკმაყოფილება განაპირობებდა საქმეში ისეთი მტკიცებულებების დასაშვებობას, რაც გამორიცხავდა როგორც სადავო გარიგებების ბათილობას, ასევე წილების გადაცემას მოსარჩელებისათვის;

171.7.4. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, მოპასუხეები ითხოვენ, რომ გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ის საოქმო განჩინებები, რომლებიც ამ გადაწყვეტილების შესავალ ნაწილშია მითითებული (იხ. 119-ე პუნქტში დასახელებულ კასატორთა მოთხოვნა, I ნაწილში მითითებული 1-6 განჩინება); სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საოქმო განჩინებები დაჯარიმების შესახებ განმარტებული იყო როგორც სასამართლოსადმი უპატივცემულობა. სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

171.7.5. აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში სასამართლოსა და პროცესის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს შორის კამათი გამოიწვია სასამართლოს მხრიდან მხარეთა საპროცესო უფლებების უსაფუძვლო შეზღუდვამ და სასამართლო სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტმა. სასამართლო მიუთითებდა, რომ მხარის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული აზრი იყო სასამართლოსადმი გამოხატული უპატივცემულობა. სასამართლოს უპატივცემულობა პირდაპირ კავშირშია სასამართლოს ავტორიტეტისა და რეპუტაციის დაცვასთან. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება კი, თავის მხრივ, მოიცავს სასამართლოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას; ამ კონტექსტში კასატორები მოიხმობენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებას საქმეზე *Morice v. France*, რომლის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება მაღალი სტანდარტით უნდა იქნეს დაცული იმ შემთხვევაში, როცა განცხადებები ეხება თემებს, რომლებზეც მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს. განსახილველ შემთხვევაში ასეთად მიჩნეულ იქნა სასამართლო ხელისუფლების გამართული ფუნქციონირება, თუნდაც საქმე ეხებოდეს მიმდინარე სასამართლო დავას. ასევე, უთითებენ საქმეებზე *De Haes and Gijssels v. Belgium* და *Hrico v Slovakia*, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე და აღნიშნავენ, რომ მოცემულ სადავო საქმეზე არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, პროცესის მონაწილე მხარეთა მიერ მოთხოვნილი სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტური განხორციელების უფლება, სასამართლოში სიტყვის თავისუფლება და საპროცესო უფლებების გამოყენების რეალიზების უფლება პრევალირებს სასამართლოსადმი გამოხატულ კრიტიკულ შეფასებებზე, თუნდაც ის აღქმულ იქნეს, როგორც სასამართლოს უპატივცემულობა.

171.7.6. სასამართლოს მხრიდან გამოყენებული საჯარიმო სანქციების ოდენობები იყო გაუმართლებლად დიდი, არაპროპორციული, და სასამართლომ ბოროტად გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება.

171.8. კასატორები გადაწყვეტილებასთან ერთად ასაჩივრებენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინებებს (იხ. 119-ე პუნქტში დასახელებულ კასატორთა მოთხოვნა, ამ გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში - II მითითებული 1-2 განჩინება), რომლებითაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა პროცესზე მხარეთა დამკვეთის თაობაზე.

171.8.1. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოხსნა მხარეთა წარმომადგენლების შუამდგომლობა პროცესზე ნ. გ-ას დაშვების შესახებ იმ მოტივით, რომ შუამდგომლობა პერსონალურად უნდა წარედგინა ამავე პირს. სააპელაციო სასამართლომ ვერ მიუთითა მხარეებს ის კონკრეტული სამართლებრივი ნორმა, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავდა შუამდგომლობის პერსონალურად წარდგენის ვალდებულებას უშუალოდ პროცესზე დასაშვები პირის მიერ.

171.8.2. სსსკ-ის 83-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა თანაბარ საპროცესო უფლებებს, ხოლო 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, *„პირი სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა“*. შესაბამისად, როგორც სსსკ-ის 83-ე, ისე 212-ე მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებს „მხარის“ უფლებაზე, წარადგინოს შუამდგომლობა, ე.ი კანონი არ აწესებს შუამდგომლობის წარდგენის უფლებაზე პირთა/მხარეთა პერსონიფიცირებას და არ აკონკრეტებს სუბიექტთა წრეს;

171.8.3. 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე მხარეებმა წარადგინეს წერილობითი შუამდგომლობა (*შპს „ს. კ. რ. 2-ის წარმომადგენლების: დ. ს-ის, თ. მ-ის; შპს „ტ. ს-ს“ წარმომადგენლების: დ. ძ-ის, ქ. ზ-ის, დ. ს-ის, თ. მ-ის; გ. ყ-ის და ლ. ყ-ის წარმომადგენლის ზ. ბ-ის მიერ*). თუმცა, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უკანონო გადაწყვეტილებით შუამდგომლობა მოიხსნა სწორედ იმ მოტივით, რომ არ იყო წერილობითი ფორმით შედგენილი უშუალოდ ნ. გ-ს მიერ, ხოლო მოგვიანებით სასამართლომ განმარტა, რომ შუამდგომლობა ემსახურებოდა პროცესის გაჭიანურებას. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ეწინააღმდეგება საკუთარ თავს და ასახელებს არარსებულ სამართლებრივ საფუძვლებს. ამასთან, აბსურდულია მოსამართლის მსჯელობა პროცესის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, როდესაც მას შეეძლო, წარდგენილ შუამდგომლობაზე, ადგილზე თათბირით, მარტივად მიეღო გადაწყვეტილება ნ. გ-ას პროცესზე დაშვების შესახებ, რასაც, თავის მხრივ, სულ რამდენიმე წამი ან წუთი დასჭირდებოდა. ვინაიდან სასამართლომ ეს არ გააკეთა და ნ. გ. არ დაუშვა მომდევნო პროცესებზეც, ნათლად იკვეთება სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარის მოტივაცია, დავის განხილვაში არ მიეღო მონაწილეობა ნ. გ-ს, რაც გულისხმობს მხარის წარმომადგენლისთვის სამართლიანი სასამართლოს, საპროცესო უფლებების განზრახ, უკანონოდ წართმევას. სასამართლოს ამგვარი მოტივაცია კი მიუთითებს სასამართლოს მიკერძოებულობაზე, რაც აცილების

საფუძველი იყო;

171.8.4. სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია სსსკ-ის მე-2 მუხლის დანაწესი, რომლითაც „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“. პირი კი, თავის მხრივ, წარმოდგენილია სასამართლოში მის მიერ შერჩეული წარმომადგენლით და/ან წარმომადგენლებით (წარმომადგენლობის უფლება). შესაბამისად, პროცესზე დაუშვებლობით ივარაუდება, რომ სასამართლომ წაართვა პირს (როგორც პროცესის მხარეს, ისე მის წარმომადგენელს) სხდომაში მონაწილეობის უფლება. აღნიშნული ფაქტით კი სასამართლომ უხეშად დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი;

171.8.5. სსსკ-ის მე-4 მუხლით დადგენილია შეჯიბრებითობის პრინციპი, ხოლო მე-6 მუხლის დანაწესით - მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. აღნიშნული რეგულაცია მოიაზრებს მოსამართლის მორჩილებას კუმულატიურად, კანონისა და კონსტიტუციისადმი. მოპასუხეებს მიაჩნიათ, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მხარისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უფლებები- სამართლიანი სასამართლოს უფლება, სიტყვის თავისუფლება;

171.8.6. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის სხდომაზე, ასევე, არ დაკმაყოფილდა მხარის წარმომადგენლების: თ. მ-ის, ნ. გ-ს, დ. ს-ის დაშვების შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე დაჯარიმებული და გაძევებულ იქნენ „რ. 2-ისა“ და შპს „ტ. ს-ს“ ადვოკატები - თ. მ. და დ. ს.. სასამართლომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი განმარტა საკუთარი ვარაუდით, რომ ვინაიდან 2016 წლის 3 ივნისის ამავე წარმომადგენლების მიმართ უკვე გამოყენებული იყო სანქცია, ხსენებული ადვოკატები ისევ დაარღვევდნენ წესრიგს 7 ივნისის სხდომაზე.

171.8.7. კასატორები უთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული პირები არ დაუშვა ასევე 2016 წლის 10 ივნისს, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას, რაც, მათი მტკიცებით, იმთავითვე გამოკვეთს 2016 წლის 3 ივნისს გამოყენებული სანქციებისა და 7 ივნისს შუამდგომლობაზე უარის თქმის მოტივებს. მოპასუხეთა მტკიცებით, სააპელაციო

სასამართლო მოწოდებული იყო, პროცესზე არ დაეშვა მხარეთა წარმომადგენლები, ვინაიდან მათი იქ ყოფნა სასამართლოს დისკომფორტს უქმნიდა. დისკომფორტი კი მდგომარეობდა იმაში, რომ მხარეები ითხოვდნენ საკუთარი საპროცესო უფლებების რეალიზაციას, რის საშუალებასაც სასამართლო მათ არ აძლევდა, რადგან ამ უფლებების რეალიზაცია სააპელაციო სასამართლოს ინტერესებში ცალსახად არ შედიოდა. აღნიშნული გარემოებები, თავის მხრივ, მიუთითებს სააპელაციო სასამართლოსა და პირადად კოლეგიის თავმჯდომარის მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და მიკერძოებულობის აშკარა გამოვლინებაზე, რითაც დაირღვა მხარეთა სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლება და სსსკ-ის მე-2, მე-4, მე-6 მუხლების დანაწესი, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და 24-ე მუხლებით და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოსა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება, აგრეთვე, უსაფუძვლოდ შეიზღუდა პროფესიული, საადვოკატო საქმიანობა.

171.9. კასატორები გადაწყვეტილებასთან ერთად ასაჩივრებენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინებებს (იხ. 119-ე პუნქტში დასახელებულ კასატორთა მოთხოვნა, III ნაწილში მითითებული 1-3 განჩინება);

171.9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 31 მაისის სხდომაზე სასამართლო დარბაზიდან გააძევეს შპს “ს. კ. რ. 2”-ის გენერალური დირექტორი (საოქმო განჩინება - ტ.7, ს.ფ. 490; 2016 წლის 31 მაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი N: 010, 09:10 წთ.). სასამართლო პროცესზე მოსამართლე ნ. გუჯაბიძემ უშუალოდ ნ. გ-ს მიმართა და შესთავაზა დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის ფორმა, იმისათვის, რათა დადგენილიყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წინასწარ იყო თუ არა დაწერილი. შეთავაზება ითვალისწინებდა დალუქულ კონვერტში ნ. გ-ს მიერ გადაწყვეტილების მიტანას სააპელაციო სასამართლოში და ამ ვერსიის შედარებას სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან (2016 წლის 31 მაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი N: 010, 05:50 წუთიდან). აღნიშნული შეთავაზების შემდეგ, მხარის წარმომადგენელმა დაიწყო საკუთარი პოზიციის დაფიქსირება გუჯაბიძის შეთავაზებასთან დაკავშირებით, თუმცა, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ, ნ. ნაზლაიძემ, მას არ მისცა ამის შესაძლებლობა და ნ. გ-ს მიერ რამდენჯერმე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მცდელობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ გააძევა იგი სასამართლო დარბაზიდან;

171.9.2. კასატორები უთითებენ, რომ სასამართლომ მიმართა მიზანმიმართულ პროვოკაციას, ვინაიდან თუ სასამართლოს არ აინტერესებდა გ-ს პასუხის მოსმენა, მაშინ მოსამართლეს არ უნდა მიემართა პირადად მისთვის შესაბამისი შეთავაზებით. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მოსამართლე გუჯაბიძემ თავად აირჩია კომუნიკაციის ფორმა, შეთავაზების შინაარსი და შეთავაზების ადრესატი. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მხრიდან მსგავსი შეთავაზება და ტესტები არასერიოზულია, მაგრამ თუ მაინც კეთდება, მაშინ სასამართლომ შეთავაზების ადრესატს უნდა მისცეს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა, ხოლო პოზიციის დაფიქსირების მცდელობა არ უნდა შეფასდეს სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევად, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობად და სასამართლოს მიმართ უპატივცემულობად;

171.9.3. მხარის წარმომადგენლის გაძევების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება არის არა მარტო უკანონო, არამედ დაუსაბუთებელიც. საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ კანონიდან შაბლონური ამონარიდების გაკეთებით. სასამართლო კონკრეტულად უნდა ასაბუთებდეს, თუ რა ქმედება გახდა გაძევების საფუძველი და ხომ არ შეიძლებოდა სხვა სახის სანქციის, მაგალითად, ჯარიმის გამოყენებით მიღწეულიყო იგივე მიზანი. ამასთან, სასამართლოს მიერ გაძევების განკარგულება არ ყოფილა იმ ფორმით მიღებული და მხარისათვის გადაცემული, როგორც ამას საპროცესო კანონმდებლობა ითხოვს;

171.9.4. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე სასამართლომ დარბაზიდან გააძევა შპს “ს. კ. რ. 2”-ის და შპს “ტ. ს.”-ს წარმომადგენელი - თ. მ. (საოქმო განჩინება - ტ. 8, ს.გ. 16-17; 2016 წლის 03 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი N: 005, 07:50 წთ.) 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე აპელანტებმა დააყენეს მოსამართლე გუჯაბიძის აცილების შუამდგომლობა. აცილების საფუძველი გახდა წინა დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, ნათია გუჯაბიძის მიერ საკუთარი დედისთვის სახელმწიფო სახსრებით ბინის დაქირავების თაობაზე. ეს ინფორმაცია დაადასტურა თავად მოსამართლის დედამ, არ უარუყვია არც მოსამართლეს და არც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. მიუხედავად აცილების საფუძველის დასაბუთებულობისა, სხდომის თავმჯდომარემ მოხსნა შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ მისი დაყენება სხდომის გაჭიანურებას ემსახურებოდა. რეალურად წინა სხდომებზე აცილების შუამდგომლობა ფიზიკურად ვერ

დადგებოდა, ვინაიდან ინფორმაცია არ იყო ცნობილი მხარეთათვის. სასამართლომ არ მისცა მხარეს საკუთარი პოზიციის დაცვის საშუალება, მათ შორის - მოსამართლის აცილების დაყენების გზით, შესაბამისად, შუამდგომლობის დაყენების მცდელობა არ შეიძლება იქნეს მიჩნეული სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევად, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობად და სასამართლოს მიმართ უპატივცემულობად. არც ამ შემთხვევაში დასაბუთებულა გაძევების საფუძველი.

171.9.5. ზემოხსენებულ ქვეპუნქტში დასახელებულ სხდომაზე სასამართლო დარბაზიდან გააძევეს შპს “ს. კ. რ. 2”-ის და შპს “ტ. ს.”-ს წარმომადგენელი - დ. ს. (საოქმო განჩინება - ტ. 8, ს.ფ. 17; 2016 წლის 03 ივნისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი N: 005, 11:00 წთ.);

171.9.6. 2016 წლის 31 მაისის სხდომიდან გააძევეს ნ. გ., რის შემდეგაც აპელანტებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს და სთხოვეს ამ უკანასკნელის დაშვება პროცესში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა, სასამართლომ არ განიხილა ეს შუამდგომლობა და განაცხადა, რომ ასეთი თხოვნით თავად გაძევებულ პირს უნდა მიემართა. სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, *“პირი გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე. მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილია გაძევებულ პირს მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა”*. ანუ ამ ნორმაში პირდაპირ არის მითითებული, რომ მოტივირებული შუამდგომლობის ავტორი უნდა იყოს “მხარე” და არა გაძევებული პირი. შუამდგომლობის ავტორები იყვნენ სწორედ მხარეთა (შპს “ს. კ. რ. 2”, შპს “ტ. ს.”, ლ. ყ. და გ. ყ.) წარმომადგენლები. ხოლო, მას შემდეგ, რაც სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ გაძევებულ პირს შეუძლია მოითხოვოს პროცესზე დაბრუნება, დ. ს-მა სასამართლოს რამდენჯერმე მოსთხოვა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის მითითება, თუმცა, სასამართლომ ეს ვერ გააკეთა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი ნორმა სსსკ-ში ფიზიკურად არ არსებობს. სასამართლო ვალდებულია, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მიუთითოს ამ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლებზე, სასამართლოს მიერ საკუთარი ვალდებულების შესრულების კანონიერი მოთხოვნა არ უნდა იქნეს მიჩნეული სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევად, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობად და სასამართლოს მიმართ უპატივცემულობად;

171.9.7. გარდა იმისა, რომ დ. ს-ის გაძევების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება არის უკანონო, იგი არ არის დასაბუთებული კანონით დადგენილი წესით, არ არის

მითითებული გაძევების საფუძველი. ნ. გ-ს, თ. მ-ისა და დ. ს-ის გაძევების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, კასატორები აღნიშნავენ, რომ სამივე მათგანი სასამართლო პროცესზე წარმოადგენდა მხარეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაში (№2/2/558) მიუთითა *“სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებიდან გამომდინარე, პროცესის მონაწილე და სხდომაზე დამსწრე განსხვავებული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილ სუბიექტებს წარმოადგენენ. გაცილებით მაღალია პროცესის მონაწილეთა ინტერესი, დაცული იყვნენ უსაფუძვლო დაჯარიმების ან/და გაძევებისგან, ხოლო ასეთი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, გააჩნდეთ უფლების დაცვის საკმარისი პროცესუალური გარანტიები იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, წარმოადგინონ საკუთარი არგუმენტები და დაიცვან თავიანთი პოზიციები. სხდომაზე დამსწრე პირებს არ გააჩნიათ ამგვარი მომეტებული ინტერესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის მონაწილისა და სხდომაზე დამსწრის მიმართ გაძევების ან/და დაჯარიმების შესახებ განკარგულების მიღების წესი საჭიროებს განსხვავებულ შეფასებას.”* საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე განმარტა: *“სადავო ნორმით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უპატივცემულობის ცნება კანონმდებლობით არ არის ცალსახად განსაზღვრული. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში, უპატივცემულობად შესაძლებელია აღქმული იქნეს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე უნებლიე ქცევა, დაცვის ტაქტიკა და სხვა. რიგ შემთხვევებში, საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, სად მთავრდება წარმომადგენლის დაცვის სტილი და ტაქტიკა, და სად იწყება სასამართლოსადმი უპატივცემულობა. მაგალითად, ისეთი ხატოვანი ან/და ემოციური ხასიათის გამონათქვამები და ჟესტიკულაცია, რაც მიზნად ისახავს პროცესის მონაწილეთა ყურადღების მიპყრობას წარმოადგენილ არგუმენტებსა და მხარის პოზიციასზე.”; “ზუნებრივია, შეუძლებელია კანონმდებლობით სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევების ცალსახა და ამომწურავად რეგლამენტაცია. შესაბამისად, საკითხი უპატივცემულობის ფაქტის არსებობის შესახებ უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა ერთობლიობის ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, საკმაოდ დიდია მოსამართლის მხრიდან ცალკეული გარემოებების ინტერპრეტაციის და შეფასების ზღვარი, რაც, ცალკეულ შემთხვევებში, არ გამორიცხავს ერთი და იმავე ფაქტის განსხვავებულად შეფასების შესაძლებლობას (სხვადასხვა მოსამართლეების მიერ). სწორედ ამიტომ, პირს უნდა ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებების წარდგენის და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობა.”*

171.9.8. მითითებული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-9 ნაწილი, გარდა იმ ნორმატიული შინაარსისა, რომელიც შეეხება სხდომაზე დამსწრის გაძევების შესახებ განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებას ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს მიერ გაძევების გადაწყვეტილების მიღების ფორმა და მისი მხარეთათვის ჩაუბარებლობა. კერძოდ, ვინაიდან გასაჩივრებას ექვემდებარება

პროცესის მონაწილის გაძევება, მას ცალკე უნდა ჩაჰბარდეს გაძევების შესახებ განკარგულება, რომელიც უნდა გასაჩივრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში და თუკი ზემდგომი ინსტანცია ჩათვლის რომ პირი არაკანონიერად იქნა გაძევებული სხდომიდან, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა იმავე ეტაპიდან გააგრძელოს პროცესში მონაწილეობა;

171.9.9. სააპელაციო სასამართლოს მხარეთათვის უნდა ჩაებარებინა გაძევების შესახებ განკარგულებები და მათი გასაჩივრების საშუალება უნდა მიეცა საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად. ეს მიდგომა განამტკიცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით (*საქმე №ას-855-805-2015*), სადაც საკასაციო პალატამ მიუთითა: *“საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით და განსახილველი ურთიერთობის მიმართ უნდა გამოიყენოს საპროცესო სამართლის ის ნორმა, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას, კერძოდ, სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-11 ნაწილი. მითითებული ნორმა ადგენს პატიმრობის გამოყენების შესახებ განკარგულების გასაჩივრების წესს.”*

171.9.10. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაძევებულმა პირებმა, მას შემდეგ, რაც მათ სააპელაციო სასამართლომ არ მისცა პროცესზე დაბრუნების უფლება, წერილობითი განცხადებით (*ტ. 8, ს.გ. 135-136*) მოითხოვეს მათთვის გაძევების განკარგულებების გადაცემა და საქმის განხილვის იქამდე გაგრძელება სანამ უზენაესი სასამართლო არ შეამოწმებდა გაძევების გადაწყვეტილებების კანონიერებას, თუმცა, მხარეთა ამ მოთხოვნას შედეგი არ მოჰყოლია, სასამართლომ მათ არც გაძევების განკარგულებები გადასცა და საქმის განხილვაც დაასრულა ისე, რომ მათ წაართვა პროცესში მონაწილეობის უფლება. აღნიშნული იმდენად მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევაა, რომ შესაძლოა, გავლენა მოეხდინა დავის შედეგზე, ვინაიდან, თუ უზენაესი სასამართლო მიიჩნევდა, რომ გაძევების გადაწყვეტილებები იყო უკანონო, მოპასუხეთა წარმომადგენლებს მიეცემოდათ სააპელაციო სასამართლოში დარჩენილ პროცესებზე მონაწილეობის საშუალება და შესაძლოა, მათ ისეთი არგუმენტები მოეყვანათ, რაც შეცვლიდა სასამართლოს რწმენას ამა თუ იმ საკითხზე. შესაბამისად, მხარეთა ადვოკატებს უკანონოდ წაერთვათ შესაძლებლობა, დაბრუნებულიყვნენ სასამართლო სხდომებზე, რაც წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლითა და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. მხოლოდ ეს სამართლებრივი საფუძველიც კი საკმარისია სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაუქმებლად და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად

დასაბრუნებლად.

171.10. კასატორები გადაწყვეტილებასთან ერთად ასაჩივრებენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებს (იხ. 119-ე პუნქტში დასახელებულ კასატორთა მოთხოვნა, IV ნაწილში მითითებული 1-7 განჩინება), რომლებითაც უსაფუძვლოდ არ დაკმაყოფილდა და მოიხსნა შუამდგომლობები:

171.10.1. 2016 წლის 27 აპრილის განჩინება, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის განმხილველი მოსამართლის, ნათია გუჯაბიძის აცილების თაობაზე (ტ.7, ს.გ. 385); გასაჩივრებული განჩინების დაკმაყოფილებაზე უარის სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ არ არსებობდა მოსამართლის აცილების სსსკ-ის 31.1 „დ“ მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს მოსამართლის საქმის შედეგით დაინტერესების ფაქტს და შუამდგომლობების ავტორები არ უთითებდნენ სარწმუნო ფაქტებზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, კასატორები უთითებენ შემდეგზე: 1. საჯაროდაა გავრცელებული ინფორმაცია, რომ მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ ორგანიზაცია „მოსამართლეთა ერთობის“ სახელით გაკეთებული ორი საჯარო განცხადებით უკვე გამოხატა მხარდაჭერა მოსამართლე თამაზ ურთმელიძისადმი; 2. საჯაროდ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსამართლე ნათია გუჯაბიძე სასამართლო სისტემის გარეთაც თანამშრომლობს თამაზ ურთმელიძესთან, მინიმუმ 3 წელია, რაც აძლიერებს მის ურთიერთდამოკიდებულებას და აქტიურ კავშირებს მოსამართლე თამაზ ურთმელიძესთან;

171.10.2. ამ კონტექსტში კასატორები სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპის 2.3, 2.5, 4.8, 4.9, 5.2, პუნქტებზე უთითებენ, ასევე, მოიხმობენ UNDOC-ის მიერ ბანგალორის პრინციპებთან დაკავშირებულ განმარტებას: *„მოსამართლე, რომელიც ბოროტად სარგებლობს სამოსამართლო ოფისით პირადი სარგებლის მიღების მიზნით, არღვევს კანონს, ბოროტად იყენებს რა საკუთარ ძალაუფლებას. მოსამართლემ უნდა აირიდოს თავიდან ყველა ისეთი ქმედება, რომელიც მიუთითებს მისი გადაწყვეტილებების მიკერძოებულობაზე, პირად ინტერესებზე ან ფავორიტიზმზე, ვინაიდან ძალაუფლების ამგვარი გამოყენება უხეშად ლახავს სასამართლოს საზოგადოების ნდობას“.*

171.10.3. 2016 წლის 13 მაისის სხდომაზე არ დაკმაყოფილდა მხარის წარმომადგენლის, ნ. გ-ს შუამდგომლობა სხდომის თავმჯდომარის აცილების შესახებ (2016 წლის 13 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 025, 0:11-ზე). შპს „ს. კ. რ. 2-ის“ წარმომადგენელმა, ნ. გ-მ დააყენა კოლეგიის თავმჯდომარის, ნატალია ნაზლაიძის

აცილება (იხ. 2016 წლის 13 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 010, 24:40-ზე). შუამდგომლობა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ კოლეგიის თავმჯდომარე სისტემატურად და უხეშად არღვევდა აპელანტთა უფლებებს. შუამდგომლობის ავტორებმა აღნიშნეს, რომ შეუძლებელი იყო ნატალია ნაზლაიძის თავმჯდომარეობის პირობებში ამ პროცესის სრულფასოვნად, ადეკვატურად და შეჯიბრებითობის სრული მოცულობით წარმოება. არც ერთი შუამდგომლობა, არც ერთი განცხადება, განცხადების არც ერთი ეპიზოდზე კი ბოლომდე არ მიაყვანილა მოსამართლემ მხარეს არც წინა პროცესზე და განსაკუთრებით, არც 2016 წლის 13 მაისის სხდომაზე. გამოვლენილი გარემოებები და მოსამართლის ქცევები ართმევდა მხარეს უფლებას, რომ კოლეგიის თავმჯდომარე აღქმულიყო როგორც მიუკერძოებელი მოსამართლე;

171.10.4. ნ. გ-ს მიერ შუამდგომლობის წარდგენისთანავე, სანამ კოლეგიის დანარჩენი წევრები დაიწყებდნენ მსჯელობას კოლეგიის თავმჯდომარის აცილების თაობაზე, ნატალია ნაზლაიძემ გააკეთა განცხადება და ნ. გ. დააჯარიმა 500 ლარით სასამართლოს უპატივცემულობისათვის და განაცხადა, რომ ნ. გ-ს მხრიდან მოსამართლისთვის „დავალების შემსრულებლის“ წოდება იყო უხამსი და დაუსაბუთებელი. ხაზგასასმელია, რომ მოსამართლემ ამგვარი საპროცესო ღონისძიება პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მიიღო იქამდე, სანამ კოლეგიის დანარჩენი წევრები განიხილავდნენ მისი აცილების საკითხს და ნ. გ-ს მიერ შუამდგომლობის აცილების საფუძველი ნატალია ნაზლაიძემ თავად შეაფასა, ე.ი მან ფაქტობრივად მიიღო მონაწილეობა თავისი აცილების საფუძველების განხილვაში და უკარნახა კოლეგიის დანარჩენ წევრებს საკუთარი პოზიცია მის აცილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ქმედება აღიქმება, როგორც თავმჯდომარის მხრიდან კოლეგა მოსამართლეებისათვის ირიბად, გარკვეული დირექტივის/მითითების მიცემად შუამდგომლობაზე შესაბამისი შედეგის მისაღებად. შედეგი, თავის მხრივ, გულისხმობდა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო აცილების საფუძველების დაუსაბუთებლობის გამო. ამ შედეგის დადგომა უზრუნველყვეს კოლეგიის სხვა წევრებმა მიღებული განჩინებით;

171.10.5. კასატორთა მტკიცებით, სახეზე იყო სსსკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომელიც ადგენს, რომ 1. მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის

მიუკერძოებლობაში. მოპასუხეთა მოსაზრებით, სსსკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის დანაწესს სააპელაციო პალატა არასწორად განმარტავს, ადგენს რა მიუკერძოებულობის მისაჩნევად „დასაბუთებული ფაქტების“ არსებობის აუცილებლობას. შესაბამისად, „ფაქტებზე“ მითითებისას სასამართლომ განსაზღვრა დამატებითი კრიტერიუმი, თუ როგორი უნდა იყოს ფაქტი, კერძოდ „დასაბუთებული“. აღნიშნული მსჯელობის ლოგიკიდან გამომდინარე, ისევ სასამართლო მისი დისკრეციულობის უსაზღვრო დიაპაზონის ფარგლებში გადაწყვეტს, რას ნიშნავს „დასაბუთებული“, რომელი ფაქტი მიიჩნევა დასაბუთებულად, მეტ-ნაკლებად დასაბუთებულად, არასაკმარისად დასაბუთებულად და/ან სრულიად დაუსაბუთებლად. პალატის მიერ განვითარებული მსჯელობა „დასაბუთებული ფაქტის“ არსებობის აუცილებლობის შესახებ სამართლებრივ და ლოგიკურ შინაარსს აცლის აცილებას, როგორც დოქტრინას და ინსტიტუტს, რომელიც ემყარება მიუკერძოებლობის მისაჩნევად ეჭვის არსებობას;

171.10.6. საქმეში „Berger v United States“ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსამართლეს ეკრძალება გარემოებების სიმართლეზე მსჯელობა, მოეთხოვება რა მას, მოახდინოს საკუთარი თავის დისკვალიფიკაცია/აცილება საქმიდან, რამდენადაც შუამდგომლობა აცილების თაობაზე გარეგნულად უკვე საკმარისია ამისთვის. აცილების ინსტიტუტის ამ სტანდარტის მართებული აღქმა დადგენილია საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, მათ შორის - უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერაც.

171.10.7. მოპასუხეები უთითებენ სააპელაციო სასამართლოს და პირადად ნ. ნაზლაიძის მიერ სხვა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე აცილებასთან დაკავშირებით, სადაც იმავე მოსამართლემ (მოსამართლეებთან: ლ. კალანდაძესა და ქ. მესხიშვილთან ერთად) აცილების ინსტიტუტზე მსჯელობისას გამოიყენა სამართლიანი სასამართლოსთვის დადგენილი სტანდარტი, იმსჯელა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების მნიშვნელობაზე და მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე *(საქმე №28/6293-14 6 აგვისტო, 2015 წელი, აღნიშნული საქმე სააპელაციო სასამართლოს საჯაროდ აქვს გამოქვეყნებული სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა გრაფაში)*. სასამართლო აღნიშნავს, რომ „*მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. იმისათვის, რომ მართლმსაჯულების სისტემამ შეასრულოს მისთვის მინიჭებული დანიშნულება - დაამკვიდროს კანონის უზენაესობაზე დამყარებული საზოგადოება და სამართლებრივი უსაფრთხოება,*

უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოსამართლის მიერ საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა. მართლმსაჯულების წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ასევე, საზოგადოების ნდობა, ვინაიდან საზოგადოების ნდობა არის მოსამართლის ლეგიტიმურობის საფუძველი და მისი უფლებამოსილების წყარო. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო იწვევდეს საზოგადოებაში ნდობას (*PADOVANI v. ITALY*). მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება სწორედ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებასა და სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის აცილების მნიშვნელობა და მისი არსი განმარტებულია არაერთ საერთაშორისო აქტში“.

171.10.8. საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვა, თავის მხრივ, მოიცავს არა მხოლოდ საქმის ობიექტურ განხილვას, არამედ იმის აღქმას, რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, კერძოდ, საქმეებზე: *Micallef vs Malta*, *Delcourt v. Belgium*, *Driza vs Albania*, *Wettstein vs Switzerland*, *R. v Sussex Justices ex p. McCarthy*, *Kingsley v. United Kingdom*, *De Cubber v. Belgium*, *Piersack v. Belgium*, *Kyprianou v. Cyprus*, *Hauschildt v. Denmark* დადგენილია ის მაღალი სტანდარტი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელებისას. 2016 წლის 13 მაისს სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისთვის მინიმალური სტანდარტის შექმნა მხარისათვის;

171.10.9. კასატორთა მტკიცებით, მათ ნებისმიერ აქტივობას და საპროცესო უფლებების აქტიური გამოყენების მცდელობას სასამართლო აფასებდა, როგორც პროცესის გაჭიანურების მცდელობას;

171.11. კასატორები აკრიტიკებენ 2016 წლის 30 მაისის განჩინებას, რომლითაც კოლეგიამ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის განმხილველი კოლეგიის მთელი შემადგენლობის აცილების თაობაზე (ტ. 7, ს.გ 477(1)). გასაჩივრებული განჩინების დაკმაყოფილებაზე უარის სამართლებრივ საფუძვლად სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ არ არსებობდა კოლეგიის მთელი შემადგენლობის აცილებისთვის სსსკ-ის 31.1 „დ“ მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს მოსამართლეთა მხრიდან საქმის შედეგით დაინტერესების ფაქტს, მათ მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს და ასევე, შუამდგომლობის ავტორები არ უთითებდნენ სარწმუნო ფაქტებზე;

171.11.1. კასატორთა მტკიცებით, სააპელაციო პალატის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძვლები არის მცდარი და არასრული შემდეგი მიზეზების გამო:

1. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის შემდეგ, შუამდგომლობის ავტორს კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სასულიერო პირის მიერ გამჟღავნებული ინფორმაციის თანახმად, რომელსაც, თავის მხრივ, ეს ინფორმაცია გაანდო სააპელაციო სასამართლოში წინა კოლეგიის წევრმა მოსამართლემ, უკვე არსებობს დაწერილი გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდება აპელანტთა საჩივრები (რაც დადასტურდა კიდევაც მოგვიანებით, 2016 წლის 10 ივნისის განჩინებით). აღნიშნული მოსამართლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემადგენლობა იყო ძალიან მძიმე ზეწოლის ქვეშ და ის იყო ზღვარზე, გაეძლო ზეწოლისთვის თუ არა.
2. საქმის განმხილველი კოლეგია შეიცვალა რამდენჯერმე.
3. საქმის განმხილველი არსებული კოლეგია არის ის კოლეგია, რომელმაც ვერ გაუძლო ზეწოლას.
4. შუამდგომლობის ავტორებს არ აქვთ ნდობა პალატის მიმართ.

171.11.2. აღნიშნული გარემოებები აღძრავს დასაბუთებულ ეჭვს, რომ მიმდინარე დავის ფარგლებში ხორციელდება ზეწოლა მოსამართლეებზე, ქ. ხ-ისა და შპს „პ.-ის“ სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოსატანად. არსებულ ვითარებაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი მოპასუხეთათვის სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება. სასამართლო, თავის მხრივ, მოტივირებული უნდა იყოს საქმის ობიექტური გამოკვლევით, გამოხატავდეს ინტერესს, აღმოიფხვრას ყველა შესაძლო ზეწოლისა და ზეწოლის შესახებ ნებისმიერი ეჭვი, არ დაუშვას კონკრეტული მოსამართლეებისა და, ზოგადად, სასამართლოს რეპუტაციის შელახვა. პალატამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი დაასაბუთა იმ მოტივით, რომ სსსკ--ის 31.1.“დ“ ქვეპუნქტის დანაწესის გამოსაყენებლად არ არის სახეზე სარწმუნო ფაქტები, რომლებიც საქმის განმხილველი კოლეგიის მოსამართლეების მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს ქმნის;

171.12. 2016 წლის 30 მაისის სხდომაზე არ დაკმაყოფილდა ნ. გ-ს შუამდგომლობა კოლეგიის თავმჯდომარის აცილების თაობაზე (2016 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 037, 0:10-ზე). მოცემულ სადავო საქმეზე რამდენჯერმე შეიცვალა განმხილველი კოლეგია. კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, მხარის წარმომადგენელი, ნ. გ. ფლობდა ინფორმაციას, რომ კოლეგიის ცვლილებები გამომდინარეობდა მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლიდან. აცილების საფუძველს წარმოადგენდა სსსკ-ის 31-მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი. შუამდგომლობა ემყარებოდა შემდეგ გარემოებებს (იხ. 2016 წლის 30 მაისის სხდომის

ოქმი, აუდიო ფაილი 033, 0:20-ზე):

1. ნ. ნაზლაიძე იმყოფებოდა იმ შეცვლილი კოლეგიის შემადგენლობაში, რომელზედაც ზეწოლა ხორციელდებოდა და მოპასუხეთა ინფორმაციით (იგულისხმება იმ მოსამართლის განცხადება, რომელმაც ეს ინფორმაცია მიაწოდა საკუთარ მოძღვარს), ის ამ ზეწოლას დაჰყვა;
2. ნ. ნაზლაიძე ერთადერთია საქმის განმხილველი კოლეგიის არსებული შემადგენლობიდან, რომელიც წინა შემადგენლობაშიც იმყოფებოდა;
3. ნ. ნაზლაიძე არ დაინტერესდა არც ერთი იმ ადამიანით, რომელმაც ეს ინფორმაცია მიაწოდა ნ. გ-ს (იგულისხმება ის პირები, რომელთა მოწმის სახით დაკითხვის შუამდგომლობაც დააყენა ნ. გ-მ). დაინტერესების შემთხვევაში, პალატას მიეცემოდა საშუალება, მიეღო ინფორმაცია სადავო საქმეზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე;
4. არსებობდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ნატალია ნაზლაიძე განხორციელებულ ზეწოლაზე არაადეკვატურად მოიქცა. სწორედ იმიტომ ახლა ის იყო საქმის განმხილველ არსებულ შემადგენლობაში, გამომდინარე იქიდან, რომ ის დაჰყვა ზეწოლას.

171.12.1. პალატის მხრიდან შუამდგომლობაზე უარით დაირღვა სამართლიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება. სასამართლომ არათუ ვერ გააქარწყლა კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, არამედ - პირიქით, პალატამ უზრუნველყო ზეწოლასთან დაკავშირებული ეჭვების გაღრმავება და ნ. ნაზლაიძის, როგორც მიკერძოებული, არაობიექტური და პოლიტიკური ზეწოლის შედეგად დამოუკიდებლობის არმქონე მოსამართლედ წარმოჩენა. მოპასუხეთა მტკიცებით, შუამდგომლობაზე უარითა და წარმოდგენილი საგანგაშო ფაქტების უგულვებელყოფობით პალატამ ლეგიტიმაცია შესძინა მოპასუხეთა ეჭვებს მიმდინარე საქმეზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ;

171.13. 2016 წლის 30 მაისის სხდომაზე არ დაკმაყოფილდა ნ. გ-ს შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე (2016 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 055, 0:01-ზე), რომელიც ემყარებოდა შემდეგ საფუძვლებს (2016 წლის 30 მაისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 047, 1:20-ზე):

- 1) მოპასუხეთათვის მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოსთვის ცნობილი გახდეს ის გარემოებები, რომელსაც მესამე პირები ფლობენ;
- 2) მესამე პირების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეხება მიმდინარე დავასთან დაკავშირებით კონკრეტულ პირებზე განხორციელებულ ზეწოლას;
- 3) მესამე პირების მიერ გაკეთებული განცხადებები დაეხმარება სასამართლოს, მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება;
- 4) იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა იუსტიციის სამინისტროს ჩარევა სადავო საქმესთან დაკავშირებით, ეს ფაქტი, ასევე, დაადასტურებდა ადრე გამოთქმულ ეჭვებს პირველი ინსტანციის სასამართლოზე იმავე ტიპის დამოკიდებულებას;
- 5) იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო შინაგანად მიკერძოებული არ არის, მოწმეთა ჩვენებები მისცემს საშუალებას, რომ ჩამოუყალიბდეს ხედვა პირველი ინსტანციის სასამართლოში

მიმდინარე პროცესებზე, რადგან თუ იქ ზეწოლით მოხდა გადაწყვეტილების გამოტანა, ეს არის გადაწყვეტილების გაუმჯობესების საფუძველი.

171.13.1. სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა ნ. გ-ს შუამდგომლობა და განმარტა, რომ სასამართლო არ გამოითხოვს და არ მიიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისთვის მნიშვნელობა არ აქვს და სცილდება საჩივრის განხილვის ფარგლებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საკითხით უნდა დაინტერესდნენ საგამომიებო ორგანოები და მხარეებს განუმარტა, რომ ჰქონდათ უფლება, მიემართათ საგამომიებო ორგანოებისათვის. მოპასუხეებს დაუსაბუთებლად მიაჩნიათ პალატის საოქმო განჩინება, რომელიც ზღუდავს მხარის სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესით მინიჭებულ უფლებას; შუამდგომლობაზე უარით პალატამ დაარღვია მხარის სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს უფლება, რაც გულისხმობს მხარისთვის ობიექტური, სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობას. სადავო შუამდგომლობაზე უარით მხარეს წაერთვა უფლება, მოწმეთა ჩვენებებით დაედგინათ კონკრეტული სახის ფაქტები, რომლებიც არსებით გავლენას იქონიებდა საქმეზე;

171.14. 2016 წლის 7 ივნისის სხდომაზე სასამართლომ მოხსნა შუამდგომლობა მოსამართლე ნ. გუჯაბიძის აცილების შესახებ (2016 წლის 7 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 22:35-ზე). მოპასუხეები უთითებენ, რომ შუამდგომლობას საფუძველად დაედო ახლად გამოვლენილი გარემოებები მოსამართლე ნ. გუჯაბიძის მიერ, სავარაუდოდ, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვასთან დაკავშირებით და ასევე მისი ვიზიტის თაობაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში. ვინაიდან აღნიშნული გარემოებები იყო ახლად გამოვლენილი და მისი არსებობა მხარისთვის უცნობი იყო მანამდე, ბუნებრივია, 2016 წლის 7 ივნისამდე აცილების შუამდგომლობას მოცემული საფუძველებით ვერ დააყენებდნენ. შესაბამისად, შუამდგომლობის დაყენებაც ვერ გახდებოდა პროცესის გაჭიანურების საფუძველი;

171.14.1. საქმის განხილვა დასრულდა იმავე დღეს, 2016 წლის 7 ივნისს და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2016 წლის 10 ივნისს. აღნიშნული გარემოებები ნათელს ხდის სასამართლოს ქმედებების საფუძველს, რომელიც არ არის სამართლებრივი, არ გამომდინარეობს კანონიდან, არამედ ემსახურება მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს და ადასტურებს სასამართლოს მიკერძოებულობას. სააპელაციო პალატის მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველი არის მცდარი და არასრული შემდეგი მიზეზების გამო:

1. არსებობს საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია, რომ მოსამართლე ნ. გუჯაბიძე იღებდა კანონით განსაზღვრულ შესაბამის ზღვრულ დანამატს საცხოვრებელი ადგილისთვის ქ. თბილისში, თუმცა,

ის ქირობდა საცხოვრებლ ფართს საკუთარი დედისგან. არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა, ხდებოდა საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა, რაც ეჭვს იწვევს მისი, როგორც მოსამართლის, სანდოობაში და, შესაძლოა, მოსამართლე იყოს პროკურატურის მხრიდან ზეწოლის ობიექტი;

2. არსებობს საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია, რომ მოსამართლე ნ.გუჯაბიძე 2016 წლის 30 მაისს, იმ დღეს, როდესაც ის მონაწილეობდა მიმდინარე სასამართლო დავაში, ღამის 23:30 საათზე იმყოფებოდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რაც ხაზს უსვამს მის სავარაუდოდ უკანონო კომუნიკაციას რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის პირთან და კავშირებს, და მიუთითებს „რ-სა“ და მისი დამფუძნებლების წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკურად მოტივირებულობაზე;
3. მოსამართლე ნ. გუჯაბიძემ 2016 წლის 3 ივნისის სხდომაზე განაცხადა, რომ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია არ იყო და არ არის მისთვის მორალურად ადვილი გადასატანი, რაც გამორიცხავს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას;

171.14.2. კასატორები უთითებენ ბანგალორის პრინციპების 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.7, 4.8, 4.9, 6.7. პუნქტებზე;

171.14.3. კასატორთა მტკიცებით, არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ 2016 წლის 1 ივნისს ნათია გუჯაბიძის დედასთან ჩაწერილი ემოციური ინტერვიუსა და „რ2-ის ეთერით მისი მამხილებელი სიუჟეტის გადაცემის შემდეგ, ის ვერ იქნებოდა ობიექტური და მიუკერძოებელი.

171.15. 2016 წლის 10 ივნისის სხდომაზე განუხილველად დარჩა მოსამართლე შორენა ყაველაშვილის აცილების შუამდგომლობა (2016 წლის 10 ივნისის სხდომის ოქმი, აუდიო ფაილი 000, 1:10-ზე). დასაბუთებული შუამდგომლობა მოსამართლე შორენა ყაველაშვილის აცილების თაობაზე სასამართლოს ჩაჰბარდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, 2016 წლის 9 ივნისს, იმ დღეს, როდესაც საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ მიღებული წერილით ცნობილი გახდა ახალი გარემოების შესახებ შორენა ყაველაშვილის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, სასამართლომ განუხილველად დატოვა აღნიშნული შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ სადავო საქმეზე განხილვა დასრულებული იყო. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ საქმე განიხილა არაკანონიერმა შემადგენლობამ, სახეზეა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება შუამდგომლობის განუხილველად დატოვების შესახებ იმ მოტივით, რომ საქმის განხილვა დასრულდა, არ ცვლის სსსკ-ის 394-ე მუხლის დანაწესის გამოყენების ფარგლებს და ასევე, არ ცვლის სსსკ-ის 31.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აცილების საფუძველს, რაც არსებობდა შემდეგ გარემოებათა გამო: დადგინდა, რომ შორენა ყაველაშვილი, რომელიც არ წარმოადგენს არც სამოქალაქო და არც საერთო

სამართლის სპეციალიზაციით კვალიფიცირებულ მოსამართლეს, მიუხედავად კვალიფიკაციის შეუსაბამობისა, მაინც მონაწილეობდა დავის განხილვაში და უნდა მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღებაში. აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოსამართლე დაინტერესებულია საქმის შედეგით და არსებობს ღრმა საფუძველი, რათა ეჭვი იქნეს შეტანილი მის მიუკერძოებლობაში, ობიექტურობასა და კვალიფიკაციაში;

171.15.1. მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების აუცილებელ საფუძველს. მხოლოდ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს შესწევს უნარი უზრუნველყოს ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულება სახელმწიფოში. საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვა, თავის მხრივ, მოიცავს არა მხოლოდ საქმის ობიექტურ განხილვას, არამედ - აღქმას იმისა, რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად და, ამასთან, საქმე განიხილა კვალიფიციურმა მოსამართლემ, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა შესაბამისი სამართლის დარგში.

171.15.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, კერძოდ, საქმეებზე: *Micallef vs Malta*, *Delcourt v. Belgium*, *Driza vs Albania*, *Wettstein vs Switzerland*, *R. v Sussex Justices ex p. McCarthy*, *Kingsley v. United Kingdom*, *De Cubber v. Belgium*, *Piersack v. Belgium*, *Kyprianou v. Cyprus*, *Hauschildt v. Denmark* დადგენილია ის მაღალი სტანდარტი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელებისას;

171.15.3. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებით დადგენილი და აღიარებულია კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მნიშვნელობა. ადამიანის უფლებათა დაცვაში ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ყველა სხვა უფლების იმპლემენტაცია, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაზე. სასამართლოს კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ასევე, მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა სასამართლომ შეასრულოს თავისი როლი კონსტიტუციონალიზმისა და კანონის უზენაესობის დაცვაში. საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის, მისი მორალური ავტორიტეტისა და შეუვალობის მიმართ აქვს უდიდესი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებმა ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად დაიცვან და პატივი სცენ იმ ნდობას, რომლითაც საზოგადოება ეკიდება

მოსამართლის ოფისს და იზრუნონ სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებასა და შენარჩუნებაზე. სამოსამართლო ქცევის მაღალი სტანდარტების დანერგვა და შენარჩუნება წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, თითოეული ქვეყნის სასამართლოს ვალდებულებას;

171.15.4. ზემოაღნიშნული გარემოებები, კერძოდ, მოსამართლის კვალიფიკაციის შეუსაბამობა მოცემულ დავასთან დაკავშირებით ადასტურებს, რომ მოსამართლე არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მოცემული სამოქალაქო დავა. მისი მხრიდან თვითაცილების განუხორციელებლობა კი ხაზს უსვამს მის პირდაპირ და არაპირდაპირ დაინტერესებას. მოპასუხეთა მოსაზრებით, მოსამართლე შესაძლოა, გადახრილი ყოფილიყო მოსარჩელეთა სასარგებლოდ, რაც უზრუნველყოფს მოწინააღმდეგე მხარისათვის მართლმსაჯულების თავიდან არიდებას და მიკერძოებულობას „რ-ისა“ და მისი დამფუძნებლების საწინააღმდეგოდ. აღნიშნული ასევე დადასტურდა იმ პროცესუალური შედეგით, რაც მიიღო სააპელაციო სასამართლომ ქ.ხ-ისა და შპს „პ-ის“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებით.

171.16. სასამართლოს მხრიდან გამოვლენილი მიკერძოებულობა პროცესის განმავლობაში საბოლოოდ გამოვლინდა შემაჯამებელ პროცესუალურ შედეგში, რომელიც აისახა 2016 წლის 10 ივნისის განჩინებასა (გადაწყვეტილებასა) და ასევე სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 12 დღის ვადაში დასაბუთებული განჩინების საკუთარი ინიციატივით მხარისთვის გაგზავნაში (რაც ეწინააღმდეგება სსსკ-ის 259¹-ე მუხლის პირველ პუნქტს).

171.17. გასაჩივრებული განჩინებები და საოქმო განჩინებები, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად გამოკვეთენ სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველი პალატის არაობიექტურობას, დაინტერესებას საქმისადმი, ქ.ხ-სა და შპს „პ-ის“ სასარგებლოდ მიკერძოებულობას, საქმის დაჩქარებულ რეჟიმში ჩატარების ობსესიურ სურვილსა და განზრახვას.

172. კასატორებმა მოითხოვეს საკასაციო საჩივრების დასაშვებად ცნობა სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე“. მათი მტკიცებით, წინამდებარე სადავო საქმე პირდაპირ ეხება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, ვინაიდან იგი მიმართულია შპს „ს.კ.რ.2-ისა“ და მისი დამფუძნებლების წინააღმდეგ (მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს ბოლო

სხდომაზე შპს „ს.მ.კ.რ-2“ ფორმალურად გამორიცხულ იქნა მხარეთა სიიდან) და აღნიშნული დავის რეალურ მიზეზს წარმოადგენს „რ.2-ის“ მიერ წარმოებული სარედაქციო პოლიტიკა. ასევე, საკასაციო განაცხადის დასაშვებობის წინაპირობად მიუთითეს სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებზე;

173. შპს „პ.ჯ.“ საკასაციო საჩივრით (იხ. ტ.8, ს.ფ. 281-290) ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე დაყრდნობით:

173.1. სააპელაციო სასამართლომ, ისევე, როგორც საქალაქო სასამართლომ, არასწორად განმარტა 2005 წლის 26 დეკემბრის წილის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი საფუძველი, რამდენადაც ვერ აზუსტებს ამ გარიგებით დაცული ფასეულობის არსს (კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები, საჯარო წესრიგი, თუ ზნეობის ნორმები, თუ ყველა ერთად). გასაჩივრებული განჩინებით გაზიარებულია ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ამორალურად მიჩნევასთან დაკავშირებით, მხოლოდ იმის გამო, რომ წილის შეძენის ფასი არ შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას. თუმცა, სასამართლო არ (თუ ვერ) იკვლევს ამ შეუსაბამობის გამომწვევ მიზეზს;

173.2. სააპელაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება საექსპერტო დასკვნას და შპს „ს.კ.რ.2-ის“ წილის ღირებულებას მისი გასხვისების დროს განსაზღვრავს 574 756 ლარით. სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია ნასყიდობის ობიექტის საბაზრო ფასის განსაზღვრის მეთოდზე, რომელიც გათვალისწინებულია საგადასახადო კანონმდებლობით და რომელზეც დასაბუთებულად უთითებდა მოპასუხე;

173.3. სასამართლოს არ უმსჯელია იმაზე, თუ რამდენად შეიძლებოდა ხელშეკრულების ბათილობა სანოტარო აქტის ბათილობის გარეშე, რადგან წილის ნასყიდობა ნოტარიუსმა დაამოწმა, რაც მხარეთა ნების გამოვლენის ავტონომიურობასა და ხელშეკრულების შინაარსის კანონიერებას ადასტურებს;

173.4. სასამართლოს არ გაუთვალისწინებია აპელანტის ვარაუდი, რომ შემსრულებელს სურდა ქონების გადაცემა, რაც გამორიცხავს შესრულების უკან

გამოთხოვას უსაფუძვლო გამდიდრების წესების გამოყენების საფუძველზე;

173.5. სასამართლომ არ გამოიკვლია მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შპს „ს.კ.რ.2-ის“-ის 22 %-იანი წილის ქ.ხ-გან შპს „ჰ.ჯ-ის“ მიერ შეძენის დღესვე, 2005 წლის 26 დეკემბერს, ამ უკანასკნელმა ქ.ხ-ს მიჰყიდა 78%-იანი წილი შპს „ტ.მ-ში“, რითაც მხარეთა შორის გაიქვითა ურთიერთმოთხოვნები. კასატორი უთითებს იმავე არგუმენტზე, რაც მის სააპელაციო საჩივარშია აღნიშნული (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 93.4 ქვეპუნქტი);

173.6. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სარჩელი ხანდაზმულია და კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსით დადგენილ შეცილების ერთწლიან ვადას უკავშირდება;

173.7. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 54-ე მუხლი გარიგებასთან დაკავშირებით; არ გამოიყენა 976.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი; თუ მოსარჩელე შეცდა გარიგების ფასში, მაშინ მას უნდა მოეთხოვა მხოლოდ სახელშეკრულებო ფასსა და რეალურ საბაზრო ფასს შორის სხვაობის დაბრუნება და არა - ხელშეკრულების ბათილობა; არ გამოიყენა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, რომლის მიხედვით, ნოტარიუსის მიერ შესრულებულ მოქმედებას აქვს იურიდიული შედეგი და სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს გააჩნია უდავო მტკიცებულებითი ძალა;

173.8. კასატორი უთითებს, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 128.3 მუხლი, ვინაიდან სადავო ურთიერთობა წილის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და უნდა გამოეყენებულყო 129.1 მუხლი, რომელიც სამწლიან ხანდაზმულობას ადგენს, ხოლო რადგან სადავო ხელშეკრულება საცილო გარიგებაა, შეცილების ერთწლიანი ვადაა განმტკიცებული სსკ-ის 89-ე მუხლით, რომელიც მოსარჩელეს გაშვებული აქვს.

174. კასატორმა ნ.ნ-ქემ მოითხოვა (იხ. ტ.9, ს.ფ.2-9) გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მოსარჩელეების მოთხოვნის უარყოფა, შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

174.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება „რ.2-ის“ წილების ღირებულებასთან დაკავშირებით, რადგან გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დასკვნა, თუმცა, სასამართლოს არ გამოუკვლევიან: რა

მტკიცებულებებს დაეყრდნო თავად ექსპერტი, ასახავდა თუ არა ის მტკიცებულებები შესაფასებელი საწარმოს რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, იყო თუ არა მტკიცებულებები ავთენტური და მოპოვებული იყო თუ არა ისინი სათანადო წესით;

174.2. კასატორის პრეტენზიით, მას, როგორც მეუღლის მემკვიდრეს, ისე ჩამოართვა სასამართლომ წილი, რომ არ უმსჯელია გ.გ-ძის მიერ შეძენილი წილის (06.12.2010 წ.) ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობაზე, თუმცა, გააუქმა ამ გარიგების იურიდიული შედეგი - წილის მესაკუთრის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. კასატორის მამკვიდრებლის წილის შეძენის კანონიერება დამტკიცებული იყო შპს „ს.კ.რ-2-ის“ 13.11.2012წ. პარტნიორთა გადაწყვეტილებითაც. არც ამ კრების ოქმის კანონიერებაზე უმსჯელია სასამართლოს და არ გაუბათილებია იგი;

მოსარჩელეთა შესაგებელი საკასაციო საჩივრებზე

175. მოსარჩელებმა მათ წინააღმდეგ წარდგენილი საკასაციო საჩივრების პასუხად შესაგებელი წარადგინეს, რომელშიც მიუთითეს, რომ არ ეთანხმებოდნენ კასატორთა არგუმენტებს და მოითხოვენ გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვებას.

175.1. მოსარჩელეთა მოსაზრებით, მართებულია სასამართლოს მიერ სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენება და ამ კონტექსტში ისინი უთითებენ მხარეთა ვალდებულებაზე, კეთილსინდისიერად განახორციელონ საკუთარი უფლებები. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, უზენაეს სასამართლოსაც აქვს გადაწყვეტილებები, რომლებითაც განმარტებულია სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენება, როდესაც შესრულებასა და ფასს შორის არსებითი დისპროპორცია მიჩნეულია ამ მუხლით გათვალისწინებული ბათილობის წინაპირობად (*იხ. სუსგ # ას-688-654-2015წ, 21.07.2015წ.; #ას-663-629-2015, 29.07.2015წ.*);

175.2. სწორედ კეთილსინდისიერების ფარგლებში არის შესაძლებელი მხარეთა ნების ავტონომიის გამოხატვა. სსკ-ის 319-ე მუხლი სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს ადგენს, რაც მხარეთათვის სასურველ გარიგებას, მათი უფლებების დაცვასა და სასურველი შედეგის მიღებას უკავშირდება;

175.3. სსკ-ის 54-ე მუხლით განმარტებულია ამორალური გარიგება, როგორც ზნეობის საწინააღმდეგო შეთანხმება. ზნეობის ნორმებში კი ყოველთვის

იგულისხმება წესიერება, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება. სამართლიანობა გულისხმობს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების თანაბრობის პრინციპს. მხარეთა ვალდებულებების თანაბარი, სამართლიანი გადანაწილება გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა, მისი უგულებელყოფა კი გარიგებათა ბათილობის საფუძველია;

175.4. მრავალი ქვეყანა ბათილად მიიჩნევს გარიგებებს, თუ არსებობს მხარეთა ვალდებულებების დისპროპორცია და იგი დადებულია მეორე მხარის გონივრული განსჯის უუნარობით, ნების მნიშვნელოვანი სისუსტით, მძიმე მდგომარეობით და ა.შ. შეუძლებელია გარიგების ამორალური ბუნების გამორიცხვა იმის გამო, რომ არ დგინდება ერთ მხარეზე მეორის მიერ განხორციელებული იძულების ფაქტი.

175.5. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 25.12.2006წ. ხელშეკრულების რეალური ფასი 4.35-ჯერ (435%) აღემატება ხელშეკრულებით მითითებული 22 %-იანი წილის ფასს, ხოლო 17.11.2006წ. ხელშეკრულებაში მითითებული წილის ნასყიდობის ფასი 15-ჯერ (1500%) აღემატება ხელშეკრულებაში მითითებული 38 %-იანი წილის ფასს, იმავე თარიღით გაფორმებული 40%-იანი წილის ნასყიდობის ფასი 16-ჯერ (1600%) აღემატება წილის ფასს. გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თვალშისაცემი შეუსაბამობის დასადგენად აუცილებელია შეუსაბამობა მომსახურებასა და ფასს შორის, რომელიც შეიძლება უფრო ნაკლები დოზითაც იყოს დარღვეული, ვიდრე უხეში არაპროპორციულობის დროს, ანუ შეუსაბამობა იყოს 100%-ზე ნაკლები, ხოლო თუ 100%-იანი ბარიერი არ არის მიღწეული, ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სხვა დამატებითი გარემოებები, რაც შეიძლება იყოს გამსხვივებლის მძიმე მდგომარეობა. ამ შემთხვევაში კი არ არის სავალდებულო დამატებითი გარემოების არსებობა, რადგან 100 %-იანი ბარიერი გადალახულია;

175.6. გერმანიის სასამართლო პრაქტიკით სუბიექტურმა ფაქტორებმა შეიძლება არასაექვო გარიგება საექვოდ გახადოს და, პირიქით, მისი არარსებობა ვერ გახდის საექვო გარიგებას არასაექვოდ. იგივე პრაქტიკა სუბიექტური ნიშნის მიმართ აყენებს სუსტ მოთხოვნებს და განმარტავს, რომ რაც უფრო მაღალია და არაპროპორციული ობიექტური მხარე, მით უფრო დაბალია მოთხოვნები სუბიექტური ნიშნის მიმართ (*BGH NJW 1984, 2292; Muko, BGB PAR 138, RN.114-116, 2014*);

175.7. მოსარჩელე ამ გადაწყვეტილების 1-3 პუნქტებში დასახელებულ გარიგებებში მონაწილე კონტრაქტებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებების

შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ გამყიდველისათვისეს გარიგებები კაბალური იყო. მყიდველებს უნდა გადაეხადათ დაახლოებით 265 000 აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ გასხვისებული წილის ღირებულება დაახლოებით 7 000 000 ლარია. მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული წილები სამაუწყებლო კომპანიაში გაცილებით მეტი ღირებულების იყო, ვიდრე ეს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებებშია მითითებული. მოსარჩელის პოზიციის საწინააღმდეგოდ, წილთა ღირებულებაზე მოპასუხეებს არ წარუდგენიათ საექსპერტო დასკვნით დადგენილი გამაბათილებელი მტკიცებულება საქმეში მოთავსებული ექსპერტიზის დასკვნის საპირწონედ;

175.8. მოსარჩელე იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობას, რომ ამორალური გარიგების დროს დავის ობიექტური ფაქტორები გადასწონის სუბიექტურს. ამ შემთხვევაში დაუცველი აღმოჩნდა მოსარჩელე, რომლის არამატერიალური აქტივი, შეფასებული მილიონობით დოლარად, მოპასუხეთა საკუთრებაში გადავიდა სრულიად შეუსაბამო ფასად. მოპასუხეებმა ვერ გაამართლეს ფასთა ამგვარი თვალშისაცემი დისპროპორცია, საქმის მასალებით არ დასტურდება ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადახდაც კი. დასაბუთებულია სასამართლოს მიერ 54-ე და 61-ე მუხლების გამოყენება;

175.9. მოსარჩელე აპელირებს, ასევე, კეთილსინდისიერების პრინციპზე და ამ კონტექსტში ყურადღებას ამახვილებს, რომ ერთი და იგივე პირები სხვადასხვა დროს ფლობდნენ სამაუწყებლო კომპანიის წილებს. ყველა მფლობელი ერთმანეთთან დაკავშირებული პირი იყო (ე.წ. შვილობილი კომპანიები, ძმები, მეგობრები და ა.შ.) და არც ერთ შემთხვევაში არ მომხდარა ხელშეკრულებაში მითითებული თანხების გადახდა. განსახილველ შემთხვევაში ამ გადაწყვეტილების 119-ე პუნქტში დასახელებული მოპასუხეები არიან მეწარმე პირები, რომლებისთვისაც გარიგების გაფორმება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების აუცილებლობა, მათ შორის - უფლებრივი ნაკლის გამორიცხვა, უცხო არ უნდა ყოფილიყო. მეწარმე პირებს უფრო მაღალი წინდახედულების სტანდარტი მოეთხოვებათ გარიგებების დადებისას, მიუხედავად რეესტრის ჩანაწერის სისწორისა, რაც მათ არ გამოუყენებიათ, ვინაიდან ყველა გარიგება მოსაჩვენებლად იყო დადებული და მათ რეალური შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა;

175.10. სსკ-ის 312-ე მუხლით დადგენილი რეესტრის ჩანაწერის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია ქარწყლდება, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. საქმის

მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ მისი კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად პროკურატურას მიმართა საჩივრით 2008 წლის 1 დეკემბერს და ერთ-ერთი მოთხოვნა იყო სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად, ასევე სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობა;

175.11. სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ კანონით გათვალისწინებულ ზომებს მიმართა სადავო ქონების დასაბრუნებლად, რაც, ასევე, აქარწყლებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობის პრეზუმფციას.

176. საქმის მასალებშია 2016 წლის 2 სექტემბერს შპს „ს-ს“ წარმომადგენელთა მიერ შემოტანილი განცხადება/შუამდგომლობა სამართლის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის, ბატონი თ.თ-ს (სასამართლო მეგობრის - amicus curiae) სამართლებრივი მოსაზრების საქმეზე დართვის შესახებ.

177. საქმის მასალებშია 2016 წლის 5 სექტემბერს შპს „ტ.ს.“ წარმომადგენელთა მიერ შემოტანილი შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულების დართვის შესახებ.

178. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

179. საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის მოტივირებული განჩინებით, სსსკ-ის 391¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

180. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ „დიდ პალატაში საქმის განმხილველი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“, 2014 წლის 28 მარტის №2-პლ დამტკიცებული დადგენილების მიხედვით, საქმის განსახილველად ჩამოყალიბდა დიდი პალატის შემდეგი შემადგენლობა: (გვენეტაძე ნინო (თავმჯდომარე), მზია თოდუა, მიხეილ ჩინჩალაძე, ეკატერინე გასიტაშვილი (მომხსენებელი), პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავიძე, მაია ვაჩაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი შავლიაშვილი).

180.1. 2016 წლის 1 დეკემბერს დიდ პალატაზე საქმის გადაცემის შესახებ

განჩინების ასლები გადაეცათ „უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განმხილველი შემადგენლობის განსაზღვრის წესის შესახებ“ დებულებით განსაზღვრულ დიდი პალატის შემადგენლობაში მყოფ 9 მოსამართლეს.

განმარტება: („უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განმხილველი შემადგენლობის განსაზღვრის წესის შესახებ“ დებულების თანახმად, დიდ პალატაში რიგითობის წესის გარეშე შედიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პალატების თავმჯდომარეები და საქმის თავდაპირველად განხილველი მოსამართლეები. აღნიშნული დებულების თანახმად, დიდ პალატაში საქმის განხილვისას მოსამართლეთა მონაწილეობა განისაზღვრება რიგითობის წესით და თანაბრად იმ პალატებიდან, რომლებიც არ შედიან საქმის თავდაპირველად განმხილველი პალატის შემადგენლობაში.)

180.2. 2016 წლის 28 ნოემბერს კასატორების - ლ. და გ. ყ-ების, შპს „ტ.ს-ს“ წარმომადგენლებმა შეიტანეს შუამდგომლობა ოთხი მოსამართლის (*ნინო გვენეტაძე, მზია თოდუა, მიხეილ ჩინჩალაძე და პაატა სილაგაძე*) აცილების თაობაზე. მათვე, 2016 წლის 7 დეკემბერს, წარმოადგინეს დაზუსტებული შუამდგომლობა ამავე მოსამართლეების აცილების თაობაზე.

180.3. 2017 წლის 23 თებერვალს „შპს „პ.“-ს და ქ.ხ-ის წარმომადგენლმა შემოიტანა შუამდგომლობა სამი მოსამართლის (*ეკატერინე გასიტაშვილი, პაატა ქათამაძე და ბესარიონ ალავიძე*) აცილების თაობაზე.

განმარტება: (ვინაიდან, 2017 წლის 24 თებერვლიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარე მიხეილ ჩინჩალაძე გავიდა კუთვნილ შვებულებაში, მისი მოვალეობის შესრულება დაეკისრა ამავე პალატის მოსამართლეს ვასილ როინიშვილს, რომელიც ჩაენაცვლა მიხეილ ჩინჩალაძეს დიდი პალატის შემადგენლობაში. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე).

180.4. 2017 წლის 27 თებერვალს სასამართლოს მიერ მხარეებს ეცნობათ საქმის განხილვის თარიღი - 2017 წლის 2 მარტი და დიდი პალატის შემადგენლობა (*შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილების მითითებით*).

განმარტება: მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობები საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და აცილების თაობაზე განხილულ იქნა 2017 წლის 2 მარტს დიდი პალატის სხდომაზე. შესაბამისი განჩინებების სარეზოლუციო ნაწილები ეცნობათ მხარეებს და გამოქვეყნდა საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილთან

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და ლ. და გ. ყ-ების, შპს „ტ. ს-ს“, შპს „კ.ჯ-ს“, ნ. ნ-ის საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების საფუძველზე, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.ხ-ისა და შპს „პ-ს“ სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

181. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსსკ-ის) 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ ... გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული“, (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, „საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები“, (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

182. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსსკ-ის) 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „საკასაციო სასამართლო იმჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები“, ხოლო ამავე კოდექსის მეორე ნაწილის მიხედვით, „სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორებმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალურ-სამართლებრივი

ნორმის გამოყენებისა და განმარტების კუთხით ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინეს.

183. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია შპს „ს.კ.რ.2“-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ტელეკომპანია) სადავო წილებზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების აღდგენის კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ ნაწილში სრულად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნები გადაწყვეტილების დაკმაყოფილებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენის თაობაზე და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

184. საკასაციო საჩივრებში მითითებული პრეტენზიებიდან დიდი პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია, აქედან გამომდინარე, საჭიროა მათი განხილვის შედეგების არგუმენტირებული დასაბუთება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად¹. საკასაციო საჩივრების პრეტენზიები ძირითადად შეეხება ქვემდგომი სასამართლოების მიერ, როგორც მატერიალურსამართლებრივი ნორმების არასწორად გამოყენება-განმარტებას, ისე საქმის განხილვისას დაშვებულ იმ პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც, მოპასუხეთა მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია (იხ. საკასაციო საჩივრების ვრცელი არგუმენტები ამ გადაწყვეტილების 121-174 პუნქტებში).

185. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორ გამოყენებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებული პრეტენზიები:

185.1. კასატორები ამტკიცებენ, რომ სადავო გარიგებების დადების დროისათვის წილების საბაზრო ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასს სრულად შეესაბამებოდა. მათი მოსაზრებით, ფასის შეუსაბამობის დადგენილად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გარიგებები ბათილად ეცნო მხოლოდ ამორალურობის საფუძველით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, (სსკ-ის) 54-ე

¹ იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, # 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81. [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81.

მუხლი), თუ დამატებით არ გამოიყენებდა სსკ-ის იმ ნორმას/ნორმებს, რომლებსაც ეწინააღმდეგებოდა ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;

185.2. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისამდე მოქმედი რედაქცია და გარიგების შეუსაბამო ფასთან ერთად არ დაადგინა მითითებული ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები. კერძოდ, იყო თუ არა გარიგება დადებული მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება, ან ისარგებლა კონტრაქტის მძიმე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით. სასამართლოს მიერ აღნიშნული გარემოებების დაუდგენლობა სარჩელის უარყოფას უნდა დასდებოდა საფუძვლად (იხ. ამ გადაწყვეტილების 99.13-99.15 ქვეპუნქტები, 136-143 პუნქტები);

185.3. კასატორები სასამართლოს იმ დასკვნასაც აკრიტიკებენ, რომლითაც ტელეკომპანიის წილებზე მოსარჩელისათვის საკუთრების უფლების დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების ანუ კონდიქციური სამართლის (სსკ-ის 976-991-ე მუხლები) გამოყენებით დასაბუთდა. გასაჩივრებული განჩინება მოთხოვნის დაკმაყოფილების კონკრეტულ საფუძველზე კი არ უთითებს, არამედ ერთდროულად, სათანადო დასაბუთების გარეშე, კონდიქციური ურთიერთობის მომწესრიგებელ ყველა ნორმაზე აპელირებს მაშინ, როდესაც ეს ნორმები აწესრიგებენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ურთიერთობებს შესაბამისი სამართლებრივი შედეგებით (შესრულების, ხელყოფის, დანახარჯების კონდიქცია და ა.შ.) და აქედან გამომდინარე, ისინი არათავსებადნიც არიან (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 99.15-ე ქვეპუნქტი, 144-155-ე პუნქტები);

185.4. კასატორებს მიაჩნიათ, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სსკ-ის 312-ე და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3-ე მუხლები, რასაც შედეგად დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა. შესაბამისად, მცდარია სასამართლოს დასკვნა შპს „ტ. ს-ს“, ლ. და გ. ყ-ების სადავო წილების არაკეთილსინდისიერ შემძენებად მიჩნევის თაობაზე (იხ. კასატორთა პრეტენზიები ამ გადაწყვეტილების 156-170-ე პუნქტებში);

185.5. კასატორები არა მარტო მოთხოვნის საფუძვლიანობას, არამედ მის განხორციელებადობასაც (ხანდაზმულობას) ხდიან სადავოდ. ისინი თვლიან, რომ სარჩელის წარდგენის დროისათვის (2015 წლის 4 აგვისტო) მოთხოვნა ხანდაზმული იყო (სსკ-ის 128-ე და შემდეგი ნორმები) და მათ უფლება აქვთ, უარი თქვან წილებზე საკუთრების უფლების მოსარჩელეებისათვის დაბრუნებაზე (სსკ-ის 142.1-ე მუხლი). შპს „ჰ.ჯ.“ იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 128.3-ე მუხლის დანაწესი, ვინაიდან წილის ნასყიდობიდან გამომდინარე

მოთხოვნებისათვის სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადას ადგენს. კასატორი იმავდროულად სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი შეცილების ერთწლიან ვადაზეც მიუთითებს და მიაჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნებზე სწორედ ეს ვადა უნდა გავრცელდეს, რომელიც მათ ასევე გაშვებული აქვთ. თავის ამ პოზიციას კასატორი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითაც ამყარებს: „ხანდაზმულობაზე პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ვინაიდან მისი განსაზღვრა ფაქტების სამართლებრივი შეფასების შედეგია. ამასთან, არასწორია არსებულ მოთხოვნაზე 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გავრცელება, ვინაიდან დავის საგანია საცილოდ ბათილი გარიგება, რაზედაც პრეტენზია წარდგენილ უნდა ყოფილიყო კანონით განსაზღვრულ შეცილების ვადებში (79-ე, 84-ე და 89-ე მუხლები)“- იხ. სუსგ # ას-880-838-2013, 09.06.2014წ;

186. კასატორების პრეტენზიები, რომლებიც სასამართლოს მიერ საპროცესო-სამართლებრივი ნორმების არასწორ გამოყენება-განმარტებასა და ამ ნორმების არსებით დარღვევას უკავშირდება:

186.1. სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, („თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“), მოპასუხეების მიერ წილების შეძენის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული გარემოებების მტკიცების ტვირთი, თავად მოპასუხეებს დააკისრა (იხ. კასატორთა პრეტენზიები ამ გადაწყვეტილების 160-ე პუნქტში);

186.2. სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულება - ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 9 სექტემბრის #... დასკვნა, შესაბამისად, კანონის დარღვევით დაადგინა საწარმოს წილების ღირებულება, რაც თავისთავად გამორიცხავდა გარიგებების ბათილობის თეორიულ შესაძლებლობაზე მსჯელობასაც კი. მან დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის, („სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში“), მოთხოვნები და, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის უგულებელყოფით, სრულყოფილად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლია მითითებული ექსპერტიზის დასკვნა, რასაც წილების რეალურ საბაზრო ღირებულების დადგენასთან მიმართებით მცდარი შეფასებები მოჰყვა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 131-134-ე პუნქტები);

186.3. კასატორების: ლ. და გ. ყ-ებისა და შპს „ტ.ს-ს“ პროტენზიები, ასევე ეხება საპროცესო ხასიათის ისეთ არსებით დარღვევებს, რომლებიც, მათი მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), კერძოდ:

186.3.1. ორივე ინსტანციის სასამართლოში საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;

186.3.2. კასატორების მოსაზრებით, მოსამართლეთა მიერ მათ მიმართ დაირღვა მიუკერძოებლობის, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, რასაც შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა;

186.3.3. ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან, საქმის განხილვისას, ადგილი ჰქონდა მოპასუხე მხარის საპროცესო უფლებების უსაფუძვლო შეზღუდვასა და სასამართლო სიტყვის თავისუფლების უგულვებელყოფას, (იხ. კასატორთა პროტენზიები ამ გადაწყვეტილების 171-ე პუნქტში);

186.3.4. წინამდებარე გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში მითითებული განჩინებები, რომლებიც ცალკეულ საპროცესო მოქმედებებს უკავშირდება, კანონდარღვევითაა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის დასკვნები:

187. დიდი პალატა, კასატორთა ზემოაღნიშნული პროტენზიების დასაბუთებულობის შემოწმებისას, პირველ რიგში, მოსარჩელების მოთხოვნების მატერიალურსამართლებრივ საფუძველებს განსაზღვრავს. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში

მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (*იხ. სუსგ # ას 15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; შდრ. სუსგ საქმე #ას-973-1208-04*).

188. დიდი პალატა იზიარებს კასატორების პრეტენზიას სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად კონდიქციური (უსაფუძვლო გამდიდრება) სამართლის ნორმების გამოყენების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, მაგრამ არ იზიარებს მათ მოსაზრებას, რომ წილებზე საკუთრების აღდგენის (დაბრუნების) მოთხოვნას საერთოდ არ გააჩნია საფუძველი.

189. დიდი პალატა განმარტავს, რომ ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს (ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა/დაბრუნება), ამ უკანასკნელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (*იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 23.2-23.18 ქვეპუნქტები*), სსკ-ის 992-ე („პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“), 998-ე (“თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით“) და 408.1-ე (“იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულელებელი გარემოება“) მუხლების შემადგენლობიდან გამომდინარეობს.

190. დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი სსკ-ის 992-ე მუხლია, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი შედეგი (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება) ქმედების აბსტრაქტული შემადგენლობიდან (სხვა პირის მიმართ განხორციელებული ქმედება) გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში ზიანი სახეზეა და ის გამოწვეულია მოსარჩელეთა საკუთრების ხელყოფით, რაც სააპელაციო სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩნია სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი

ოთხივე წინაპირობის არსებობის კონტექსტში (მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალეულობა, ზიანი და მიზეზ-შედეგობრიობა). დიდი პალატა აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებებს არ მისცეს სწორი იურიდიული კვალიფიკაცია. მოსარჩელემ, როგორც სარჩელში, ისე სასამართლო განხილვის დროს დაწვრილებით აღწერა მასზე განხორციელებული იძულება და ნების გამოვლენაში აშკარა და უხეში ჩარევის შედეგად მოსარჩელეთა „უპირობოდ დაცული ფასეულობის“², საკუთრების ხელყოფის გარემოებები. საკუთრება დაცული სიკეთეა (*„ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი), შესაბამისად, დაუშვებელია მისი ჩამორთმევა, ასევე სხვაგვარი ხელყოფა, თუ არ არსებობს გამამართლებელი გარემოებები (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე ნაწილი, სსკ-ის 116-118-ე მუხლები). ამ უფლების ხელმყოფი ნებისმიერი მოქმედება თავისთავად მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა, თუ გამონაკლისის სახით არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება და ამ გარემოების მტკიცების ტვირთი ზიანის მიმყენებელს აწევს.

191. დიდი პალატა განმარტავს, რომ, ზოგადად, საწარმოში წილის ფლობა, განსახილველ შემთხვევაში კი ტელეკომპანიის წილზე მოსარჩელების საკუთრება, წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (სსკ-ის 147-ე და 152-ე მუხლები).

² იხ. „უნდა ითქვას, რომ მეწარმეობის თავისუფლება არ არსებობს თავისუფალი და გარანტირებული საკუთრების უფლების გარეშე. იმდენად მჭიდროა მათი კავშირითიერთობა, რომ ერთი სამართლებრივი სიკეთის ყოფიერებას განსაზღვრავს მეორე სიკეთე, საკუთრების თავისუფლებაში ასოცირდება მეწარმეობის თავისუფლება. ეტყობა, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ შეიცავს ცალკე ნორმას მეწარმეობის თავისუფლების შესახებ და მას იქ მოიაზრებენ, სადაც საკუთრების უფლების გარანტიებზეა საუბარი. მართლაც, მეწარმეობა საკუთრების თავისუფლების გამოვლენის, მისი შინაარსის დემონსტრირების საუკეთესო ფორმაა... საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სუბიექტია კერძო პირთა საკუთრება, როგორი ფუნქციური დატვირთვაც არ უნდა ჰქონდეს მას, სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად იქნება გამოყენებული თუ არასამეწარმეო მიზნებისათვის. საკუთრება უპირობოდ დაცული ფასეულობაა, იმის მიუხედავად, თუ რა ღირებულების მფლობელობაა სახეზე და რა სოციალური ტვირთის მატარებელია იგი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის # 1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გოგიტა“, გივი აბლაკის, ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერგია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II. პ.23).

ევროკონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, ასევე, მოიცავს საწარმოს წილებზე საკუთრების უფლებას. კერძოდ, აღნიშნული საკითხი განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიერ 1982 წელს საქმეში: **Bramelid and Malmström v. Sweden** (განაცხადის N. 8588/79, 8589/79; 1982). ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ თავდაპირველად განიხილა ის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა „აქციები“ მფლობელობას - კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. მათ ასევე განსაზღვრეს ის რთული და კომპლექსური საკითხი, რომელიც „წილს“ უკავშირდებოდა. კერძოდ, სერტიფიკატი, რომელიც მისი მფლობელის საწარმოს წილზე საკუთრების უფლებას განამტკიცებს და ასევე, მასთან დაკავშირებულ უფლებებს (განსაკუთრებით, ხმის მიცემის უფლებას). ამასთან, სერტიფიკატი მოიცავს საწარმოს წილებზე არაპირდაპირი მოთხოვნის უფლებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ წილებს საწარმოში გარკვეული ეკონომიკური და ქონებრივი ღირებულება გააჩნდა. შესაბამისად, ევროკომისიამ დაასკვნა, რომ წილები წარმოადგენს „მფლობელობას“ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. ზემოხსენებული საქმე - **Bramelid and Malmström v. Sweden** - მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გამო, რომ იგი აღიარებს წილის საკუთრების უფლების კონვენციით გარანტირებული საკუთრების უფლების ფარგლებში მოქცევას, არამედ იმიტომაც, რომ ნათლად აჩვენებს აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს შორის.³

192. დიდი პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მტკიცების ტვირთი არასწორად გამიჯნა და გაანაწილა. მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების შემთხვევაში მას შესაძლებლობა ექნებოდა, განხორციელებულად ჩაეთვალა სსკ-ის 992-ე, 998-ე მუხლებისა და 408-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წანამდღვრები და გასაჩივრებულ ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობასთან მიმართებით შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებიც გამოეტანა. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების მითითებასა და მტკიცების ტვირთს შორის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთკავშირია, უფრო მეტიც, როგორც წესი, ისინი ერთმანეთსაც ფარავენ, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა აუცილებელია, რადგანაც უმეტესწილად სწორედ ასეთი გამიჯვნა პასუხობს იმას, თუ ვის აწევს, ან ვისზე გადადის მტკიცების ტვირთი. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს მიდგომა შემდეგია: „*სამოქალაქო საპროცესო*

³ [http://www.echr.coe.int/LibraryDocs/DG2/HRHAND/DG2-EN-HRHAND-04\(2003\).pdf](http://www.echr.coe.int/LibraryDocs/DG2/HRHAND/DG2-EN-HRHAND-04(2003).pdf)

სამართალში მტკიცების საგანს შეადგენენ ის გარემოებები, რომლებსაც პროცესუალურ სამართალურთიერთობებში წარმოადგენენ სამართლებრივი ფაქტები. მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მტკიცების საგნის განსაზღვრას ახასიათებს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რადგანაც სასამართლოში ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრული ფაქტების დადგენასთან. სწორედ ამიტომ მტკიცების საგანს პროცესუალურ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა. ასეთივე პრინციპული მნიშვნელობის მქონეა პროცესუალური საკითხი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ...საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესები. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესები ჩამოყალიბებულია მატერიალურსამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევებში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ეს ის საგამონაკლისო შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს“ (იხ. სუსგ - # ას1020-963-2015, 25.11.2015წ.; შდრ.ასევე სუსგ-ები # ას-522-495-2014, 05.06.2015წ. და #ას-1024-982-2014, 28.09.2015წ.).

193. დიდი პალატის შეფასებით, პირის იძულება, ნების საწინააღმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხასიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას.

194. მოსარჩელე ქ.ბ-ის განმარტებით, 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის გარიგებების დადების დროს იძულება (მუქარა) მომდინარეობდა მესამე პირებისაგან (სახელმწიფოს ყოფილი მაღალჩინოსნები) და იძულების ადრესატი, როგორც თვითონ, ისე მისი ოჯახის წევრებიც იყვნენ, რამაც მას აფიქრებინა, რომ საფრთხე რეალური და მომავალში განხორციელებადი შეიძლება ყოფილიყო, რასაც შედეგად, როგორც მისი პიროვნების, ისე ოჯახის, ასევე სხვა ქონებისათვის ზიანის მიყენება მოჰყვებოდა (იხ. გადაწყვეტილების 23.2-23.18 ქვეპუნქტები).

195. მოსარჩელე ქ.ბ-ის მტკიცებით, რასაც საკასაციო სასამართლოც იზიარებს, მის მიმართ განხორციელებული იძულება საყოველთაოდ ცნობილია. აღნიშნული საჯაროდ არაერთხელ გაცხადდა, მათ შორის, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის ანგარიშშიც აისახა. 2009 წლის 21 აპრილს მოსარჩელეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისგან პოლიტიკური თავშესაფარი მიენიჭა, ხოლო 2012 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ის პოლიტიკური ნიშნით დევნილად ცნო.

196. მოსარჩელები ასევე მიუთითებენ მოპასუხეთა თანამონაწილეობაზე იძულებაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ სადავო გარიგებები ფორმალურად იდებოდა, რასაც მოპასუხეები თავიანთი მოქმედებებით უწყობდნენ ხელს, რათა მოსარჩელებს გაძნელებოდათ ხელყოფილი საკუთრების დაბრუნება, შესაბამისად, მათ (მოპასუხეებს) კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსი ჰქონოდათ და წილები ნატურით არ დაებრუნებინათ.

197. დიდი პალატა თვლის, რომ მოპასუხეებმა პასუხი უნდა აგონ მოსარჩელების წინაშე, რადგანაც დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი ოთხივე ელემენტი სახეზეა. კერძოდ: ა) მოსარჩელის წინააღმდეგ მესამე პირების მიერ განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედება - უპირობოდ დაცული ფასეულობის, საკუთრების უფლების ხელყოფა; ბ) ბრალეულობა - მოპასუხეებმა შეგნებულად, სადავო გარიგებების გაცნობიერებულად დადებით, ხელი შეუწყვეს მოსარჩელეთა საკუთრების უფლების ხელყოფას; გ) ზიანი - მესაკუთრემ ქონებრივი დანაკლისი განიცადა, დაკარგა წილით სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის უფლება; დ) მიზეზ-შედეგობრიობა - მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია მოპასუხეთა ქმედების შედეგად (კაუზალური ზიანი). აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარადაა გამოკვეთილი სსკ-ის 998-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაც, რადგან ზიანის მიყენება შესაძლებელი გახდა სადავო გარიგებების დადებაში ყველა პირის, მათ შორის, მოპასუხეების მონაწილეობით.

198. დიდი პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა), ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება) შესაძლებელია.

199. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, დიდმა პალატამ ისიც შეამოწმა, თუ რამდენად აქარწყლებდა სარჩელში მითითებულ გარემოებებს და აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ დასკვნას (*იხ. ამ გადაწყვეტილების 195-ე და 196-ე პუნქტები*) მოპასუხეთა შესაგებლები.

200. დიდი პალატა განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში.

მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რა კონკრეტულ გარემოებებს დაემყარება მათი შესაგებელი.

201. 2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (*საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი N5669-სსმ*), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება.

202. დიდი პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: ერთ-ერთ მოპასუხეს, შპს „გ.ტ.-ს“ (ტელეკომპანიის 78 %-ის ფიქტიურ შემძენს) არ წარუდგენია შესაგებელი, რასაც თავისთავად უკავშირდება სსსკ-ის 201-ე მუხლით გათვალისწინებული პროცესუალურსამართლებრივი შედეგი - სარჩელში მითითებული ყველა ფაქტობრივი გარემოება უდავოდ და, შესაბამისად, დამტკიცებულად ითვლება მასთან მიმართებით. რაც შეეხება შპს „პ.ჯ.-ს“ (შპს „ს-ის“ უფლებამონაცვლეს, ტელეკომპანიის 22% წილის ფიქტიურ შემძენს), ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი (პასუხი) არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს (*სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილები*: „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება,

შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები“). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს.

203. მოპასუხე - შპს „ჰ. ჯ.“ არ შედავებია მოსარჩელების მიერ მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებას, მაგალითად, იმას, რომ სადავო გარიგების დადებისას შპს „ს-ის“ დამფუძნებელი და 100 %-ის წილის მფლობელი რ. ბ. ერთ-ერთი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირის - დ.ბ-ის (პარლამენტის წევრის) მამა იყო. ამავე პირების საკუთრებასა და ფაქტობრივ მფლობელობაში იყო არაერთ მორიგ გარიგებაში მონაწილე შპს „ჰ.ი.ჯ.“, რომელიც, თავის მხრივ, „ჩ. ი-ის“ დაფუძნებული იყო და ა.შ. მოპასუხეს არ უარყვია ის ფაქტიც, რომ დ.ბ., სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, ესწრებოდა იმ შეხვედრებს, სადაც მოსარჩელისაგან, ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, მოითხოვდნენ საწარმოს წილების დათმობას, ემუქრებოდნენ პირადად მას და მისი ოჯახის წევრებს, ასევე, ეუბნებოდნენ, რომ რომ საფრთხე შეექმნებოდა მოსარჩელის სხვა ბიზნესსაქმიანობასაც. შპს „ჰ.ჯ-ს“ არც მოსარჩელის მიერ მითითებული, საჯაროდ ცნობილი ფაქტები გაუხდია სადავოდ, მაშინ, როდესაც სწორედ ამ ფაქტებით დასტურდებოდა მისი ქონებრივი უფლებების ხელყოფა. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში გამოქვეყნებულია და საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება, მოპასუხეთა მითითება მარტოდენ იმაზე, რომ ანგარიში ტექსტური ფორმით არ წარუდგენია მოსარჩელეს სასამართლოსათვის, არ ადასტურებს, რომ მოსარჩელემ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს, ან თუნდაც მცდარი კონტექსტით წარადგინა გამოქვეყნებულ ანგარიშში მითითებული ინფორმაცია.

204. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში⁴ მითითებულია: ... 2008 წლის დეკემბერში „რ. 2“-ის მორიგმა მფლობელმა ქ.ხ-მა საჩივარი წარადგინა პროკურატურასა და პარლამენტში, სადაც აცხადებდა, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნების ზეწოლით, 2006 წელს მას იძულებით დაათმობინეს საკუთრება ტელევიზიის წილზე. წლის ბოლოსათვის არც ერთ წერილს არ მოჰყოლია რეაგირება. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ეყრდნობა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 20 ნოემბრის ანგარიშს მედიის შესახებ და უთითებს, რომ საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის (GNCC) ჩანაწერების მიხედვით, „დ.ლ.“ /D. L./, რეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, რომელიც „რ. 2“-ის 70 %-იან წილს ფლობდა. კომპანიის შესახებ სხვა რაიმე ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი. წილის დანარჩენ 30 %-ს ფლობდა „ს.ი.ჯ-ი“ (GIG). ანგარიშის მიხედვით, ი. ჯგუფი დაფუძნებული იყო ბიზნესმენისა და მმართველი პარტიის წევრის - დ.ბ-ის მიერ, რომელიც არის საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის - გ.ბ-ის ძმა. 2008 წლის ნოემბრიდან მაისის დასაწყისამდე ი.ჩ., „რ. 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი, ფლობდა სამაუწყებლო კომპანიის 30 %-ს, ოფშორული კომპანია „გ.გ.“, რეგისტრირებული მარშალის კუნძულებზე, ფლობდა 40%-იან წილს და „ს.ი.ჯ.“ დარჩენილ 30 %-იან წილს.

205. შპს „ჰ.ჯ-ას“ ასევე სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის მიერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისგან პოლიტიკური თავშესაფრის მიღება და არც იმას შესთავაზებია, თუ რამ განაპირობა მოსარჩელის პოლიტიკურ დევნილად ცნობა საქართველოს პარლამენტის აქტის საფუძველზე. შპს „ჰ.ჯ-ს“ კვალიფიციური შედავება არ წარუდგენია მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, ანუ მას მოსარჩელის მოხსენების (განმარტების) გასაბათილებლად არ შეუთავაზებია სასამართლოსათვის მოვლენების განვითარების მისეული განსხვავებული ვერსია, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოდ გახდიდა მოსარჩელის განმარტებას. მისი შედავება შემოიფარგლა ძირითადად იმაზე მითითებით, რომ სადავო გარიგება ნოტარიული წესით დამოწმდა, წილის გასხვისებაზე თანხმობა განაცხადა მოსარჩელის მეუღლემ და საწარმოს პარტნიორთა კრებამ, რაც ზოგადი ხასიათის შედავებაა (იხ. ამ გადაწყვეტილების 24-ე პუნქტი).

206. ამრიგად, მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ, ერთ

⁴ იხ. <https://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2009/eur/136032.htm>, BUREAU OF DEMOCRACY, HUMAN RIGHTS, AND LABOR, *2009 Country Reports on Human Rights Practices*, Report, March 11, 2010

შემთხვევაში, შეუდავებელი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არაკვალიფიციურად შედავებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმფციას, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება ხელყვეს იძულების გზით. პრეზუმირებული ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელთა გაქარწყლების ტვირთი მოპასუხეს აწევს. შპს „ჰ.ჯ-ს“ შესაგებელი კი ამ ფაქტებს ვერ აბათილებს.

207. დიდი პალატა განმარტავს, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დაასკვნა: *„სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს“* (იხ.სუსგ #სს-89-83-2015, 23.10.2015 წელი). უზენაეს სასამართლოში თავად კასატორის - შპს „ტ.ს-ს“ მიერ წარმოდგენილი „სასამართლო მეგობრის“ /Amicus Curiae/ სამართლებრივ მოსაზრებაშიც მითითებულია, რომ „იძულება“ არის არა ფაქტი, არამედ ფაქტის სამართლებრივი შეფასება (გვ. 9). აქედან გამომდინარე, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის განმარტება იძულების ფაქტობრივი აღწერილობის ნაწილში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სამართლებრივად არასწორად შეაფასეს. სსსკ-ის 407.1-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, მხარის ახსნა-განმარტება სამართლებრივად თვითონ შეაფასოს.

208. დიდი პალატა იზიარებს კასატორთა პრეტენზიებს სსკ-ის 54-ე მუხლის, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის გამოყენების დაუშვებლობაზე. ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს. გასაჩივრებული განჩინებით, სასამართლომ ზნეობის საწინააღმდეგოდ, გასაკიცხ ქმედებად მიიჩნია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო. მართოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენებას, დიდი პალატა არასაკმარისად მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, ამ ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული ინტერპრეტაცია არადამაჯერებელია, რადგანაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს. სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი, ამორალურ გარიგებებთან მიმართებით, შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას,

რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს და გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან) განსხვავებით, მისი ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა მისი დადება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 99.13-99.14 ქვეპუნქტები), ეს კი იმთავითვე მცდარია. ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს (სსკ-ის 319.1-ე მუხლი „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით“). სამოქალაქო კანონები საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (სსკ-ის მე-9 მუხლი). ამ წესიდან არსებული გამონაკლისი, ამ თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნის გაზიარება, რომ „საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის“, რათა გარიგება ამორალურად იქნეს მიჩნეული, ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურ განვითარებასა და სტაბილურობას, რადგანაც ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერ მხარეს, სათანადო წინაპირობების არარსებობის პირობებშიც კი, შეეძლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

209. სადავო ხელშეკრულებების გაფორმების დროს მოქმედი სსკ-ის 55-ე მუხლი, (რომელიც სახელდებული იყო შემდგენიარად: გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო; 08.05.2012წ. # 6151 ცვლილებამდე რედაქციით), გარიგების ბათილად მისაჩნევად კონკრეტულ წინაპირობებზე მიუთითებდა და ორი პირობის კუმულაციურად არსებობის აუცილებლობას ადგენდა. დასახელებული ნორმის მიხედვით, გარიგების ბათილობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობის დადგენა, ამასთან ერთად, გარიგების ბათილად მისაჩნევად, აუცილებელია, რომ მეორე წინაპირობაც ვლინდებოდეს, კერძოდ, გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის

წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა კონტრაქტის მიმღე მდგომარეობით ან გულუბრყვილობით (იხ. სუსგ #ას- 1224-1149-2015, 20.05.2016, შდრ. ასევე საქმე # ას-880-838-2013, 09.06.2014 წელი, საქმე#ას-1718-1701-2011, 23.02.2012 წელი, საქმე #ას-132-124-2015, 29 .04. 2015 წელი, საქმე #ას-788-745-2015, 13.10.2015).

210. დიდი პალატის მოსაზრებით, იმის დადგენა, შეესაბამებოდა თუ არა სადავო გარიგებებში მითითებული წილების ფასი მათ რეალურ საბაზრო ღირებულებას, ანუ იკვეთებოდა თუ არა აშკარა დისპროპორცია, შესაბამისი წინაპირობების მხედველობაში მიუღებლად, სამართლებრივად გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ვერ იქნება და, აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და იმ სახის დეტალური კვლევა, როგორც ეს ქვემდგომმა სასამართლოებმა ჩაატარეს, არც მატერიალური და არც პროცესუალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის. პალატა კასატორების არგუმენტებზე საპროცესო ნორმების დარღვევის ნაწილში დამატებით იმჯელებს.

211. განსახილველი დავა ეხება იძულებით დადებული საცილო გარიგებების ბათილობას, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა სსკ-ის 85-89-ე მუხლების წინაპირობები. სსკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით, „გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან“. ამდენად, საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი. ამ დროს ადგილი აქვს დაზარალებულის თავისუფალი ნების აშკარა მოდრეკას⁵.

212. კასატორებს მიაჩნიათ, რომ მოსარჩელებმა გაუშვეს შეცილებისათვის სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი სპეციალური ვადა, რაც, მათი მტკიცებით, გამორიცხავს სადავო გარიგებებით მიღებული იურიდიული შედეგის უკუქცევას, დიდმა პალატამ შეამოწმა მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების

⁵ ლ. ჭანტურია., „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, 2011წ., გვ. 380; ბ.ზოიძე., „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, მუხლი 85, გვ. 246.

განხორციელების საკითხიც. პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიმართ იძულება სულ მცირე 2012 წლის არჩევნებამდე მაინც გრძელდებოდა, ვინაიდან ახლადარჩეულმა პარლამენტმა 2012 წლის 5 დეკემბრის აქტით იგი პოლიტიკურ დევნილად ცნო *(ამას ერთ-ერთი მოპასუხეც არ გამოიციხავდა, იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 27.2 ქვეპუნქტი)*. აქედან გამომდინარე, სსკ-ით 89-ე მუხლით დადგენილი შეცილების ერთწლიანი ვადის დენის დაწყებამდე *(„იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან“)*, საქართველოს პროკურატურაში 2008 წლის 1 დეკემბერს წარდგენილი საჩივრით მოსარჩელე შეეცილა იმ სადავო გარიგებების ნამდვილობას, რამაც განაპირობა ტელეკომპანიაში წილების გასხვისება. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად: *„შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს“⁶. უცილო (არარა) გარიგებების „ბათილობისაგან განსხვავებით, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატურად დგება და არ საჭიროებს შესაბამის შედეგზე მიმართულ არანაირ დამატებით მოქმედებას (მაგალითად, რაიმე ფორმით ბათილად გამოცხადებას), საცილო გარიგება „დადების მომენტიდან“ ბათილი იქნება მხოლოდ ნამდვილი შეცილების შემთხვევაში. შესაბამისად, დადების მომენტში საცილო გარიგება ნამდვილია, თუმცა არსებობს გარემოებანი, რომელთა გამოც ის შეიძლება შემდგომში გახდეს ბათილი. შეცილება ცვლის არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან იგი მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის გაქარწყლებაზე. ამდენად, შეცილება სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად „განმსაზღვრელი“ ნების გამოვლენა თუ გარიგებაა?“⁷ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელემ განახორციელა ნამდვილი შეცილება, სადავო გარიგებები ბათილია მათი დადების მომენტიდან, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. დიდი პალატა იშველიებს იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმულ იმ მოსაზრებასაც, რომ: „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც...“, *„იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების**

⁶ იხ. ლ.ჭანტურია., „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 397

⁷ დ. კერესელიძე., „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემები“, თბილისი, 2009 წ., გვ. 269-270

თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც“⁸.

213. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს.

214. დიდი პალატა არ იზიარებს კასატორების პრეტენზიას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა 2008 წლის 1 დეკემბრიდან სსკ-ის 1008-ე მუხლის („დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა პირმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“) საფუძველზე შეწყდა, ვინაიდან მოსარჩელემ თავისი დარღვეული უფლების დასაცავად მიმართა იმ სახელმწიფო ორგანოს (პროკურატურას), რომელსაც ხელეწიფებოდა ამ უფლების აღდგენა (სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე წინადადება- „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები“). მოსარჩელემ, როგორც უფლებამოსილმა პირმა, 2008 წლის 1 დეკემბერს (შემდეგ განმეორებითაც - 2009 წლის 29 იანვარს და 12 მარტს) საქართველოს პროკურატურას საჩივრით მიმართა იძულებით ჩამორთმეული ქონების გამო, საკუთრების ხელყოფილი უფლების დასაცავად, რაც სამართლებრივად ვარგისი საშუალებაა. შესაბამისად, ამ განცხადებით, სარჩელის სასამართლოში შეტანამდე, უკვე შეწყვეტილი იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა. საქართველოს პროკურატურისადმი მიმართული საჩივრით ქ.ბ. კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად, როგორც დაზარალებულად, ასევე

⁸ ბ. ზოიძე., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, თბილისი, 2001 წ., გვ. 246, 252

მოსარჩელედ ცნობასაც ითხოვდა. იმ დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლეოდა. ამ ნორმის თანახმად: „პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“. იმავე კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად კი, სამოქალაქო სარჩელი წარედგინებოდა იმ მომკვლევს, გამომძიებელს ან პროკურორს, რომლის წარმოებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე. ის ფაქტი, რომ პროკურატურას აღნიშნულ საქმეზე დღემდე არა აქვს მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, დიდ პალატას დავის გადაწყვეტაში ხელს ვერ შეუშლის, რადგანაც სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა⁹.

215. დიდი პალატა განმარტავს, რომ სადავო წილების მოსარჩელებსათვის დაბრუნების (აღდგენის) მოთხოვნის საფუძვლიანობას ვერც იმ მოპასუხეების შესაგებლები ვერ უპირისპირდება და აქარწყლებს, რომლებიც, საჯარო რეესტრის მონაცემებით, სადავო წილების ამჟამინდელ მესაკუთრეებად ირიცხებიან. პალატის შეფასებით, მათი შესაგებლები, მსგავსად, შპს „ჰ.ჯ.–ს“ შესაგებლისა, არ აკმაყოფილებს არც კონკრეტული და არც კვალიფიციური შედავების კრიტერიუმებს, კერძოდ, დასახელებულ მოპასუხეებს სადავოდ არ გაუხდიათ მოსარჩელის მიერ მითითებული არსებითი მნიშვნელობის ფაქტები, როგორცაა: ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსანთა ვინაობა, გარიგებათა მრავლობით ჯაჭვში ურთიერთდაკავშირებული პირების, მათ შორის ერთი და იმავე პირების არაერთხელ მონაწილეობა, რიგ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარის ან მისი წარმომადგენლის სახით. საქმის მასალებით დადგენილია:

215.1. 2004 წლის 25 ოქტომბრის მონაცემებით შპს „ს.კ.რ. 2“-ის პარტნიორები იყვნენ: შპს „პ.“ – 40 % - იანი, ხოლო ქ.ხ. - 60% - იანი წილით.

⁹ „...როდესაც საზოგადოებრივი ინტერესია დღის წესრიგში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანის ფუძემდებლურ უფლებებში, როგორცაა საკუთრების უფლება, ჩარევას აქვს ადგილი, ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს დროულად, ჯეროვნად და რაც მთავარია, თანმიმდევრულად” (საქმე *JGK STATYBA LTD AND GUSELNIKOVAS v. LITHUANIA*, 2013).

215.2. **2005 წლის 26 დეკემბერს** ქ.ხ–ის კუთვნილი წილის 60 %-იდან 22%-ის მესაკუთრე იძულებით დადებული გარიგების საფუძველზე შპს „ს.“ გახდა (ამჟამად შპს „პ.ჯ.“). ხელშეკრულების მიხედვით, **წილის ღირებულება განისაზღვრა 73 330 აშშ დოლარით** (იხ. ტ.1, ს.გ. 85-88; აღნიშნულ საწარმოსთან დაკავშირებით, იხ. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ამ გადაწყვეტილების 23.10 ქვეპუნქტში);

215.3. **2006 წლის 13 სექტემბერს** შპს „ს–გან“ ზემოხსენებული 22% წილის მესაკუთრე, ასევე ბათილი გარიგების საფუძველზე, შპს „პ. ს. ი.ჯ.“ გახდა. ხელშეკრულების მიხედვით, წილის გასხვისება ხორციელდება შემდეგი ღირებულებით: 73 500 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. მოსარჩელემ ამ ფაქტზე ყურადღება გაამახვილა, რადგან შემდგომ ტრანზაქციებში კვლავაც ფიგურირებენ არა მხოლოდ დასახელებული სუბიექტები, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან აფილირებული პირები არიან, არამედ ამ სუბიექტთა მონაწილეობით არის დაფუძნებული სხვა საწარმოებიც, რომელთა ტრანზაქციებზე, ქრონოლოგიის მიხედვით, ქვემოთ არის მითითებული (იხ. ხელშეკრულება - ტ.1, ს.გ. 96-100; ასევე, ამ გადაწყვეტილების 23. 11 ქვეპუნქტი);

215.4. **2006 წლის 17 ნოემბერს** ორი ხელშეკრულება იდება, შპს „გ.ტ.“, ქ.ხ–გან იძულებით დადებული გარიგების საფუძველზე, იძენს შპს „ს.კ. რ. 2“-ის 38 %-ს. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 126 667 აშშ დოლარით. იქვე მითითებულია, რომ ნასყიდობის ფასი გადახდილია **ნაღდი ანგარიშსწორებით** (იხ. ტ.1, ს.გ. 89-91), ხოლო შპს „პ–გან“ იძენს 40 %-ს, ხელშეკრულების მიხედვით წილის ღირებულება განისაზღვრა 65 000 აშშ დოლარით, რაზეც მითითებულია, რომ გადახდილია **ნაღდი ანგარიშსწორებით** (იხ. ტ.1, ს.გ. 92-95); ამდენად, 2006 წლის 17 ნოემბრის მონაცემებით, შპს „ს.კ. რ. 2“-ის პარტნიორები არიან შპს „პ.ს.ი. ჯ.“ /22 %/ და შპს „გ.ტ.“ /78 %/ (იხ. ტ.1, ს.გ. 56; ასევე, ამ გადაწყვეტილების 23.11-23.12 ქვეპუნქტები);

215.5. შპს „პ.ს.ი.ჯ–მა“ შპს „ს–გან“ 2006 წლის 13 სექტემბერს შეძენილი ტელეკომპანიის 22 %-იანი წილი, **2 თვესა და 13 დღეში, 2006 წლის 29 ნოემბერს, გაასხვისა** შპს „გ–ზე“ (წარმომადგენელი: ბ.ნ.). ეს საწარმო ფიგურირებს 21.10 ქვეპუნქტში მითითებულ 2006 წლის 17 ნოემბერს გაფორმებულ ორ ხელშეკრულებაშიც (იხ. ტ.1, ს.გ. 89-95; ასევე, ამ გადაწყვეტილების 23.11-23.12 ქვეპუნქტები);

215.6. 2006 წლის 29 ნოემბერს შპს „გ.ტ.–მა“ შპს „ს.კ.რ. 2“-ში მისი კუთვნილი 78%-იანი წილიდან 23 % მიჰყიდა შპს „პ.ს.ი.ჯ–ს“. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 65 517 აშშ დოლარით, რაც **ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით გადახდილად არის მითითებული** *(იხ. ტ.1, ს.გ.105-108; ასევე, ამ გადაწყვეტილების 23.16-23.17 ქვეპუნქტები)*; ამ გარიგების შემდეგ, **2 დღეში, 2006 წლის 1 დეკემბერს**, შპს „გ.ტ.–მა“ შპს „ს. კ. რ. 2“-ში 55 % წილი გაასხვისა, კომპანია „D.R.“-ზე *(რეგისტრირებული ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, რეგ. #678866, იხ. ტ.1, ს.გ.56)*, რომელსაც წარმოადგენდა სარჩელში ერთ-ერთ მოპასუხედ დასახელებული ლ. ყ. ხელშეკრულების მიხედვით წილის ღირებულება განისაზღვრა 125 150 აშშ დოლარით, რაც **ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით გადახდილად არის მითითებული** *(იხ.ტ.1, ს.გ. 102-104)*;

215.7. შპს „ს.კ.რ. 2“-ის 55% წილის შეძენიდან (01.12.2006წ.) ერთ თვეში, **2007 წლის 2 თებერვალს**, კომპანიამ „D.R.“ (წარმოდგენილი ლ. ყ–ის მიერ) 55 % - იანი წილი გაასხვისა შპს „გ.გ–ზე“ *(რეგისტრირებული მარშალის კუნძულებზე - იხ. ტ.1, ს.გ. 57)*. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 135 150 აშშ დოლარით, აქაც მითითებულია, რომ **ნაღდი ანგარიშსწორება მოხდა** *(იხ. ტ.1, ს.გ.109-112)*;

215.8. შპს „გ.გ–მა“, რომელმაც 2007 წლის 2 თებერვალს, 135 150 აშშ დოლარად შეიძინა შპს „ს.კ.რ. 2“-ის 55%-იანი წილი, შვიდი თვის შემდეგ, **2008 წლის 10 ოქტომბერს**, ამ წილიდან 15% უსასყიდლოდ დაუთმო ი.ჩ–ს, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა *(იხ. 23-ე პუნქტი)*, მოხსენიებული იყო აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში; იმავე დღეს (10.10.2008წ) შპს „ს.ი.ჯ–მა“ შპს „ს.კ.რ. 2“-ში მისი კუთვნილი 45 %-დან 15 %, ასევე უსასყიდლოდ დაუთმო იმავე ი.ჩ–ს. ხელშეკრულებაში წილის ნომინალურ ღირებულებად მითითებულია 600 ლარი *(იხ. ტ.1, ს.გ. 113-116, ასევე, ამ გადაწყვეტილების 23.14-23.15 ქვეპუნქტები)*;

215.9. 2009 წლის 18 მარტს კორპორაცია „გ.გ–მა“ გაჰყიდა შპს „ს.კ.რ. 2“-ის 40 % -იანი წილი, რომელიც შეიძინა კომპანია „დ.ლ–მა“. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება განისაზღვრა 1 (ერთი) ლარით *(იხ. ტ.1, ს.გ. 117-120)*; იმავე დღეს ი.ჩ–მა შპს „ს.კ.რ. 2“-ის 30 %-იანი წილი, 1 (ერთი) ლარად მიჰყიდა კომპანია „დ.ლ–ს“ *(იხ. ტ.1, ს.გ. 121-125)*;

215.10. 2011 წლის 28 ნოემბერს შპს „პ.ს.ი.ჯ–მა“ შპს „ს.კ.რ. 2“-ში

კუთვნილი 30 % მიჰყიდა შპს „ჩ.ი-ს“. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ წილის გასხვისება ხორციელდება 160 000 ლარად (იხ. ტ.1, ს.გ. 126-127; იხ. ამ გადაწყვეტილების 23.16-23.17 ქვეპუნქტები);

215.11. ზემოხსენებული ტრანზაქციიდან ერთი კვირის შემდეგ, 2011 წლის 6 დეკემბერს, შპს „ჩ.ი-მ“ შპს „ს.კ.რ. 2“-ში კუთვნილი 30 % მიჰყიდა ლ.ყ-ს. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება კონფიდენციალურია (ტ. 1, ს. გ. 128-130; იხ. ამ გადაწყვეტილების 23.17 ქვეპუნქტი);

215.12. იმავე დღეს, 2011 წლის 6 დეკემბერს კომპანია „დ.ლ-მა“ შპს „ს.კ. რ. 2“-ში კუთვნილი 70 %-დან 10 % მიჰყიდა გ.გ.ეს. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება კონფიდენციალურია (იხ. ტ. 1, ს. გ. 131-133);

215.13. „დ.ლ-მა“ 2011 წლის დეკემბერში (ზუსტი თარიღი უცნობია) შპს „ს.კ.რ. 2“-ში კუთვნილი 60 % მიჰყიდა ლ.ყ-ს. ხელშეკრულების მიხედვით, წილის ღირებულება კონფიდენციალურია (იხ. ტ. 1, ს. გ. 134-136);

215.14. 2012 წლის 4 ოქტომბერს ლ.ყ-მა შპს „ს.კ.რ. 2“-ში კუთვნილი 90 %-დან 40 % მიჰყიდა ორი დღით ადრე რეგისტრირებულ, დ.კ-ის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოს, შპს „მ.ჯ-ს“ 500 000 აშშ დოლარად (იხ. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები ამ გადაწყვეტილების 23.17 ქვეპუნქტში);

215.15. ხუთი დღის შემდეგ, 2012 წლის 9 ოქტომბერს შპს „მ.ჯ-მ“ ლ.ყ-გან 4 ოქტომბერს შეძენილი 40 %-იანი წილი მიჰყიდა თავისსავე ძმას, გ. ყ-ს, 500 000 აშშ დოლარად (იხ. მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები ამ გადაწყვეტილების 23.18 ქვეპუნქტში);

215.16. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, პარლამენტის 2008 წლის 14 მარტის # 5913 კანონის საფუძველზე, 2008 წლის 10 მაისიდან 2010 წლის 1 იანვრამდე, დროის მონაკვეთში, პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის ცვლილება არ ექვემდებარებოდა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას (იხ. ტ.1, ს.გ. 57);

216. დიდი პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეთაგან არცერთს არ წარუდგენია კვალიფიციური შედავება ზემოხსენებულ ფაქტებზე. ამდენად, რეესტრში

რეგისტრირებული ჩანაწერის უზუსტობა, რომ საწარმოს სადავო წილის პირველი შემძენი არ იყო ნამდვილი მესაკუთრე, ცნობილი იყო ყოველი მორიგი შემძენისათვის, შესაბამისად, გ.გ-ძის უფლებამონაცვლე ნ.ნ-ძის მიმართ არსებული ჩანაწერიც არ იყო სწორი, რადგანაც გარდაცვლილს არ ეკუთვნოდა წილზე საკუთრება და, შესაბამისად, ის ვერ შევიდოდა სამკვიდრო მასაში სსკ-ის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, („სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის“).

217. დიდი პალატა ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენის (დაბრუნების) თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნას სანივთო სამართლის ნორმების გამოყენებითაც შესაძლებლად მიიჩნევს. მხედველობაშია სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

218. ვინდიკაციური სარჩელის არსი გამომდინარეობს საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან და სავინდიკაციო მოთხოვნის უფლებასთან მიმართებაში უპირატესობა ენიჭება საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების წესებს. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე (არასხეულებრივი ნივთი) სამართლებრივი სტატუსის ცვლილება ისევე ხორციელდება, როგორც ნივთებზე¹⁰, შესაბამისად, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის განვრცობითი განმარტების შედეგად მოსარჩელეთა კუთვნილი წილების უკანონო მფლობელებისაგან ვინდიცირება (გამოთხოვა) შესაძლებელია, რადგანაც 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის იძულებით დადებული გარიგებების საფუძველზე მათ არ დაუკარგავთ წილებზე საკუთრება და ისინი საქმის განხილვის დროსაც მესაკუთრეებად რჩებიან. ამასთან, დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების წინაპირობას, საცილო გარიგებებთან მიმართებით, წარმოადგენს კანონით დადგენილი შეცილების სპეციალური ვადის დაცვა.

219. საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს მისი

¹⁰ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ელექტრონული კომენტარი, მუხლი 152-ე. www.gccc.ge

კანონიერად შექმნის ფაქტი. ზუსტად ეს გარემოებაა გადაწყვეტი კანონიერი საკუთრების უფლების არსებობისათვის. „საკუთრება კანონიერია და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სფეროში შედის, თუ მისი შექმნა მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით. საკუთრების განკარგვის თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, როცა ეს განკარგვა მესაკუთრის თავისუფალი ნების შედეგად ხდება და იგი წარმოადგენს სუვერენული უფლების რეალიზაციის გამოვლინებას¹¹“.

220. განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძველით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია. მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება . ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთის თანაბარი, ერთი და იგივე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა¹².

221. დიდი პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გარკვეული ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა შემოწმდეს.

¹¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება.

¹² იხ. დამატებით: ლ.ჭანტურია, „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბ., 2011 წ., გვ.132; ჰ. ბილინიკი/პ.ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი“, თბილისი-ბრემენი, 2004-2009 წ., გვ.14; ქ. ქოჩაშვილი, „მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას“, თბ., 2012წ, გვ.280; ს. ჩაჩავა, „მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში“, სად.ნაშრ., თსუ, 2010, გვ.39; ს.ჭენჭელი, „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია“, თბ., 2009, გვ.84; ბ.ზოიძე, „სახელმწიფო და არასახელმწიფო პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების მექანიზმში“, თბ., 1984, გვ.194;

კანონი ამ რიგითობას არ აწესებს. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების რიგითობა უნდა განისაზღვროს მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან. სარჩელთა კონკურენცია, რომელიც მდგომარეობს მოთხოვნის რამდენიმე საფუძვლის ერთდროულად ფორმირებაში, მოიცავს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სავინდიკაციო, სავინდიკაციო და დელიქტურ, დელიქტურ და კონდიქციურ, კონდიქციურ და სავინდიკაციო სარჩელთა კონკურენციას.

222. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ მესაკუთრის მიერ ნივთზე საკუთრების (მფლობელობის) დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებით - სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური) ან კონდიქციური სარჩელებით. თითოეული მათგანი მიმართულია უფლებამოსილი პირისათვის ქონების დაბრუნებისაკენ და უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისაკენ.¹³ ვინდიკაციის დროს მხარეებს წარმოადგენენ არამფლობელი მესაკუთრე (ან სხვა ტიტულოვანი მფლობელი) და უკანონო მფლობელი. ვინდიკაციისას ნივთის ნაცვლად არ ხდება ანაზღაურება, რადგან ეს სავინდიკაციო სარჩელის არსს ეწინააღმდეგება. ვინდიკაციისას ნივთს ითხოვს მესაკუთრე პირისაგან, ვისაც არ წარმოშობია ნივთზე საკუთრება.

223. პირის მოთხოვნა ნივთის უკან დაბრუნებაზე, შესაძლოა, არსებობდეს გარიგების ბათილობის შემთხვევაშიც. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე საუბრისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ კომპონენტზე: ნება, მისი გამოვლენა და მათი ურთიერთშესაბამისობა. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის ხარვეზი განაპირობებს ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებების გამო. ასეთია ის გარემოება, რომელიც ნების გამოვლენის გარეგნული გამოხატულების, მისი შემადგენლობის არსებითი ელემენტების არსებობის მიუხედავად, გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. სამართლებრივი შედეგის გამოწვევა შეიძლება მიუღებელი იყოს გარიგების შინაარსის დაუშვებლობის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, ნების ნაკლის გამო.

¹³ იხ. დამატებით: ქ. ქოჩაშვილი, „მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას“, , თბ., 2012 წ., გვ.281,287; დ.კერესელიძე. „სამოქალაქო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბ., 2009, გვ.261-262.

უზენაეს სასამართლოში თავად კასატორის - შპს „ტ. ს-ს“ მიერ წარმოდგენილი „სასამართლო მეგობრის“ /Amicus Curiae/ სამართლებრივ მოსაზრებაშიც მითითებულია, რომ „იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელის კანონიერ ინტერესს წარმოადგენს არა ამ ქონების ანაზღაურება, არამედ უშუალოდ ეს ქონება, მაშინ მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეებსა და პირველ ორ მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობის გამო ამ უკანასკნელებმა არ მოიპოვეს საკუთრება ამ ქონებაზე, შესაბამისად, უფლებამოსილების დეფექტურობის გამო მათ მიერ შემდგომში დადებული ხელშეკრულებებიც ბათილია და ამდენად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მოსარჩელეებმა შეიძლება ვინდიკაციური მოთხოვნა აღძრან შემდეგი შემძენების მიმართ (სავინდიკაციო მოთხოვნისა და კონდიქციის მოთხოვნათა კონკურენცია). შესაბამისად, იმისათვის, რომ მოსარჩელეებმა გამოითხოვონ შემდეგი შემძენებისაგან წილი (სსკ-ის 172-ე მუხლი), ეს უკანასკნელნი არ უნდა იყვნენ კეთილსინდისიერი შემძენები“ (იხ. „სასამართლო მეგობრის“ სამართლებრივი მოსაზრება, გვ. 27, 28).

224. გარიგების (ხელშეკრულების) ბათილობისას, დგება უკვე განხორციელებული შესრულების უკუქცევის საკითხი, ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა-რესტიტუცია. აღნიშნული გულისხმობს, რომ გარიგებას ეცლება ის იურიდიული ზემოქმედება, რაც მან მოახდინა. ვინდიკაციის დროს სახეზეა მესაკუთრე და უკანონო მფლობელი, ხოლო რესტიტუციისას - გარიგების მხარეები და არ არის აუცილებელი, რომ მოსარჩელე იყოს მესაკუთრე ან სხვა კანონიერი მფლობელი. რესტიტუციის შემთხვევაში მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ გარიგების მეორე მხარისადმი და არ მიჰყვება გარიგების საგანს, ხოლო ვინდიკაციისას, შემძენს შესაძლოა ნივთი ჩამოერთვას გარიგებათა ჯაჭვში. ვინდიკაციისას, მტკიცების საგანია სანივთო უფლების არარსებობა.¹⁴

225. დიდი პალატა განმარტავს, რომ გარიგების ბათილობისას, სავინდიკაციო

¹⁴ იხ. დამატებით: „რესტიტუცია“ სამართლიანობის უფლების სასამართლო წესით დაცვის გამომხატველია. ის საშუალებას აძლევს დაზარალებულ პირებსა და პირთა ჯგუფს, დაუბრუნდეს ხელყოფამდე (ზიანის მიყენებამდე) არსებულ მდგომარეობას. რესტიტუცია მოწოდებულია, გააუქმოს ბათილი გარიგების შედეგები. სტატიათა კრებული, „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, რედ. კ. კორკელია, თბილისი, 2010 წ., გვ.193; ქ. ქოჩაშვილი., „მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას“, თბ., 2012, გვ.292.

და კონდიქციურ სარჩელთა კონკურენციის საკითხი განსხვავებულად წყდება იმის მიხედვით, ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის რომელი სისტემა მოქმედებს - კაუზალური თუ აბსტრაქციის. კაუზალური სისტემის არსებობისას, **ძირითადი გარიგების ნამდვილობა საკუთრების უფლების გადაცემის აუცილებელი პირობაა.** შესაბამისად, ამ ხელშეკრულების (გარიგების) საწყისი ან შემდგომი ბათილობა განაპირობებს იმას, რომ საკუთრების უფლება თავიდანვე ვერ გადადის შემძენზე. ითვლება, რომ შემძენი არასოდეს გამხდარა მესაკუთრე, რადგან თავად ხელშეკრულების (გარიგების) ბათილობის სამართლებრივი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიიჩნევა თავიდანვე არარსებულად. ამდენად, **გარიგების ბათილობისას თავდაპირველ მესაკუთრეს უფლება აქვს შემძენისაგან ნივთი გამოითხოვოს ვინდიკაციით,** რადგან მას საკუთრება არ დაუკარგავს. ამგვარი შედეგი დგება არა მხოლოდ კაუზალური და კონსესუალური სისტემების, არამედ კაუზალური და ტრადიციის სისტემათა თანხვედრისას, რადგან სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობაზეა დამოკიდებული გადაცემა, ხოლო საფუძვლის არარსებობის ან მისი შედეგების ბათილობისას, გადაცემაც ბათილი იქნება. გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, კაუზალური სისტემის დროს, შემძენი ვერ იძენს ნივთზე საკუთრებას, შესაბამისად, არც მის განკარგვაზეა უფლებამოსილი. **თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია გამოითხოვოს შემძენის მიერ გასხვისებული ნივთი მესამე პირებისგანაც.** აღნიშნულიდან გამონაკლისია კეთილსინდისიერი შემძენი ვინდიკაციის შეზღუდვის წესის დროს.¹⁵

226. დიდი პალატა იზიარებს მოსარჩელეთა განმარტებას, რომ 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის იძულებით დადებული გარიგებების შემდეგ, წილების ყოველი მორიგი გასხვისება ფორმალურ (მოჩვენებით) ხასიათს ატარებდა, მიზნად ისახავდა იძულებით ჩამორთმეული საკუთრების ნამდვილი მესაკუთრისათვის დაბრუნების გართულებას. ამასთან, გარიგებათა ჯაჭვში მონაწილეობდნენ ურთიერთდაკავშირებული პირები და მათი ქმედებები კოორდინირებული იყო, მათ საკუთრებად სადავო წილების

¹⁵ იხ. დამატებით: კ.ცვაიგერტი./3. კოტცი. - „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, ტ.2. თბ., 2001 წ., გვ.233 ; Van Vliet, “Transfer of movables in German, French, English and Dutch Law”, 2000, p.194.

რეგისტრაცია ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რის გამოც ისინი ვერ ჩაითვლებიან წილების კეთილსინდისიერ შემძენებად, შესაბამისად, მოპასუხეთა აპელირება საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციაზე (სსკ-ის 311-312-ე მუხლები) და, აქედან გამომდინარე, მათ კეთილსინდისიერებაზე, დაუსაბუთებელია, რადგანაც თითოეული მათგანი მონაწილეობდა იმ არაერთ გარიგებაში, რომლის შედეგად მოსარჩელეთა საკუთრების უფლება შეიღახა, რაც გამორიცხავს სადავო წილების შემძენთა კეთილსინდისიერებას.

227. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ პარტნიორის წილის (მიმოქცევადი უფლება), შემძენზე საკუთრების უფლებით გადასვლისათვის აუცილებელია პარტნიორებს შორის ნამდვილი შეთანხმება ანუ ურთიერთმფარავი ნების არსებობა და ამ უფლების კანონით დადგენილი წესით რეესტრში რეგისტრაცია. განსახილველ შემთხვევაში, წილის შემძენებზე საკუთრება არ გადასულა, რადგანაც ნამდვილი შეთანხმება არ არსებობდა და აქედან გამომდინარე, დღევანდელი სამართლებრივი ვითარება - საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლითაც სადავო წილების მესაკუთრეებად მოპასუხეები არიან რეგისტრირებული - არასწორია („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3. მუხლი).

228. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დიდი პალატა თვლის, რომ მოსარჩელებს უფლება აქვთ, ტელეკომპანიის წილის ამჟამინდელ რეგისტრირებულ მესაკუთრეებს, რომლებიც სოლიდარული მოვალეები არიან, მოსთხოვონ ზიანის ნატურით ანაზღაურება (სსკ-ის 465-ე და 998.2-ე მუხლები).

229. დიდი პალატა მიიჩნევს, რომ პარტნიორის წილის (მიმოქცევადი უფლება) შემძენზე საკუთრების უფლებით გადასვლისათვის აუცილებელია პარტნიორებს შორის ნამდვილი შეთანხმება ანუ ურთიერთმფარავი ნების არსებობა და ამ უფლების კანონით დადგენილი წესით რეესტრში რეგისტრაცია. განსახილველ შემთხვევაში, წილის შემძენებზე საკუთრება არ გადასულა, რადგანაც ნამდვილი შეთანხმება არ არსებობდა და აქედან გამომდინარე, დღევანდელი სამართლებრივი ვითარება - საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლითაც სადავო წილების მესაკუთრეებად მოპასუხეები არიან რეგისტრირებული - არასწორია („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3. მუხლი).

230. მოპასუხეთა მითითება საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციაზე (სსკ-ის 311-312-ე მუხლები) და, აქედან გამომდინარე, მათ კეთილსინდისიერებაზე, დაუსაბუთებელია, რადგანაც თითოეული მათგანი მონაწილეობდა იმ არაერთ გარიგებაში, რომლის შედეგად მოსარჩელეთა საკუთრების უფლება შეილახა, რაც გამორიცხავს სადავო წილების შემძენთა კეთილსინდისიერებას. დიდი პალატა იზიარებს მოსარჩელეთა განმარტებას, რომ 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის იძულებით დადებული გარიგებების შემდეგ, წილების ყოველი მორიგი გასხვისება ფორმალურ (მოჩვენებით) ხასიათს ატარებდა, მიზნად ისახავდა იძულებით ჩამორთმეული საკუთრების ნამდვილი მესაკუთრისათვის დაბრუნების გართულებას. ამასთან, გარიგებათა ჯაჭვში მონაწილეობდნენ ურთიერთდაკავშირებული პირები და მათი ქმედებები კოორდინირებული იყო, მათ საკუთრებად სადავო წილების რეგისტრაცია ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რის გამოც ისინი ვერ ჩაითვლებიან წილების კეთილსინდისიერ შემძენებად. პარტნიორის წილის (მიმოქცევადი უფლება), შემძენზე საკუთრების უფლებით გადასვლისათვის აუცილებელია პარტნიორებს შორის ნამდვილი შეთანხმება ანუ ურთიერთმფარავი ნების არსებობა და ამ უფლების კანონით დადგენილი წესით რეესტრში რეგისტრაცია. განსახილველ შემთხვევაში, წილის შემძენებზე საკუთრება არ გადასულა, რადგანაც ნამდვილი შეთანხმება არ არსებობდა და აქედან გამომდინარე, დღევანდელი სამართლებრივი ვითარება - საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლითაც სადავო წილების მესაკუთრებად მოპასუხეები არიან რეგისტრირებული - არასწორია („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3. მუხლი).

231. დიდი პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელეთა მოთხოვნაზე, რომელიც ეხება სადავო გარიგებების ბათილობას და განმარტავს, რომ სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შემდეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის

განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა (იხ. სუსგ # ას-838-802-2014, 19.03.2015წ.).

232. დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა (იხ. სუსგ, 10.11.2015, საქმეზე #ას-937-887-2015; (იხ. სუსგ-ები # ას-17-14-2015, 01.07.2015წ.; # ას-1069-1008-2015, 16.12.2015წ.; # ას-869-819-2015, 11.12.2015წ.; # ას-773-730-2015, 08.09.2015წ.; # ას-181-174-2016, 06.05.2016წ.; # ას-1025-967-2015, 23.12.2015წ.; # ას-323-308, 2016, 03.06.2016წ.; #ას-407-390-2016, 10.6.2016წ.; # ას-375-359-2016, 17.06.2016წ.).

233. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელების მოთხოვნაა წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება), ე.ი. მათ მიერ მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელია აღძრული. მოთხოვნის საფუძვლების დადგენისა და შემოწმების შემდეგ, გარიგებების ბათილობა ფაქტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება (იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინების დასკვნები 55-56-ე პუნქტებში, საქმე # ას-121-117-2016).

234. ზემოხსენებული მსჯელობისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, დაუსაბუთებელია კასატორთა მტკიცება, რომ სადავო

წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები დამოწმებული იყო ნოტარიუსის მიერ, ასევე, წილის გასხვისებაზე თანხმობა საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმით იყო დადასტურებული და შესაბამისად, კონკრეტული სანოტარო აქტების ბათილობის გარეშე შეუძლებელია ამ აქტებით დადასტურებული გარიგებების იურიდიული შედეგის შეცვლა. როგორც არაერთხელ აღინიშნა, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება სასამართლოს პრეროგატივაა, შესაბამისად, სასამართლოს მიერ კანონის ნორმის მოძიება, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის ნიშნების არსებობისას ერთ მხარეს ანიჭებს უფლებას, მეორე მხარისაგან მოითხოვოს შესრულება, მოქმედება ან თავის შეკავება, არ საჭიროებს ამ მოთხოვნის იურიდიული შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, კონკრეტული გარიგების თუ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დამოუკიდებლად დაყენებას.

235. დიდი პალატა, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით, კასატორთა პრეტენზიებზე მსჯელობისას, აღნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა სახეზეა, როდესაც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად, უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის (იხ. „ვეტსტაინი შვეიცარიის წინააღმდეგ“, 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება; „მიქალეფი მალტის წინააღმდეგ“, 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება; „პადოვანი იტალიის წინააღმდეგ“, 1993 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება; „პესკადორ ვალერო ესპანეთის წინააღმდეგ“, 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება; „მილერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 2004 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება) საფუძველზე, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-31-ე მუხლებით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების/თვითაცილების ინსტიტუტი სამართლიანი სასამართლოს პრინციპს ემსახურება და გარანტირებულს ხდის მხარის უფლებას, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლის შესაბამისად, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმის განმხილველი შემადგენლობის აცილების საფუძველები პირობითად შეიძლება დავეოთ ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებად, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც სასამართლო აქტითაა დადასტურებული, თუნდაც სუბიექტური წინაპირობის არსებობა (მაგ. სსსკ-ის 31.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული, განაცხადოს თვითაცილება, მიუხედავად იმისა, მხარე გამოხატავს თუ არა უნდობლობას მის მიმართ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის აცილების საკითხის განხილვისას უფრო მნიშვნელოვან გარანტიებს აწესებს ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა. ამასთან, იმ საქმეების უდიდეს უმრავლესობაზე, რომლებიც მიკერძოებულობის საკითხს ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქცენტს სწორედ ობიექტურობის ტესტზე აკეთებს. ობიექტურობის ტესტით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად აქვს ადგილი დადასტურებად ფაქტებს მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებლად,

რომლებიც ეჭვს ბადებს ამ უკანასკნელის მიუკერძოებლობაში. აღნიშნულის ფარგლებში, იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა კონკრეტულ საქმეში ლეგიტიმური ეჭვი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის მოსამართლე ან ორგანო, რომელიც განიხილავს საქმეს, არ არის საკმარისად მიუკერძოებელი, მოცემული პირის პოზიცია არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, თუ რამდენად არის პირის ეჭვი მიკერძოების შესახებ ობიექტურად გამართლებადი ანუ რამდენად აქვს მას შიშის საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ობიექტურობის ტესტი უმეტესწილად ეხება იერარქიულ ან სხვა კავშირებს მოსამართლესა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის (იხ.სუსგ - #ას-152-148 - 2016 03.06.2016).

236. კასატორები ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეთა მიკერძოებულობის რამდენიმე გარემოებაზე მიუთითებენ, კერძოდ: პირველი ინსტანციის მოსამართლის მეუღლის მიერ გავრცელებულ განცხადებებზე ტელეკომპანიისა და მისი გენერალური დირექტორის წინააღმდეგ; მოსამართლის დედის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის გააქტიურებაზე; სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით არაპროპორციული ქონებრივი შეზღუდვების დაწესებაზე; ტელეკომპანიაში დროებითი მმართველების დანიშვნაზე; მოწოდებებზე, მოსამართლეს დროულად დაესრულებინა საქმის განხილვის; მოპასუხეთა მიმართ თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების შეზღუდვაზე; ასევე, სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლის მიერ „მოსამართლეთა ერთობის“ სახელით გაკეთებულ საჯარო განცხადებებზე; მის მიერვე სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 2.3; 2.5; 4.8; 4.9; 5.2 პუნქტების დარღვევაზე; სააპელაციო სასამართლოს სხვა მოსამართლეთა მიკერძოებულობასა და არაკვალიფიციურობაზე.

237. დიდი პალატა, აფასებს რა კასატორების მიერ მითითებულ გარემოებებს, მიიჩნევს, რომ:

237.1. არც ერთი მითითებული გარემოება მოსამართლის აცილების კანონით განსაზღვრული საფუძველი არ არის, (სსსკ-ის 29-31-ე მუხლები);

237.2. ამ თვალსაზრისით მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები, რომელიც ადგენს მოსამართლეთა ეთიკური ქცევის სტანდარტებს, პირველ რიგში, ყურადღებას მოსამართლის ქცევაზე ამახვილებს, როგორც სასამართლო პროცესზე, ისე მის გარეთ. რაც შეეხება მოსამართლის ოჯახის წევრებს, მათი ქცევა იმ შემთხვევაში შეიძლება აცილების საფუძველი გახდეს, თუ დადგინდება, რომ მათ საქმისადმი მატერიალური დაინტერესება

გააჩნიათ;

237.3. მოსამართლის მიმართ მხარის მიერ დაყენებული აცილების შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მან ისეთ გარემოებებზე უნდა მიუთითოს, რომლებიც ადასტურებენ საქმეში მონაწილე მხარესთან (მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელესთან) წარსულში ან ამჟამად მოსამართლის უშუალო კავშირზე *(მაგ., არსებულ დავასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა ან წარმომადგენლობა, მხარესთან მრავალწლიანი პროფესიული ან პარტნიორული ურთიერთობა, რაც ქმნის მხარისადმი განსაკუთრებული კეთილგანწყობის ან ლოიალური დამოკიდებულების საფუძველს და სხვ.)*, ან რაიმე ფორმით დამოკიდებულებაზე *(მაგ., იერარქიული, ფინანსური, სამსახურებრივი და სხვ.)*, ან კონკრეტული საქმის შედეგის მიმართ მოსამართლის ინტერესზე *(პირადი, ქონებრივი და სხვ.)*. აქედან გამომდინარე, ქვედგომი ინსტანციის სასამართლოებში მოპასუხის მიერ დაყენებული შუამდგომლობები საქმის განხილველი მოსამართლეების აცილების თაობაზე არ არის დასაბუთებული.

237.4. მოპასუხეთა წარმომადგენლების (მათ შორის ადვოკატების) ქცევა სასამართლოში და მის გარეთ მიზნად ისახავდა კონკრეტული მოსამართლეების საქმის განხილვისაგან ჩამოშორებას, ასევე, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას, საამისოდ ხელოვნური საფუძვლების შექმნას და ამ საფუძვლების სსსკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის რეგულაციებით შენიღბვას. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 21 სექტემბერს გამართულ სხდომაზე, მოსამართლის აცილების შუამდგომლობის დასაბუთებისას, მოპასუხის წარმომადგენელს არ დაუმალავს ის ფაქტი, რომ იგი ტელეეთერის საშუალებით, შეგნებულად დაესხა თავს მოსამართლეს, რათა შეექმნა მისი აცილების წინაპირობა. მოპასუხეთა წარმომადგენლებს არც სააპელაციო სასამართლოში შეუცვლიათ არჩეული ტაქტიკა, ისინი გამუდმებით თავს ესხმოდნენ მოსამართლეებს, როგორც სასამართლო სხდომებზე, ისე საჯაროდ, შემდეგი გამონათქვამებით: „უვიცი... კორუმპირებული... დავალების შემსრულებელი... ნაჯახით შეიარაღებული თემიდის ფსევდონსახური... დაქირავებული... ნაძირალა...“;

237.5. ერთ-ერთი თავდაპირველი მოპასუხე, რომელიც მასმედიის საშუალებას წარმოადგენს, საქმის განხილვის მიმდინარეობისას სარგებლობდა თავისი უპირატესობით და ტელეეთერის მეშვეობით ზეწოლას ახდენდა მოსამართლეებზე, რათა მათ აეცილებინათ და არ განეხილათ მოცემული

საქმე. აღნიშნული უპირატესობა გამოიხატა მიმდინარე საქმის საჯაროდ ტელეეთერით განხილვაში, სადაც მოპასუხე მისთვის ხელსაყრელი საკითხების აქცენტირებას და საზოგადოებრივი აზრის წინასწარ ფორმირებას ცდილობდა.¹⁶

238. მოპასუხის ასეთმა უპირატესობამ საზოგადოების ნაწილისთვის შესაძლოა, გარკვეულწილად, შექმნა კიდევ მოსამართლის (მოსამართლეების) მიკერძოებულობის აღქმა, მაგრამ აღნიშნული სასამართლოს უკანონო შემადგენლობის მტკიცების საფუძველად ვერ გამოდგება. ამასთან, დიდი პალატა, უზენაესი სასამართლოს სამივე პალატის ცხრა მოსამართლის მონაწილეობით, ერთხმად აუქმებს რა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას, (შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას), იღებს ახალ გადაწყვეტილებას და აქარწყლებს მიკერძოებულობის ობიექტურობის ტესტს.

239. დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედი და მართლმსაჯულების ფუნქციონირების უმთავრესი პრინციპია, ხოლო მის წარმოებაში არსებულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა მოსამართლის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსამართლის დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ იგი ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

240. თუ კონკრეტულ საქმეზე მოსამართლის მიერ კანონის შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარის მიერ მოსამართლის აცილების საფუძველი გახდება, ეს მხარეს მისცემს მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის

¹⁶ იხ. „Worm v Austria“, 29.08.1997, (83/1996/702/894).

საშუალებას გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, რაც პირდაპირ და ცალსახად ეწინააღმდეგება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს.

241. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსსკ-ის 4.1-ე მუხლი).

242. დიდი პალატა არ იზიარებს კასატორების პრეტენზიებს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სამართალწარმოების დროს მათი საპროცესო უფლებები შეზღუდეს და ამით თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დაარღვიეს. მართალია, მოპასუხებმა თვითონ განსაზღვრეს, რომელი მტკიცებულებებით უნდა ყოფილიყო დადასტურებული მათ მიერ მითითებული ფაქტები, მაგრამ ისინი ვალდებულნი იყვნენ, დაეცვათ საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები და წარედგინათ დასაბუთებული შესაგებლები და მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც დასაშვები და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იქნებოდა (*„სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ,“* სსსკ-ის 104.1 მუხლი).

243. დიდი პალატა განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს სასამართლოს, როგორც ნეიტრალური არბიტრის მიერ მხარეთათვის შეჯიბრებითობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. ამასთან, დაუსაბუთებელი და საპროცესო ნორმების დარღვევით დაყენებული შუამდგომლობების სასამართლოს მიერ უარყოფა აღნიშნული პრინციპების დარღვევად ვერ იქნება მიჩნეული. პალატის მოსაზრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლების შეზღუდვად, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმგვარი შეზღუდვა, რომელიც კანონით დადგენილი წესიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, მხარეებს არ აქვთ უფლება იმოქმედონ აკრძალული მეთოდებით და ამ გზით მოახდინონ სასამართლოზე ზემოქმედება.

244. განსახილველ შემთხვევაში, კასატორთა მტკიცებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მათ არ მიეცათ სარჩელში მითითებული გარემოებების გამაბათილებელი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა და 2015 წლის 19 და 22 ოქტომბრის განჩინებებით დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი მტკიცებულებების მიღებაზე, დიდი პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან მათ მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობები არ აკმაყოფილებდა სსსკ-ის 215-ე მუხლის მოთხოვნებს, ისინი სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული არ იყო. პალატა თვლის, რომ მითითებული შუამდგომლობებიც კასატორების მიერ არჩეული იმ მთავარი სტრატეგიის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად საქმის განხილვის გაჭიანურებასა და საბოლოოდ არასამართლიანი სასამართლო განხილვის დასაბუთებლად ხელოვნური წინაპირობების შექმნას ისახავდა. გარდა ამისა, ვინაიდან წინამდებარე გადაწყვეტილების მატერიალურსამართლებრივი დასაბუთება სადავო წილების ფასთა დისპროპორციას აღარ ეფუძნება (სსკ-ის 54-55-ე მუხლები), ამ ნაწილში კასატორების პრეტენზიებს დიდი პალატა დაწვრილებით აღარ განიხილავს.

245. დიდი პალატა აღნიშნავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას სასამართლოს უპატივცემულობისათვის, *(„მხარეების, საქმეში მონაწილე სხვა პირების, აგრეთვე სასამართლო სხდომაზე დამსწრე და სასამართლოში მყოფ სხვა პირთა ისეთი ქმედება, რომელიც სასამართლოსადმი უპატივცემულობას გამოხატავს, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“)*. მოცემული საქმის ქვემდგომ სასამართლოებში განხილვისას მოპასუხეთა წარმომადგენლების, მათ შორის, ადვოკატების მხრიდან ადგილი ჰქონდა საპროცესო მოვალეობების დარღვევას. ისინი არ ემორჩილებოდნენ მოსამართლის (კოლეგიური შემადგენლობის თავმჯდომარის) კანონიერ მითითებებს, დაეცვათ სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები. მოპასუხეთა წარმომადგენლების ქმედებები, მათ შორის, ადვოკატთა არაეთიკური საქციელი და ცალკეული მოსამართლისა თუ სხდომის თავმჯდომარის მისამართით გამოხატული უპატივცემულობა მიმართული იყო სასამართლო პროცესების ჩაშლისკენ. სასამართლოს ევალებოდა სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა და მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა. დიდი პალატა მიიჩნევს, რომ სსსკ-ის 212-ე მუხლის საფუძველზე, (სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა), სასამართლომ გამოიყენა ადეკვატური ღონისძიებები და დააჯარიმა წარმომადგენლები, ამასთან, მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების

სახით გამოიყენა წარმომადგენლების, მათ შორის, ადვოკატების გაძევება სხდომის დარბაზიდან.

246. დიდი პალატა, ასევე არ იზიარებს კასატორთა პრეტენზიებს, რომლებიც ეხება სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სხდომის თავმჯდომარის მიერ მოპასუხის წარმომადგენლისათვის სიტყვის შეწყვეტას. სსსკ-ის 222-ე და 223-ე მუხლების თანახმად, დადგენილია მოსამართლის მიერ მხარეთათვის შეკითხვების დასმის წესი საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრისა და ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოსავლენად, მათი უტყუარობის გამოსარკვევად. კანონით არის დადგენილი მოსამართლის მიერ მხარეთა შეჯიბრების ხელმძღვანელობა, რაც მოიცავს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, მისცეს ან ჩამოართვას სიტყვა მხარეს, როდესაც ის არ უკავშირდება საქმეს და ემსახურება პროცესის გაჭიანურებას ან თუ მხარე გადააცილებს სასამართლოს მიერ მისთვის განსაზღვრულ დროს. სასამართლოს უფლება აქვს სიტყვის უფლება ჩამოართვას ყველას, ვინც არ ემორჩილება მას. სასამართლო ვალდებულია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გათვალისწინებული ზომები მიიღოს, რათა საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, მხარეთა პაექრობა ზედმეტად არ გაჭიანურდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად.

247. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას უკავშირებს საქმის განხილვას გონივრულ ვადაში. აღნიშნული დანაწესით ხაზგასმულია მართლმსაჯულების ადმინისტრირების მნიშვნელობა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით, სხდომების გადადების გარეშე, რათა დარტყმის ქვეშ არ დადგეს მისი ეფექტიანობა და სანდოობა.

248. დიდი პალატა მიიჩნევს, რომ კასატორთა მიერ მითითებული საპროცესო დარღვევები სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლებს არ წარმოადგენს, ვინაიდან დავის გადასაწყვეტად აუცილებელ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორებს არ წარმოუდგენიათ დასაბუთებული საკასაციო შედავება, ხოლო უდავოდ მიჩნეული/არაკვალიფიციურად შედავებული ფაქტების იურიდიული შეფასება სხვაგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გამოორიცხავს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 264-ე მუხლის მესამე ნაწილით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ლ.ყ-ის, გ.ყ-ის, შპს „ტ.ს-ს“, ნ.ნ-ის, შპს „ჰ.ჯ-ს“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ.ხ-სა და შპს „პ.“-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. გაუქმდეს შპს "ს.კ.რ.2"-ის (ს.კ. ...) პარტნიორების: ლ.ყ-ის (პ.ნ. ...) 22%-ის, გ.ყ-ის (პ.ნ. ...) 18%-ის, შპს "ტ.ს-ს" (ს.კ...) 51%-ის და ნ.ნ-ძის (პ.ნ. ...) 9%-ის წილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და შპს "ს.კ.რ. 2"-ის (ს.კ...) 60% წილის მესაკუთრედ ცნობილი იქნეს ქ.ხ. (პ.ნ...) და 40 %-ის წილის მესაკუთრედ ცნობილი იქნეს შპს „პ.“ (ს.კ. ...);
5. უცვლელად დარჩეს წინამდებარე გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში მითითებული სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების წინმსწრები განჩინებები;
6. მოპასუხეებს შპს „ტ.ს-ს“, გ.ყ-ს, ლ.ყ-ს და ნ.ნ-ძეს, ქ.ხ-სა და შპს "პ-ს" სასარგებლოდ, სოლიდარულად, დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის სახით 5000 ლარის ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

ნინო გვენეტაძე

მზია თოდუა

ვასილ როინიშვილი

ეკატერინე გასიტაშვილი

პაატა ქათამაძე

ბესარიონ ალავიძე

მაია ვაჩაძე

ზურაბ ძლიერიშვილი

გიორგი შავლიაშვილი